# სარბიელი

ყოველკვირეული სპორტული გაზეთი | 15-21 დეკემბერი 2008 №267 (3491) | ფასი 1 ლარი


ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# უეფამ თავი გადაიპარსა

## თემურ ქეცბაია ტოპხუთეულშია!



# ფრანგოვალური დემოკრატია: ხმა მიეცით გორგოძეს!



საფრანგეთში წლის საუკეთესო მორაგბის გამოსავლენ გამოკითხვაში ნუხანდელი მონაცემებით ყველაზე მეტი ხმა „მონპელიესა“ და საქართველოს ნაკრების მეორე ხაზის დევკაც მოთამაშეს, 24 წლის მამუკა გორგოძეს აქვს. ვარსკვლავებით დახუნძლულ საფრანგეთის ჩემპიონატში გორგოძე ჯერჯერობით პირველობას არავის უთმობს და გამოკითხვას 62 პროცენტით ლიდერობს. მისი მდევარი და მთავარი კონკურენტი „ბრივის“ 28 წლის ინგლისელი ენდი გუდია, ვისაც 33 პროცენტი დაუგროვებია. მესამე ადგილზე კი 4 პროცენტით „ბაიონის“ ფრანგი მორკინალი, 29 წლის რემი მარტინია.

და ერთიც: საინტერესოა, რომ გამოკითხვის ორგანიზატორ ვებგვერდ **www.lnr.fr**-ს მამუკა გორგოძის სახელი და გვარი, აი, ასე უწერია — **Mamuka Gorgodzendy.**




# უცხო ენით დაკოდილი: მთელი გუნდი დამესია და...

## ფიფა კესანის ასაკის მოპარვაში ამხელს

**სენსაციური ინტერვიუ ზესტაფონიდან სკანდალურად გაქცეულ გაბონელთან**



სარბიელის არქივიდან

# კლაუს ტოპმიოლერი: ყენიასნაირ ბრილიანტთან არასოდეს მიმუშავია!

„ასეთ ბრილიანტივით ტალანტთან არასოდეს მიმუშავია!" — ეს კლაუს ტოპმიოლერის სიტყვებია, ადრესატი კი, რადგან ქართული ფეხბურთის თემაა, გამოიცნობთ, ვინც არის...

საქართველოს ნაკრების ექსთავკაცი გერმანულ გამოცემა „ვესტენთან" საუბარში ლევან ყენიას ქებით დაილვარა. მასალა მთლიანად ლევანზეა და რომ გითხრათ, ჩვენთვის უცნობი სიახლეები წერიაო, მართალნი არ ვიქნებით, მაგრამ ტოპის ნაქვამი სიტყვები მაინც შთამბეჭდავია.

„ის ტიპიური 10 ნომერია. შეტევაში ძალიან ძლიერია და გოლებიც გააქვს. თამაშის სტილით ილდირაი ბაშთურქს ჰგავს. თუმც გაცილებით დიდი გაქანების ტალანტია. ლეო მესი ახლა 21 წლისაა და როცა ყენიაც 21-ისა იქნება, ყველა ნახავს, ნამდვილ ვარსკვლავზე ვილაპარაკებთ".

„ვესტენში" ყენიას კარიერაზეც წერია — ის, რომ „ბარსელონას" ჭაბუკთა გუნდში ვარჯიშობდა და „ლევანტეს" უნდოდა მისი შეძენა. ის, რომ საქართველოს ეროვნულ ნაკრებში 16 წლისამ ითამაშა...

ლევანი „შალკეს" ძირითადი გუნდის ოფიციალური მატჩებიდან მხოლოდ ერთში ათამაშეს — უეფას თასზე კვიპროსულ აპოელ-თან (1:1), სადაც „ხუმარების" თავკაცმა ფრედ რუტენმა 26 წუთი დაუთმო და ბიჭმაც კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

ისევ ტოპმიოლერის სიტყვები: „ვისაც უნდა, დავენიძლავები, რუტენმა „შალკეს" ზედიზედ ხუთ საშინაო მატჩში ათამაშოს ყენია და მის სახელს მსოფლიოს ყველა მწვრთნელი გაიგებს. საერთოდაც, მალე მოვა დრო, როცა „შალკეს" ლევანის შენარჩუნება გაუჭირდება".

რაც შეეხება ყენიაზე უახლეს ამბებს: მან კოჭის ტრავმა მოირჩინა და გუნდთან ერთად ვარჯიშობს. წინა კვირაში ძუნძული დაიწყო, ახლა კი სრულ დატვირთვებს უახლოვდება.

ილია ნანოგაშვილი

# მაკარიძე საფრანგეთშია

გიორგი მაკარიძე წინა კვირაში გერმანული „დორტმუნდის" მეორე გუნდში იყო სტაჟირებაზე, რამდენიმე დღე ივარჯიშა და თბილისში დაბრუნდა, თუმც სულ ორიოდ დღით...

18 წლის მეკარე ისევ დასავლეთ ევროპის გზას გაუდგა. ხუთშაბათ საღამოს საფრანგეთში გაფრინდა და ერთ-ერთ იქაურ კლუბში ვარჯიშობს.

შეგახსენებთ, გიორგის თბილისის „დინამოსთან" კონტრაქტი თვენახევრის წინ დაუმთავრდა და თავისუფალი აგენტია.

ილია ნანოგაშვილი

# თემურ ქეცბაია ევროპის ხუთეულში!

## მიეცით ხმა პერსპექტივას



იქ, სადაც არ არიან ჟოზე მოურინიუ, რაფა ბენიტესი, ლუიშ ფელიპე სკოლარი, არსენ ვენგერი, ლუჩანო სპალეტი, გუს ჰიდინკი თუ სხვები, არის თემურ ქეცბაია!

დიახ, www.uefa.com-მა ნებისმიერ სპეციალისტს თუ გულშემატკივარს არჩევანი გადაუშალა — აირჩიეთ 2008 წლის სიმბოლური ნაკრები, სადაც 55 ფეხბურთელი და 5 მწვრთნელია შეყვანილი. ანუ, თითოეულ პოზიციაზე 5-5 კანდიდატურაა.

და ქეცბაია წლის ხუთ საუკეთესო სპეციალისტს შორისაა: დიკ ადვოკაატთან, ალექს ფერგიუსონთან, ფატიჰ თერიმთან და ლუის არაგონესთან ერთად.

ხმის მიცემა 2009 წლის 12 იანვრამდე გაგრძელდება.

დაგვეთანხმებით, მარტო ის, რომ ქეცბაია ხუთ რჩეულში მოხვდა, უკვე დიდი აღიარებაა. მისმა „ანორთოსისმა" ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრის მერე როგორც ითამაშა, ყველამ ნახა — ყველა მატჩში ნერვები დააწყვიტა მეტოქეებს, მათ შორის, „ინტერსაც" კი.

40 წლის თემურ ქეცბაია დღესდღეობით მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ სპეციალისტად ითვლება.

უეფას აზრით კი, ის უდავოდ წლის აღმოჩენა-მწვრთნელია.

ილია ნანოგაშვილი

# ფედერაცია: არავითარი ყადაღა!

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის შენობას ყადაღა დაადესო, ამაზე ერთი და ორი არ ლაპარაკობს.

მართალია, ჭორ-მართალს ხშირად ვერ გაარჩევ, მაგრამ ის ნაღდია, რომ ფედერაციას „საქართველოს ბანკში" კორპორაციული სესხი აქვს აღებული.

როგორც სფფ-ის ვიცე-პრეზიდენტმა გოგი ქავთარაძემ გვითხრა, ყადაღაზე ლაპარაკიც არ არის, თუმცა ერთი კია, 2009 წელს ძალიან ეკონომიურად უნდა ვხარჯოთ ფულიო.

ისე, შეგახსენებთ, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ადრეც არაერთხელ დაადეს ყადაღა, თუმც ეს სფფ-ის წინამორბედი ხელმძღვანელობის პერიოდში...

ლუკა თალაკვაძე

# ზესტაფონის ზე-ფონი

## სავარაუდო ნამატი: კანკავა, მელქაძე, ღინამძღვრიშვილი

„დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, რომ „ზესტაფონი" რამდენიმე ქართველ ლეგიონერთან აწარმოებს მოლაპარაკებას და ვნახოთ, იმედია, წარმატებით გადაწყდება ყველაფერი" — გვითხრა იმერული კლუბის პრეს-ატაშემ სერგო ფუტკარაძემ.



ამ ლეგიონერთა სახელ-გვარები არ სახელდება, მაგრამ როგორც შევიტყვეთ, ერთ-ერთი მათგანი ჯაბა კანკავაა — „დნიპროს" ნახევარმცველი, რომელსაც უკრაინის ჩემპიონატის მეორე წრე კოჭის ტრავმის გამო გაუცდა.

კანკავა „ზესტაფონის" თავკაც გია გეგუჩაძის აღმოჩენაა, თავის დროზე 18 წლის ბიჭს ენდო და თბილისის „დინამოს" ძირითად გუნდში ათამაშა, ხოლო ჯაბამ როგორ გაამართლა, გეხსომებათ: უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე გასული „დინამოს" წამყვანი ფიგურა გახდა.

მაშინდელ „დინამოში" გეგუჩაძის ერთ-ერთი გამორჩეული შეგირდი ლევან მელქაძეც გახლდათ, რომელიც ახლა სწორედ „ზესტაფონში" ვარჯიშობს. მელქაძეს ზაფხულს აქეთ არ უთამაშია — მანამდე ყაზახურ „შახტიორში" იყო, ზაფხულში კი ჯერ ბაქოს „ოლიმპიკში", მერე „გაგრაშიც" ვარჯიშობდა...

ლაპარაკია ამერელ რატი წინამძღვრიშვილზეც, ვინც საოპერაციო და ტრანსფერის განხორციელების შემთხვევაში, „ზესტაფონი" საკუთარ თავზე იღებს ამის მოგვარებას. როგორც შევიტყვეთ, კლუბებს შორის მოლაპარაკება დაწყებულია და დიდი შანსია, შეთანხმებაც შედგეს.

ფეროელთაგან შესაძლო წამსვლელთა შორის ყველაზე ბევრი საუბარი ბექა გოცირიძეზეა, თუმცა კონკრეტული ჯერ არაფერია. ერთი ის ვიცით, რომ ბექათი რამდენიმე უცხოური კლუბია დაინტერესებული: ერთ-ერთი რუსული წყაროს ცნობით, ეს კლუბი ნალჩიკის „სპარტაკია", უკრაინელების მტკიცებით კი, „დნიპროსაც" სურს ჩვენიანი.

ერთიც, შაბათს გეგუჩაძეს „ზესტაფონის" გულშემატკივრებთან ჰქონდა გაცნობითი ხასიათის შეხვედრა...

ილია ნანოგაშვილი

# ბარსამ ჭანტურია დაიტოვა

რამდენიმე დღის წინ საფეხბურთო სკოლა „საბურთალოს" აღზრდილი, 1993 წელს დაბადებული თავდამსხმელი გიორგი ჭანტურია კატალონიური „ბარსელონას" სკოლაში ჩაირიცხა. ჭანტურია ბარსელონაში სამკვირიან სტაჟირებაზე ჩავიდა და პირველივე საკონტროლო შეხვედრაში იქაურებს ისე მოაწონა თავი, რომ მისი დატოვება გადაწყვიტეს.

ჭანტურია გიორგი დევდარიანის შეგირდია. „საბურთალოს" ასაკობრივ გუნდში, რომელიც ჭაბუკთა ლიგაში გამოდის, ყველაზე მეტი გოლი აქვს გატანილი. ჭანტურია საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების წევრიცაა — უნგრეთში ევროშესარჩევ ციკლში ახლდა გუნდს და ორ მატჩში ერთი გოლი შეაგდო.

ოთარ მხეიძე

# ადამიას მრავალფეროვანი არჩევანი



გიორგი ადამიას რამდენიმე აზერბაიჯანული კლუბი იწვევს, გარდა ამისა, მის მსურველთა სიაში უკრაინული და რუსული კლუბებიც არიან.

ბაქოს „ნეფთჩის" ყოფილი ლიდერი ოქტომბერში მოულოდნელად გაუშვეს გუნდიდან — „მენავთობეთა" გერმანელმა მწვრთნელმა ჰანს-იურგენ გედემ ოთხ ფეხბურთელს წასვლისკენ მიუთითა და მათ შორის ადამიაც იყო, ვისი ფასიც სადღეისოდ 125 ათასი ევროა.

გიორგი ამჟამად საქართველოშია და, როგორც შევიტყვეთ, მისი შეძენა ყველაზე მეტად „ბაკის" სდომებია. გარდა ჩამოთვლილი ქვეყნებისა, გიორგის რუმინული „ოცელულის" ვარიანტიც ჰქონდა, თუმც რამდენად რეალურია, ვერ გეტყვით.

„ბაკიში" ადამიას გადასვლა თუ მოხერხდა, იქ მას ამირან მუჯირი და გიორგი დემეტრაძეც დახვდებიან.

ოთარ მხეიძე



# რატომ დაშალეს შოტლანდიასთან მომგები ნაკრები?

## დავით სირაძე: ყველაზე მეტად კლასი გვაკლია

როცა საქართველოს ნაკრების სუსტ რგოლებზე ვლაპარაკობთ, თავდასხმა მთავარი თემა ხდება. შოთა არველაძე წავიდა, მისი ღირსეულად შემცვლელი კი არ ჩანს. ერთ-ერთ მთავარფორვარდად დავით სირაძეც ითვლება, რომელიც ჯერაც ნალჩიკის „სპარტაკში" ირიცხება და წლევანდელი არა, მაგრამ გასული წელინადი ნაკრებში მართლაც ბარაქიანი ჰქონდა — ოთხი გოლი გაიტანა. არადა, გეხსომებათ, საკმაო ხანს ის ცენტრალურ ნახევარმცველად თამაშობდა. „ჩემი აზრით, შოტლანდიასთან მოგებული მატჩის შემდეგ ნაკრების შემადგენლობა აღარ უნდა შეცვლილიყო... ნაკრებს კლასი აკლია" — ეს სირაძის სიტყვებია.
კარგია, რომ ფეხბურთელი მარცხის მიზეზებზე ჩვენში მოდად ქცეული ტრაფარეტებით არ ლაპარაკობს...

სარბიელის არქივიდან

# ახალი კლუბი ახალ წელს გამოჩნდება

— სამშაბათს კუპერმა ეროვნული ჩემპიონატის გამორჩეული ფეხბურთელები კვლავ შეკრიბა და შენც დაგიძახა...

— ამას მხოლოდ მივესალმები. ამხელა დონის მწვრთნელისგან ფეხბურთელები ბევრს ისწავლიან. პირადად ჩემთვის ამ ვარჯიშზე ახალი არაფერი ყოფილა — კუპერს იგივე ტაქტიკური წვრთნა ჰქონდა, რაც [illegible] შეკრებებზე. ფეხბურთელი კლუბში სხვა ტაქტიკასაა მიჩვეული, კუპერი კი მათ სანაკრებო მონახაზებს ასწავლის, რათა მათი გამოძახების შემთხვევაში, იოლად აუღონ ალღო. ყველამ უნდა იცოდეს, რას ითხოვს ნაკრების მწვრთნელი. ეს ჩვეულებრივი ამბავია.

— ხშირად რჩება შთაბეჭდილება, თითქოს ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე ზოგ ფეხბურთელთან კუპერს ელემენტარულის ახსნა სჭირდება...

— ამაზე მე ვერ გიპასუხებთ. ფეხბურთელმა ნებისმიერი ტაქტიკური ვარჯიში უნდა აითვისოს. აბა, რისი ფეხბურთელია?! კარგია, რომ კუპერი უყურადღებოდ არ ტოვებს საქართველოს ჩემპიონატს, ეს დიდი სტიმულია აქ მოთამაშე ბიჭებისთვის.

— შემოდგომის მატჩებში კუპერმა ჩვენი ჩემპიონატიდან ბევრი ფეხბურთელი ათამაშა. რას იტყვი მათზე, ნაკრებში შებოჭილობა ხომ არ ეტყობათ?

— არა, ნამდვილად ნიჭიერები არიან. თუმცა კარგი იქნება, მთლიანად ჩემპიონატის დონე თუ აიწევს — ეს პირობებზე, ზოგადად კი, ფინანსებზეა დამოკიდებული. როდესაც თბილისის „ლოკომოტივში" ვთამაშობდი, მაშინ უკეთესი ჩემპიონატი იყო, უფრო მეტი კარგი გუნდი გვყავდა. მერე უფულობის გამო რამდენიმე კლუბი დაიშალა, ქუთაისს, ფოთსა და ბათუმს უმაღლეს ლიგაში გუნდი არ ჰყავთ. ეს ძალიან ცუდია.

— ბოლო სანაკრებო მატჩებზე ვთქვათ: შენი აზრით, წარუმატებლობის მთავარი მიზეზი რა არის?

— პირველ რიგში, მაინც კლასი. ბულგარეთთან ამდენი საგოლე მომენტის გამოუყენებლობა მარტო უიღბლობას არ უნდა დაბრალდეს — ასეთი თამაში უნდა მოიგო. ბულგარელებს რომ ამდენი შანსი ჰქონოდათ, ვითომ, ერთს მაინც ვერ გამოიყენებდნენ? ესაა კლასი... სხვა ნაკრებები იყენებენ მომენტებს, ჩვენ ვერა. გარდა ამისა, გასაკვირია, რომ შოტლანდიასთან რაც გვყავდა, იმ შემადგენლობას მას შემდეგ აღარ უთამაშია. ჩემი აზრით, ეს კრებული უნდა შენარჩუნებულიყო, შოტლანდიასთან მოგება შემდეგი წარმატებების სათავე უნდა ყოფილიყო. ფაქტია, შოტლანდიის მერე, მგონი, აღარც მოგვიგია.

— როგორც თავდამსხმელს, გკითხავ: ნაკრები შებოჭილად თამაშობს შეტევაში. აი, მაგალითად, ხშირად ყოფილა, როცა შენ ან სხვა ფორვარდს სიღრმეში მიგიღიათ ბურთი, მეტოქის დაცვაში თავისუფალი ზონები დარჩენილა, იქ კი არავინ გაქცეულა და ყველაფერი ჩაშლილა. ეს ასე ძნელი გასაკეთებელია?

— არ არის ძნელი გასაკეთებელი და რაც თქვით, სწორედ მაგას ამუშავებს კუპერი ვარჯიშებზე. ამ სამშაბათსაც სწორედ ამაზე იყო წვრთნა კარგა ხანს.

— კლასი ძლიერ ფეხბურთელებს მოაქვთ. შედარებისთვის, მაკედონიას, ლატვიას, ლიტვას, სლოვენიას თუ სხვა ამ დონის ნაკრებებს ჩვენზე უკეთესი ლეგიონერები ნამდვილად არ ჰყავთ, მაგრამ შედეგი უკეთესი აქვთ...

— სამაგიეროდ, მათ ჩემპიონატი აქვთ უკეთესი, პირობები აქვთ, ელემენტარული რამ არ აკლიათ. საქართველოში კი რამდენ კლუბს აქვს საკუთარი მინდორი და ბაზა?

— ახლა საკლუბო ამბებზე: ნალჩიკის „სპარტაკიდან" წასვლა გადაწყვეტილი გაქვს?

— კონტრაქტი დამიმთავრდა, ჯერ შესვენებაა და 4-5 იანვარს ჩავალ ნალჩიკში. „სპარტაკის" ხელმძღვანელობამ სეზონის დასრულებამდე შემომთავაზა კონტრაქტის გაგრძელება, თუმც თავი შევიკავე. სავარაუდოდ, რუსეთის სხვა კლუბში გადავალ.

— კონკრეტულად?

— ჯერ მეც არ ვიცი. ნალჩიკში კარგი სეზონი მქონდა, მწვრთნელი მენდობოდა და შესაბამისად, სხვა გუნდებიც დაინტერესდნენ ჩემით.

— სეზონში გატანილი 4 გოლი ცოტა არ არის?

— რუსეთში ნამდვილად არ არის ცოტა. მხოლოდ ცსკა-ს ვაგნერ ლავმა შეაგდო ოცი ბურთი, თორემ მის მერე 8-10 გოლიანები მოდიან ბომბარდირებში. ალექსანდრ კერჟაკოვმა სეზონში მხოლოდ 5 ბურთი გაიტანა.

— როგორც გავიგეთ, ნალჩიკის „სპარტაკი" ყველაზე ღარიბი კლუბია პრემიერლიგაში. ასეა?

— ბიუჯეტი ყველაზე ნაკლები აქვს, მაგრამ პირობების მხრივ არაფერი გვაკლდა. მინდორი, ბაზა, ხელმძღვანელობის თუ გულშემატკივართა მხრიდან ყურადღება — ყველაფერი გვქონდა. ამასთან იური კრასნოჟანი ძალიან კარგი მწვრთნელია. პიროვნებაც ჩინებულია. ქართველებს დიდ პატივს სცემს და ამას საქმითაც ამტკიცებდა: მეც, გოგიტა გოგუასაც და ალეკო ამისულაშვილსაც მუდმივად გვათამაშებდა.

— კრასნოჟანი კი, მაგრამ მთლიანად ყაბარდოეთში რამდენად უყვართ ქართველები?

— სითბოს მეტი არაფერი გვიგრძვნია. სხვათა შორის, არც გასვლით მატჩებზე შეგვქმნია პრობლემა ქართველობის გამო...

**ილია ნანობაშვილი**

# კუპერის ტესტები

## სამშაბათობა საგურამოში

**ჰექტორ** რაულ კუპერმა გასულ კვირაში მორიგი „სამშაბათობა" ჩაატარა და ერთი ლეგიონერიც მიიწვია: დავით სირაძე.

ნალჩიკის „სპარტაკის" ქართველ თავდამსხმელს არდადეგები აქვს და, ცხადია, კუპერის ვარჯიშები არ აწყენდა.

არგენტინელმა ზუგდიდის „მგლების" მეკარე ზურაბ მამალაძეც მიიწვია, დანარჩენები კი „სამშაბათობისთვის" ნაცნობი ფეხბურთელები იყვნენ.

ვარჯიში გამოტოვეს თბილისის „დინამოს" შემტევმა გიორგი მერებაშვილმა და „ზესტაფონის" თავდამსხმელმა ბექა გოცირიძემ, რომლებიც ტრავმირებულნი იყვნენ.

წვრთნის დიდი ნაწილი კვლავაც ტაქტიკურ მეცადინეობას დაეთმო.

ასევე, კუპერმა ორი თავდამსხმელით შეტევის ელემენტებიც დაამუშავებინა ბიჭებს და ერთი-ორჯერ მაგრადაც გაუწყრა მათ.

*მეკარეები:* გიორგი ლომაია (ლოკომოტივი), როინ კვასხვაძე (ზესტაფონი), ზურაბ მამალაძე (მგლები);

*მცველები:* უჩა ლობჟანიძე (ზესტაფონი), გურამ კაშია (დინამო), დავით გიგაური (ვაგრა), ალექსანდრე კვახაძე (ვიტ ჯორჯია);

*ნახევარმცველები:* მურთაზ დაუშვილი (ზესტაფონი), ზაზა ჭელიძე (სიონი), ლევან ხმალაძე (დინამო), ლუკა რაზმაძე (ვიტ ჯორჯია), დავით ოდიკაძე (დინამო), გიორგი სეთურიძე (ოლიმპი), ირაკლი კლიმიაშვილი (ვიტ ჯორჯია);

*თავდამსხმელები:* მათე ვაწაძე (დინამო), დავით სირაძე (ნალჩიკი, რუსეთი), გიორგი გაბედავა (ვაგრა).

**ილია ნანობაშვილი**



# აი ია, აი თითი

## სად, როდის, როგორ, რატომ და მართლა ცემეს თუ არა პოლ კესანი

**„სარბიელის“ მკითხველმა კარგად იცის „ზესტაფონისა“ და მისი გაბონელი ლეგიონერის, პოლ კესანის სკანდალური ურთიერთობის თაობაზე, მაგრამ მაინც შეგახსენებთ: აფრიკელმა შავკანიანმა იმერლებს რასიზმი დასწამა და მეტიც, თანაგუნდელებს მის მიმართ ფიზიკურ აგრესიაში დასდო ბრალი.**

**ეს ყოველივე კესანიმ მაშინ გამოამზეურა, როცა ზესტაფონელებთან ორწლიანი ურთიერთობის შემდეგ ისრაელში მოინდომა კარიერის გაგრძელება. თუმცა ქართულ კლუბთან კონტრაქტი აკავშირებდა და გაბონის ნაკრების კაპიტნის სანაცვლოდ იმერლებმა გვარიანი თანხა (2 მილიონი დოლარი) მოითხოვეს. ამ მიზეზით თუ კლუბში მართლაც გაუსაძლისი პირობებით შეწუხებულმა ფეხბურთელმა ისეთი განცხადებები გააკეთა, საქმე ფიფამდე მივიდა.**

**კესანიმ მობილურით გადაღებული ადრინდელი ფოტოებიც მოიშველია, რომელზეც როგორც თვითონ აცხადებს, სწორედ მის მიმართ განხორციელებული ფიზიკური აგრესიის კვალია დაფიქსირებული. ეს სურათები „სარბიელმა“ დაახლოებით ერთი თვის წინ გამოაქვეყნა.**

**სულ ახლახან ამ ფაქტით საფრანგეთის საერთაშორისო რადიოც დაინტერესდა. რადიოს სპორტულმა რედაქციამ, კერძოდ კი, აფრიკული სპორტის ბიურომ 7 დეკემბრის 20-წუთიან გადაცემაში 4 წუთი ფრანგულენოვანი გაბონელი „პანტერას“ და „ზესტაფონის“ გახმაურებულ დავას დაუთმო. პოლ კესანისთან რადიო-ინტერვიუს აუდიოჩანაწერს RFI-ის ვებგვერდზე მივაგენით და გთავაზობთ მის სრულ ვერსიას...**



სარბიელის არქივიდან

*საფრანგეთის საერთაშორისო რადიოს სპორტული მიმომხილველი კრისტოფ ჟოზე: ფეხბურთში რასიზმის პრობლემა ევროპის ქვეყნებისთვის უცხო არაა. ჩვენ რეგულარულად ვაწვდით ინფორმაციას იტალიის, საფრანგეთისა და ესპანეთის ჩემპიონატებიდან. ამ ქვეყნების სტადიონებზე ხშირია ისეთი გამოხტომები, როცა შავკანიან ფეხბურთელებს მიმართავენ, როგორც მაიმუნებს და ამკობენ რასისტული შეძახილებით. თუმცა, როგორც გაირკვა, ასეთ ფენომენს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებშიც აქვს ადგილი. წარმოიდგენდა გაბონელი პოლ კესანი, რომ 2 წლის წინ, როცა საქართველოში, ფეხბურთის კლუბ „ზესტაფონში“ გადაბარგდა, საშინელ კოშმარში მოუწევდა ცხოვრება. ის გახდა რასიზმის, საშინელი დამცირების და ფიზიკური აგრესიის მსხვერპლი როგორც გულშემატკივრების, ასევე კლუბის ხელმძღვანელობისა და თანაგუნდელების მხრიდან.*

*ფეხბურთელს ჩვენი კორესპონდენტი დანიელ კუზანი დაუკავშირდა და დეტალებში გარკვევა სთხოვა...*

— ჩემს კლუბ „ზესტაფონთან“ მაქვს პროცესი, რომელსაც ფიფა იხილავს. რასიზმისა და სამარცხვინო ფაქტების გამო იძულებული ვიყავი, კონტრაქტი ვადაზე ადრე გამეწყვიტა, მაგრამ კლუბი წინააღმდეგია და ჩემს დასჯას ცდილობს. მათ იენისიდან მოყოლებული ვთხოვდი, რათა მიეღოთ ზომები ჩემი უსაფრთხოებისთვის. მივწერე, რომ ზესტაფონში ჩემს სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა და გარანტიებს ვითხოვდი, წინააღმდეგ შემთხვევაში, გაბონში დარჩენა მქონდა გადაწყვეტილი. ქართველებმა ყურად არ იღეს ჩემი სატკივარი. მეუბნებოდნენ, რომ ისეთი არაფერი მომხდარა. არადა, არსებობენ მოწმეები, მაქვს მტკიცებულებები, ფოტოები...

— და რა მოხდა კონკრეტულად?

— კოშმარი პირველივე დღეებიდან დაიწყო. მე მათი ენა არ მესმოდა. თუ წავაგებდით, ყველაფერს მე მაბრალებდნენ, შავს, მაიმუნს მეძახდნენ, შუათითს მაჩვენებდნენ, მაფურთხებდნენ... ყველაფერს ვითმენდი. სხვა გამოსავალი არ მქონდა. მერე კი მთელი გუნდი დამესია.

**— როგორ, თანაგუნდელები?**

— დიახ. თავიდან მათი არ მესმოდა, თუმცა ვხედავდი და ვგრძნობდი საშინელ რასისტულ გამოხტომებს. მერე, წელიწადნახევრის განმავლობაში, ასე თუ ისე, ენაც ვისწავლე და რომ გავიგე, თურმე რა დონის შეურაცხყოფას მაყენებდნენ, ველარ მოვითმინე და მეც ავფეთქდი. ჰოდა, მთელი გუნდი დამესია და მცემა. ამის მოწმეებიც არსებობენ. კლუბში კიდევ სამი გაბონელი იყო. ორი ჩემსავით წამოვიდა პრობლემების გამო და უკან აღარც მიბრუნებულა.

— ხელმძღვანელობას არ მიმართე?

— როგორ არა, თუმცა არაფრად ჩამაგდეს. არც დამკავშირებიან.

— როდის მოხდა ეს აგრესია?

— მარტში. თუმცა იქ ყოველთვის განვიცდიდი მორალურ შეურაცხყოფას. როცა უკვე მესმოდა ქართული ლაპარაკი, ვრწმუნდებოდი, რომ თითქმის ყოველ ქართველთან ურთიერთობაში ადგილი ჰქონდა ჩემს დამცირებას. თუმცა ფიზიკურმა შეურაცხყოფამ ძლიერ იმოქმედა, შეშინებული ვიყავი და ველარ გავბედე უკან მიბრუნება.

— ახლა გაბონში ხართ?

— არა, საფრანგეთში. საშინელ დღეში ვარ. მაისის მერე უხელფასოდ ვცხოვრობ. ველოდები, როდის დაასრულებს ფიფა ჩემი საქმის განხილვას. ძალიან მიჭირს ასე ცხოვრება, არ დაგიმალავთ და, ლამისაა შევეგუო აზრს კარიერის დამთავრებაზე.

— ფიფასგან რას ითხოვთ?

— ფიფასგან კი არა, „ზესტაფონისგან“ ვითხოვ, რომ კონტრაქტი შემიწყვიტონ და სხვა კლუბში თამაშის უფლება მომცენ.

— გაქვთ დავის მოგების იმედი?

— ადვოკატი მაიმედებს. თუმცა საქმე ძალიან გაიწელა და არ შემიძლია ამდენი ლოდინი. ღმერთმა ქნას, ყველაფერი მალე დასრულდეს და, რა თქმა უნდა, ჩემ სასარგებლოდ. იცით, ვერ გადმოგცემთ სრულად, რა საშინელი დღეები გადავიტანე საქართველოში. საცხოვრებელიც ცუდი მქონდა, ქუჩაში ხალხი ფორთოხალს მესროდა. ერთხელ კლუბის წარმომადგენლებმა უცხო ქვეყნის საზღვართან მიმაგდეს. იქ ერთი საათი მომიხდა ყურყუტი და თანაც, -5 გრადუსი იყო. მათ ავუხსენი, რომ თურქეთში შესასვლელად ვიზა მჭირდებოდა და დამხმარებოდნენ, მაგრამ არაფრად ჩამაგდეს და მიმატოვეს. აეროპორტშიც მარტო მტოვებდნენ ხოლმე, ენა არ მესმოდა, ვერ ვაგნებდი, სად და როგორ გავსულიყავი...

*P.S. პოლ კესანისთან ჩვენი დაკავშირება შეუძლებელი აღმოჩნდა. ჩვენს ჩემპიონატში მონაწილე სხვა გაბონელები კი ამ თემაზე საუბარს გაურბიან. გაბონის ფეხბურთის ფედერაციის ვებგვერდის ფორუმზე კი გულშემატკივრები ხშირად ეხმაურებიან კესანსაც. PAULKESS-ის თიკუნით ნაკრების ამჟამინდელი კაპიტანი ხშირადაც პასუხობს ხოლმე გაბონელთა კითხვებს. 2007 წლის ზაფხულში კესანი ასეთ ინფორმაციას აწვდის თავის გულშემატკივარს: „საქართველოში ვარ. შეგიძლიათ, ჩემს კლუბს გაეცნოთ ვებგვერდზე www.fczestafoni.ge. ჩემთან ერთად ბიტოო და აკუასაგაც არიან. ცუდია, რომ ახლა ინტერტოტოს თასიდან გამოვვარდით ყაზახურ „ტობოლთან“. მეტოქე ფიზიკურად კარგად იყო მომზადებული. ყაზახურმა კლუბმა მათთან გადასვლის წინადადებით მომმართა. ვნახოთ, რას ვიზამ. ჯერ არაფერი გადამიწყვეტია...“*

*ფორუმზე PAULKESS-ს არასდროს წამოუწევია ქართულ კლუბში რასიზმის თემა. არც ყაზახურ „ტობოლში“ გადასულა. აქ დარჩა და ქართულიც ისწავლა. რამდენი ენაც იცი, იმდენი კაცი ხარო, უთქვამთ ჩვენში. კესანის თუ დავუჯერებთ, არც მთლად ასე ყოფილა. ქართულ ენას რომ დაეუფლა, მაშინ უგრძვნია, ესენი თურმე კაცად არ მთვლიანო და აფეთქებულა...*

**ხვიჩა ხალიანი**

## სკანდალი №2: რამდენი წლისაა კესანი?

**პოლ კესანი** საქართველოში ახალი ჩამოსული იყო, ერთ-ერთ ინტერვიუში რომ დაიკვეხნა, გაბონის ნაკრებს სული ჩემით უდგას, 40 მატჩი მაქვს ჩატარებულიო. იმხანად 21 წლის ფეხბურთელისგან ცოტა გასაკვირი კი იყო ასეთი მაჩვენებელი, მაგრამ მაშინ, როცა თვით საქართველოს ნაკრებში სამი-ოთხი 17-წლამდელი ძირითადს უშინაურდებოდა, ამისთვის ყურადღება არავის მიუქცევია.

ყველაზე უტყუარ ინფორმაციას გაბონის ნაკრებზე „ფუტბოლ პრო გაბონის“ ყოველწლიური გამოცემა იძლევა, რომლის პირველი ნომერი გვამცნობს, რომ კესანის დებიუტი 2002 წელს ჰქონია სიერა ლეონესთან. იქვეა მითითებული ფეხბურთელის დაბადების თარიღიც: 1982 წლის 16 აპრილი.



>> **Paul Kessany**
- Poste : Milieu
- Club : USM (D1, Gabon)
- Première sélection A : 2002 en défense
- Dernière sélection A : Gabon – Nigeria (8 octobre, 2004)
- Forces : Technique, accélération, bonne utilisation des espaces, jeu simple et efficace.
- Faiblesses : Manque d'audace, endurance.
- Naissance : 16 Avril 1982
- Taille : 1m76 • Poids : 70kg

ერთი შეხედვით, არაჩვეულებრივი არაფერია: 20 წლის აფრიკელს 4 წელიწადში 40 სანაკრებო მატჩი რომ მოენაგრა, რა გასაკვირი იქნებოდა, რომ არა ერთი უხერხულობა...

ის პასპორტი, რომლითაც კესანი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაშია დარეგისტრირებული, მას, არც მეტი, არც ნაკლები, სამი წლით უმცროსად ასაღებს.

აქ კი რა გამოდის, ნაკრებს რომ თავი ვანებოთ, 1997 წელს, როცა პოლ კესანიმ კარიერა დაიწყო გაბონის უმაღლესლიგელ ლამბარენეს „ევიზოში“, „ქართული“ წელთაღრიცხვით, ის სულ რაღაც 12 წლის ყოფილა, გაბონურით კი, 15-ისა. მოდი და, გაიგე ან დაიჯერე, ასეთი კაცისა რამე...

ქვემოთ მითითებულ ინტერნეტ-მისამართზე გაბონელის ფიფასეული ასაკის ნახვაც შეიძლება, რომლის მიხედვითაც, ეჭვგარეშეა, ის ახლა 26 წლისაა და არა 23-ის.

ფიფა კი, მოგეხსენებათ, მსგავს თაღლითობას არანაკლებ მკაცრად ებრძვის, ვიდრე რასიზმს.

**რატი დიდია**

**http://www.fifa.com/worldfootball/statisticsandrecords/players/player=206178/index.html**

## ბამბაც შავია?

**საინტერესოა,** რატომ შეუტიეს აფრიკელმა ფეხბურთელებმა კავკასიას.

ჯერ იყო და, პოლ კესანიმ აიკლო ფიფა, „ზესტაფონში“ მცემდნენ და რასისტულ შეურაცხყოფას მაყენებდნენო, ახლა კი აზერბაიჯანული ლენქორანის „ხაზარიც“ შარშია — მათი ყოფილი ლეგიონერი, კოტდივუარელი იაკუბუ ბამბა „ხაზარის“ ყოფილ თავკაც რასიმ კარაზე ამბობს, შავი ფერის გამო ამითვალწუნა და აღარ მათამაშებდაო.

კესანისგან ბამბას ამბავი იმით განსხვავდება, რომ კოტდივუარელს „ხაზართან“ კონტრაქტი აღარ აკავშირებს.

უბრალოდ, დამაფიქრებელი ფაქტია: მართლა ასე ჩაგრავენ შავკანიანებს კავკასიაში?

ეროვნული ბიბლიოთეკა



სარბიელის არქივიდან

რევაზ არველაძე




საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში ცვლილებები კიდევ იგეგმება



სარბიელის არქივიდან

უჩა უგულავა

# ფედერაციული როქი და უთავო ნაკრები

**როქი** შედგა: უჩა უგულავამ და რევაზ არველაძემ პოსტები გაცვალეს, მაგრამ როგორც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში გვითხრეს, ეს ბუნებრივი პროცესია და არავითარი შუღლის გამო არ მომხდარა — ანუ, შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი არ შეცვლილაო.

არველაძე სფფ-ის გენერალური მდივანი გახდა, უგულავა კი მეორე ვიცე-პრეზიდენტი და პლუს აღმასკომის წევრი.

ფედერაციაში სამშაბათს გამართულ აღმასკომის სხდომაზე ასევე გადაწყდა, რომ ახალგაზრდული ნაკრების თავკაც პეტარ სეგრტს კონტრაქტი არ გაუგრძელდება, ანუ 31 დეკემბერს ხორვატი ოფიციალურად დაემშვიდობება საქართველოში სამწვრთნელო საქმიანობას.

დეკემბერშივე აღმასკომი კიდევ ერთხელ შეიკრიბება და სეგრტის მემკვიდრის დანიშვნაზე იმსჯელებს, თუმც უფრო სავარაუდოა, რომ 21-წლამდელთა თავკაცის ვინაობას საბოლოოდ იანვრის შუა რიცხვებში შევიტყობთ.

ასევე: მამუკა კვარაცხელიას წერილის თაობაზე, რომელიც ეროვნულ ჩემპიონატსა და თასის მატჩებზე სასკოლო ასაკის ფეხბურთელთა უფასოდ დასწრებას ეხებოდა, დადგინდა — საკითხის შესწავლა დაევალოს პროფლიგას, შემდეგ კი მიაწოდოს პასუხი ფედერაციის აღმასკომს...

# 2009 წელი ეკონომიის წელია

## სეგრტი მორჩა, შეყილაძე-სვანაძე ალბათ გაგრძელდება

უგულავა-არველაძის როქსა და სხვა საკითხებზე ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ *გოგი ქავთარაძეს* ვესაუბრეთ...

**— მაინც რა იყო არველაძის გენერალურ მდივნად გადაყვანის და უგულავას ვიცე-პრეზიდენტად დანიშვნის მიზეზი?**

— განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. ეს იყო სამუშაო პროცესი. ასეთი შემთხვევები შეიძლება, მომავალშიც იყოს. ბუნებრივია, გიჩნდებათ კითხვა, კონფლიქტი ხომ არ იყოო, თუმც დაბეჯითებით გეუბნებით: არა.

**— გენერალურ მდივანს უცხოელებთან უფრო მჭიდრო ურთიერთობა ევალება. ამითაც ხომ არ იყო განპირობებული არჩევანი?**

— ესმის, რასაც ამბობთ: უცხოელებთან მჭიდრო კონტაქტი რეზოს პლუსია, თუმც უგულავაც კარგადართმევდა თავს ამ მოვალეობას: ყველამ იცით, უჩა კომუნიკაბელური, ყველანაირად დადებითი პიროვნებაა და უცხოეთშიც ავტორიტეტით სარგებლობდა.

**— ახალგაზრდულ ნაკრებში პეტარ სეგრტის შემცვლელი ვინ იქნება?**

— კანდიდატები თქვენც იცით: რამდენიმე მათგანია, რომელთა შორის ყველაზე აქტუალურად კახა ცხადაძე განიხილება, თუმცა საქმეს ის ართულებს, რომ მას ბაქოს „სტანდარდთან" კონტრაქტი აქვს. ჩვენი და კახას პოზიციაც ასეთია: ორი სამსახურის შეთავსება არ გამოვა. არჩევანი ცხადაძემ უნდა გააკეთოს.

**— ახალგაზრდულის თავკაცის დანიშვნას როდის უნდა ველოდოთ?**

— ალბათ, იანვრის შუა რიცხვებში.

**— სეგრტი ფედერაციის ტექნიკური დირექტორიცაა. რჩება ამ პოსტზე?**

— მას 2009 წლის ბოლომდე აქვს კონტრაქტი, თუმც გერმანიის ფეხბურთის კავშირში სთავაზობენ სამსახურს და ვნახოთ, რას გადაწყვეტს. ამ საკითხზე სეგრტის პასუხს ველოდებით. თუ გერმანელთა წინადადებას დათანხმდება, ფედერაციის ტექნიკურ დირექტორად ველარ დარჩება.

**— 17 და 19-წლამდელთა ნაკრებების მწვრთნელების საკითხიც ღიად რჩება?**

— 17-წლამდელებში გელა შეყილაძეს ავტომატურად გაუგრძელდება კონტრაქტი, ხოლო 19-წლამდელებში ზაურ სვანაძის საკითხს დეკემბერშივე განვიხილავთ. სავარაუდოდ, სვანაძეც დარჩება თავკაცად — საერთო აზრით, მას ცუდად არ უმუშავია.

**— ფედერაციაში კიდევ რა გადაადგილებებს შეიძლება ველოდოთ?**

— იქნება გარკვეული ცვლილებები. კერძოდ, ფინანსური და მარკეტინგული თვალსაზრისით გაძლიერება გვჭირდება, რაშიც ახალი სპონსორის მოძებნაც იგულისხმება. სამწუხაროდ, მსოფლიოში არსებულმა ფინანსურმა კრიზისმა საქართველოსაც დაატყო ხელი და, შესაბამისად, ფეხბურთის ფედერაციაც ვერ არის დალხენილი. ამიტომ 2009 წელს მაქსიმალური ეკონომია გვმართებს.

**— ამიტომაც, ალბათ, ეროვნული ნაკრებისთვის საგაისოდ ამხანაგური მატჩების დაგეგმვა გაგიძნელდებათ...**

— მომავალი წლის დასაწყისში ჩვენ ყველა მიმართულებით დავსახავთ გზებს. სპარინგმეტოქეების საკითხი ექტორ რაულ კუპერის აზრით პრიორიტეტულია და ვნახოთ. ჯერჯერობით კი რამდენიმე ქვეყნის ნაკრებთან შეხვედრის ვარიანტი გვაქვს, მაგრამ ყველაზე რეალურია, რომ 9 სექტემბერს ჰოლანდიაში იაპონიას ვეთამაშოთ. ისე, 2009 წელი ეროვნული ნაკრებისთვის ოფიციალური მატჩებითაც დახუნძლულია.

**— იაპონიას ჰოლანდიაში რატომ უნდა ეთამაშოთ?**

— 5 სექტემბერს იაპონელები ჰოლანდიას ეთამაშებიან და უნდათ, რომ ოთხ დღეში კიდევ ერთი ამხანაგური მატჩი ჩაატარონ.

**ილია ნანობაშვილი**




სარბიელის არქივიდან



დავით ლომაიას „ვიტ ჯორჯია“ „ლოკომოტივს“ გადააფრინდა



მასპინძელთა მეკარეს ვიტელებმა საქმე არ მოაკლეს

# შეიჭრა, წაიქცა, გატანა

ამ გუნდების საპირველწრეო დაპირისპირება დრამატული გამოდგა და „ლოკომოტივმა“ რატი ალექსიძის ბოლო წუთზე გატანილი გოლით იმარჯვა. მაშინ რატის ლევან ცქიტიშვილი და ვიტალი დარასელია ჰყავდა გვერდით, გუშინ კი ალექსიძეს ხეირიანი პასის მიმცემი არ გამოუჩნდა — ცქიტიშვილი დისკვალიფიკაციის გამო არ იყო, დარასელიას კი, კარგა ხანია, ტრავმა აქვს.

სტუმრები უკვე მე-3 წუთზე დაწინაურდნენ. ვიტელი ლუკა რაზმაძე საჯარიმოში შეიჭრა და ლევან სარალიძემ სარმა გამოსდო — რაზმაძემ თავად ითავა პენალტის დარტყმა და გიორგი ლომაიას შანსი არ დაუტოვა — 0:1.

ვიტელებმა აქტიურად გააგრძელეს თამაში. გიორგი კიკნაძის შეგირდებს კი შეტევაში წასვლა უჭირდათ.

მე-8 წუთზე რაზმაძემ დაიწყო შეტევა, გიორგი ბერიაშვილს გადააწოდა ბურთი, მან კი გიორგი მელქაძე მოძებნა საჯარიმოში, რომელმაც კარში დაარტყა, თუმცა ლომაიას ბურთის აღება არ გასჭირვებია.

მთელი მატჩის განმავლობაში ძალიან აქტიური იყო გიორგი ბერიაშვილი — 25-ე წუთზე დავით ხურცილავას მარჯვენიდან ჩაწოდებისას ერთი შეხებით დაარტყა „ლოკომოტივის“ კარში, თუმც ლომაია საიმედოდ იდგა. რამდენიმე წუთში კი ბერიაშვილმა მელქაძის ნაკუთხურალს შეაგება თავი და ოდნავ ააცილა მიზანს.

„ლოკომოტივს“ გათანაბრება 38-ე წუთზე შეეძლო, როცა ნაკუთხურალს ნიკა გუშარაშვილმა დასცხო თავური, თუმცა გრიგოლ ბედიაშვილმა სასწაულებრივი რეაქცია გამოავლინა და გუნდი გადაარჩინა.

ტაიმის მიწურულს ზვიად ჩხეტიანმა ბურთის დაბრუნება სცადა მეკარისთვის, უხეიროდ გამოუვიდა და ბერიაშვილი ლომაიასთან პირისპირ დატოვა — ეროვნული ნაკრების მეკარემ კარი დატოვა და ბურთი სამშვიდობოს მოისროლა.

მეორე ნახევარში თავდასხმის გაძლიერება სცადა გიორგი კიკნაძემ — დავით ჩაგელიშვილი ჩართო თამაშში და მას მალევე ჰქონდა გატანის შანსი, მაგრამ სუსტად დაარტყა.

57-ე წუთზე ბერიაშვილმა ძელს გაარტყა ბურთი. მორიგი ხიფათი „ლოკომოტივის“ კართან და ისევ ბერიაშვილი — ამჯერად ლომაია გადაელობა ბურთს და „ლოკომოტივს“ თამაშის გადარჩენის შანსი დაუტოვა.

79-ე წუთზე გუშარაშვილმა დაუგდო თავით ჩაგელიშვილს, მაგრამ მან ვერც ამჯერად ივარგა...

ეს მარცხი „ლოკომოტივისთვის“ მიჯრით მეექვსე გამოდგა.

სხვათა შორის, ამ შეხვედრას თანაშემწეებთან ერთად ეროვნული ნაკრების თავკაცმა ექტორ რაულ კუპერმაც ადევნა თვალი.

**ნუკრი ლოლაძე**

# მეგრელაძე კი არა, მეგოლაძე
## სად გაქრა ოლიმპის მეკარე?

**ჩავარდნილი** ტურების შემდეგ რუსთავის „ოლიმპი“ ფერზე მოვიდა და თუ გუნდი ხარ, მიდი და მოუგე. გამარჯვებას ვინ ჩივის, „ოლიმპის“ კარის ბადე იშვიათადღა ირხევა — შაბათსაც იმარჯვა ვარლამ კილასონიას გუნდმა, თანაც, თბილისის „დინამო“ გაამწარა და ლიდერთა ჯგუფს კატასავით ეპარება.

შეუცვლელი ფეხბურთელები არ არსებობენო, ნურავინ იტყვის: მაშ, გიორგი მერებაშვილი და მათე ვაწაძე ვინ არიან „დინამოსთვის“? მათ გარეშე რაიმე ცობილის გუნდს მეტოქის საჯარიმოსთან მიახლოვებაც უჭირდა და, ფაქტობრივად, არ ჩანდა რესურსი, რითაც შეიძლებოდა, თბილისელებს მატჩი გადაერჩინათ. არადა, ერთმა მომენტმა კინაღამ წყალს გაატანა „ოლიმპის“ ნაშრომ-ნაჯაფი — 86-ე წუთი იყო, გურამ კაშიამ მასპინძელთა საჯარიმოში რომ მოიგდო ბურთი და შორეულ ძელს მოარტყა, გურამის ძმამ, შოთამ დაამატა, მაგრამ მცველებმა კუთხურზე გადააგდეს ბურთი.

მერებაშვილ-ვაწაძის არყოფნაზე ვთქვით, მათ გარდა კი თამაშს არაფერი აკლდა: ტემპიც კარგი იყო, ამინდიც, გულშემატკივარიც მოყიდა „ფოლადზე“.

გამოსარჩევი ახლაც მოხდა — ირაკლი სიხარულიძემ და გიორგი ნემსაძის ვაჟმა, ვაჟამ პირველად ითამაშეს „დინამოს“ ძირითადი გუნდის ოფიციალურ მატჩში. ისინი „დინამო 2“-ში გამორჩეულები არიან, საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებშიც თამაშობენ და მოდით, კარგი მომავალი ვუსურვოთ ამ ჭაბუკებს...

ეროვნული ჩემპიონატის ისტორიაში ბევრ მამა-შვილს ნაღდად არ უთამაშია. ყველაზე სახელიანი წარმომადგენლები ამ მხრივ მერაბ და გია მეგრელაძეები იყვნენ. ორივენი ჩემპიონატის „100-იანთა კლუბის“ წევრები არიან, ანუ 100-ზე მეტი გოლი გაუტანიათ უმაღლეს ლიგაში.

გია მეგრელაძე შემთხვევით არ გვიხსენებია... შემოვიდა „დინამოსთან“ შეცვლაზე და 14 წუთში გადამწყვეტი გოლი გაიტანა. ეს 68-ე წუთზე მოხდა — მარჯვენიდან ჩაწოდებულს თავი შეუშვირა და დიდიე ოვონოს ნახტომს აზრი დაუკარგა.

თამაშის სცენარი ისეთი იყო, „ოლიმპს“ უნდა გაეტანა და რაკი კილასონიას გაგა ჩხეტიან-გოგი ფიფიას წყვილმა ვერ გაუმართლა, მეგრელაძე-მიკუჩაძეს ენდო. ბოლოს გოლის გატანა მიკუჩაძესაც მართებდა, თუმც ოვონომ თავური ძლივს მოიგერია.

გოლიდან ცოტა ხანში „ოლიმპმა“ ისეთი პასები გააჩალა, დინამოელები ორი წუთი ბურთს არ შეხებიან, ეს ყველაფერი სტუმართა საჯარიმოსთან ხდებოდა და უფრო საამო საყურებელი იქნებოდა, გიორგი სეთურიძეს გოლით რომ დაესრულებინა — გაბონელმა მეკარემ კუთხურზე გადააგდო ბურთი.

ყველაზე ძალიან კი ოვონოს კართან საწყის 20 წუთში „ცხელოდა“, როცა სეთურიძეს, ჩხეტიანს და ჩიკვილაძეს გაუცუდდათ მომენტები. ჩხეტიანს ტაიმის ბოლოსაც შეეძლო გატანა, თუმცა ოდნავ ააცილა.

დინამოელთა მთავარი იმედი ილია სპასოევიჩი უნდა ყოფილიყო, თუმც ჩერნოგორიელი მთლიანად გამოთიშული იყო თამაშიდან, ოდნავ წინ აწეულმა ფლანგელებმა, ოლეგ გველესიანმა და დავით ოდიკაძემაც ვერ იყოჩაღეს.

და კიდევ: „ოლიმპის“ სათადარიგოთა სკამზე ასაკოვანი მეკარეთა მწვრთნელი გიორგი ბაბუაძე იჯდა.

რატომ? ვერ გეტყვით... ფაქტია, რომ მირზა მერლანი სადღაც „გაქრა“...

**ილია ნანოგაშვილი**



ვარლამ კილასონია

საქართველოს 20 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
II წრე. 15 ტური

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თურმე ვის მოშიებია მგელივით

13 დეკემბერი. 14 საათი
**ოლიმპი რუსთავი – დინამო თბილისი 1:0**
რუსთავი. "ფოლადი". 2 000 მაყურებელი

1:0 მეგრელაძე (68)
ოლიმპი: სტურუა, თ. ღონღაძე, მაჭავარიანი, აკუასაგა, ჩიკვილაძე, დობროვოლსკი, გ. სეთურიძე, ბაბუნაშვილი, დეკანოსიძე (გ. ონიანი 66), ფიფია (მეგრელაძე 54), გ. ჩხეტიანი (მიკუჩაძე 64)
*სათადარიგონი:* ბაბუაძე, გაბიდაური, ალადაშვილი
მწვრთნელი: ვარლამ კილასონია
დინამო: ოვონო, შ. კაშია, კრშკო, გ. კაშია, თომაშვილი, ელიავა (ნემსაძე 70), ხმალაძე, დილმელაშვილი, ოდიკაძე (სიხარულიძე 80), გველესიანი (ჯიუსი 70), სპასოევიჩი
*სათადარიგონი:* ლორია; ინწკირველი, კაკუბავა, ნ. ჯიშკარიანი
მწვრთნელი: რაინერ ცობელი
გაფრთხილება: კრშკო (88), მიკუჩაძე (90)
მსაჯები: გ. ვადაჭკორია; ლ. თოდრია, ზ. ჯვარიძე, გ. დოგრაშვილი

14 დეკემბერი. 14 საათი
**ლოკომოტივი თბილისი – ვიტ ჯორჯია თბილისი 0:1**
თბილისი. "მიხეილ მესხი". 150 მაყურებელი

0:1 რაზმაძე (33)
ლოკომოტივი: გ. ლომაია, ლ. სარალიძე (დ. ჩაგელიშვილი 46), ფარულავა, გუშარაშვილი, ბებუა, ზ. ჩხეტიანი (ჩირიკაშვილი 63), დიაკვნიშვილი, დ. ფოფხაძე, კახელიშვილი, კ. მახარაძე, ალექსიძე
*სათადარიგონი:* ბათიაშვილი, ლ. ჩაგელიშვილი, ი. გილაური, ნულაძე, ქუხილავა
მწვრთნელი: გიორგი კიკნაძე
ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი, ხურცილავა, ა. კვახაძე, დ. ლომაია, ლ. ჯაფარიძე, რაზმაძე, ბექვაია, კლიმიაშვილი, გ. მელქაძე (დათუნაიშვილი 70), ბერიაშვილი (კვალინიძე 90), ლიპარტია (ლუჭაშვილი 66)
*სათადარიგონი:* ა. მიქაბერიძე, ადამაძე, გ. ჯანელიძე, ზაქრაძე
მწვრთნელი: ნესტორ მუმლაძე
გაფრთხილება: ხურცილავა (56)
მსაჯები: დ. ხარიტონაშვილი; ზ. მენთეშაშვილი, ზ. ფიფია, ლ. სილაგავა

13 დეკემბერი. 14 საათი
**სკ ბაზია – სკ ბორჯომი 2:0**
თბილისი. "ამერი". 300 მაყურებელი

1:0 გაბედავა (14), 2:0 შარიქაძე (23)
გაგრა: თევდორაძე, ქაჯაია, გიგაური, მგელაძე, გაბუნია, ტყეშელაშვილი, ჩარგეიშვილი, შარიქაძე (მოსიაშვილი 85), კორიფაძე (ზ. დათუნაშვილი 77), გაბედავა, ზ. მეტრეველი (ხოკერაშვილი 73)
*სათადარიგონი:* ხომერიკი, ლალიანი, ყიფიანი
მწვრთნელი: ვლადიმერ ხაჩიძე
ბორჯომი: შეყრილაძე, ი. ლომიძე, ქარქუზაშვილი, ავალიანი (გოგიჩაიშვილი 63), ვ. ხორგუაშვილი, პ. ხორგუაშვილი (ნ. ლომიძე 84), ლ. ვაშაკიძე, ნოზაძე, ალავერდაშვილი, ბეჟანიძე (ქავთარაძე 46), ი. კიკნაძე
*სათადარიგონი:* ნ. დევიძე, ვაჩიბერაძე
მწვრთნელი: გიორგი სუხიაშვილი
გაფრთხილება: გაბუნია, მეტრეველი, პ. ხორგუაშვილი, ნოზაძე
მსაჯები: მ. ბეუქლიშვილი, გ. ჩიგოგიძე, კ. ბერაძე, ვ. ელისაბედაშვილი

7 დეკემბერი. 14 საათი
**სპარტაკი ცხინვალი – მგლები ზუგდიდი 4:0**
გორი. "ქართლი". 50 მაყურებელი

1:0 შალამბერიძე (60), 2:0, 3:0 ღონღაძე (70, 72), 4:0 შონია (84)
სპარტაკი: გ. იაშვილი, ქორიძე, ბ. ხაჭიპერაძე, კობახიძე, მაისურაძე, ჯანგიძე (ნ. გოგოხია 75), თ. შონია, თარხნიშვილი, შალამბერიძე (ოსეფაშვილი 80), გ. ხიდეშელი , გ. გაბელაია (მ. ღონღაძე 59)
*სათადარიგონი:* ქვილითაია, ლ. დათუნაშვილი, ბ. გოცირიძე, თექთუმანიძე
მწვრთნელი: სერგო გაბელაია
მგლები: მამალაძე, ქითანავა, აქუბარდია, ხუხია, გ. რეხვიაშვილი (დარსანია 74), გულორდავა, გრიგოროვიჩი, გუჩუა, ლომია (ქუცურუა 60), გ. მიქაბერიძე, ომელიანოვი (ხურციძე 69)
*სათადარიგონი:* ქალდანი, კ. ჯიშკარიანი, კ. გოგოხია
მწვრთნელი: ბესიკ შეროზია
მსაჯები: ო. ხეცაძე, მ. ელიკაშვილი, ბ. ქიჭინაძე, ა. ნონიკაშვილი

14 დეკემბერი. 14 საათი
**მესხეთი ახალციხე – სიონი ბოლნისი 0:2**
ბორჯომი. "ჯ. ზეინკლიშვილი". 500 მაყურებელი

0:1, 0:2 ხუბუა (40, 75)
მესხეთი: სომხიშვილი, რაქვიაშვილი, კობესაშვილი, მემარნიშვილი, ქოჩორაშვილი, ლეკიშვილი, თაყაძე, შ. გრიგალაშვილი, გაგუა (სამადაშვილი 65), ინასარიძე (მურმანიშვილი 87), სუდაძე
*სათადარიგონი:* ძამუნაშვილი, ლ. მერებაშვილი, გ. კვახაძე
მწვრთნელი: კობა თედიაშვილი
სიონი: ქვაჩახია, ქემოკლიძე (დ. სვანიძე 75), კაკაშვილი, დიდავა, შავგულიძე, კოშკაძე, ლ. სანიკიძე, ზ. ქელიძე, ხუბუა, რ. გოცირიძე (ლ. ბაჯელიძე 85), დავითაშვილი (შ. ჯიქია 70)
*სათადარიგონი:* გავაშელი, ჩივაძე, ქურასბედიანი, ი. შენგელია
მწვრთნელი: ოთარ კორღალიძე
გაფრთხილება: სანიკიძე, ქელიძე, მემარნიშვილი
მსაჯები: ლ. კვარაცხელია, ა. კოკაია, ს. სპიცინი, მ. ურუშაძე



ცხინვალის „სპარტაკმა" ზუგდიდის „მგლები" ბეჭებზე გააკრა

**ტურის** ხუთივე მატჩი ისე დამთავრდა, გოლი (ან გოლები) მხოლოდ ერთ გუნდს გაჰქონდა. სწორედ კინკილა გოლებით გახდა ლიდერთა შორის სხვაობა 5 ქულა — „ვიტ ჯორჯიამ" მოიგო, „დინამომ" წააგო და ესეც თქვენი სოლიდური ჰანდიკაპი.

აუტსაიდერ „სპარტაკს" რამ წამოუარა, ვერ გეტყვით, ფაქტი კი ისაა, რომ „მგლები" 24 წუთში გაფატრა.

თამაშის დაწყებიდან ერთი საათის თავზე ჯერაც 0:0 იყო, მაგრამ ჯერ სპარტაკელმა კობა შალამბერიძემ დაიწყო სტუმართა რბევა, მერე კი მამუკა ღონღაძემ (დუბლი მიითვალა) და თემურ შონიამ მთლად წალეკეს ბესიკ შეროზიას ბიჭები. არადა, „მგლებს" ჯიგრიან, ძნელად წასაქცევ გუნდად ვიცნობდით — ლიდერებთანაც კი, თუ აგებდა, სულ ოფლად ღვრიდა მეტოქეს, აი, ცხინვალელებთან კი მგლური კბილები დაუჩლუნგდა.

ვნახოთ, ეგებ, „სპარტაკის" ეს გამონათება ერთჯერადი არ გამოდგეს და ნელ-ნელა ამოიწიოს ჭაობიდან.

„გაგრა" და „ბორჯომი" თანაბარქულიანები იყვნენ, ბოლოსწინა ადგილს იყოფდნენ და ხომ წარმოგიდგენიათ, რა მნიშვნელოვანი მატჩი მოიგო უმაღლესი ლიგის დებიუტანტმა.

გაგრელებმა საწყის 23 წუთში მოათავეს საქმე — კურორტული კლუბი ორბურთიანი ჩამორჩენის გამბათილებელი ნამდვილად არ იყო.

თავისი წილი გაიტანა გიორგი გაბედავამ და ბომბარდირთა 6-გოლიან ეშელონს შეუერთდა, გაბედავას მერე კი ლევან შარიქაძემ ითავა სტუმართა დამწუხრება.

ბორჯომელებს სეზონში ყველაზე მეტი გოლი აქვთ გაშვებული.

ისე, ირაკლი კიკნაძე თუ არა, „ბორჯომმა" გოლი ვერ უნდა გაიტანოს? ბომბარდირთა შორის მეორე კაცი რომ ბოლოსწინაადგილოსან გუნდში თამაშობს, აღსანიშნავი მომენტია.

ბოლნისის „სიონმა" სტუმრად კარგი თამაში წესად იღო და ამჯერად „მესხეთი" შემოემარცხა. ქვემოქართლელებმა მარცხენაფლანგელი გელა ხუბუას დუბლით იმარჯვეს და ცხრილში მეხუთე ადგილზე აინაცვლეს, მეექვსეზე კი „ლოკომოტივი" დატოვეს.

**ილია ნანობაშვილი**

# ხაჩიძის კიევური პრო



**ვლადიმერ ხაჩიძემ** კიევში სამწვრთნელო პროლიცენზია აიღო.

„გაგრას" თავკაცი უკრაინის დედაქალაქში რამდენიმე დღით იყო წასული, ადრე კი მიუნხენში გაიარა A ლიცენზიისთვის საჭირო კურსები.

ამას მხოლოდ მივესალმებით: მწვრთნელი სწავლობს და, კაცმა რომ თქვას, „გაგრას" ეტყობა კიდეც ხაჩიძის ხელი.

**ნუკრი ლოლაძე**

## ბომბარდირები

8 - ვაწაძე — *დინამო*
7 - კიკნაძე — *ბორჯომი*
6 - ხელაშვილი — *ზესტაფონი*
სპასოევიჩი — *დინამო*
გ. თოდუა — *მგლები*
სამადაშვილი — *მესხეთი*
ალექსიძე — *ლოკომოტივი*
გაბედავა — *გაგრა*

## XVI ტური

20 დეკემბერი. შაბათი
ბორჯომი – სპარტაკი
სიონი – გაგრა
დინამო – ზესტაფონი
21 დეკემბერი. კვირა
მგლები – ლოკომოტივი
ვიტ ჯორჯია – ოლიმპი
*მესხეთი ისვენებს*

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმარი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ვიტ ჯორჯია თბილისი | 14 | 10 | 3 | 1 | 26:8 | 18 | 33 | 6 | 5 | 0 | 1 | 14:4 | 10 | 15 | 8 | 5 | 3 | 0 | 12:4 | 8 | 18 |
| 2 დინამო თბილისი | 14 | 9 | 1 | 4 | 28:12 | 16 | 28 | 6 | 5 | 1 | 0 | 18:5 | 13 | 16 | 8 | 4 | 0 | 4 | 10:7 | 3 | 12 |
| 3 სკ ზესტაფონი | 13 | 7 | 3 | 3 | 14:7 | 7 | 24 | 7 | 5 | 0 | 2 | 9:3 | 6 | 15 | 6 | 2 | 3 | 1 | 5:4 | 1 | 9 |
| 4 ოლიმპი რუსთავი | 13 | 5 | 6 | 2 | 13:7 | 6 | 21 | 7 | 3 | 4 | 0 | 7:1 | 6 | 13 | 6 | 2 | 2 | 2 | 6:6 | 0 | 8 |
| 5 სიონი ბოლნისი | 14 | 5 | 6 | 3 | 15:10 | 5 | 21 | 6 | 1 | 3 | 2 | 7:8 | -1 | 6 | 8 | 4 | 3 | 1 | 8:2 | 6 | 15 |
| 6 ლოკომოტივი თბილისი | 13 | 6 | 0 | 7 | 16:15 | 1 | 18 | 7 | 3 | 0 | 4 | 5:5 | 0 | 9 | 6 | 3 | 0 | 3 | 11:10 | 1 | 9 |
| 7 მგლები ზუგდიდი | 14 | 5 | 2 | 7 | 15:20 | -5 | 17 | 7 | 4 | 0 | 3 | 10:6 | 4 | 12 | 7 | 1 | 2 | 4 | 5:14 | -9 | 5 |
| 8 მესხეთი ახალციხე | 14 | 4 | 4 | 6 | 12:19 | -7 | 16 | 8 | 2 | 3 | 3 | 8:10 | -2 | 9 | 6 | 2 | 1 | 3 | 4:9 | -5 | 7 |
| 9 სკ ბაზია | 14 | 4 | 2 | 8 | 12:23 | -11 | 14 | 8 | 4 | 2 | 2 | 10:9 | 1 | 14 | 6 | 0 | 0 | 6 | 2:14 | -12 | 0 |
| 10 სკ ბორჯომი | 14 | 2 | 5 | 7 | 14:29 | -15 | 11 | 6 | 1 | 3 | 2 | 6:8 | -2 | 6 | 8 | 1 | 2 | 5 | 8:21 | -13 | 5 |
| 11 სპარტაკი ცხინვალი | 13 | 2 | 0 | 11 | 10:25 | -15 | 6 | 7 | 1 | 0 | 6 | 7:15 | -8 | 3 | 6 | 1 | 0 | 5 | 3:10 | -7 | 3 |

# ბავშვთა და ჰოკეისტთა უჭერო თავშესაფარი

## ძალიან გულუბრყვილო კითხვა: რატომ ტარდება საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფუტსალში?



**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალურ ვებგვერდზე ფუტსალის განყოფილებიდან საქართველოს ნაკრების წლევანდელი შედეგები ამოვიწერეთ:

**ეროვნული ნაკრები**

**ხორვატია 7:1 საქართველო**
**ესპანეთი 13:1 საქართველო**
**კარტეფელდე 2:6 საქართველო**

**ახალგაზრდული ნაკრები**

**ბულგარეთი 4:5 საქართველო**
**ბელგია 8:2 საქართველო**
**სლოვენია 5:1 საქართველო**
**აზერბაიჯანი 5:2 საქართველო**
**აზერბაიჯანი 9:6 საქართველო**

ეს ანგარიშებია, რომლებიც ფედერაციის ვებგვერდზეა გამოქვეყნებული, თუმცა მის სისრულეზე ვერაფერს მოგახსენებთ. უფრო სწორად, ნაკრებს კიდევ რამდენიმე მატჩი უთამაშია, რაც ამ სიაში არ არის... „კარტეფელდე“ კი, რომელიც ერთადერთია, რომელსაც საქართველოს ნაკრებმა წლეულს მოუგო, ესპანური კლუბი გახლავთ, ოღონდ არა უმაღლესი ლიგისა. ჩამონათვალის სისრულეზე კი თავი იმიტომ ვერ დავდეთ, რომ თუნდაც „კარტეფელდესთან“ მატჩის მესამე დღეს, ამავე ვებგვერდის ინფორმაციით, ნაკრებს „ბარსელონასთან“ უნდა ეთამაშა, ოღონდ ამ მატჩის თაობაზე არაფერი უწერიათ.

ნაკრებთა წლევანდელი შედეგები იმისთვის გავიხსენეთ, რათა ფუტსალში საქართველოს ჩემპიონატის თაობაზე მოგითხროთ, ხოლო წესიერი ჩემპიონატის გარეშე ნაკრები რომ ვერაფერს მიაღწევს, გვინდოდა, მაგალითად მოგვეტანა.

საქართველოს ჩემპიონატის ამ სეზონში უკვე ოთხი ტური მიილია და მის რაობაზე წარმოდგენა რომ შეგექმნათ, მონაწილე გუნდების ჩამოთვლაც კმარა. ესენია: „იბერია“, „ტაო“, ახალგაზრდული ნაკრები, „მცხეთა“ და „ქუთაისი“.

ის ფაქტი, რომ ეროვნულ ჩემპიონატში ოდენ ოთხი კლუბი თამაშობს (ახალგაზრდული ნაკრები კლუბად ვერაფრით ჩაითვლება), თავისთავად რაღაცის მანიშნებელი უნდა იყოს. ხოლო თუ იმასაც ვიტყვით, რომ „მცხეთა“ ბავშვთა გუნდია, ვითარება კიდევ უფრო სავალალო ხდება. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არაფერია: „ქუთაისი“... ბურთიანი ჰოკეის გუნდია, რომელიც ფუტსალშიც ცდის ძალას...

წესითა და რიგით, წერტილის დასმა აქ შეგვეძლო, რადგან ამაზე ტრაგიკომიკურს ველარაფერს მოგახსენებთ, მაგრამ სრული სურათისთვის კიდევ რამდენიმე, სრულიად ბანალურ ფაქტს დავამატებთ.

ბანალურია ის, რომ „ქართშხალას“ დარბაზში, სადაც ჩემპიონატი ტარდება, გამყინვარებაა, ჭერიდან კი წყალი ჩამოდის. ამის გამო სველ მოედანზე ფეხბურთელებს ფეხი გამუდმებით უსხლტებათ. ამის ბოლო მაგალითი „იბერიას“ ბრაზილიელი ლეგიონერია, წინა კვირაში კუნთი რომ დაიშავა.

ბანალურია ისიც, რომ სათადარიგოთა სკამი გასახდელის ფუნქციას ითავსებს, რაკილა გუნდებისთვის ნალდ გასახდელში შეღწევა აუხდენელი ოცნებაა.

ცხადია, ოცნებაა შხაპიც.

გეცოდინებათ, ფუტსალში მატჩს ორი მსაჯი უნდა ემსახურებოდეს, მაგრამ საქართველოს ჩემპიონატი თავისი უნიკალური წესებით ტარდება, რომელშიც ერთი მსაჯიც საკმარისია, ოღონდ იმ ერთსაც მალიმალ ავიწყდება, რომ წესები სუფთა სათამაშო დროს ითვალისწინებს და ამის გამო საფინალოდ ნაადრევად უსტვენს.

თუ არ ვცდებით, ერთი თვის წინ ასეთი ამბავიც მოხდა: ეროვნული და ახალგაზრული ნაკრებების ამხანაგურ მატჩს მსაჯი არ ჰყავდა...

რა გასაკვირია, რომ არ არსებობს კალენდარიც. გუნდს რომ ჰგონია, თამაში ერთ კვირაში აქვს, დიდი შანსია, უეცრად შეიტყოს, რომ ტური ხვალისთვის დანიშნულა.

ახლა კი, მკითხველს ვთხოვთ, ერთხელაც გადახედოს საქართველოს ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების 2008 წლის მატჩების „სიას“. დარწმუნებულნი ვართ, ფეხბურთელებისა და მწვრთნელებისადმი სასაყვედურო არაფერი გექნებათ — როგორ ჩემპიონატშიც ათამაშებენ, შედეგებიც ისეთი აქვთ და ზოგი იმასაც იტყვის, რატომ უარესი ანგარიშით არ მარცხდებიანო.

ხოლო ვისაც ვსაყვედურობთ, იმედი გვაქვს, აგვიხსნის: რატომ ხდება ასე?

**ჭოტე ჭეჭელია**

## ბიზნესის ჩემპიონთა ლიგა

# დაძაბულობა დახუთვამდე

**ბიზნესის** ჩემპიონთა ლიგის პირველ ეტაპზე ოთხი ტური და რამდენიმე გადადებული მატჩი დარჩა ჩასატარებელი. ბუნებრივია, რაც დრო გადის, სატურნირო დაძაბულობა მატულობს. დებულების მიხედვით, ჯგუფებში პირველ ხუთ ადგილზე გასული გუნდები მეორე ეტაპზე სუპერლიგაში ითამაშებენ, ბოლო ხუთეული კი — უმაღლეს ლიგაში.

ვითარება, ცხრილებიდანაც ჩანს, ფრიად დაძაბულია. ქულადაუკარგავი სპორტის დეპარტამენტის გუნდილა დარჩა, თუმცა დეპარტამენტელებს მძიმე განრიგი აქვთ. B ჯგუფს კი ორი გარკვეული ლიდერი ჰყავს — ჭავჭავაძის უნივერსიტეტი და იბერია ბიზნეს ჯგუფი.

*ზაალ ჩიტალაძე, ტურნირის ორგანიზატორი:* „შეჯიბრის მიმდინარეობით უკმაყოფილონი არ ვართ, ძალიან სანახაობრივი მატჩებია და მაყურებელიც არ აკლია. ახალი წლიდან რამდენიმე სიახლის შეტანასაც ვაპირებთ და მონაწილეებსაც მეტ კომფორტს შევუქმნით. მეორე ეტაპიდან, როდესაც გუნდები სუპერლიგასა და უმაღლეს ლიგაში გადანაწილდებიან, შეჯიბრი ერთი-ორად დაძაბული გახდება, რადგან ლიგებში თითქმის თანაბარი ძალის გუნდები მოხვდებიან“.

**A ჯგუფი**

**V ტური**

**სარბიელი 3:4 სპორტმედია**
**ოლ. ვარსკვლავი 2:4 ვისოლი**
**სამგორი 94 1:2 იუ ჯი თი**
**პეპსი 4:2 მს პალიტრა**
**რომპეტროლი — დეპარტამენტი**

გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვისოლი | 5 | 3 | 1 | 1 | 12:8 | 10 |
| დეპარტამენტი | 3 | 3 | 0 | 0 | 15:2 | 9 |
| სპორტმედია | 5 | 3 | 0 | 2 | 18:10 | 9 |
| სარბიელი | 4 | 3 | 0 | 1 | 13:7 | 9 |
| პალიტრა | 4 | 3 | 0 | 1 | 10:7 | 9 |
| პეპსი | 4 | 2 | 1 | 1 | 9:7 | 7 |
| ოლ. ვარსკვლავი | 5 | 1 | 1 | 3 | 7:10 | 4 |
| იუ ჯი თი | 5 | 1 | 0 | 4 | 6:12 | 3 |
| რომპეტროლი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:10 | 1 |
| სამგორი 94 | 4 | 0 | 0 | 4 | 3:21 | 0 |

**B ჯგუფი**

**V ტური**

**პატრული 1:7 სეუ**
**BP 1:5 შერატონი**
**ალგორითმი 2:3 ნიკორა**
**AMTS-JAMC 0:5 პორ სტანდარტბანკი**
**საჯ. რეესტრი 3:5 იბერია ბ/ჯ**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სეუ | 5 | 4 | 1 | 0 | 25:8 | 13 |
| იბერია | 5 | 4 | 0 | 1 | 20:10 | 12 |
| შერატონი | 5 | 2 | 2 | 1 | 12:8 | 8 |
| ნიკორა | 5 | 2 | 2 | 1 | 12:12 | 8 |
| ალგორითმი | 5 | 2 | 1 | 2 | 13:11 | 7 |
| სტანდარტბანკი | 5 | 2 | 1 | 2 | 18:18 | 7 |
| საჯ. რეესტრი | 5 | 1 | 3 | 1 | 13:13 | 6 |
| პატრული | 5 | 2 | 0 | 3 | 9:13 | 6 |
| AMTS-JAMC | 5 | 1 | 0 | 4 | 5:18 | 3 |
| BP | 5 | 0 | 0 | 5 | 7:23 | 0 |

# ასათიანის თასი სარბიელისაა!

**1 იანვარს** კახი ასათიანის დაბადების დღეა — 62 წლისა გახდებოდა. მისი მკვლელობიდან უკვე ექვსი წელი გავიდა, თუმცა იმ საზარელი დანაშაულის დეტალები ჯერაც დაუდგენელია.

კახი ასათიანი დიდი ფეხბურთელი იყო და მისი ბიოგრაფიული ცნობების კიდევ ერთხელ გამეორება, ვფიქრობთ, უადგილოა.

კახი ასათიანის მეგობრების მიერ დაარსებულმა საქველმოქმედო ფონდმა 12 დეკემბერს ხსოვნის ტურნირი მოაწყო მინი-ფეხბურთში, რომელშიც ოთხმა სპორტულმა გაზეთმა მიიღო მონაწილეობა.

ტურნირი, რომელსაც სპორტის დეპარტამენტის დარბაზმა უმასპინძლა, ასეთი შედეგებით დასრულდა:

ნახევარფინალი: „სარბიელი“ — 11X11 10:6; „ლელო“ — „ოლიმპი“ 3:3 (4:23);
მატჩი მე-3 ადგილისთვის: 11X11 — „ოლიმპი“ 4:3;
ფინალი: „სარბიელი“ — „ლელო“ 14:3.

ტურნირის საუკეთესო მოთამაშე და ბომბარდირი სარბიელელები, ზურაბ მიგრიაული და ოთარ მხეიძე გახდნენ.

ერთადერთი სურვილი, რაც ორგანიზატორებისადმი შეიძლება გვქონდეს, გაისად ტურნირისთვის უფრო მასშტაბური სახის მიცემაა, თუმცა მთავარი, რა თქმა უნდა, კახი ასათიანის ხსოვნის პატივისცემაა...

**ლუკა თალაკვაძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა



interwetten-ი რა ხანია, ავტოსპორტთან პარტნიორობს



bwin მილანის სპონსორია



ბუქმეიკერები რაგბისაც სპონსორობენ

# სათამაშო ბიზნესი საქართველოში

## ევროკავშირიდან საბჭოთა კავშირამდე

**ბევრი ადამიანი სათამაშო ბიზნესს ეჭვის თვალით უყურებს და ჰგონია, რომ საბუქმეიკერო დაწესებულებებს და კაზინოებს უბედურება მოაქვთ. ჩვენი ღრმა რწმენით, ეს მცდარი მოსაზრებაა და თუ რატომ, ამის ახსნას ამ წერილში შევეცდებით...**

### მცდარი წარმოდგენა

ადამიანებს უამრავი მცდარი წარმოდგენა აქვთ. მაგალითად, ბევრს ჰგონია, რომ სპორტულ ფეხსაცმელს ბოტასი ჰქვია, რომ ასლგადამღები მანქანა და ქსეროქსი ერთი და იგივეა, რომ პოლიეთილენის პარკი და ცელოფანი სინონიმებია...

უამრავ ადამიანს ასევე სინონიმები ჰგონია ტოტალიზატორი და ბუქმეიკერი.

არადა, განსხვავება უზარმაზარია — მიუხედავად იმისა, რომ ორივე სათამაშო ბიზნესითაა დაკავებული.

მთავარი განსხვავება პრინციპშია — ტოტალიზატორი არის თამაში, რომლის ორგანიზატორი მუდამ მოგებულია, ხოლო საბუქმეიკერო საქმიანობაში რისკი დიდია.

ტოტალიზატორის არსი ის არის, რომ მოთამაშეთაგან მიღებული თანხის წინასწარ განსაზღვრული ოდენობა ორგანიზატორს რჩება, დანარჩენი კი მოთამაშეთა შორის გამარჯვებულს ერგება. ანუ, როგორი შედეგითაც არ უნდა დასრულდეს თამაში, ვინც გნებავთ, იყოს მოგებული, ტოტალიზატორის მომწყობს წინასწარ განსაზღვრული შემოსავალი გარანტირებული აქვს. ამავე დროს, მოთამაშემ წინასწარ არასდროს იცის, რა თანხის მოგების იმედი შეიძლება ჰქონდეს, რაკი ეს საერთო ფსონზეა დამოკიდებული.

ბუქმეიკერთან ყველაფერი სხვანაირადაა. ბუქმეიკერი წინასწარ აქვეყნებს კოეფიციენტს, რითაც ვალდებულებას იღებს, მიუხედავად მთლიანობაში მიღებული ფსონების ოდენობისა, სრულად გადაუხადოს მოთამაშეებს მოგებული თანხა — თუნდაც ეს საკუთარი ზარალის ფასად დაუჯდეს.

ანუ, განსხვავება ტოტალიზატორსა და ბუქმეიკერობას შორის თვალსაჩინო და პრინციპულია. ხოლო ის სათამაშო დაწესებულებები, რომლებსაც ჩვენში ტოტალიზატორებს უწოდებენ, სინამდვილეში საბუქმეიკერო საქმიანობას ეწევიან.

### საზოგადოებრივი აზრი

ტელევიზიით არაერთხელ გვინახავს სიუჟეტები, რომლებიც სათამაშო ბიზნესს ეხება.

როგორც წესი, დამოკიდებულება საქმიანობის ამ სფეროს მიმართ უარყოფითია. რატომ?

ვფიქრობთ, მიზეზი აქაც მცდარ წარმოდგენაში უნდა იყოს. როდესაც შიგადაშიგ გესმის, რომ მავანმა ახალგაზრდამ დიდი თანხა წააგო, ბინის გაყიდვა მოუხდა და ასე შემდეგ, ბუნებრივია, რომ საქმის არსში ჩაუხედავი ადამიანი სათამაშო ბიზნესის მიმართ უარყოფითად განეწყობა.

### ისევ მცდარი წარმოდგენა

წარმოვიდგინოთ, რომ სათამაშო ბიზნესი აღარ არსებობს...

კაცმა რომ თქვას, ამის წარმოდგენა ძნელი არც არის, რაკი ჩვენ საბჭოთა ეპოქიდან მოვდივართ, რომელშიც კაზინოები და საბუქმეიკერო კანტორები არ არსებობდა. და ისიც გვგონია, რომ უარყოფითი საზოგადოებრივი აზრის ერთ-ერთი მიზეზიც სწორედ საბჭოური გადმონაშთია.

ერთი სიტყვით, წარმოვიდგინეთ, რომ სათამაშო ბიზნესი აღარ არსებობს...

და რა, შიგადაშიგ ველარ გავიგებთ, რომ მავანმა დიდი თანხა წააგო და ბინა გასაყიდი გაუხდა?

დავიწყოთ იმით, რომ თამაში იძულებით არ ხდება და ზრდასრული ადამიანი საკუთარ ქცევაზე პასუხს უნდა აგებდეს. ხოლო გულუბრყვილო წარმოდგენა, რომ სათამაშო ბიზნესი პრობლემებს ქმნის...

საბჭოურ ეპოქაში სათამაშო ბიზნესი დიახაც, არსებობდა, ოღონდ არალეგალური გახლდათ. ბანქოსაც თამაშობდნენ და სპორტული შეჯიბრების შედეგების გამოცნობაზეც დებდნენ ნიძლავს. და თუ ვინმეს სურს, ორ ადამიანს ნიძლავის დადება აუკრძალოს, ეგებ ისიც გვითხრას, როგორ და რანაირად...

### პრობლემის არსი

ზემოთ საზოგადოებრივი აზრი ვახსენეთ, რომელიც მცდარ წარმოდგენას ემყარება. სიმართლე კი ის არის, რომ ლეგალურ საბუქმეიკერო დაწესებულებაში მოთამაშე ვერ წააგებს იმაზე მეტ თანხას, ვიდრე ჯიბეში იმ წუთს აქვს. ანუ საშინელი ამბები, რასაც ყვებიან-ხოლმე, შეუძლებელია, ლიცენზირებულ, ლეგალურად მომუშავე ადგილებში ხდებოდეს. ხოლო ის, რაც უარყოფით საზოგადოებრივ აზრს ქმნის, ეგრეთ წოდებული „ხელის მაზების“ შედეგია.

და როგორ უნდა ვებრძოლოთ ამ მავნე სენს, არალეგალურ თამაშობებს?

პასუხი არცთუ რთული გასაცემია — უნდა არსებობდეს ლეგალური სათამაშო დაწესებულებები.

ეს როგორ არის იცით: იმ საბჭოურ ეპოქაში, გეხსომებათ, ხარისხიანი საქონლის შეძენა მხოლოდ არალეგალურად შეიძლებოდა. როცა ეს დეფიციტი აღმოიფხვრა, სპეკულანტობაც ერთი ათად შემცირდა.

ასეა სათამაშო ბიზნესშიც. გაჩნდა ლეგალური სათამაშო დაწესებულებები და თამაშობების მოყვარულთა უმრავლესობამ კაზინოებსა და საბუქმეიკერო ოფისებში გადაინაცვლა.

ამიტომაც ევროკავშირისკენ თუ მივისწრაფვით და არა უკან, საბჭოეთისკენ, ლეგალურ სათამაშო ბიზნესს პრობლემები არ უნდა ექმნებოდეს.

### სადღაც იქ, ევროპაში

ახლახან ერთ-ერთ სატელევიზიო სიუჟეტში სათამაშო ბიზნესთან დაკავშირებით სიტყვა კრიმინალი ახსენეს.

კრიმინალს მივუბრუნდებით, იქამდე კი ერთ ჩამონათვალს შემოგთავაზებთ:

პორტუგალიის სუპერლიგა;
„რეალი“;
„მილანი“;
„სევილია“;
„ბაიერნი“;
„ესპანიოლი“;
„ვესტ ჰემ იუნაიტედი“;
„მიდლსბრო“;
„სლავია“;
„ბრიუგე“;
„შარლერუა“;
ფიბა;
ხელბურთის ჩემპიონთა ლიგა.

ეს უმნიშვნელო ჩამონათვალია იმ კლუბებისა და შეჯიბრებებისა, რომელთაც სპონსორობას სათამაშო ბიზნესი უწევს.

რა გამოდის?

თუ სათამაშო ბიზნესს კრიმინალთან ვაიგივებთ, ესე იგი, ევროკავშირში სპორტი მთლიანად კრიმინალთა ხელშია?!

და თუ ასეა, რატომ მივისწრაფვით ევროკავშირისკენ?!

**გიორგი დარჯანია**



„რეალი“ — „სევილია“: გუნდებს მაისურებზე ბუქმეიკერთა სახელები აწერიათ



„ვესტ ჰემმაც“ სპონსორად ბუქმეიკერი აირჩია

მომდევნო სარბიელში
დომინოს პრინციპი: რა საფრთხეს უქმნის ბუქმეიკერთა ახლებურად დაბეგვრა სხვა ბიზნესებს

# საქართველოს 20 ჩემპიონატი
## პირველი ლიგა — II წრე. 17 ტური

### აღმოსავლეთი

**კახეთი 0:0 დინამო 2**

**კახეთი:** ქუფარაშვილი, ხუმარაშვილი, მურველაშვილი, ტარულაშვილი, ბ. მჭედლიშვილი, ლ. აბდულაევი, ი. კობაიძე (ხამხაძე 63), მელიქიშვილი, გენგაშვილი, იმერლიშვილი, ძამუკაშვილი

*სათადარიგონი:* ლ. ტეტიაშვილი, ი. ხუციშვილი, კობრიაშვილი

მწვრთნელი: გივი კობაიძე

**დინამო 2:** ლოსაბერიძე, მინდორაშვილი, კაჭკაჭიშვილი, კაკუბავა, ვ. კეკელია, ჩადუნელი, ნემსაძე, კოპაძე (ვ. ბოლქვაძე 77), ი. სიხარულიძე, ზ. ქანთარია (ლეკვთაძე 76), ნ. ჯიშკარიანი (გ. ჯოხაძე 67)

*სათადარიგონი:* გ. ნადირაძე, გეთიაშვილი, ქამუშაძე, ზვ. ლობჟანიძე

მწვრთნელი: დავით კევლიშვილი

გაფრთხილება: ქანთარია, ხუმარაშვილი, კოპაძე

მსაჯი: ვ. ელისაბედაშვილი

50 მაყურებელი

**სიონი 2 0:2 ჩიხურა**

0:1 როგავა (34), 0:2 ენუქიძე (89)

**სიონი 2:** გავაშელი, გ. თავბერიძე, გ. ოქროპირიძე, იობაშვილი, ლ. ჩხეტიანი, მ. ოქროპირიძე, უგულავა, ბუბუტეიშვილი, შ. გაბრიჭიძე (გიგინეიშვილი 56), ქურასბედიანი, ჯიქიძე (ალფაიძე 56)

*სათადარიგონი:* გურგენიძე, გიორბელიძე, ბ. ჭაველაშვილი, ი. ბრეგვაძე, ი. ბერელიძე

მწვრთნელი: ჯონი ჯაგიდისი

**ჩიხურა:** დოლაძე, მგალობლიშვილი, ბარაბაძე, როგავა, ზივზივაძე, გ. ენუქიძე, ლ. კობახიძე, ი. ჭილლაძე, ი. ზაბახიძე, ი. ტყებუჩავა, ზ. ნოზაძე

*სათადარიგონი:* მწყერაშვილი, გ. ხვედელიძე, დოლონაძე, ნ. მაჭარაშვილი, დეკანოიძე, ცარციძე, ჩიკვაიძე

მწვრთნელი: სოსო ფრუიძე

გაფრთხილება: უგულავა, თავბერიძე

მსაჯი: მ. ბეუქლიშვილი

200 მაყურებელი

**თბილისი 3:1 ნორჩი დინამო**

1:0 ჯაში (18), 2:0 ტორონჯაძე (39), 3:0 ზვიადაძე (46), 3:1 გრიგალაშვილი (81)

**თბილისი:** გიორგობიანი, ჭაფოძე, დ. ამისულაშვილი, მიქელაძე, სებისკვერაძე, გურეშიძე, ი. მოდებაძე, ჯაში (ბელქანია 37), ზვიადაძე (აფხაზავა 53), ხოხონიშვილი, ტორონჯაძე (ნარეშელი 76)

*სათადარიგო:* არავინ

მწვრთნელი: გელა გომელაური

**ნორჩი დინამო:** გაბრიჩიძე, ბ. მამარდაშვილი (ედიშერაშვილი 46), ბ. ცინცაძე, ბოკუჩავა, დაბრუნდაშვილი, კაკულია (ა. კალაძე 57), ა. შენგელია, ლაბარტყავა (ღვთისავრიშვილი 46), გ. გრიგალაშვილი, გურაბანიძე, ი. ქავთარაძე

*სათადარიგონი:* ბურჭულაძე, ნეფარიძე, კიკალიშვილი

მწვრთნელი: რევაზ ბარამიძე

გაფრთხილება: გურეშიძე, სებისკვერაძე, ხოხონიშვილი, გრიგალაშვილი

მსაჯი: ი. ურუშაძე

100 მაყურებელი

**გაგრა 2 6:1 ჰერეთი**

1:0 ჩხაიძე (31), 2:0 ტეტუნაშვილი (48), 3:0 ჩხაიძე (51), 3:1 ლობჟანიძე (55), 4:1 ფილია (77), 5:1 თუხარელი (80), 6:1 ხოკერაშვილი (90)

**გაგრა 2:** ა. კოტრიკაძე, ბ. ტეტუნაშვილი, დ. გაბელია, ე. კილაძე, კორიფაძე (თუხარელი 63), ბ. ყიფიანი (ოქრიაშვილი 53), ფილია, გედენიძე, დ. ჩხაიძე, ქაჯაია, მოსიაშვილი (ხოკერაშვილი 52)

*სათადარიგონი:* გ. ნაჭყებია, გ. კალანდაძე, ჭაავა, მარგიანი

მწვრთნელი: თეიმურაზ ჩხაიძე

**ჰერეთი:** მატვიენკო, თანდაშვილი, გ. ლომიძე, ფარულავა, ა. აბაშიძე, კურტანიძე (ტაბატაძე 63), შ. ლობჟანიძე, ყორღანაშვილი, ტ. ჭილლაძე (ზ. ფოფხაძე 74), გ. ოქრუაშვილი, ცქიფურიშვილი (გ. ცინცაძე 55)

*სათადარიგო:* გრიგოლაშვილი

მწვრთნელი: ზურაბ ფოფხაძე

გაფრთხილება: ფარულავა, თანდაშვილი, კოტრიკაძე

მსაჯი: თ. გვანცელაძე

50 მაყურებელი

**ამერი 1:0 ვიტ ჯორჯია 2**

1:0 გვაძაბია (88)

*ჩიმაკაძემ ვერ გაიტანა პენალტი (58)*

**ამერი:** ლ. ნადირაშვილი (გვენცაძე 23), თ. სანიკიძე, გვაძაბია, ელბაქიძე, ხატიაშვილი, ხუციძე, დ. მჭედლიშვილი (ნ. ქებაძე 72), ჩიმაკაძე, ცხოვრებაშვილი, ბენდელიანი, ტიკურიშვილი (ლაფერაშვილი 46)

*სათადარიგონი:* გ. ფუტკარაძე, ბუმბეიშვილი, ჯინიკაშვილი, ლ. ბოჯგუა

მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე

**ვიტ ჯორჯია 2:** ა. მიქაბერიძე, ვეკუა, ადამაძე, კასრაძე, გამრეკლიძე, ვასაძე, დვალაშვილი (ფურცელაძე 87), კვალინიძე (ღვინიაშვილი 68), გ. ჯანელიძე, ი. სვანიძე (გოგიაშვილი 46), ზაქრაძე

*სათადარიგონი:* გ. იაშვილი, ღურბელეიშვილი, ცხოვრებაძე, იოსელიანი

მწვრთნელი: მერაბ კოჭლაშვილი

გაფრთხილება: მჭედლიშვილი, ადამაძე, გოგიაშვილი

მსაჯი: ა. ნონიკაშვილი

100 მაყურებელი

**გადადებული მატჩი**

12 დეკემბერი

**თბილისი 2:2 დინამო 2**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩიხურა | 16 | 12 | 2 | 2 | 33:9 | 38 |
| ამერი | 15 | 11 | 2 | 2 | 28:7 | 35 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 15 | 8 | 5 | 2 | 25:6 | 29 |
| დინამო 2 | 15 | 8 | 5 | 2 | 25:12 | 29 |
| დილა | 15 | 6 | 5 | 4 | 21:12 | 23 |
| თბილისი | 16 | 5 | 3 | 8 | 25:26 | 18 |
| სიონი 2 | 15 | 5 | 3 | 7 | 21:38 | 18 |
| გაგრა 2 | 16 | 5 | 2 | 9 | 26:37 | 17 |
| კახეთი | 15 | 2 | 4 | 9 | 8:25 | 10 |
| ნორჩი დინამო | 15 | 1 | 5 | 9 | 16:30 | 8 |
| ჰერეთი | 15 | 1 | 4 | 10 | 11:37 | 7 |

**გადადებული მატჩი**

16 დეკემბერი

დინამო 2 – ამერი

### დასავლეთი

**სამტრედია 1:0 ზესტაფონი 2**

1:0 ეცადეიშვილი (8)

**სამტრედია:** ი. დ. შენგელია, გოგია, ნინუა, სამსეიშვილი, გ. დარჯანია, ბაკურაძე, გ. ოქრუაშვილი, ადეიშვილი, ეცადეიშვილი, ჩომახიძე, მ. კაკალაძე (ი. გ. შენგელია 89)

*სათადარიგონი:* კეკელიძე, სალდაძე, მუკბანიანი, ბ. ჩხაიძე, სუნიაევი, შველიძე

მწვრთნელი: ვალერიან ჩხარტიშვილი

**ზესტაფონი 2:** ძაძამია, ი. ხვადაგიანი (ტაბატაძე 39), ხიხაძე (ხაჩატურიანი 77), ზ. ლობჟანიძე, გ. ხაჩიძე, ბერუაშვილი, ა. ლაბაძე, სუხიაშვილი, ლ. გაბრიჭიძე (ლ. ცხადაძე 63), ბერიძე, კვირიკეიშვილი

*სათადარიგონი:* ო. ბოჭორიშვილი, ბ. ცხადაძე, ჩიხლაძე

მწვრთნელი: გია ნადირაძე

მსაჯი: პ. დოგრაშვილი

400 მაყურებელი

**ჭიათურა 2:0 მერანი (მ)**

1:0 ტყემალაძე (5), 2:0 სევასტოპულო (66)

*ციცხვაიამ ვერ გაიტანა პენალტი (57)*

**ჭიათურა:** ბადურაშვილი, გ. ბრეგვაძე, ბრუსლი, გაფრინდაშვილი, ცუცქირიძე, ნ. ტყემალაძე, ი. სარალიძე (იობიძე 90), ნგოკო, ვაშაძე, სევასტოპულო, ლაშხი (ტატაშიძე 80)

*სათადარიგონი:* მოცრაძე, თემირ მიშველიძე, რობაქიძე, ბითაძე, ღვალაძე

მწვრთნელი: გიგლა იმნაძე

**მერანი (მ):** კოდალაევი (ჯ. შეროზია 69), ჩხიკვაძე, ფარცვანია, პაპადოპულოსი, კვიტატიანი, წოწორია, დ. თოდუა (დ. გოგოლაძე 30), ლ. ტორაძე, ლ. კირკიტაძე (ცაგარეიშვილი 46), ლ. ჩალაძე, ციცხვაია

*სათადარიგონი:* ზ. ენდელაძე, არდაშელია

მწვრთნელი: მალხაზ ჟვანია

გაფრთხილება: ნგოკო, სარალიძე, გაფრინდაშვილი, სევასტოპულო, ტორაძე

მსაჯი: მ. ურუშაძე

150 მაყურებელი

**ბაია 3:0 ხობი**

1:0 ეხვაია (5), 2:0 კუტალია (62), 3:0 ეხვაია (65)

**ბაია:** ივარდავა, ზ. ექონია, გ. ჟვანია, კვეკვესკირი, ძალამიძე, გუგუჩია (რაფავა 46), კუტალია (ლ. ქობალია 70), ეხვაია (ლ. ქანთარია 80), წურწუმია, ვართაგავა, გ. ქირია

*სათადარიგონი:* მაქაცარია, გ. პაჭკორია, ქაშაკაშვილი, მ. ჩანგელია

მწვრთნელი: ჰერბერტ ცანკერი

**ხობი:** ჭურლულია, ჩაჩიბაია, ო. ფიფია (ლ. თოდუა 67), ა. კვირკველია, გ. გოგენია, ლატარია, ლეფსაია, კ. გოგენია, ფირცხელავა, გრიგოლია (რ. ჩიტაია 67), ღლონტი

*სათადარიგო:* ბუკია

მწვრთნელი: ლევან ნოდია

მსაჯი: ო. ხეცაძე

300 მაყურებელი

**გურია 4:1 ბათუმი**

0:1 ბალაძე (31), 1:1 ცინცაძე (61), 2:1 ტ. კუკულაძე (70), 3:1, 4:1 კვერენჩხილაძე (79, 87)

*ურუშაძემ ვერ გაიტანა პენალტი (6)*

**გურია:** მ. გოგუაძე, იმნაძე, ცინცაძე, რ. კუკულაძე, ჯორბენაძე, ი. კილაძე, სულაბერიძე (ხ. მგელაძე 64), შეწირული (ლ. ციკოლია 82), ჯაყელი, ს. ურუშაძე (კვერენჩხილაძე 64), ტ. კუკულაძე

*სათადარიგონი:* იმედაიშვილი, ქურიძე, ს. მოდებაძე, ხიტირი

მწვრთნელი: ავთანდილ ნარიაშვილი

**ბათუმი:** თოთლაძე, რამიშვილი, გოგიტაური, გ. ზოიძე (ფარტენაძე 35), გოგუაძე, გ. გოგიტიძე, ბ. მახარაძე (ქადიძე 73), ტულუში (გორჯელაძე 65), დემურაძე, მალაზონია, პ. ბალაძე

*სათადარიგონი:* მ. აბაშიძე, ლ. კალანდაძე, ზაქარეიშვილი, თ. კაკალაძე

მწვრთნელი: ამირან გოგიტიძე

გაფრთხილება: გ. გოგიტიძე, თოთლაძე, დემურაძე, კილაძე, მალაზონია, იმნაძე

მსაჯი: გ. დოგრაშვილი

100 მაყურებელი

**კოლხეთი 2:0 ტორპედო 2008**

1:0 ციკოლია (72), 2:0 სიჭინავა (76)

**კოლხეთი:** გ. შენგელია, მ. ჩხარტიშვილი, გ. სიჭინავა, ლუსტა, გელაჭეიშვილი, გვალია, გვიჩია, ქომეთიანი (მოისწრაფიშვილი 85), აბურჯანია, ბაკარანძე (გ. ციკოლია 46), ქანდავაძე (გეგელია 81)

*სათადარიგონი:* ჩემია, მეგრელიშვილი

მწვრთნელი: ნუგზარ თვარაძე

**ტორპედო 2008:** მიგინეიშვილი, ი. დარსაძე (ც. ხარაბაძე 80), ხარებავა, ბიბილაშვილი, ი. ჭანკვეტაძე, თ. დანელია (ტიელიძე 70), ბესარაშვილი, გურული, კობერიძე, ბ. ჩხეტიანი, იმედაძე

*სათადარიგონი:* კუჭუხიძე, წიქორიძე, ა. ქობალია, გ. ხარაბაძე, კუხიანიძე

მწვრთნელი: კახა კარანაძე

გაფრთხილება: ლუსტა, გვალია

მსაჯი: ჯ. ბუიშვილი

300 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაია | 16 | 11 | 4 | 1 | 28:6 | 37 |
| სამტრედია | 16 | 10 | 2 | 4 | 27:12 | 32 |
| მერანი (მ) | 15 | 9 | 4 | 2 | 25:13 | 31 |
| კოლხეთი | 15 | 8 | 3 | 4 | 19:12 | 27 |
| ჭიათურა | 16 | 7 | 1 | 8 | 24:22 | 22 |
| ხობი | 15 | 6 | 3 | 6 | 16:23 | 21 |
| ტორპედო 2008 | 16 | 6 | 1 | 9 | 12:13 | 19 |
| გურია | 15 | 5 | 3 | 7 | 23:26 | 18 |
| ზესტაფონი 2 | 15 | 4 | 3 | 8 | 15:22 | 15 |
| ბათუმი | 16 | 3 | 4 | 9 | 17:30 | 13 |
| მეშახტე | 15 | 1 | 2 | 12 | 9:36 | 5 |

# მეორე ლიგა

### აღმოსავლეთი

იბსუ 1:3 გარეჯი

ბორჯომი 2 1:2 ლიახვი

დუშეთი 3:1 ჰერეთი 2

ლოკომოტივი 2 3:0 სამგორი

ნ. დინამო 2 0:2 ზოოვეტი

35-ე სკოლა 3:0 ალაზანი

ამერი 2 8:0 ერთობა

სპარტაკი 2 8:0 ალგეთი

იმედი 1:0 არაგველები

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დუშეთი | 16 | 11 | 2 | 3 | 35:14 | 35 |
| ლოკომოტივი 2 | 15 | 10 | 3 | 2 | 34:15 | 33 |
| სპარტაკი 2 | 15 | 10 | 2 | 3 | 43:20 | 32 |
| ამერი 2 | 15 | 9 | 2 | 4 | 30:11 | 29 |
| გარეჯი | 15 | 8 | 2 | 5 | 24:15 | 26 |
| ერთობა | 15 | 7 | 2 | 6 | 24:31 | 23 |
| ჰერეთი 2 | 15 | 7 | 1 | 7 | 33:25 | 22 |
| ბორჯომი 2 | 15 | 7 | 1 | 7 | 19:24 | 22 |
| 35-ე სკოლა | 15 | 6 | 4 | 5 | 25:25 | 22 |
| სამგორი | 15 | 5 | 6 | 4 | 25:22 | 21 |
| იმედი (რ) | 15 | 5 | 5 | 5 | 18:21 | 20 |
| იბსუ | 15 | 6 | 1 | 8 | 27:32 | 19 |
| ლიახვი | 16 | 5 | 4 | 7 | 22:27 | 19 |
| არაგველები | 15 | 4 | 4 | 7 | 15:18 | 16 |
| ზოოვეტი | 15 | 4 | 2 | 9 | 20:29 | 14 |
| ალგეთი | 15 | 4 | 2 | 9 | 16:34 | 14 |
| ალაზანი | 15 | 3 | 2 | 10 | 11:30 | 11 |
| ნ. დინამო 2 | 15 | 1 | 3 | 11 | 8:36 | 6 |

### დასავლეთი

იმერეთი 2:0 ადელი

მერანი 2 (მ) 3:1 გურია 2

ჭიათურა 2 1:2 სქური

მერცხალი 3:0 ტორპედო 2008 2

კოლხეთი 2 2:0 მარგვეთი

სამტრედია 2 0:2 ნ. ტორპედო 2008

ბაია 2 ისვენებს

**პირველი წრის საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მერცხალი | 12 | 9 | 3 | 0 | 25:7 | 30 |
| მერანი 2 (მ) | 12 | 8 | 1 | 3 | 21:12 | 25 |
| კოლხეთი 2 | 12 | 7 | 1 | 4 | 22:13 | 22 |
| ბაია 2 | 12 | 6 | 4 | 2 | 26:13 | 22 |
| იმერეთი | 12 | 6 | 1 | 5 | 15:14 | 19 |
| სამტრედია 2 | 12 | 5 | 2 | 5 | 14:14 | 17 |
| გურია 2 | 12 | 5 | 1 | 6 | 20:18 | 16 |
| ნ. ტორპედო 2008 | 12 | 4 | 2 | 6 | 10:15 | 14 |
| ტორპედო 2 | 12 | 4 | 1 | 7 | 22:28 | 13 |
| ჭიათურა 2 | 12 | 4 | 0 | 8 | 17:28 | 12 |
| მარგვეთი | 12 | 3 | 3 | 6 | 13:22 | 12 |
| ადელი | 12 | 3 | 2 | 7 | 16:25 | 11 |
| სქური | 12 | 3 | 1 | 8 | 13:25 | 10 |

# აფხაზეთის ღია ჩემპიონატი

### 1991-92-წლიანები

**XII ჯგუფი**

ნ. დინამო 2 2:1 35-ე სკოლა 2

აკადემია 1 2:3 აკადემია 2

35-ე სკოლა 1 6:1 ამირანი 2

35-ე სკოლა 3 5:5 ნ. დინამო 1

ფორვარდი 0:4 იმედი

იმედი 92 2:0 ვეფხვები

იმედი 91 7:1 ალგეთი

განთიადი 91 3:1 სოხუმი

მიმინო 99 3:2 35-ე სკოლა 2

განთიადი 91 3:0 იმედი 92

ალგეთი 0:0 მიმინო 99

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 35-ე სკოლა | 12 | 11 | 1 | 0 | 42:12 | 34 |
| იმედი (რ) | 11 | 10 | 1 | 0 | 33:7 | 31 |
| აკადემია 2 | 11 | 8 | 2 | 1 | 33:13 | 26 |
| 35-ე სკოლა | 12 | 7 | 2 | 3 | 33:26 | 23 |
| აკადემია 1 | 12 | 5 | 3 | 4 | 17:12 | 18 |
| იმედი 91 (რ) | 11 | 4 | 4 | 3 | 30:27 | 16 |
| ნ. დინამო 1 | 11 | 4 | 3 | 4 | 24:20 | 15 |
| მიმინო 99 | 11 | 4 | 3 | 4 | 13:13 | 15 |
| იმედი 92 (რ) | 11 | 4 | 2 | 5 | 19:16 | 14 |
| განთიადი 91 | 11 | 4 | 1 | 6 | 21:25 | 13 |
| ამირანი 2 | 11 | 4 | 1 | 6 | 20:31 | 13 |
| სოხუმი | 11 | 3 | 2 | 6 | 16:24 | 11 |
| ალგეთი | 11 | 3 | 2 | 6 | 13:24 | 11 |
| ნ. დინამო 2 | 12 | 3 | 1 | 8 | 14:24 | 10 |
| 35-ე სკოლა 2 | 11 | 3 | 0 | 8 | 11:26 | 9 |
| ვეფხვები | 11 | 2 | 2 | 7 | 11:25 | 8 |
| ფორვარდი | 12 | 1 | 2 | 9 | 17:42 | 5 |

# მესამე იმედის ლიგა

**XIII ჯგუფი**

დიოსკურია 1:6 ვეფხვები

აფხაზეთი 5:0 ამირანი

ნ. დინამო 3 6:1 პირამიდა

კოლხა 2:3 სამგორი

აკადემია 2:1 35-ე სკოლა

ამერი 3 2:1 ოლიმპიკი

ავაზა 3:0 შავნაბადა

აკადემია 1:1 სამგორი

ამირანი 0:5 პირამიდა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აკადემია | 13 | 10 | 2 | 1 | 31:7 | 32 |
| ნ. დინამო 3 | 13 | 9 | 2 | 2 | 40:14 | 29 |
| ავაზა | 13 | 9 | 1 | 3 | 26:17 | 28 |
| შავნაბადა | 13 | 8 | 1 | 4 | 24:31 | 25 |
| ოლიმპიკი | 13 | 7 | 2 | 4 | 41:25 | 23 |
| სამგორი | 13 | 6 | 4 | 3 | 33:21 | 22 |
| ვეფხვები | 13 | 7 | 0 | 6 | 36:33 | 21 |
| აფხაზეთი | 13 | 6 | 1 | 6 | 29:32 | 19 |
| პირამიდა | 13 | 5 | 0 | 8 | 24:34 | 15 |
| დიოსკურია | 13 | 4 | 2 | 7 | 22:28 | 14 |
| ამირანი | 13 | 3 | 2 | 8 | 13:37 | 11 |
| კოლხა | 13 | 3 | 1 | 9 | 21:37 | 10 |
| ამერი 3 | 13 | 2 | 3 | 8 | 9:19 | 9 |
| 35-ე სკოლა | 13 | 1 | 1 | 11 | 15:29 | 4 |

# სამხრეთ ოსეთის ჩემპიონატი

### 1992-93-წლიანები

**I ჯგუფი**

XXI საუკუნე 1 5:2 განთიადი

ბერმუხა 5:0 სასკო

მეტალურგი 6:2 მთ. გლობუსი

მერანი 91 3:2 ნ. დინამო

ნ. დინამო 9:0 მთ. გლობუსი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| XXI საუკუნე 1 | 9 | 7 | 1 | 1 | 37:14 | 22 |
| განთიადი | 9 | 6 | 1 | 2 | 28:12 | 19 |
| გედა | 8 | 5 | 3 | 0 | 23:6 | 18 |
| მეტალურგი | 9 | 4 | 2 | 3 | 19:12 | 14 |
| ბერმუხა | 8 | 4 | 1 | 3 | 22:13 | 13 |
| ნ. დინამო | 9 | 4 | 1 | 4 | 22:18 | 13 |
| 35-ე სკოლა | 8 | 4 | 0 | 4 | 22:27 | 12 |
| სასკო | 9 | 2 | 1 | 6 | 15:26 | 7 |
| მერანი 91 | 8 | 2 | 0 | 6 | 14:25 | 6 |
| მთ. გლობუსი | 9 | 0 | 0 | 9 | 12:61 | 0 |

**II ჯგუფი**

XXI საუკუნე 2 1:3 შავნაბადა

თეთრი არწივი 1:2 ნ. დინამო

იმედი (რ) 2:1 ერთობა

გედა 2 1:1 ოლიმპიკი

ოლიმპიკი 0:5 თეთრი არწივი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იმედი | 9 | 8 | 1 | 0 | 32:4 | 25 |
| ნ. დინამო | 9 | 5 | 2 | 2 | 26:11 | 17 |
| შავნაბადა | 9 | 5 | 1 | 3 | 17:12 | 16 |
| გედა 2 | 8 | 4 | 2 | 2 | 24:14 | 14 |
| ერთობა | 8 | 4 | 1 | 3 | 21:14 | 13 |
| თეთრი არწივი | 9 | 4 | 1 | 4 | 20:19 | 13 |
| XXI საუკუნე 2 | 8 | 3 | 0 | 5 | 10:19 | 9 |
| სკალდი | 8 | 2 | 1 | 5 | 11:27 | 7 |
| ოლიმპიკი | 8 | 0 | 3 | 5 | 9:35 | 3 |
| გეორგია | 8 | 0 | 2 | 6 | 7:22 | 2 |

### 1994-წლიანები

35-ე სკოლა 1 3:2 შევარდენი

35-ე სკოლა 2 1:5 ნ. დინამო 2

ლომები 5:2 ნ. დინამო 1

იმედი (რ) 7:1 ავაზა

გედა 11:1 აიაქსი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გედა | 10 | 9 | 1 | 0 | 59:10 | 28 |
| იმედი (რ) | 10 | 8 | 0 | 2 | 30:7 | 24 |
| ნ. დინამო 1 | 10 | 8 | 0 | 2 | 32:16 | 24 |
| განთიადი | 9 | 7 | 0 | 2 | 26:12 | 21 |
| ლომები | 10 | 5 | 2 | 3 | 24:16 | 17 |
| ნ. დინამო 2 | 10 | 4 | 3 | 3 | 22:23 | 15 |
| ავაზა | 9 | 4 | 1 | 4 | 24:18 | 13 |
| XXI საუკუნე | 9 | 3 | 3 | 3 | 16:19 | 12 |
| შევარდენი | 11 | 3 | 3 | 5 | 15:18 | 12 |
| 35-ე სკოლა 1 | 10 | 3 | 0 | 7 | 15:36 | 9 |
| აიაქსი | 10 | 2 | 0 | 8 | 10:33 | 6 |
| 35-ე სკოლა 2 | 10 | 1 | 0 | 9 | 12:44 | 3 |
| იმედი (თბ) | 10 | 0 | 1 | 9 | 11:41 | 1 |

### 1995-წლიანები

იმედი 1:2 ნ. დინამო 2

ოლიმპიკი 4:0 35-ე სკოლა

ნ. დინამო 1 7:2 იბერია-ამერი

35-ე სკოლა 1 3:7 მეტეხი 3

35-ე სკოლა 1:3 მეტეხი 4

ნ. დინამო 3 3:0 35-ე სკოლა 2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნ. დინამო 1 | 10 | 9 | 1 | 0 | 47:12 | 28 |
| ნ. დინამო 3 | 8 | 7 | 0 | 1 | 38:2 | 21 |
| ოლიმპიკი | 9 | 7 | 0 | 2 | 31:5 | 21 |
| იბერია-ამერი | 10 | 6 | 0 | 4 | 36:25 | 18 |
| მეტეხი 4 | 9 | 5 | 2 | 2 | 26:22 | 17 |
| ნ. დინამო 2 | 9 | 5 | 0 | 4 | 20:19 | 15 |
| მეტეხი 3 | 10 | 3 | 1 | 6 | 23:31 | 10 |
| იმედი (თბ) | 9 | 2 | 1 | 6 | 13:30 | 7 |
| 35-ე სკოლა | 10 | 2 | 0 | 8 | 8:41 | 6 |
| 35-ე სკოლა 1 | 9 | 1 | 1 | 7 | 11:36 | 4 |
| 35-ე სკოლა 2 | 9 | 1 | 0 | 8 | 6:36 | 3 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბავშვთა ფეხბურთი ელიტლიგა

## 1992-წლიანები

X ტური

ამერი 2 0:8 დინამო
იმედი 2:2 გორი
თბილისი 1:3 შევარდენი
ოლიმპიკი 3:3 ნ. დინამო
აკადემია 1:2 გარეჯი
35-ე სკოლა 2:0 აკადემია 92
ამერი 2:1 ავაზა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 10 | 9 | 1 | 0 | 43:4 | 28 |
| ამერი | 10 | 7 | 1 | 2 | 20:9 | 22 |
| გორი | 9 | 6 | 3 | 0 | 19:10 | 21 |
| ნ. დინამო | 10 | 6 | 1 | 3 | 27:18 | 19 |
| თბილისი | 10 | 5 | 2 | 3 | 24:13 | 17 |
| ოლიმპიკი | 9 | 5 | 2 | 2 | 19:9 | 17 |
| 35-ე სკოლა | 9 | 5 | 0 | 4 | 19:11 | 15 |
| იმედი | 10 | 4 | 2 | 4 | 14:19 | 14 |
| შევარდენი | 10 | 4 | 1 | 5 | 18:17 | 13 |
| გარეჯი | 9 | 3 | 1 | 5 | 13:28 | 10 |
| ავაზა | 8 | 2 | 1 | 5 | 9:17 | 7 |
| აკადემია 92 | 10 | 2 | 1 | 7 | 11:21 | 7 |
| ამერი 2 | 10 | 1 | 0 | 9 | 12:39 | 3 |
| აკადემია | 10 | 0 | 0 | 10 | 5:37 | 0 |

## 1993-წლიანები

X ტური

ვეფხვები 2 3:1 ქუთაისი
35-ე სკოლა 2 1:1 იმედი
35-ე სკოლა 3 0:7 ნ. დინამო 2
35-ე სკოლა 4 2:2 ვეფხვები
საბურთალო 1:2 შევარდენი
მთ. გლობუსი 7:1 აკადემია 2
ამერი 0:3 ავაზა
ოლიმპიკი — ნ. დინამო 1 გადაიდო
35-ე სკოლა 1 — აკადემია 1 გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 35-ე სკოლა 1 | 8 | 8 | 0 | 0 | 29:8 | 24 |
| აკადემია 1 | 9 | 8 | 0 | 1 | 37:17 | 24 |
| შევარდენი | 10 | 8 | 0 | 2 | 23:10 | 24 |
| ნ. დინამო 1 | 9 | 7 | 1 | 1 | 48:5 | 22 |
| მთ. გლობუსი | 10 | 6 | 2 | 2 | 32:15 | 20 |
| ავაზა | 8 | 6 | 0 | 2 | 23:11 | 18 |
| ნ. დინამო 2 | 10 | 5 | 2 | 3 | 23:13 | 17 |
| საბურთალო | 9 | 4 | 2 | 3 | 25:15 | 14 |
| ოლიმპიკი | 9 | 3 | 3 | 3 | 21:14 | 12 |
| ქუთაისი | 8 | 3 | 2 | 3 | 11:13 | 11 |
| ამერი | 9 | 3 | 2 | 4 | 12:18 | 11 |
| ვეფხვები | 10 | 3 | 1 | 6 | 15:25 | 10 |
| აკადემია 2 | 10 | 3 | 1 | 6 | 16:34 | 10 |
| ვეფხვები 2 | 9 | 2 | 2 | 5 | 13:14 | 8 |
| 35-ე სკოლა 2 | 10 | 2 | 2 | 6 | 18:32 | 8 |
| 35-ე სკოლა 4 | 10 | 1 | 1 | 8 | 6:24 | 4 |
| იმედი | 10 | 0 | 2 | 8 | 9:44 | 2 |
| 35-ე სკოლა 3 | 10 | 0 | 1 | 9 | 9:58 | 1 |

## 1994-წლიანები

I ჯგუფი

X ტური

ამერი 0:2 საბურთალო
35-ე სკოლა 1 3:0 ვეფხვები
35-ე სკოლა 3 1:1 აკადემია
ლოკომოტივი 10:0 აკადემია 1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 10 | 9 | 1 | 0 | 51:3 | 28 |
| 35-ე სკოლა 1 | 10 | 9 | 1 | 0 | 36:5 | 28 |
| საბურთალო | 9 | 6 | 1 | 2 | 28:13 | 19 |
| ამერი | 10 | 6 | 0 | 4 | 23:14 | 18 |
| ნ. დინამო 1 | 9 | 5 | 1 | 3 | 19:8 | 16 |
| ვეფხვები | 10 | 4 | 2 | 4 | 13:27 | 14 |
| აკადემია | 10 | 3 | 5 | 2 | 13:14 | 14 |
| თბილისი 2 | 9 | 4 | 1 | 4 | 18:21 | 13 |
| 35-ე სკოლა 3 | 10 | 3 | 1 | 6 | 18:23 | 10 |
| ავაზა | 8 | 1 | 0 | 7 | 8:32 | 3 |
| ერთობა | 9 | 0 | 1 | 8 | 5:28 | 1 |
| აკადემია 1 | 10 | 0 | 0 | 10 | 1:45 | 0 |

II ჯგუფი

X ტური

ოლიმპიკი 0:2 იმედი
ნ. დინამო 2 0:7 ამერი 2
35-მეტეხი 3:2 თბილისი 3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შევარდენი | 8 | 8 | 0 | 0 | 23:4 | 24 |
| იმედი (თბ) | 9 | 7 | 1 | 1 | 27:7 | 22 |
| ოლიმპიკი | 10 | 6 | 2 | 2 | 18:10 | 20 |
| თბილისი 1 | 8 | 6 | 1 | 1 | 29:7 | 19 |
| აკადემია 94 | 8 | 6 | 1 | 1 | 25:7 | 19 |
| 35-მეტეხი | 9 | 4 | 0 | 5 | 20:20 | 12 |
| ვეფხვები 2 | 8 | 3 | 2 | 3 | 13:14 | 11 |
| მთ. გლობუსი | 10 | 3 | 2 | 5 | 13:19 | 11 |
| გორი | 9 | 2 | 2 | 5 | 11:21 | 8 |
| 35-ე სკოლა 2 | 9 | 2 | 0 | 7 | 14:24 | 6 |
| ამერი 2 | 8 | 1 | 2 | 5 | 11:17 | 5 |
| თბილისი 3 | 10 | 1 | 2 | 7 | 10:30 | 5 |
| ნ. დინამო 2 | 10 | 1 | 1 | 8 | 6:30 | 4 |

## 1995-წლიანები

IX ტური

ნ. დინამო 5:0 35-ე სკოლა 2
საბურთალო 5:4 35-ე სკოლა 1
35-ე სკოლა 3 2:6 ავაზა 1
ავაზა 2 0:5 აკადემია 1
ჰერეთი 1:3 აკადემია 95

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნ. დინამო | 9 | 8 | 0 | 1 | 40:4 | 24 |
| აკადემია 95 | 9 | 7 | 1 | 1 | 32:6 | 22 |
| ჰერეთი | 9 | 6 | 1 | 2 | 18:10 | 19 |
| აკადემია 1 | 9 | 5 | 0 | 4 | 12:9 | 15 |
| 35-ე სკოლა 1 | 9 | 4 | 1 | 4 | 26:21 | 13 |
| საბურთალო | 8 | 4 | 1 | 3 | 24:21 | 13 |
| ავაზა 2 | 9 | 4 | 0 | 5 | 16:24 | 12 |
| ავაზა 1 | 8 | 3 | 0 | 5 | 18:18 | 9 |
| 35-ე სკოლა 3 | 9 | 0 | 1 | 8 | 9:41 | 1 |
| 35-ე სკოლა 2 | 9 | 0 | 1 | 8 | 4:45 | 1 |

## 1996-წლიანები

IX ტური

ნ. დინამო 1 9:4 საბურთალო
აკადემია 1 2:1 ავაზა
ნ. დინამო 2 2:8 თბილისი
აკადემია 2 2:3 შევარდენი
ლოკომოტივი 0:3 გორი
ოლიმპიკი 0:2 35-ე სკოლა
ვეფხვები 1 5:0 ამერი
ოლიმპი 7:0 ვეფხვები 2
იმედი 1:3 ჩემპიონი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 35-ე სკოლა | 9 | 7 | 2 | 0 | 46:6 | 23 |
| შევარდენი | 9 | 7 | 1 | 1 | 29:7 | 22 |
| გორი | 9 | 7 | 1 | 1 | 34:16 | 22 |
| ოლიმპი | 9 | 7 | 0 | 2 | 36:5 | 21 |
| ჩემპიონი | 9 | 6 | 2 | 1 | 32:13 | 20 |
| ოლიმპიკი | 8 | 5 | 1 | 2 | 25:9 | 16 |
| ნ. დინამო 1 | 9 | 5 | 1 | 3 | 34:27 | 16 |
| ამერი | 9 | 4 | 3 | 2 | 22:19 | 15 |
| აკადემია 1 | 9 | 4 | 2 | 3 | 14:16 | 14 |
| ვეფხვები 1 | 8 | 4 | 1 | 3 | 26:10 | 13 |
| აკადემია 2 | 9 | 3 | 3 | 3 | 15:17 | 12 |
| საბურთალო | 9 | 3 | 1 | 5 | 25:32 | 10 |
| იმედი | 9 | 3 | 0 | 6 | 14:16 | 9 |
| თბილისი | 9 | 2 | 1 | 6 | 16:26 | 7 |
| ვეფხვები 2 | 9 | 2 | 0 | 7 | 5:42 | 6 |
| ავაზა | 9 | 1 | 0 | 8 | 13:48 | 3 |
| ლოკომოტივი | 9 | 0 | 1 | 8 | 6:29 | 1 |
| ნ. დინამო 2 | 9 | 0 | 0 | 9 | 11:65 | 0 |

## 1997-წლიანები

IX ტური

ამერი 2:4 საბურთალო
ლოკომოტივი 4:5 იმედი
35-ე სკოლა 2 5:0 35-ე სკოლა 1
თბილისი 2 2:1 ნ. დინამო 3
თბილისი 1 3:1 აკადემია
ავაზა 2:1 ნ. დინამო 2
ამერი 3:5 აკადემია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თბილისი 1 | 8 | 8 | 0 | 0 | 39:8 | 24 |
| 35-ე სკოლა 2 | 8 | 6 | 1 | 1 | 22:5 | 19 |
| საბურთალო | 8 | 5 | 0 | 3 | 29:16 | 15 |
| იმედი (თბ) | 8 | 4 | 2 | 2 | 24:17 | 14 |
| ლოკომოტივი | 9 | 4 | 2 | 3 | 26:20 | 14 |
| ნ. დინამო 1 | 8 | 4 | 1 | 3 | 24:26 | 13 |
| 35-ე სკოლა 1 | 8 | 4 | 0 | 4 | 17:23 | 12 |
| ამერი | 9 | 3 | 2 | 4 | 16:18 | 11 |
| ავაზა | 8 | 3 | 2 | 3 | 14:16 | 11 |
| თბილისი 2 | 8 | 2 | 4 | 2 | 16:17 | 10 |
| აკადემია | 9 | 1 | 3 | 5 | 20:27 | 6 |
| ნ. დინამო 3 | 8 | 1 | 1 | 6 | 12:22 | 4 |
| ნ. დინამო 2 | 9 | 0 | 0 | 9 | 12:56 | 0 |

## 1998-წლიანები

VIII ტური

გორი 3:2 ამერი
ნ. დინამო 1 4:3 ავაზა
შევარდენი 2:4 აკადემია
შევარდენი 4:3 ნ. დინამო 2
ავაზა 8:2 ამერი
ნ. დინამო 1 3:1 აკადემია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გორი | 7 | 5 | 1 | 1 | 22:14 | 16 |
| ავაზა | 7 | 4 | 0 | 3 | 27:21 | 12 |
| ლოკომოტივი | 6 | 4 | 0 | 2 | 16:10 | 12 |
| აკადემია | 6 | 4 | 0 | 2 | 13:9 | 12 |
| ნ. დინამო 1 | 6 | 3 | 2 | 1 | 14:12 | 11 |
| ამერი | 7 | 3 | 0 | 4 | 20:17 | 9 |
| შევარდენი | 7 | 2 | 0 | 5 | 15:20 | 6 |
| ნ. დინამო 3 | 4 | 1 | 0 | 3 | 10:16 | 3 |
| ნ. დინამო 2 | 6 | 0 | 1 | 5 | 3:21 | 1 |

თუ გვინდა, ქართული ფეხბურთი სწორი გზით წავიდეს, ბავშვთა ფეხბურთს გაცილებით მეტი ყურადღება უნდა მიექცეს, ვიდრე დღეს — ეს საკამათო არ არის. „სარბიელი“ წინა კვირაში 35-ე სკოლას ესტუმრა, ამჯერად კი „საბურთალოს“ მივაკითხეთ და 1995 წელს დაბადებულ ბავშვთა მთავარ მწვრთნელ დავით ბერაძეს გავესაუბრეთ...



# როგორ არ უნდა დავღუპოთ ბავშვები

— ჯერ ის გვითხარით, ლიცენზია თუ გაქვთ?

— რა თქმა უნდა, 4 წლის წინ ავიღე B კატეგორიის ლიცენზია. მინდა, A ლიცენზიაც ავიღო.

— „საბურთალო“ თვითდაფინანსებაზეა?

— საქართველოში ასეთი მდგომარეობაა — სკოლების უმრავლესობა თვითდაფინანსებაზეა.

— რამდენს იხდის ერთი ბავშვი?

— 50 ლარს.

— შეღავათები თუ ვრცელდება?

— ძმები თუ ვარჯიშობენ, 40-40 ლარს იხდიან. გარდა ამისა, თუ ვიცით, რომ შეჭირვებულად ცხოვრობს, მას ვუნახევრებთ გადასახადს.

— სამედიცინო შემოწმებას გადიან ბავშვები?

— ეს აუცილებელია — ჩვენთან წელიწადში ორჯერ ხდება შემოწმება.

— თქვენ რამდენი ჯგუფი გყავთ?

— 1995-წლიანების ორი ჯგუფი, 20-20 ბავშვი. ვწვრთნი 2002 წელს დაბადებულებსაც — 15 ბავშვი მყავს.

— რამდენი თანაშემწე გეხმარებათ?

— ერთი, შოთა გორგოძე. სკოლას კი ცალკე ჰყავს მეკარეების და ფიზმომზადების მწვრთნელები.

— 1995-წლიანები უკვე ელიტლიგაშიც გამოდიან...

— ისინი 13-14 წლისანი არიან და ნელ-ნელა დატვირთვებიც ეზრდებათ.

— ამ ასაკში როგორ უნდა დაიტვირთოს მოზარდი?

— ბავშვების გადატვირთვა დაუშვებელია, მოზარდი ნელ-ნელა უნდა შეამზადო ამისთვის. 13-14 წლამდე საერთოდ არ შეიძლება დატვირთვების მიცემა — ამ დროს გული იზრდება, კუნთი ვითარდება... დაირღვევა რამე და ბავშვს დაღუპავ

— ამ ასაკში კვირაში რამდენი საათი უნდა ივარჯიშოს ფეხბურთელმა?

— 6-7 საათი. სამი საათნახევრიანი ვარჯიში და ერთი თამაში — მეტი არ არის სასურველი.

— თეორიული მეცადინეობა გაქვთ?

— რა თქმა უნდა, ბევრი მასალა გვაქვს დისკზე და მას ვარჩევთ ხოლმე. მალე ჩვენს თამაშებსაც გადავიღებთ და გარჩევაც გვექნება.

— სკოლების უმრავლესობა ბავშვებს ხელოვნურსაფარიან მოედნებზე ავარჯიშებს, რაც რბილად რომ ვთქვათ, ცუდია...

— რად უნდა მტკიცება, რომ ყველაზე კარგია ბალახზე ვარჯიში. სხვათა შორის, ჩვენი სკოლა სამედიცინო უნივერსიტეტის გვერდით კარგ სტადიონს აკეთებს. ომმა მშენებლობა შეაფერხა, მაგრამ მომავალ სექტემბერში მაღალი ხარისხის ხელოვნურსაფარიანი მოედანი გვექნება.

— ეს ის ასაკია, გარდატეხისა რომ ეთქმის — ყველა ბავშვს ინდივიდუალური მიდგომა სჭირდება...

— მწვრთნელს ბავშვთან საერთო ენის გამონახვა თუ არ შეუძლია, მისი მწვრთნელობა დამთავრებულია. შეგირდს შენიშვნა ისე უნდა მისცე, რომ ფეხბურთი არ შეაძულო, პატარა ასაკში კი საერთოდ არც უნდა შენიშვნის მიცემა.

— ელიტლიგას თბილისის ფეხბურთის ფედერაცია ატარებს და საერთოდაც, თბილისის საფეხბურთო სკოლები მათ დაქვემდებარებაში არიან. მათგან მხარდაჭერას გრძნობთ?

— შეძლებისდაგვარად, მხარში გვიდგანან. ამასწინათ საბავშვო ფესტივალი ჩატარდა და ბავშვებს ეკიპირება დაურიგეს. როგორც ითქვა, ყველა სკოლას 10 000 ლარითაც დაეხმარებიან.

— თანამედროვე ფეხბურთი წინ მიდის, მწვრთნელმა თუ ცოდნა არ გაიღრმავა, ერთ ადგილზე დარჩება. თქვენ როგორ ფიქრობთ?

— ისეთი დიდი მწვრთნელებიც კი, როგორებიც არსენ ვენგერი და ალექს ფერგიუსონი არიან, ყოველდღიურად რაღაცას ინიშნავენ და სწავლობენ, ამის გარეშე წარმოუდგენელია წინსვლა. მეც ყოველდღიურად ახალ ინფორმაციას ვიღებ, ახლა ამის ბევრი საშუალება არსებობს — მარტო ინტერნეტით შეიძლება ბევრი სიახლის შეტყობა.

— სტაჟირებაზე თუ უშვებთ ბავშვებს?

— ჩვენმა სკოლამ ხელშეკრულება გააფორმა გერმანულ კლუბ „მაგდებურგთან“ და სტაჟირებაზე წელიწადში სამი-ოთხი ბავშვის გაშვება შეგვიძლია.

**ნუკრი ლოლაძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა





# ასათიანი კიევს მოსკოვში ელის

**მალხაზ ასათიანს** კიევის „დინამოში“ იჯარის ვადა ამოეწურა, მაგრამ გადაწყვეტილია, რომ უკრაინული გრანდი მოსკოვის „ლოკომოტივიდან“ მისი ტრანსფერის გამოსყიდვაზე თანახმაა. ქართველი მცველი კიევში მშვენივრად ათამაშდა და მწვრთნელი იური სიომინი მის დატოვებას ითხოვს. „ლოკომოტივი“ კი ასათიანის დაბრუნებისთვის კალათებს ნამდვილად არ დაიხევს.

მალხაზმა ბრწყინვალედ ითამაშა კიევის „დინამოში“, განსაკუთრებით „ფენერბაჰჩესთან“ საჩემპიონთალიგო მატჩში. ეს სიომინმაც აღნიშნა, ნამატჩევს ჩვენიანი საგანგებოდ შეაქო...

თვითონ „ასათას“ კი გული სწყდება, რომ „დინამომ“ ოდენ უეფას თასის საგზური მოიპოვა...

„ჩვენ შეგვეძლო ლიგის მერვედფინალში გასვლა. სამწუხაროდ, „პორტუსთან“ და „არსენალთან“ ბოლო წუთებზე დასანანი გოლები გავუშვით“.

და ერთიც: ასათიანი უკვე მოსკოვში ჩავიდა და „ლოკომოტივის“ პრეზიდენტ ნიკოლაი ნაუმოვს შეხვდა. კლუბმა ის 12 იანვრამდე შვებულებაში გაუშვა და სწორედ მაშინ გადაწყდება საბოლოოდ ქართველი ფეხბურთელის ბედი.

„ასათიანს შევხვდი და ვესაუბრე. წონაც დაუკლია და მოძლიერებულიც ჩანს. როცა ის შვებულებიდან დაბრუნდება, ერთად გადავწყვეტთ მომავალს. ჯერ კიევიდან ოფიციალური წინადადება გამოსყიდვის თაობაზე არ მიგვიღია, მაგრამ ვფიქრობ, შემოთავაზებები კიევიდანაც იქნება და სხვა კლუბებიდანაც“ — განაცხადა ნაუმოვმა.

აქედანაც ჩანს, რომ „ლოკომოტივი“ თანახმაა, ასათიანი გაყიდოს.

**კახა ზალამბერიძე**

# კახა კალაძის ფარინა-ჯარიმა

**იტალიის** სერია A-ში სამი ტურის წინ „მილანმა“ „ტორინოსთან“ სტუმრად 2:2 ითამაშა და ორი ქულა დაკარგა, თუმც „როსონერის“ მოგებამდე არაფერი აკლდა, რომ არა მსაჯ სტეფანო ფარინას `დანიშნული საეჭვო პენალტი — კახა კალაძეს ბოლო წუთებზე ხელზე მოხვდა ბურთი. ეს „ის“ ხელი იყო, მსაჯები 10 შემთხვევიდან ცხრაჯერ მაინც რომ წაუყრუებენ ხოლმე.

მაშინ კალაძემ ფარინა გაკიცხა, წესები არ იცისო. მართალია, საქართველოს ნაკრების კაპიტანმა ამ სიტყვებისთვის მერე ბოდიში მოიხადა, მაგრამ იტალიის სამსაჯო კომიტეტმა, „ბოდიში“ ჩვენს აფთიაქში არ იყიდებაო და კახა 10 000 ევროთი დააჯარიმა. ამას გარდა, ცალკე „მილანიც“ დაისაჯა 7 000 ევროთი.

**კახა ზალამბერიძე**

## კვირის ქრონიკა

### განძასარმა ორ ქართველი გაუშვა

**სომხურმა** „განძასარმა“ გადაწყვიტა, დავით ხანაშვილსა და მამუკა მენთესაშვილს კონტრაქტები აღარ გაუგრძელოს. ასე რომ, ახალი წლიდან ჩვენიანებს ახალი კლუბის ძებნა მოუწევთ.

„განძასარის“ სხვა ქართველ ლეგიონერებზე, ლევან ბუბუტეიშვილზე, კობა ხანიშვილსა და გაგა თიბილაშვილზე, ეტყობა, მსგავსი ვერდიქტი არ გამოუტანიათ.

ეს კლუბი სომხეთის ახლახანს გასრულებულ ჩემპიონატში მესამე ადგილზე გავიდა.

### ვაწაძის თვენახევრიანი ლავიწი

**მიმდინარე** ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო მეგოლე მათე ვაწაძე (8 გოლი) ტრავმირებულია და დაახლოებით თვენახევრის შემდეგ დაიწყებს ვარჯიშს. ექტორ რაულ კუპერის „სამშაბათობაზე“ მათემ ლავიწის ძვალი გაიტეხა.

ფორვარდმა ლავიწი ზაფხულშიც დაიზიანა და გარკვეული პერიოდი გაუცდა, ახლა კი უფრო ხანგრძლივი მკურნალობა მოუწევს. არადა, მათე მართლაც რომ ფორმაში იყო და გოლს გოლზე აგდებდა.

„დინამოს“ ლაზარეთში არიან გიორგი მერებაშვილი, გიორგი ნერგაძე და ნიკა ფირცხალავაც: ნერგაძეს ბარძაყის კუნთის ნაწილობრივი გახევა დაუდგინეს და, სავარაუდოდ, 9-10 დღეში შეუდგება ვარჯიშს. ფირცხალავას მუხლის სახსრის ტრავმული ართრიტი აქვს და მისი უქმობა ერთკვირიანია, მერებაშვილს კი მუხლი აწუხებს.

ფრანგული „ლე მანის“ დუბლებში მოთამაშე ამირან სანაიას საქართველოს ეროვნულ ნაკრებში ორჯერ უთამაშია — ყატართან (2:1) და პორტუგალიასთან (0:2) ამხანაგურ მატჩებში. 18 წლის სანაია სოხუმში დაბადებული, „გაგრაში“ გაზრდილი და „ზესტაფონში“ ნაცადი ბიჭია, იმერულმა კლუბმა ის შარშანწინ გაუშვა „ლე მანში“. ერთხელ, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ვარჯიშზე ამირანმა ბურთი დაცვიდან შეტევაში ისე აიტანა, პეტარ სეგრტმა ჯერ ჩვეულომახიანად „ბრავო, სანა“ დასძახა, მერე კი მოტრიალდა და ჟურნალისტებს გვითხრა — ამას უყურეთ, ვინმემ როგორ უნდა თქვას, საქართველოში ტალანტები არ არიანო...

თუმცა სანაია ჯერ არაა ჩამოყალიბებული ფეხბურთელი, ის კუნთმაგარი ბიჭების გარემოცვაში იწრთობა და იმედია, მალე ძლიერი მცველი დადგება...




# იქ, სადაც ბენზემა და ნასრი გაიზარდნენ

## ამირან სანაია: რუსეთის გახსენებაც არ მინდა

— როგორ მიდის შენი საქმეები „ლე მანში“? — ვკითხეთ ამირანს, რომელსაც საფრანგეთში დავუკავშირდით.

— მადლობა ღმერთს, იმ გუნდში მოვხვდი, სადაც ყველაფერს გასწავლიან, შეცდომებზე გითითებენ, შენი ძლიერი და სუსტი მხარეები იციან. დუბლებში ვთამაშობ, ისე კი, „ლე მანის“ ძირითად გუნდთან ერთად ვვარჯიშობ. ამ ბოლო დროს მცირე ტრავმა მქონდა და ვერ ვთამაშობდი, სეზონის დასაწყისში კი მუდმივად მენდობოდა მწვრთნელი.

— „ლე მანის“ დუბლებში ვახტანგ ფანცხავაცაა...

— თამაშობს და ამას წინათ კარგი გოლიც გაიტანა. მიხარია, რომ აქ ქართველების ეიმედებათ.

— საკუთარი თავით კმაყოფილი ხარ ამ სეზონში?

— გოლი არ გამიტანია, ოთხი საგოლე პასი გავაკეთე. მარცხენა მცველად ვთამაშობ და სტანდარტულებსაც მე ვასრულებ. ჩვენმა გუნდმა ცუდად დაიწყო სეზონი, შემდეგ ნელ-ნელა ზემოთ ავიწიეთ და 18-გუნდიან ჩემპიონატში მე-13 ადგილზე ვართ.

— დუბლებში „ლე მანის“ ძირითადის ფეხბურთელები ხშირად გემატებიან?

— დიახ. ისინი, ვისაც ან ტრავმა ჰქონდა და ფორმაში ვერ იყო, ან უბრალოდ, არ უწევდა ძირითად გუნდში თამაში. სხვათა შორის, ჯერ კიდევ შარშანწინ დუბლების ჩემპიონატში თამაშობდნენ კარიმ ბენზემა და სამირ ნასრი. ასე რომ, აქ დუბლების მატჩებს დიდი ყურადღება ექცევა, ხალხიც დადის სტადიონზე. ძირითადში გადასვლა-არგადასვლა ჩემზეა დამოკიდებული. ვიცი, ეს დროც მოვა, ამიტომაც მოთმინებას არ ვკარგავ.

— ფრანგული ენა თუ ისწავლე?

— თავისუფლად ჯერ ვერ ვლაპარაკობ, ვსწავლობ.

— კერძო მასწავლებელი გყავს?

— დიახ. თუ ვარჯიში ან თამაში მაქვს, მაშინ ვაფრთხილებ და ვაცდენ გაკვეთილს.

— საქართველოს ეროვნულ ნაკრებში ორჯერ გითამაშია, თუმც ექტორ რაულ კუპერს ჯერ არ გამოუძახებიხარ...

— სამწუხაროდ, უელსში ჩასვლა ვერ მოვახერხე. ვიზის გაკეთება ვერ მოვასწარი. არადა, გამოძახებული ვიყავი. რა გითხრათ, ნაკრები ჩემთვის ყველაფერია და ნეტავ, ისევ მალე მომეცეს შანსი.

— ნაკრების ბოლო მატჩებს თუ უყურე?

— სამწუხაროდ, ვერა. ვიცი, რომ კარგი მატჩი იყო ბულგარეთთან და სასწაულად ვერ მოვიგეთ.

— ახალგაზრდულ ნაკრებზეც გკითხავ, კერძოდ, ერთ ძალიან მტკივნეულ მატჩზე, სადაც შენც ითამაშე...

— გახსენებაც არ მინდა... რუსეთთან მატჩი შავ ლაქად დამრჩება. მინდორზე ისეთი მონდომებით გავედით, წაგებას ვინ ჩივის, დიდი ანგარიშით მოვიგებთო, გვეგონა. სამწუხაროდ, არის მატჩები, როცა მეტოქეს ყველაფერი გამოსდის, შენ კი არაფერი და ამის გამო ფსიქოლოგიურადაც ფუჭდები.

— რუსეთთან მატჩის პირველ წუთებზე რუსებმა ჯარიმის დარტყმის უფლება მოიპოვეს, შენ კი ბურთის დაბრუნების ნაცვლად მეტოქის ფეხბურთელს დამცინავი ჟესტი გაუკეთე, რის გამოც ხელი გკრა...

— რომ მეპასუხა, ლამაზი არ იქნებოდა. ჩემი აზრით, წაგებას ატანა უნდა, ჩხუბი რომ დაგვეწყო, ეს კარგს ვერაფერს მოგვიტანდა. გვაჯობეს და ეგ იყო... არადა, რა იმედებით გამაცილეს „ლე მანიდან“ ნაკრებში, მაგრად მგულშემატკივრობდნენ.

— ლე მანში რუსეთ-საქართველოს მატჩმა ასეთი ინტერესი გამოიწვია?

— ძალიან გვქომაგობდნენ. კლუბის პრეზიდენტმა დიდის ამბით გამაცილა, იცოდე, რუსეთს უნდა მოუგოთო. საერთოდ, ომის დროს აშკარად ვგრძნობდი ფრანგებისგან ქართველებისადმი სიმპათიას.

**ილია ნანობაშვილი**

# კახა ცხადაძე: მილანი ან ალკმაარი

**კახა ცხადაძის** საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრებში შესაძლო დანიშვნაზე აზერბაიჯანულმა პრესამაც შეიტყო.

„აზერისპორტთან“ ინტერვიუში ქართველმა მწვრთნელმა თქვა:

„ვიცი, რომ ზოგი წყარო ავრცელებს, ცხადაძე „სტანდარდიდან“ მიდისო, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელობას შევხვდი და სამეორეწრეო გეგმები შემოვხაზეთ. ასე რომ, ჯერ არსად მივდივარ. საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში მუშაობაზეც არის საუბარი. ვნახოთ, რა გამოვა... ისე კი, „სტანდარდთან“ კონტრაქტი მაქვს“.

ცხადაძემ აზერბაიჯანელებთან საუბარში ისიც აღნიშნა, რომ ძლიერ ევროპულ კლუბებში სტაჟირებაზე წასვლის ვარიანტებსაც განიხილავს — ლაპარაკია იტალიურ „მილანსა“ და ჰოლანდიურ „AZ ალკმაარზე“.

**ილია ნანობაშვილი**

ქვარციტი QUARTZITE
ლიბო
უძრავი ქონება

საქართველოს თასის ფინალი. 13 დეკემბერი. მიხეილ მესხი



# ლელოს წილი ლელო

**ლელო 28:9 აკადემია**

ლელო: ყიასაშვილი, ჯოგლიძე, კორკელია, მანჯავიძე, თოდუა; ხმალაძე, ჭინჭარაული; აზალაძე, კოლელიშვილი, ი. მაისურაძე, ვ. მაისურაძე, ჯალალონია, მირცხულავა, ცხოვრებაშვილი, ყალიჩავა

შეცვლაზე შევიდნენ: სანიკიძე, ლომინაძე, დაუშვილი, ჩხეიძე, გოგია, ახალაია, ზაალიშვილი

ლ: ყიასაშვილი, კოლელიშვილი, ახალაია; 2გ: ჯოგლიძე; 3ს: ჯოგლიძე

სინბინ: ი. მაისურაძე, კორკელია

აკადემია: გურგენიძე, დავითაშვილი, წაძიძე, მოლოდინაშვილი, ბატოიანი; ხუხუნეიშვილი, დავითაშვილი; მურვანიძე, მაღლაკელიძე, ნიბლაძე, ნებულიშვილი, გაჩეჩილაძე, ლომსაძე, მეკოკიშვილი, ლამბაშიძე

შეცვლაზე შევიდნენ: მარგიანი, ჭუაძე, დ. ობოლაძე, ლ. ობოლაძე, ფირცხალაიშვილი, მურღულია

3ს: მეკოკიშვილი

სინბინი: მურვანიძე

„ლელომ“ „ლოკომოტივთან“ დაკარგული „აკადემიასთან“ მოიპოვა, ყოველ შემთხვევაში, ნაწილობრივ მაინც. ლევან მაისაშვილის გუნდმა რამდენიმე კვირის წინ ჩემპიონატის ფინალი დათმო და თასის ფინალშიც რომ ვერ გაემარჯვა, მთლად გაწბილებული ჩაამთავრებდა წელს.

საშაბათო რკენაში პირველივე წუთებზე გამოჩნდა, რომ მატჩის ბედი „ლელოს“ მარიფათზე იყო დამოკიდებული. დიდი ხანი აღარ გააჯანჯლა, დაახლოებით მე-8 წუთზე პირველივე გააზრებულ შეტევაში ხიფათი შექმნა და „აკადემიას“ დაცვამ ხაზთან შვიდიოდ მეტრში შეაჩერა კორკელია. სამ წუთში კი ლელოელმა ყიასაშვილმა გაჭრა მეტოქის უკანა ხაზი და რომ შებოჭეს, უკვე გვიანი იყო. ჯოგლიძემ გარდასახვაც შეაგდო და „ლელო“ 7:0 დაწინაურდა.

„აკადემია“ თავისას ეცადა და ორი საჯარიმო დარტყმით გაეპასუხა. პირველხაზელმა (!) მეკოკიშვილმა ერთი გაიტანა. მოედანზე წასაგებად ცხადია არც „აკადემია“ გასულიყო, მაგრამ გუნდმა აშკარად დაკარგა რიხი, როცა მის მცველთა შეცდომა მეორე ლელოდ დაუჯდა. „აკადემიის“ დამცველმა დაკიდებული ბურთი ვერ დაიჭირა და „ლელოს“ მიძალება კოლელიშვილის ბრძოლა-ბრძოლაში დადებული ხუთქულიანით დასრულდა. ჯოგლიძემ ესეც გარდასახა.

აკადემიელებმა მეორე ლელოსაც მეორე საჯარიმოთი უპასუხეს და ტაიმი 14:6 ჩამთავრდა.

მეორე ნახევარი ჯოგლიძის ზუსტი საჯარიმოთი დაიწყო — ლელოელთა გარემარბი შაბათს თითქმის არ ცდებოდა და ექვსი დარტყმიდან ხუთი ძელებშორის გაატარა.

„აკადემიას“ იქნებ კიდევ მოეხერხებინა მატჩის გადარდატეხა, მეორე ტაიმის შუაწელს მეტოქის ჩათვლის მოედნიდან ხუთ მეტრში საკუთარი აუტი რომ მოეგო და ქულებად გარდაესახა. გულახდილად რომ ვთქვათ, ეს ერთი რეალური შანსი ჰქონდა, მაგრამ აუტში ბურთი ვერ მოიხელთა და 7-ქულიანი იერიში გაუცუდდა.

მაინც არ ნებდებოდნენ პაატა ნარიმანიძის შეგირდები. 58-ე წუთზე მათ გუნდის ერთ-ერთ ხელმძღვანელი, 39 წლის დიმა ობოლაძეც კი მიეხმარათ. ნაკრების ყოფილი კაპიტნის წყალობით „აკადემიის“ შერკინებას გამოცოცხლება დაეტყო, მეკოკიშვილმა მესამე საჯარიმო გაიტანა, მაგრამ ამას „ლელომ“ გუნდური ლელოთი უპასუხა, რომელიც შეცვლაზე შესულმა ახალაიამ დაამიწა, ჯოგლიძემ კი ერთადერთ გაცუდებულ გარდასახვას ზუსტი საჯარიმო მიაყოლა და 28:9 დაუსვა წერტილი ამ ცივ და უმაყურებლო ფინალს.

**ირაკლი ფირცხალავა**



## რუსეთი: ქართველებმა დაგვაკომპლექსეს

**რაგბის** საერთაშორისო საბჭოს გადაწყვეტილებით, ერთა თასზე საქართველოს და რუსეთის ნაკრებები ერთმანეთს ნეიტრალურ მოედანზე შეხვდებიან. რუსები მასპინძლობას 2009 წლის 21 მარტს უკრაინაში გაგვიწევენ. ჩვენი ლელოები კი „დათვებს“ 2010 წელს საფრანგეთში დაუპირისპირდებიან.

ისიც ვთქვათ, რომ რუსებს ახალი მთავარი მწვრთნელი ნიკოლაი ნერუში ჰყავს, რომელმაც შეგირდებს ახალი ზელანდიის მსოფლიოს თასზე გასვლა დაუსახა მიზნად და დაამატა, რომ ამ საქმეში მთავარი კონკურენტები რუმინეთი და საქართველოს იქნებიან. მისივე აზრით, საქართველოს 15 წელი რომ ვერ უგებენ, ეს ერთგვარი კომპლექსის ბრალია და მისი მოშორება აუცილებელია.

# გიორგი შკინინი პირველს უმაღლესზე არ ცვლის



გიორგი შკინინი 6 წლისა იყო, ცურვაზე რომ შეიყვანეს. შემდეგ მძლეოსნობაზე მივიდა, თუმცა, საკუთარი თავი რაგბიში იპოვა. ახლა, 25 წლის ასაკში, ის საქართველოს შვიდკაცა ნაკრების კაპიტანია. ამასთანავე მწვრთნელის ფუნქციებსაც ითავსებს, ბავშვებს ავარჯიშებს და იმაზე წუხს, რომ ფინანსური და რიგი სხვა ყოფითი პრობლემების გამო, ნიჭიერ სპორტსმენებს საკუთარ თავის უკეთ წარმოჩენის საშუალება არ ეძლევათ. გიორგი შკინის ქართული რაგბის დღევანდელობაზე და დუბაისა და სამხრეთ აფრიკაში გამართულ მსოფლიოს თასის ეტაპებზე ვესაუბრეთ, რომლებზეც საქართველოს ნაკრებმა ათივე თამაში წააგო. საუბარი კი თავად გიორგის ბავშვობით დავიწყეთ...

**— როგორ მოხვედი რაგბიში?**

— ჩემს სამეზობლოში ყველა რაგბის თამაშობდა და მეც დავინტერესდი. „ხულიგანაში“ მივედი. 6 წლიდან აქტიურად სპორტში ვარ, რაგბის თამაში კი 16 წლიდან დავიწყე. გატაცება პროფესიონალიზმმა შეცვალა და ჩემი ცხოვრება ამ კუთხით წარიმართა, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ საქართველოში ისეთი დონეა, რომ მხოლოდ რაგბით ცხოვრება შეიძლებოდეს. პროფესიით სამართალმცოდნე ვარ, თუმცა ამ სპეციალობით არასოდეს მიმუშავია. ვფიქრობ, მოვა დრო, როცა თამაშს მუშაობასთან შევათავსებ.

**— ანუ, საქართველოში რაგბის განვითარების პირობები არ არის...**

— ბიჭებს საკმაოდ მძიმე პირობებში გვიწევს ვარჯიში. საქართველოში ამ მხრივ საკმაოდ მძიმე მდგომარეობაა. გუნდების უმრავლესობას სპონსორი არ ჰყავს. მხოლოდ უმაღლესი ლიგის ერთ-ორ გუნდს ასპონსორებენ. დანარჩენებს რაგბის კავშირი პატრონობს.

**— საქართველოს შვიდკაცა ნაკრებმა დუბაისა და სამხრეთ აფრიკაში ცუდად ითამაშა...**

— ვფიქრობ, გამოცდილება გვაკლა. ალბათ, მონდომებაც. რამდენიმე აშკარად მოსაგები თამაში წავაგეთ. არ გვქონდა საკმარისი დრო ვარჯიშისა და შეთამაშებისთვის. რამდენიმე მოთამაშე ეროვნულ ნაკრებს შოტლანდიურ ტურნეზე ვახლდით და დუბაიში გამგზავრებამდე მხოლოდ სამი დღით ადრე ჩამოვედით.

**— საქართველოს ჩემპიონატის პირველი ლიგის „ხულიგანაში“ თამაშობ. უმაღლესი ლიგის რომელიმე გუნდში რატომ არ გადადიხარ?**

— თუნდაც იმიტომ, რომ გუნდის დატოვება არ მინდა. ამასთანავე არ მგონია, რომ უმაღლეს ლიგაში თამაში უფრო პრივილეგირებულს გამხდის.

**— მოედანზე გასვლის წინ რაიმე რიტუალს თუ ატარებ?**

— არა, ცრუმორწმუნე ნაკლებად ვარ. არც რაიმე თილისმა მაქვს, მაგრამ გუნდი თამაშის დაწყებამდე ყოველთვის ვამბობთ „მამაო ჩვენოს“.

**— თავისუფალ დროს რითი ერთობი?**

— ჩემთვის გართობა დასვენებაა, რადგან საკმაოდ დატვირთული და დამღლელი გრაფიკი მაქვს. კლუბებს და ხმაურიან ადგილებ ნაკლებად ვეტანები. მირჩევნია, დრო მეგობრების გვერდით, მშვიდ ატმოსფეროში გავატარო.

**— როგორი დატვირთვით ვარჯიშობ?**

— ჩვეულებრივ კვირაში 3-ჯერ ვვარჯიშობთ, თუმცა ეს არასაკმარისია. ნაკრების მოთამაშეები დამატებითაც იტვირთებიან. გვაქვს გასვლითი თამაშები, რომელსაც რაგბის კავშირი აფინანსებს და რომელიც საკმაოდ საინტერესოა ჩვენთვის.

**— რამდენად მნიშვნელოვანია გულშემატკივარი მოტივაციისთვის?**

— გულშემატკივარს, რასაკვირველია, უდიდესი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ როცა მოედანზე ვარ, მაყურებელს ვერ ვამჩნევ. მესმის, ვხედავ, მაგრამ ვერ აღვიქვამ... თამაშის დამთავრების შემდეგ ვაცნობიერებ ამ ყველაფერს.

**— გეგმებზეც გვითხარი...**

— 2009 წელს დუბაიში გაიმართება შვიდკაცას მსოფლიო თასი და ძალიან გვინდა, ჩვენმა ნაკრებმაც მიიღოს მონაწილეობა. 2011 წელს კი, დარწმუნებული ვარ, მსოფლიოს თასზე ვითამაშებთ. ახალ ზელანდიაში ჩვენი მიზანი ჯგუფიდან გასვლა იქნება.

**— ერთსაც გკითხავ: მსოფლიოს თასზე ირლანდიასთან ლელო რომ გაიტანე და მატჩის საუკეთესო მოთამაშედაც დაგასახელეს... რა განცდა იყო?**

— საოცრად ამაყი ვიყავი, რადგან ამდენი ცნობილი და სახელოვანი მოთამაშის გვერდით სწორედ მე მხვდა წილად ეს პატივი.

**ანა მახარაშვილი**

# პრეზიდენტი და მილიონი დოლარი

## რუსისთვის სამშობლო პუტინია

საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის ახალი პრეზიდენტი გია ნაცვლიშვილი თანამდებობაზე სერიოზული მიზნებით მივიდა. მისი სურვილია, 2012 წლის ოლიმპიადაზე ჩვენი ქვეყანა 50 სპორტსმენით წარდგეს და ოქროს მედლების რაოდენობა ექვსამდე გაიზარდოს. აქცენტი გაკეთდება გუნდურ სახეობებზეც და საამისოდ გარკვეული ნაბიჯები უკვე გადაიდგა: წყალბურთელთა ნაკრების ყოფა ძველთან შესადარებელიც არ არის.

გუნდური სახეობებიდან ყველაზე მეტად სწორედ წყალბურთელებს აქვთ ოლიმპიადაზე მოხვედრის შანსი, თუმცა ამაზე ლაპარაკი ჯერ მაინც ნაადრევია. ყურადღება დაეთმობა ისეთ სახეობებსაც, სადაც ადრე დიდი გამარჯვებები მოგვიპოვებია, დღეს კი მხოლოდ ძველი წარმატებების გახსენება შეგვიძლია.

საინტერესოა ინფრასტრუქტურის და ბიზნესმენთა მიერ სპორტში ფულის ჩადების საკითხიც. მოკლედ, ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტთან სასაუბრო ბევრი გვქონდა. როდესაც ინტერვიუ ვთხოვეთ, გია ნაცვლიშვილმა თავად გამოთქვა რედაქციაში სტუმრობის სურვილი...



ნუგზარ სუხიშვილის ფოტო

— ვიდრე საუბარს დავიწყებთ, მინდა ჩემი მხარდაჭერა გამოვუცხადო „სარბიელს". როდესაც გავიგე, რომ დროებით გამოცემა შეჩერდა, გული დამწყდა. პირველი დამოუკიდებელი სპორტული გაზეთია და თავისი ადგილი უჭირავს ქართულ მედიაში. ჩემი აქ მოსვლით სოლიდარობას ვუცხადებ „სარბიელს".

— გმადლობთ მხარდაჭერისთვის. ახლახანს მონაკოში იყავით, სადაც „სპორტის და მშვიდობის" კონგრესი ჩატარდა. ესაუბრეთ მონაკოს პრინც ალბერტს, ვინაც გაისად საქართველოში ჩამოსვლას დაგპირდათ...

— ყოველწლიური კონგრესი იყო და ჩვენც საკმაოდ საინტერესო საუბრები გვქონდა. აქ მოხდა თურქი და სომეხი, ასევე ებრაელი და პალესტინელი დელეგატების შეხვედრა. მართალია, ყველა პრობლემას ასეთ დროს ვერ გადაწყვეტ, თუმცა მსგავს საუბრებს მაინც საკმაოდ პოზიტიური როლის შესრულება შეუძლია.

იმის საშუალება არ იყო, რომ სიტყვით გამოვსულიყავი, მაგრამ გვქონდა არაოფიციალური საუბრები სხვადასხვა გავლენიან პირებთან და მათ შორის, პრინც ალბერტთან. ამ ადამიანს ძალიან ბევრის გაკეთება შეუძლია და უალრესად სერიოზული კავშირები აქვს. მონაკოში კიდევ ერთხელ ვისაუბრეთ სოჭის ოლიმპიადაზე. ჩვენი პოზიცია ცალსახაა: არ ვეწინააღმდეგებით იქ ოლიმპიადის ჩატარებას, მაგრამ ვითხოვ გარანტიებს, რომ ყველაფერი უსაფრთხოდ ჩაივლის. არავის უნდა დაავიწყდეს, სოჭიდან 20 კილომეტრში როგორი მდგომარეობაა. ოლიმპიადა კი მშვიდობის, სოლიდარობის თამაშებია და ეს ყველაფერი ერთმანეთს ეწინააღმდეგება. ალარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ რუსეთი ვერც საორგანიზაციო საკითხების მოგვარებას ასწრებს.

რაც შეეხება პრინც ალბერტს, ის თანახმაა, გაისად ჩამოვიდეს საქართველოში სეოკ-ის 20 წლის იუბილესთან დაკავშირებით. ის სავარაუდოდ, სექტემბრის მიწურულს გვეწვევა, თუ რამე გაუთვალისწინებელი არ მოხდა.

**— მონაკომდე თურქეთში იყავით. იქ სოჭის ოლიმპიადის საკითხი განიხილეს. წასვლის წინ თქვით, რომ სხვა ქვეყნებიდან გარკვეული მხარდაჭერა გქონდათ და 2014 წლის ოლიმპიადის სოჭიდან სხვაგან გადატანის საკითხს წამოჭრიდით...**

— უსაფრთხოების გარანტიები მოვითხოვეთ. ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა კი რუსეთის დელეგაციას არ მისცა სიტყვა და თავად გვიპასუხა. მისი თქმით, რუსეთის ხელისუფლება იძლევა გარანტიას, რომ ოლიმპიადა მშვიდად ჩაივლის. სხვათა შორის, რუსებმა ოლიმპიადის ერთგვარი პრეზენტაციაც მოაწყვეს — ჯერ აჩვენეს რუკა, შემდეგ პუტინის სურათი, ტრანსფორმატორი, რომელიც საქართველოში ბევრ სოფელში შეიძლება ნახო და ქვიშის მომპოვებელი საამქრო... ანუ, ელემენტარულად პრეზენტაციაც ვერ გააკეთეს სათანადოდ. როგორც კი რაიმე კრიტიკულს ამბობ სოჭზე, რუსეთის დელეგაცია ამას ისე იღებს, თითქოს პუტინს აკრიტიკებ და კბილებით იცავენ.

მიუხედავად ყველაფრისა, ჩვენ გაჩერებას არ ვაპირებთ და ბოლომდე ვეცდებით ჩვენი პოზიციის გატანას. ჩატარდეს ოლიმპიადა სოჭში, მაგრამ არა იმ პირობებში, რასაც რუსეთი საქართველოში აკეთებს.

**— თქვენ დიდ ყურადღებას აქცევთ გუნდურ სახეობებს. ჯერ კიდევ პრეზიდენტობამდე თქვით, წყალბურთის ნაკრებმა ლონდონის ოლიმპიადაზე მოსახვედრად უნდა იბრძოლოსო და რევაზ ჩომახიძის ჩამოყვანაც გადაწყვიტეთ. რაიმე სიახლე ხომ არ არის ამ მხრივ?**

— უკრაინის ღია პირველობაზე ვიყავი. ვნახე ბიჭების თამაში და კმაყოფილი დავრჩი. ფიზიკური თუ ცურვის სისწრაფის თვალსაზრისით ყველაფერი კარგად იყო. პრობლემა ტაქტიკის მხრივ ჰქონდათ, მაგრამ არა უშავს, ეს დროის პრობლემაა და მოგვარდება. თან უკრაინაში ორი ლეგიონერი ვერ ჩამოვიდა და ისინი მომდევნო ტურზე გვეყოლება. გარდა ამისა, იგეგმება უცხოელი წყალბურთელების ნატურალიზება და ეს საკითხი უახლოეს მომავალში გაირკვევა. რაც შეეხება რევაზ ჩომახიძეს, მასთან დაკავშირებით არასწორი ინფორმაცია გავრცელდა. რადგან ამ ეტაპზე მისი მწვრთნელად ჩამოყვანა ვერ მოხერხდა და ნაკრებს თავკაცი ჰყავს, გვინდა, რომ რეზომ აქ ითამაშოს და ბიჭებს გამოცდილება გაუზიაროს...ანუ თუ ჩამოვა, მოთამაშე იქნება და მერე მწვრთნელობაზეც ვიფიქრებთ.

**— რევაზ ჩომახიძე ჩამოსვლაზე თანახმაა, თუმც მას „შტურმთან" 2010 წლის მაისამდე აქვს კონტრაქტი და ეს უშლის ხელს...**

— მისი კონტრაქტი 1+1 სისტემით არის გაფორმებული — პირველი ნაწილი გაისად, მაისში მთავრდება და მისი გაწყვეტა შეიძლება. რეზომ თავისი პირობები გვითხრა, მათ შორის, ანაზღაურებასთან დაკავშირებით. მას დეკემბერში თბილისში უნდა ვესაუბროთ და ვფიქრობ, ეს საკითხი დადებითად გადაწყდება. მას ბევრი რამ მისცა საქართველომ და კარგი იქნება, თუ კარიერის ბოლოს აქ ითამაშებს. თვითონვე თქვა, რომ ვალშია სამშობლოსთან.

**— სათამაშო სახეობებიდან მძიმე მდგომარეობაშია ხელბურთიც. აქ რის გაკეთებას აპირებთ?**

— ზაურ ცხადაძე ჩემი მეგობარია, თუმცა მან ვერ შეძლო საკუთარი გეგმების განხორციელება. ბოლო არჩევნებზე მხარს ვუჭერდი ზაზა დოლიძეს და მჯერა, რომ ხელბურთში სიტუაცია შეიცვლება.

**— ბევრი ისეთი სახეობაა, სადაც წარმატებები გვქონდა, დღეს კი უმძიმესი ვითარებაა, თუნდაც ფარიკაობა, ველოსპორტი...**

— არც ერთ სახეობას არ დავივიწყებთ. მთავარია დავინახოთ, რომ პოტენციალი არის. გვინდა, რომ ლონდონში გვყავდეს ერთი ლიცენზიანტი მაინც ტაეკვანდოში. ბატუტში გვყავს ლუბა გოლოვინა და თენგიზ კოშკაძე და მათგან ოლიმპიადაზე შედეგებსაც ველით. იტალიიდან ჩამოვიყვანთ გურამ ბიგანიშვილს და აფროსნობაში ლიცენზიისთვის იბრძოლებს. ცურვაშიც ლიცენზიები ჩვენ უნდა მოვიპოვოთ და ველური ბარათით აღარ დავკმაყოფილდეთ. მძლეოსნობაშიც გამოსწორდება ვითარება. აქ უკეთეს შედეგებს ველით. ლონდონში აუცილებლად უნდა წავიდნენ წყალში მხტომელები შოთა კოროხაშვილი და ჭოლა ჭანტურია. ალარაფერს ვამბობ ჭიდაობაზე და ძიუდოზე. აქ 22 ლიცენზია უნდა მოვიპოვოთ, ანუ შვიდივე წონით კატეგორიაში სამივე სახეობიდან და კიდევ ერთ ლიცენზიას გოგონასგან ველით ძიუდოში. ლონდონში 16-17 სახეობის 50 სპორტსმენი გვეყოლება და 5-6 ოქროს მედლისთვის ვიბრძოლებთ. მთავარი დამრტყმელი ძალა, რა თქმა უნდა, ისევ ჭიდაობა და ძიუდო იქნება. გარდა ამისა, ძალოსნობაში არსენ კასაბიევის გვეიმედება და კრივშიც ერთ-ერთმა ბიჭმა ოქროსთვის უნდა იბრძოლოს.

**— პრობლემატურია ინფრასტრუქტურის საკითხი. გორში მოჭიდავეებს დარბაზის ფართი არ ჰყოფნით, არადა, იქ გიორგი გოგშელიძე და ოთარ თუშიშვილი ვარჯიშობენ...**

— სამწუხაროდ, ჯერ იმის ფინანსები არ არის, რომ ყველა პრობლემა გადავჭრათ. თუმცა რაც შეგვიძლია, გავაკეთებთ და სხვა მხრივაც დავეხმარებით ფედერაციებს. რისი თქმაც ახლა შემიძლია ის არის, რომ აუზის პრობლემა გადაიჭრება. ასევე ვაპირებთ, რომ მოგვარდეს სპორტის აკადემიის საკითხი. ჩემი პოზიციაა, რომ საჭიროა სპორტსმენებმა უმაღლესი განათლება მიიღონ და არა ისე, რომ ვინმე მხოლოდ დიპლომის გამო სწავლობდეს. ეს საკითხი ძალიან მნიშვნელოვანია. საქართველოში პრობლემატურია მწვრთნელების საკითხიც და ამ ყველაფერს უნდა მივხედოთ.

**— მნიშვნელოვანია ფინანსური საკითხი და აქ მარტო სახელმწიფოს გამოყოფილი სუბსიდია საკმარისი არ არის. რამდენად მოხერხდება ბიზნესმენების ჩართვა ქართულ სპორტში?**

— 24 დეკემბერს დაარსდება მეცენატთა დარბაზი, სადაც 10 ბიზნესმენი გაერთიანდება. მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკურად რთული სიტუაციაა, ეს ხალხი მზად არის, ფული ჩადოს სპორტში. შევიკრიბებით და კენჭისყრით გადაწყდება, რომელი სახეობა იქნება დასაფინანსებლად უფრო უპრიანი კონკრეტულ მომენტში. ეს ბიზნესმენები სპორტის დასახმარებლად ერთ მილიონ დოლარს გაიღებენ. გვეხმარება სახელმწიფოც და ახალი წლიდან ახალ ოფისში გადავალთ დოლიძის ქუჩაზე. რაც მთავარია, სახელმწიფო ოლიმპიური კომიტეტის მნიშვნელოვნად დასაფინანსებლად მზად არის. უკვე გვქონდა საუბრები სპორტის მინისტრ ნიკა რურუასთან და ყველანაირად მხარში გვიდგას. სხვათა შორის, ის მოფარიკავე იყო და დაინტერესებულია ამ სახეობის განვითარებით.

**— და ერთიც: ხომ არ აპირებთ, რომ სახეობებში, რომელიც საქართველოში განვითარებული არ არის, უცხოელი სპორტსმენები ჩამოიყვანოთ, როგორც ეს წყალბურთზე თქვით?**

— ეს ფედერაციების გადასაწყვეტია, თუმცა პირადად მე ნაკლებად ვარ ამის მომხრე. კონკრეტულ სახეობებში მირჩევნია მწვრთნელი ჩამოვიყვანო და მან ქართველ ახალგაზრდებს ცოდნა მისცეს. ზოგადად კი, როგორც ვთქვი, ამის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს.

**ლევან მაისურაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მათ უკან ეიფელია



კრისტინას საქორწილო ფოტო




ჩვენმა პლაჟბურთელებმა კრისტინა სანტანამ და ანდრეზა ჩაგასმა, იგივე საქა-რთველომ პეკინის ოლიმპიადაზე კარგად ითამაშეს, ჯგუფში რუსების წყვილი ურიადოვა-შირიაევა დაამარცხეს და მომდევნო ეტაპზე გავიდნენ. საქართველოს, აგვისტოს თვეში განვითარებული მოვლენების გამო, ის გამარჯვება გულზე მალამოსავით დაედო. ეს ამბავი სასიამოვნო უფრო მეტად იმადაც გახლდათ, რომ ბრაზილიელებს სრულად ჰქონდათ ამ მატჩის მნიშვნელობა გათავისებული, რუსებს გაათმაგებული ენერგიით დაუპირისპირდნენ და ლამის ნაგებული მატჩი შემოუტრიალეს. კრისტინასთან და ანდრეზასთან ოლიმპიადის ამბების გარდა სხვა საინტერესო საკითხებზეც ვისაუბრეთ...

## საქა-რთველო სანდრა რულოვსს რუსეთს დაჰპირდა

*კრისტინა:* ოლიმპიადის საგზური ბოლო მომენტში მოვიპოვეთ და ამან ძალიან გაგვახარა. მთლიანობაში პეკინში ჩვენი თამაშით კმაყოფილები ვართ. მთავარი მიზანი რუსების დამარცხება იყო და ეს ამოცანა წარმატებით შევასრულეთ.

*ანდრეზა:* მართლა არ გვეგონა, რუსებთან მატჩი ამხელა აჟიოტაჟს თუ გამოიწვევდა. შეხვედრას 11 ათასი გულშემატკივარი დაესწრო და პრესკონფერენციაზე 250 ჟურნალისტი მოვიდა. ასეთმა ყურადღებამ კიდევ უფრო მეტი სტიმული მოგვცა. ქართველებთან ურთიერთობაში ვგრძნობდით, რომ მათ ძალიან უნდოდათ რუსების დამარცხება. მატჩის შემდეგ უბედნიერესი ადამიანები ვიყავით. ეს გამარჯვება ცხოვრების ბოლომდე არ დაგვავიწყდება.

— ნამატჩევ პრესკონფერენციაზე რუსმა პლაჟბურთელებმა საკმაოდ უხეშად ისაუბრეს. მათ თქვეს, რომ თქვენ ქართველები არ იყავით და არც ის იცოდით საქართველოს პრეზიდენტი ვინ იყო.

*კრისტინა:* რამაც ჩვენ ძალიან გაგვალიზიანა. ყველაფერი კარგად ვიცოდით და სწორედ იმ დღეებში საქართველოს პირველ ლედის, სანდრა რულოვსსაც ვესაუბრეთ. რუსი სპორტსმენების საქციელი ლამაზი ნამდვილად არ იყო.

— რაზე ისაუბრეთ სანდრა რულოვსთან?

*კრისტინა:* მაშინ პეკინიდან ქართული დელეგაციის დაბრუნებაზე იყო საუბარი. ჩვენ ვუთხარით, რომ საქართველოში არავინ გვყავდა და იმ დროისთვის ვერც ბრაზილიაში წასვლას მოვახერხებდით. ამიტომ გვერჩივნა, პეკინში დავრჩენილიყავით და მთავარი საქმე რუსების დამარცხებით გაგვეკეთებინა. საბედნიეროდ, მერე გადაწყდა, რომ ჩინეთში ვრჩებოდით.

— თქვენს თამაშს საქართველოში დიდი გამოხმაურება მოჰყვა. როგორი განწყობა იყო ამ მხრივ ბრაზილიაში?

*ანდრეზა:* ოლიმპიადაზე ბრაზილიელი გულშემატკივარი თითქმის არ გვიცნობდა, პეკინში თამაშის შემდეგ კი ძალიან ბევრი გვცნობს. ქუჩაში რომ მივდივართ, გვაჩერებენ და გვესაუბრებიან, რაც მართლა სასიამოვნოა. ბრაზილიური წყვილის შემდეგ ხომ მთელი ქვეყანა გვქომაგობდა. წარმოგიდგენიათ, რა ხდებოდა ჩვენ სამშობლოში, როდესაც თანამემამულეებს პეკინში პირველი სეტი მოვუგეთ. ბრაზილიელი ხალხი ვანერვიულეთ, თუმცა მათგან საოცარ სითბოს ვგრძნობთ.

— წლეულს ძალიან დატვირთული სეზონი გქონდათ და დასვენებისთვის დროც თითქმის არ იყო. მიუხედავად ამისა, საქართველოში ფრენბურთელთა ნაკრებში თამაშს დაუფიქრებლად დათანხმდით. როგორ ფიქრობთ მოახერხებთ ჯგუფიდან გასვლას?

*კრისტინა:* ჩვენთვის საქაროველოს ნაკრების დახმარება დიდი პატივია და გვიხარია, რომ ვითამაშებთ. ვფიქრობ, ის გამოცდილება, რომელიც გვაქვს ნაკრებს წაადგება და წარმატებას მოგვიტანს. ყოველ შემთხვევაში ამისთვის არაფერს დავიშურებთ.

— ნაკრებს თამაშამდე რამდენიმე დღით ადრე შეუერთდებით. მოახერხებთ შეთამაშებას?

*ანდრეზა:* მატჩებამდე მოგვიწევს ერთად ვარჯიშების ჩატარება და ეს პრობლემაც მოგვარდება. მით უმეტეს დარწმუნებული ვარ რომ გოგონები ესტონეთში საბრძოლველად ჩამოდიან. ერთად ყველაფერს გავაკეთებთ.

— საერთაშორისო ტურნირებში მუდმივად თამაშობთ და ხშირად თვეობით სამშობლოში ვერ ჩადიხართ. როგორ ეგუებიან ამას თქვენი ოჯახები?

*კრისტინა:* რთულია თვეობით ოჯახისგან მოწყვეტა, მაგრამ ასეთი პროფესია გვაქვს და რა გაეწყობა. მე ის მეხმარება, რომ მეუღლე ჰარლი მარკესი პლაჟბურთელია და ხშირად ერთად ვართ. თუმცა ოჯახი მაინც ძალიან მენატრება.

*ანდრეზა:* ოჯახთან განშორება მეც მიჭირს. სამწუხაროდ ჩემი მეუღლე ბრაზილიაშია და მასაც ვერ ვნახულობ ხშირად. ისე კი, ახლახანს გერმანიაში ყოფნის დროს ვეღარ მოითმინა და ჩამომაკითხა.

— პლაჟბურთი დიდ ფიზიკურ დატვირთვას მოითხოვს და საკმაოდ დამღლელია. მატჩების შემდეგ როგორ ისვენებთ?

*კრისტინა:* ძალიან მიყვარს წიგნების კითხვა და ხშირად ვკითხულობ. მომქანცველი თამაშების შემდეგ განტვირთვის საშუალებაა.

*ანდრეზა:* კითხვა მეც ძალიან მიყვარს. თუ ამის დრო მაქვს, არც გასეირნებაზე ვამბობ უარს.

— მუდმივად სხვადასხვა ქვეყანაში მოგზაურობთ, გამორჩევით თუ მოგწონთ რომელიმე?

*კრისტინა:* მეც და ანდრეზასაც საფრანგეთი გვიყვარს, სასიამოვნოა იქ თამაში. არაფერი სჯობს იმას, როდესაც თამაშობ და იცი, რომ შენს უკან ეიფელის კოშკია. პარიზი ძალიან რომანტიკულია და ყველაზე მეტად გვიყვარს.

*ანდრეზა:* ბევრ ქვეყანაში კი ვმოგზაურობთ, მაგრამ იმის დრო ნაკლებად გვრჩება რომ მატჩების შემდეგ ქალაქში გავისეირნოთ და ღირსშესანიშნაობები დავათვალიეროთ, რაც ცუდია.

— ახლა ის გვითხარით კარიერის დამთავრების შემდეგ რის გაკეთებას აპირებთ?

*კრისტინა:* ბიზნესის და მარკეტინგის სპეციალობა მაქვს, თუმცა კარიერის დამთავრების შემდეგ ძალიან მინდა ჩემი საკუთარი სკოლა მქონდეს. ასევე მინდა, დედა გავხდე და შვილები გავზარდო.

*ანდრეზა:* სპორტული განათლება მივიღე და საბუღალტრო კურსებიც გავიარე. სურვილი მაქვს ცოდნა გავიღრმავო და ბუღალტერიაში სწავლა გავაგრძელო.

— ისევ პლაჟბურთს დავუბრუნდეთ, ალბათ უკვე ფიქრობთ ლონდონის 2012 წლის ოლიმპიადაზე...

*კრისტინა:* ოლიმპიადისთვის მზადებას 12 იანვრიდან დავიწყებთ, როგორც კი სანაკრებო მატჩები დასრულდება. პეკინის ოლიმპიადის საგზური ბოლოსლა მოვიპოვეთ, ახლა იგივე არ უნდა განმეორდეს. 2011 წელს უკვე ლიცენზია უნდა გვქონდეს და 2012 წელი მთლიანად ოლიმპიადისთვის მზადებას დავუთმოთ.

— საქართველოში ჩამოსვლას როდისლა აპირებთ?

*ანდრეზა:* საქართველოს ნახვა ძალიან გვინდა, განსაკუთრებით მას შემდეგ რაც ახლოს გავიცანით ქართველი ხალხი. მათ უდიდესი სითბო დაგვანახეს და ერთი სული გვაქვს, თბილისში როდის ჩამოვალთ. იმედია, ეს მალე იქნება.

**ლექსო მაისურაძე**

ჭიდაობა



ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტად ახლახან **უშანგი ყურაშვილი** აირჩიეს. ეს ფედერაცია აქამდე დალხენილად ნამდვილად არ ყოფილა, ბევრი პრობლემა ჰქონდა და საქმეს თავს სათანადოდ ვერართმევდა. არადა, ქართული ჭიდაობის განვითარება ძალიან მნიშვნელოვანია. დღესაც ძიუდოსა და თავისუფალ თუ ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ბევრი ილეთი გამოიყენება ქართული ტრადიციული ჭიდაობიდან. უამრავია ისეთი სპორტსმენიც, რომელსაც კარიერა ქართული ჭიდაობით დაუწყია, მერე ძიუდოისტი ანაც ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე გამხდარა. ახალ პრეზიდენტს ბევრი გეგმები აქვს და ქართული ჭიდაობის საერთაშორისო ასპარეზზე გატანასაც აპირებს. უშანგი ყურაშვილს სხვადასხვა საინტერესო საკითხებზე ვესაუბრეთ...

# მსოფლიო თბილისში ქართულად იჭიდავებს

## დიდი და პატარა ჩოხას ჩაიცვამს

— ქართული ჭიდაობა მთლიანად ჩამკვდარი იყო და არაფერი კეთდებოდა. სიმართლე გითხრათ, ვიდრე პრეზიდენტის პოსტზე ჩემს კანდიდატურას წარვადგენდი, ბევრი ვიფიქრე. იყო შემოთავაზებები სხვა ფედერაციებიდანაც: უარი ვთქვი ძიუდოს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტობაზე, ასევე არ წავედი სამბოს ფედერაციაში. მქონდა საინტერესო და საქმიანი საუბარი სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარესთან. დავით ნამგალაური დაინტერესებულია ტრადიციული ჭიდაობით და იცის, რომ მისი განვითარება ძალიან მნიშვნელოვანია. მესმის, რომ დღეს ბევრი პრობლემაა და საქმის გაძღოლა იოლი არ იქნება, თუმცა ყველაფრისთვის მზად ვარ და პროგრესი აუცილებლად იქნება.

— პრობლემა ბევრიაო, თქვით, იქნებ უფრო კონკრეტულად გვითხრათ?

— ელემენტარულით დავიწყოთ: ჩოხების და ინვენტარის პრობლემაა. ვიღაცას ეს შეიძლება უბრალო საკითხად მოეჩვენოს, მაგრამ აქედან იწყება ყველაფერი. რამდენჯერ გვინახავს სოფლებში, რომ ჭიდაობის დროს ერთ ჩოხას რამდენიმე ადამიანი იცვლიდა. ეს დაუშვებელია და ამ საკითხს გადავწყვეტთ. უახლოეს მომავალში ჩოხებს შევკერავთ, თან ხარისხიანს და არა ისეთს, ადვილად რომ იხევა. რაც მთავარია, მათ უსასყიდლოდ დავარიგებთ რეგიონებში. ვიზრუნებთ დარბაზების კეთილმოწყობაზე. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა რეგიონებს — ჭიდაობის ფესვები ხომ იქიდან მოდის. რაც შეიძლება, ბევრი ტურნირი უნდა ჩავატაროთ. სადაც კი მიგვიწვდება ხელი, ახალგაზრდებს მოვუყრით თავს და ტურნირებს ჩავატარებთ. სოფელ-სოფელ უნდა ვიაროთ და ჭიდაობა გამოვაცოცხლოთ.

— თქვით, ტურნირების ჩატარებას ვაპირებთო. მსგავს ტურნირებზე ხშირად ცნობილი ფალავნებიც გამოდიან, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. მაგრამ ცნობილი ფალავნები, სხვადასხვა ნაკრებებში ჭიდაობენ და ხშირად არ გამოდიან ასეთ ტურნირებზე. ხომ არ ფიქრობთ საპრიზო ფონდის გაზრდას ინტერესის გასაზრდელად?

— არც ერთი ტურნირი არ ჩატარდება პრიზების და ფასიანი საჩუქრების გარეშე. მხოლოდ დიდ ტურნირებს არ ვგულისხმობ. ყველა სოფელში, სადაც კი ჭიდაობა იქნება, საჩუქრებს და პრიზებს დავაწესებთ. გასაგებია, რომ ხალხს ძალიან უყვარს ჭიდაობა და ბევრი ადამიანია დაინტერესებული, მაგრამ აუცილებელია მათი წახალისებაც. ამ საკითხზე სერიოზულად ვიზრუნებთ. მე მაქვს სპორტული მაღაზიების ბიზნესი და თამამად შემიძლია იმის თქმა, რომ თასების და საჩუქრების პრობლემა არ იქნება.

— როდიდან აპირებთ საქმის დაწყებას?

— მინდა, რომ გარშემო საქმიანი ადამიანები შემოვიკრიბო და სერიოზული მუშაობა დავიწყოთ. 2-3 წელიწადში შედეგები გვექნება. გვინდა, რომ ქართული ჭიდაობა საერთაშორისო ასპარეზზე გავიტანოთ და ამ მხრივ საინტერესო გეგმები გვაქვს. გაისად თბილისი ძიუდოში მსოფლიოს თასს უმასპინძლებს და მინდა, რომ ტურნირის მესამე დღეს მძიმე წონაში ქართული ჭიდაობის ტურნირი ჩატარდეს, რაც უდავოდ წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება. საუბრები მქონდა ძიუდოს ფედერაციის წარმომადგენლებთან და თუ მოვახერხე შეთანხმება, საქმეს წინ აღარაფერი დაუდგება. თავიდანვე უნდა გავაფრთხილოთ სხვა ქვეყნის წარმომადგენლები და უფრო მეტი სპორტსმენი რომ ჩამოიყვანონ. მესმის, რომ ამ პროექტის განხორციელება იოლი არ იქნება, მაგრამ მზად ვარ, რომ საამისოდ დიდი საპრიზო ფონდი დავაწესო. ვთქვათ, ჩემპიონისთვის ათი ათასი დოლარი, რაც ვფიქრობ, ბევრს დააინტერესებს. ასე რომ, სერიოზული გეგმები გვაქვს და მჯერა, რომ მალე ქართულ ჭიდაობაში დიდი პროგრესი იქნება, რაც მთლიანად ქვეყანას წაადგება.

**ლექსო მაისურაძე**

# ნოზაძემ ბავშვებს ხალიჩა გაუშალა



**ბერძნულ-რომაული** სტილით მოჭიდავეთა ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა რამაზ ნოზაძემ თეთრიწყაროს რაიონის სოფელ სალრაშენში საჭიდაო დარბაზი გახსნა, ინვენტარი სპორტსმენებმა ჩაიტანეს და 40-მდე ბავშვს ნოზაძის მამა, ვეტერანი მოჭიდავე ჯემალ ნოზაძე ავარჯიშებს. ჭიდაობაზე 6-16 წლამდე ახალგაზრდები დადიან, არც მოქმედი სპორტსმენების სტუმრობა აკლიათ. რამაზ ნოზაძემ და ბადრი ხასაიამ რამდენჯერმე ჩააკითხეს და ავარჯიშეს კიდეც.

ერთიც: რამაზმა მეორე მხარზეც გაიკეთა ოპერაცია და სარეაბილიტაციო კურსს გადის. ნოზაძე ტრავმებმა მთელი წელი გატანჯა და პეკინის ოლიმპიადაზეც ვერ შეხვდა სასურველ ფორმაში. ამ შემოდგომით მან კიევში ჯერ ერთ მხარზე გაიკეთა ოპერაცია, მერე კი ექიმების გადაწყვეტილებით მეორედ ჩააკითხა უკრაინის მთავარქალაქს და კიდევ ერთი ოპერაცია გაიკეთა. რამაზი სირბილს და მსუბუქად ვარჯიშს დაახლოებით ორ კვირაში დაიწყებს, თანდათანობით კი დატვირთვებსაც გაზრდის.

**ნიკა კობაძე**

ჭადრაკი

# პირველი ლიგა დასრულდა

**ჭადრაკის** სასახლეში საქართველოს ქალ მოჭადრაკეთა პირველი ლიგის ჩემპიონატი დასრულდა. ქეთი წაწალაშვილმა დამატებითი მაჩვენებლების წყალობით გაასწრო მერი არაბიძეს და 2009 წლის უმაღლესი ლიგის საგზურიც მოიპოვა. წაწალაშვილთან ერთად საუკეთესოთა მარაქაში არაბიძეც გაერევა. პირველ ლიგაში კი მესამე და მეოთხე ადგილები სოფო გურამიშვილმა და მარიამ დანელიამ დაიკავეს.

ჭიდაობა

# ბორჯომი ჩემპიონატამდე

**საქართველოს** თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრებები მომქანცველ სეზონს ბორჯომული შეკრებით დაასრულებენ. „თავისუფლები" უკვე იქ არიან და 12-დღიან მომზადებას გადიან.

ზაზა თურმანიძის ფალავნებიდან ყველა ბორჯომშია გელა სალირაშვილის და გიორგი გოგშელიძის გარდა — ისინი ინდოეთში საკლუბო ჩემპიონატზე ჭიდაობენ და ნაკრების შეკრებას, სავარაუდოდ, რამდენიმე დღითაც ვერ ჩამოუსწრებენ.

18 დეკემბერს ბორჯომში ანტიკოსები ჩავლენ და ვარჯიშს დაიწყებენ. აქვე ვთქვათ, რომ ფინანსური პრობლემების გამო ორივე ნაკრები მხოლოდ 20-20 მოჭიდავეს იახლებს.

ბორჯომული წვრთნების დასრულების შემდეგ მოჭიდავეები მომზადებას ინდივიდუალურად განაგრძობენ 23-25 იანვარს გასამართი საქართველოს ჩემპიონატისთვის.

საქართველოს პირველობაზე რამდენიმე ლიდერის გარდა ყველა იჭიდავებს. სავარაუდოდ, თავისუფლებიდან რევაზ მინდორაშვილი დაისვენებს, ანტიკოსებიდან კი უფრო მეტმა მოჭიდავემ უნდა გამოტოვოს შინაური ჩემპიონატი. აქ თავგამოჩენილი ფალავნები საერთაშორისო ტურნირებზე იჭიდავებენ.

წყალში ხტომა

# სამი მეტრიდან კიევში

**15 დეკემბერს** ქართველი წყალში მხტომელები ჭოლა ჭანტურია და შოთა კორახაშვილი კიევში გაემგზავრებიან და საკმაოდ წარმომადგენლობით ტურნირზე მოსინჯავენ ძალებს. ჭანტურია და კორახაშვილი სინქრონულ ვარჯიშებს გააკეთებენ და სამი მეტრიდან გადმოხტებიან ინდივიდუალურად.

ევროპის საერთაშორისო ფედერაციის მიერ ორგანიზებულ ტურნირზე საქართველოს გარდა, უკრაინის, ავსტრალიის, გერმანიის, რუსეთის, ჩინეთის, ბელორუსის, ბრაზილიის და აშშ-ის ნაკრებები გამოვლენ.

ჩვენ წყალში მხტომელებს კი მომდევნო საერთაშორისო ტურნირი გაისად ელით, როდესაც 12-18 თებერვალს ჩინეთის გრან-პრიზე გამოვლენ. 25 თებერვლიდან 2 მარტის ჩათვლით კი გერმანიაში ჩატარდება ტურნირი და ქართველები იქაც იქნებიან.

ძიუდო

# ქართველების აბსოლუტური

**20-22 დეკემბერს** საფრანგეთის ქალაქ ლევალუაში ძიუდოისტთა მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონატი ჩატარდება. საქართველოს ნაკრებიდან ფრანგულ ტატამზე ორი ძიუდოისტი გავა. ნაკრების პირველი ნომერი ლაშა გუჯეჯიანი და ზვიად ხანჯალიაშვილი. ხანჯალიაშვილმა მსოფლიოს ჩემპიონატზე გამგზავრების უფლება მას შემდეგ მიიღო, რაც საქართველოს ჩემპიონატზე პირველი ადგილი არავის დაუთმო.

ხელბურთი

# ტალახაძეს კრიზისი ირანში დაეწია

**საქართველოს** ხელბურთელთა ნაკრების მოთამაშე აკაკი ტალახაძე მთელი შემოდგომა ირანულ „აბუბუსლიმში" ვარჯიშობდა და გუნდში ჩარიცხვას ელოდა, თუმცა ამაოდ. ირანელები ჩვენებურის განაცხადში შეყვანას იანვრამდე ვერ ახერხებდნენ, მაგრამ ახლა როგორც ირკვევა, ამის გაკეთება აღარც მოუწევთ. გუნდში ფინანსური კრიზისია და ქართველის შეძენა ველარ ხერხდება. ამიტომ ტალახაძე ვიზის მოლოდინშია და თუ დროულად მოახერხა, სათამაშოდ თურქეთს მიაშურებს.

კალათბურთი

# ბერიშვილი პატარა ამერიკაში

**საქართველოს** სუპერლიგის სასოფლდო სამეურნეო უნივერსიტეტის კალათბურთელი მიშა ბერიშვილი NBA-ს „დ" ლიგაში, ოკლაჰომას შტატის „ტუსა-66"-ში გადავიდა. ბერიშვილი 7 ნოემბერს NBA-ს განვითარების ლიგის 10- რაუნდიანი დრაფტის მეხუთე რაუნდში პირველ ნომრად აირჩიეს და ამერიკაში 28 ნოემბრამდე უნდა ჩასულიყო, თუმცა ამერიკის საელჩომ ვიზა დაუგვიანა და წასვლა ახლალა მოახერხა.

ძიუდო

# ბრალი არ დამტკიცდა

**საქართველოს** ძიუდოისტთა ახალგაზრდული ნაკრების სამი წევრი: პაატა მერებაშვილი, ზებედა რეხვიაშვილი და გიორგი ბროლაშვილი სექტემბერში პოლონეთში გამართული ევროპის ჩემპიონატის დროს სექსუალური ძალადობის ბრალდებით დააპატიმრეს და წინასწარი სამთვიანი პატიმრობა მიუსაჯეს. თუმცა ქართველ ძიუდოისტებს წინასწარი პატიმრობის ვადა გაუვიდათ და რადგან დანაშაული არ დაუმტკიცდათ, გაათავისუფლეს.

ფრენბურთი

# ესტონური განრიგი

**ფრენბურთის** საერთაშორისო ფედერაციამ 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის ჯგუფური მატჩების კალენდარი დაადგინა. საქართველოს ქალ ფრენბურთელთა ნაკრები 9-11 იანვარს ტალინში მასპინძლების, მოლდოველების და დანიელების ნაკრებთან ითამაშებს. ფინალურ ეტაპზე საუკეთესო ნაკრები გავა.

**9 იანვარი**

**დანია — მოლდოვა**

**საქართველო — ესტონეთი**

**10 იანვარი**

**საქართველო — დანია**

**ესტონეთი — მოლდოვა**

**11 იანვარი**

**მოლდოვა — საქართველო**

**დანია — ესტონეთი**

ჩოგბურთი

# ბასილაშვილის ექვსიანი კი ბისკეინში



**ესპანელმა** ტორო-ფლორმა ესპანურსავე ბენიკარლოში მიმდინარე 10-ათასიან საჩოგბურთო ტურნირს ორი ქართველი გოგონა გამოთიშა. პირველივე წრეში მან ანა ჯიქიას 6:3 6:4 სძლია, მესამე წრეში კი სოფო ქვაცაბაია დაამარცხა (6:2 6:3).

სოფო ქვაცაბაიამ ესპანელთან წაგებამდე ორი წრე გაიარა და ბულგარელი პავლოვა და მექსიკელ ერემო გამოთიშა.

ამავე ტურნირზე მესამე წრეში დამარცხდა ნინელი ფიფიაც, თუმცალა ის რუსეთის მოქალაქეა.

ამერიკულ კი ბისკეინში კი შესანიშნავად თამაშობს 16 წლის ქართველი ნიკოლოზ ბასილაშვილი, ვინაც „ორანჯ ბოულის" ტურნირი საკვალიფიკაციო ეტაპიდან დაიწყო და ექვსი გამარჯვებით მეოთხედფინალს უწია. აქ ქართველის მეტოქე ამერიკელი ჯერმეირ ჯენკონსი იქნება.

მძლეოსნობა



# ოქროც და ბავშვიც

**ბელგია** სპორტში წელგამართულ ქვეყნად ითვლება, მაგრამ მძლეოსნობაში ვერც დიდი მიღწევებით დაიკვეხნის და არც მძლეოსანთა დიდი ამალა ჰყავს, მიუხედავად იმისა, რომ ეს სახეობა ყურადღების ნაკლებობას არ უჩივის და ბრიუსელი ზეპრესტიჟული „ოქროს ლიგის" ექვსი ეტაპიდან ერთ-ერთსაც კი მასპინძლობს. ბელგიას ორად ორი მსოფლიო დონის მძლეოსანი ჰყავს და ორივე ქალია — სპრინტერი კიმ გევარტი და სიმაღლეზე მხტომელი ტია ელებო. ამიერიდან კი მხოლოდ ერთი დარჩება.

ყველას გაუკვირდა, როდესაც 30 წლის ელებომ დედაქალაქში საგანგებო პრესკონფერენცია გამართა და ქვეყანას ამცნო, სარბიელს ვტოვებო. მაგრამ კიდევ უფრო მეტად გაოცდა ხალხი, როცა სათვალიანმა მხვართმა გამოაცხადა, შვილს ველოდები, უკვე მესამე თვეში ვარო. აგვისტოში პეკინის ოლიმპიადა რომ მოიგო, ელებოს და მის ბოიფრენდ ვიმ ვანდევენს მალევე დაუწყიათ სულ სხვა საკითხზე მუშაობა.

თუმცა თავად მძლეოსანი წასვლის მიზეზად სულ სხვა რამეს ასახელებს. „პეკინში რომ გავიმარჯვე და ოქროს მედალს ხელი შევახე, მივხვდი, რომ სპორტში ახალი მიზნის დასახვა გამიჭირდებოდა და ნახევარსპორტსმენობას წასვლა ვარჩიე. ახლა ორსულობის მესამე თვეში ვარ და ვერც კი აგიხსნით, რა მძაფრი მოლოდინით ვარ შეპყრობილი. ყოველთვის მინდოდა, რომ ბავშვები მყოლოდა და მიხარია, რომ რამდენიმე თვეში მე და ვიმი მშობლები გავხდებით. ის ჩემთვის არა მხოლოდ მწვრთნელი და მენეჯერი, საყვარელი ადამიანიცაა."

ელებოსთვის ოლიმპიური ჩემპიონობა მწვერვალი გამოდგა, მას ხომ მანამდე ევროპის ჩემპიონატის გარდა ბევრიც არაფერი მოეგო. მისი საუკეთესო ნახტომი 2,05 მეტრი მძლავრი შედეგია, თუმც ბელგიელი ყოველთვის როდი ახერხებდა ორმეტრიანი ნიშნულის გადალახვას. ბოლო ორი წელი კი მსოფლიოს ყველა სიმაღლეზე მხტომელთან ერთად ხორვატი ბლანკა ვლასიჩის ჩრდილში აღმოჩნდა და პეკინში გვარიანად გაუმართლა, ვლასიჩმა საუკეთესო შედეგი რომ ვერ აჩვენა.

„ამიერიდან რას გავაკეთებ? ვიმს მივეხმარები ყველაფერში, მათ შორის, „ოქროს ლიგის" ეტაპის საორგანიზაციო საკითხებში, როგორც ის მეხმარებოდა სპორტსმენობის დროს ყველაფერში."

# მილა, მუტოლა, დიაკი

**აფრიკის** სპორტის დიდების დარბაზს სამი ახალი წევრი ჰყავს და ორი მათგანი მძლეოსანია — ლეგენდარული მოზამბიკელი მარია მუტოლა და მძლეოსნობის ფედერაციათა საერთაშორისო ასოციაციის, ანუ იააფ-ის სენეგალელი შეფი ლამინ დიაკი. რაც შეეხება მესამეს, იგი გახლავთ მთელს მსოფლიოში მათზე მეტადაც განთქმული, კამერუნელი ფეხბურთელი როჯე მილა, 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის გმირი.

აფრიკის დიდების დარბაზი ახალ წევრებს კარს 20 დეკემბერს, მალის დედაქალაქ ბამაკოში გაუღებს, სადაც ფეშენებელური სასტუმროს დარბაზში ცერემონია გაიმართება. იქ აუცილებლად იტყვიან, რომ მუტოლა ათწლეულზე მეტხანს პრაქტიკულად დაუმარცხებელი იყო 800 მეტრზე სირბილში და მოიგო ყველაფერი, რისი მოგებაც სარბენ ბილიკზე შეიძლება. დიაკს გაუხსენებენ ახალგაზრდობაში სიგრძეზე ხტომას, მოწიფულობაში კი ფუნქციონალურ საქმიანობას. ალალია ამ ხალხე ტაში და დიდება.

# აღმოჩენილია დოპინგი, დაკარგულია მედლები

**ბელარუსულმა** სპორტმა პეკინის ოლიმპიადაზე მოპოვებული ორი მედალი დაკარგა. ორივე მძლეოსნობაში და ორივე ერთსა და იმავე სახეობაში — კაცთა შორის უროს ტყორცნაში. მიზეზი თანამედროვე და ბანალურია — აკრძალულ ნივთიერებათა ხმარება.

მსოფლიო ანტისადოპინგო სამსახურის მახეში გაებნენ ვადიმ დევიატოვსკი და ივან ტიხანი, რომლებსაც შესაბამისად ჩამოერთვათ ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები. მაგრამ საქმე განა მხოლოდ ჯილდოებშია. დევიატოვსკიმ სამუდამო დისკვალიფიკაციასაც გამოჰკრა ხელი, ამიერიდან იააფ-ის ეგიდით ჩატარებულ ვერც ერთ ტურნირზე ვერ გასტყორცნის უროს, რადგან დოპინგის ხმარებაზე უკვე მეორედ ჩავარდა. ტიხანი კი ორი წლით მოიკვეთება, რაკი დოპინგი პირველად აღმოუჩინეს. ორივენი მსოფლიოს უძლიერეს მტყორცნელთა შორის იყვნენ და გამოდის, ბელარუსმა დაკარგა არა მხოლოდ მათ მიერ პეკინში მოგებული, არამედ მომავალში მოსაგები მედლებიც.

**ვანო ძოძიაშვილი**

## HAPPY BIRTHDAY

www.wikipedia.org

**15 დეკემბერი**

1899: ბრიტანელი მძლეოსანი ჰაროლდ აბრაჰამსი
1952: დანიელი ფეხბურთელი ალან სიმონსენი
1969: კანადელი პარალიმპიელი შანტალ პეტიკლერი
1970: იტალიელი ჟოკეი ფრანკი დეტორი
1973: ფრანგ-ამერიკელი ფიგურულად მოციგურავე სურია ბონალი
1976: ინდოელი ფეხბურთელი ბაიჩუნგ ბჰუტია
1981: რუსი ფეხბურთელი რომან პავლიუჩენკო
1984: სლოვაკი ფეხბურთელი მარტინ სკრტელი

**16 დეკემბერი**

1882: ინგლისელი მოკრიკეტე ჯეკ ჰობსი
1934: ამერიკელი კალათბურთელი ელჯინ ბეილორი
1952: იტალიელი ფეხბურთელი ფრანჩესკო გრაციანი
1964: გერმანელი მძლეოსანი ჰეიკე დრეჩსლერი
1966: ინგლისელი ფეხბურთელი დენის უაიზი
1967: კანადელი სპრინტერი დონოვან ბეილი
1972: ავსტრალიელი მცურავე ჟულკო კალაჩი
1983: ნიგერიელ-ბრიტანელი კალათბურთელი კელენა აზუბუკე

**17 დეკემბერი**

1938: ახალზელანდიელი მძლეოსანი პიტერ სნელი
1951: კანადელი ჰოკეის მწვრთნელი კენ ჰიჩკოკი
1951: საბჭოთა მძლეოსანი ტატიანა კაზანკინა
1966: ყაზახი ტანმოვარჯიშე ვალერი ლიუკინი
1971: ფრანგი კალათბურთელი ანტუან რიგოდო
1973: ბრიტანელი მარათონელი პოლა რედკლიფი
1976: ისრაელელი ფეხბურთელი ნირ დავიდოვიჩი
1976: შვეიცარიელი ფეხბურთელი პატრიკ მიულერი
1977: ფრანგი ჩოგბურთელი არნო კლემანი
1978: ფილიპინელი მოკრივე მენი პაკიაო

**18 დეკემბერი**

1886: ამერიკელი ბეისბოლისტი ტაი კობი
1948: ინგლისელი მოჭიდავე მალკოლმ კირკი
1961: კანადელი ფიგურულად მოციგურავე ბრაიან ორსერი
1969: ესპანელი მცურავე სანტიაგო კანისარესი
1971: ესპანელი ჩოგბურთელი არანტა სანჩეს ვიკარიო

**19 დეკემბერი**

1924 კანადელი ჰოკეისტი დაგ ჰარვი
1957: ამერიკელი კალათბურთელი კევინ მაკჰეილი
1961: ამერიკელი ფეხბურთელი რეჯი უაიტი
1964: ლიტველი კალათბურთელი არვიდას საბონისი
1966: იტალიელი მოთხილამურე ალბერტო ტომბა
1977: ესპანელი კალათბურთელი ხორხე გარბახოსა
1982: ამერიკელი კალათბურთელი მო უილიამსი
1982: ფინელი მძლეოსანი ტერო პიტკამაკი
1985: ინგლისელი ფეხბურთელი გარი კეჰილი
1986: ჰოლანდიელი ფეხბურთელი რაიან ბაბელი
1987: ფრანგი ფეხბურთელი კარიმ ბენზემა
1988: ჩილელი ფეხბურთელი ალექსის სანჩესი

**20 დეკემბერი**

1905: ავსტრალიელი მოკრიკეტე ბილ ორაილი
1925: იტალიელი ფეხბურთელი ბენიტო ლორენცი
1970: ზიმბაბველი მოკრიკეტე გრანტ ფლაუერი
1978: კამერუნელი ფეხბურთელი ჯერემი ნჯიტაპი
1979: ავსტრალიელი ველომრბოლელი მაიკლ როჯერსი
1980: ინგლისელი ფეხბურთელი ეშლი კოული

**21 დეკემბერი**

1892: ამერიკელი მეგოლფე უოლტერ ჰეგენი
1911: ამერიკელი ბეისბოლისტი ჯოშ გიბსონი
1935: იტალიელი ავტომრბოლელი ლორენცო ბანდინი
1946: ჩრდილოირლანდიელი ფეხბურთელი ბრაიან ჰემილტონი
1954: ამერიკელი ჩოგბურთელი კრის ევერტი
1969: ლატვიელი ფეხბურთელი მიხაილს ზემლინსკისი
1974: ავსტრალიელი მეგოლფე კარი ვები
1981: იტალიელი ფეხბურთელი კრისტიან ძაკარდო



ინგლისელი მოჭიდავე-შოუმენი მალკოლმ „ცუდი ბიჭი" კირკი, მეტსახელად „კინგ კონგ კირკი", გვიანობამდე გამოდიოდა სცენაზე და სცენაზევე დაიღუპა 1987 წელს, როცა შირლი „დიდ მამილო" კრაბტრის საჩვენებელ მატჩში ხედებოდა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ისრიანი პასუხი კითხვაზე რატომ მოუხშირა ივანოვიჩმა წაგებებს?



ანა ივანოვიჩი და ფერნანდო ვერდასკო: ვის რა არგო და ავნო ამ სიყვარულმა?



# იანკოვიჩმა იანოვიჩს არათითი გაუწოდა

ორი სერბი გოგონა, ორივე ჩოგბურთელი და ორივე ამურის ისრით დაჭრილი... განსხვავება ისაა, რომ სიყვარულმა ელენა იანკოვიჩს ფრთები შეასხა, ანა ივანოვიჩს კი პირიქით — ჩოგანი დააზრევინა...

**საფრანგეთის** ღია ჩემპიონატზე გამარჯვების შემდეგ ანა ივანოვიჩმა რეიტინგში პირველ ადგილზე აინაცვლა და ყველას რომ ეგონა, ჩოგბურთს ახალი დედოფალი გამოუჩნდა, თურმე პირიქით ხდებოდა.

მომდევნო ტურნირზე, აშშ-ის ღია პირველობაზე ივანოვიჩმა მხოლოდ თავისი სილამაზით დაამახსოვრა თავი მაყურებელს — ფრანგ ჟიული კუანთან წააგო და ტურნირს გამოეთიშა.

ცნობისთვის: იმ დროს კუანი რეიტინგში 188-ე ადგილზე იყო.

მოგვიანებით გაირკვა, რომ ამ შეხვედრის წინ ივანოვიჩს მხურვალე ღამე ჰქონია — ესპანელ ჩოგბურთელ ფერნანდო ვერდასკოსთან პაემანი ანას თავის ნომერში ოდენ გამთენიისას დაბრუნებად დაუჯდა.

შედეგად კი...

თუმც სჯობს, თემას მივყვეთ: სექტემბერში პირმშვენიერი ანა პეკინის ტურნირზე უნდა ჩასულიყო და თავის მრავალრიცხოვან ქომაგსაც დაჰპირდა, გამარჯვებების ახალ სერიას აქედან დავიწყებო.

საინტერესოა, რომელ ფრონტზე გულისხმობდა გამარჯვებების სერიას ივანოვიჩი, რადგან...

ვერდასკომ გაიგო თუ არა, ანას პეკინური სურვილი, უმალ ავიაკომპანიის ნომერი აკრიფა და ბილეთი შეუკვეთა.

პეკინიდან ანამ დოჰაში გადაინაცვლა და ყველაფერს იქ აეხადა ფარდა — ივანოვიჩის თამაშისას ჟურნალისტებმა ლოჟაში ფერნანდო ვერდასკო შენიშნეს.

იტყვით, მერე რა, კაცი თამაშის სანახავად იყოო, მაგრამ საქმე ისაა, რომ ვერდასკო ივანოვიჩის წარმომადგენელთათვის შეკვეთილ ადგილზე იჯდა.

ნამატჩევს, ჟურნალისტების კითხვაზე, რატომ იჯდა ვერდასკო ამა და ამ ადგილზეო, ანა მიხვდა, რომ დამალვას აზრი აღარ ჰქონდა და...

ნუ, რა თქმა უნდა, ივანოვიჩმა დოჰას ტურნირიც უსახელოდ ჩაამთავრა...

სამაგიეროდ, სეზონის ბრწყინვალე დასასრული ჰქონდა თავად ვერდასკოს. მისი ლიდერობით ესპანეთის ნაკრებმა დევისის თასი მოიგო.

ფერნანდომ აღიარა კიდეც, დევისის თასის ფინალის წინ ანას ტელეფონით ესაუბრა და ისეთი რაღაცები მოისმინა, რის შემდეგაც ნებისმიერ მეტოქეს გაანადგურებდა.

და აქვე უცხოელი ჟურნალისტების საივანოვიჩო სიტყვებიც:

რატომ უნდა იყო ფრთხილად?

იმიტომ, რომ ვერდასკომ უკვე მოასწრო ორი ჩოგბურთელის, სვეტლანა კუზნეცოვას და ანა ჩაკვეტაძის გაცურება. იქამდე კი ესპანელ ლამაზმან პრისცილა გომესს აურია თავგზა.

* * *

სადღეისოდ ქალთა ჩოგბურთში ელენა იანკოვიჩი ლიდერობს.

მისი სიყვარული კი ჩერნოგორიელ წყალბურთელ მლადიან იანოვიჩს უკავშირდება.

მათ პეკინის ოლიმპიადაზე გაიცნეს ერთმანეთი და ელენას თქმით, პირველივე ნახვით შეუყვარდა მლადიანი: „ის ისეთი ძლიერი და თბილია, რომ საკუთარ თავს ველარაფერი მოვუხერხე“.

წყვილს ოლიმპიადის შემდეგ საკმაოხნიანი პაუზა ჰქონდა — ერთმანეთს ვერ ხვდებოდნენ, თუმც ტელეფონით თითქმის ყოველდღე ეხმიანებოდნენ.

ხოლო მას შემდეგ, რაც საჩოგბურთო სეზონი დასრულდა, მლადიანმა ელენა მალდივის კუნძულებზე დაპატიჟა.

ელენამ ერთი დღე ითხოვა მოსაფიქრებლად, რის შემდეგაც ჩერნოგორიელი წყალბურთელის მობილურზე ასეთი ესემესი მოვიდა: „კარგი, წავიდეთ!“

როგორც ამბობენ, ელენამ მლადიანი დედასაც გააცნო და მალე ქორწილიც დაინიშნება.

დავამატებთ მხოლოდ იმას, რომ სასიყვარულო ურთიერთობის დაწყების შემდეგ იანკოვიჩმა ზედიზედ სამი ტურნირი მოიგო და რეიტინგში პირველ ადგილზეა.

რაც შეეხება ანა ივანოვიჩს, ის უკვე მეხუთეზეა...

**ბაჩა შალამბერიძე**



იყო ასეთი დროც: ანა ჩაკვეტაძე და ფერნანდო ვერდასკო



ელენა იანკოვიჩი და მლადიან იანოვიჩი

კალათბურთი



# შენგელიას დაბრუნება

**ნინა კვირაში ქართულ კალათბურთში ძალიან საინტერესო და მოულოდნელი რამ მოხდა: სამწლიანი შესვენების მერე 35 წლის კახა შენგელია სპორტს დაუბრუნდა. კახას უამრავ გუნდში უთამაშია, საქართველოშიც და უცხოეთშიც. დღეს კი შინაგან საქმეთა სამინისტროს გუნდს ეხმარება. ამასთანავე, ბავშვთა მწვრთნელია. ეს ინტერვიუ მისი გუნდის, „მართვე 2"-ის თამაშის წინ ჩავწერეთ**

**— რა ასაკიდან დაიწყო და რამ განაპირობა თქვენი ცხოვრების კალათბურთთან დაკავშირება?**

— 9 წლისამ დავიწყე ვარჯიში. პირველი გუნდი „მართვე" იყო. მშობლები კალათბურთელები არ ყოფილან, მაგრამ უყვარდათ და ამან დამაკავშირა კალათბურთთან.

**— უამრავ გუნდში გითამაშიათ...**

— ვთამაშობდი „დინამოში", „ვითაში", „რუსთავში", „ბასკოში". ერთ ხანს რუსეთში წავედი, სადაც „დინამოსა" და „სპარტაკში" ვითამაშე. ვიყავი ბულგარეთში, თურქეთში, უნგრეთში, პოლონეთში...

**— ერთი კვირის წინ კი დაბრუნდით კალათბურთში, როგორც მოთამაშე...**

— ლევან მიქაბერიძეს შევხვდი შემთხვევით და შსს-ს გუნდში მიმიწვია. ბევრიც არ მიფიქრია, ისე დავთანხმდი.

**— სუპერლიგის თამაშები თუ მოგწონთ?**

— კარგად ორგანიზებულია, ყველანაირი პირობაა ჩემპიონატის ნორმალურად ჩასატარებლად. მსაჯებიც შეძლებისდაგვარად ობიექტურები არიან. გუნდების მომზადება კი უკეთაც შეიძლებოდა.

**— შსს-ს გუნდს წლეულს წარმატების შანსი აქვს?**

— ამ სეზონში, ალბათ, ოთხეულისთვის ვიბრძოლებთ. ვფიქრობ, შევძლებთ შეთამაშებას, ცალ-ცალკე გამოცდილება არ გვაკლია და შესაბამისად, პოტენციალი ნამდვილად გვაქვს.

**— ზოგადად რა მდგომარეობაშია ქართული კალათბურთი და მათ შორის თქვენი გუნდი?**

— ნორმალური პირობები გვაქვს, სამინისტროში არის სავარჯიშო დარბაზი, გათბობა. ზოგადად, ყველა სახეობას კი უჭირს, თუმცა მინიმალური შესაძლებლობებით მაინც ვცდილობთ, შედეგებს მივაღწიოთ.

**— როგორი ურთიერთობა გაქვთ კალათბურთელებს მოედნის გარეთ?**

— ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს. ერთი ცხოვრებით ვცხოვრობთ, ვიცით ერთმანეთის გასაჭირიც და ლხინიც.

**— ამპლუით ცენტრი ხართ. ნაკრებში ახლა თქვენს პოზიციაზე ზაზა ფაჩულია დგას. როგორ შეაფასებთ მის თამაშს და მთლიანად ნაკრებს?**

— ზაზას ხუთიანს დავუწერ. კარგა ხანია, ასეთი ნაკრები არ გვყოლია, თუმცა თავის დროზე ძალიან ძლიერი შემადგენლობა გვყავდა. კარგი მწვრთნელი ჰყავთ, იმედია ახლა მაინც გავალთ შესარჩევი ჯგუფიდან. დროა, წარმატებებს მივაღწიოთ.

**— ნაკრების კიდევ რომელ მოთამაშეებს გამოარჩევდით? წლევანდელი სუპერლიგის ფავორიტებზეც გვითხარით...**

— ძლიერი მოთამაშეები გვყავს ნაკრებში, ცქიტიშვილი, სანიკიძე. კარგი გუნდია „ენერჯი ინვესტი". ასევე ნტდ, რომელსაც დიდი პოტენციალი აქვს და ამ სეზონშივე შეუძლია ოთხეულისთვის ბრძოლა.

**— მუდმივად არის ახალგაზრდა სპორტსმენების უცხოეთში წასვლის ტენდენცია ასეთი პრინციპით: „ვინც ძლიერია, უცხოეთში უნდა თამაშობდეს"...**

— იმის გათვალისწინებით, რომ არ გვაქვს პირობები მაღალი დონის ჩემპიონატის ჩასატარებლად, ვთვლი, რომ ახალგაზრდებს უცხოეთში გასვლის მეტი საშუალება უნდა ჰქონდეთ, რითაც მეტ გამოცდილებას მიიღებენ. ანალოგიური მდგომარეობაა ყოფილ იუგოსლავიაში, ისინი მთელ მსოფლიოს ამარაგებენ კალათბურთელებით, რადგან მაღალი დონის შიდა ჩემპიონატები არ აქვთ.

**— თქვენი ყველაზე დასამახსოვრებელი მატჩი...**

— კარგად მახსოვს ჩემი პირველი თამაში, კაუნასის „ჟალგირისი" დავამარცხეთ, ორიდან ერთი საჯარიმო ჩავაგდე, თამაში კი ერთი ქულით მოვიგეთ.

**სალომე ძლდიაშვილი**

წყალბურთი

# მომავლის ნაკრების კაპიტანი
## საქართველომ ლონდონისკენ გაიხედა

**საქართველოს წყალბურთელთა ნაკრებმა უკრაინის ღია პირველობაზე ხუთი მატჩიდან მხოლოდ ორი მოიგო, თუმცა ამჯერად შედეგზე მეტად აქცენტი ბიჭების შეთამაშებაზე კეთდება. გაისად ნაკრები ევროპის ჩემპიონატის B დივიზიონში ითამაშებს და ლონდონის ოლიმპიადისკენ სავალ ურთულეს გზას გაუყვება. წლების მანძილზე წყალბურთელები უმძიმეს პირობებში იყვნენ. ელემენტარულად, ვარჯიშიც კი ვერ ხერხდებოდა, მაგრამ ბოლო დროს წყალბურთის მიმართ მიდგომა შეიცვალა. ნაკრები თვეზე მეტია ვარჯიშობს და არც ლეგიონერების უკრაინაში ჩასვლა ყოფილა პრობლემა. უკრაინულ პერიპეტიებზე ნაკრების კაპიტანს ზურაბ რურუას ვესაუბრეთ და სხვა საინტერესო საკითხებსაც გადავწვდით...**



— ადრე ნახევარი გუნდით ძლივს ჩავდიოდით უკრაინაში, მაგრამ მაინც ბევრ თამაშს ვიგებდით. ახლა არ ვიცი, რა მოგვივიდა, ალბათ მაინც შეუთამაშებლობის ბრალია. მართალია, მთელი ერთი თვე ვვარჯიშობდით, მაგრამ ოთხი ლეგიონერი უკრაინაში თამაშის წინა დღეს შემოგვიერთდა. ისიცაა, რომ ზოგიერთი წყალბურთელი ჩვენთან დიდი ხანი არ ყოფილა. გალაქტიონ ლაითაძესთან ერთი წელი არ გვითამაშია. ნიკა ასათიანი კი ძველი თაობის წყალბურთელია და ბევრმა ახლა გაიცნო.

**— ისე, ყველა თამაში ბრძოლაში წააგეთ...**

— ლვოვის „დინამოსთან" სულაც ვიგებდით, მაგრამ შეცდომები დავუშვით და წავაგეთ. „მარიუპოლი" ყველაზე ძლიერი გუნდი იყო. ადრე უფრო დიდი ანგარიშითაც გვამარცხებდა. მჯერა, მომდევნო ტურებში მათ ვაჯობებთ. ჩვენი პრობლემა ყოველთვის ფიზიკური მომზადება და ცურვის სისწრაფე იყო. ამ კომპონენტებში ამჯერად უკრაინელებსაც კი ვაჯობეთ, გაოცებულები იყვნენ. ტაქტიკაში გვქონდა ხარვეზები, მაგრამ არაფერია, ნაკრები ახლა ყალიბდება და ჩვენთვის მთავარია თამაში და შეცდომებზე სწავლა. მწვრთნელი ვლადიმერ ისელიძე კარგი სპეციალისტია. დისციპლინას ითხოვს და გუნდში მეგობრული ატმოსფეროა შექმნილი.

**— წლებია, უკრაინის ღია პირველობაზე თამაშობთ. რამდენად შეიცვალა სათამაშო დონე?**

— ახლა გაცილებით ძლიერი ჩემპიონატია და საერთო დონეც გათანაბრდა. „მარიუპოლს" კვლავაც ვერავინ უგებს, მაგრამ ადრე ის უფრო სოლიდური ანგარიშით ამარცხებდა ყველას, ახლა კი უჭირს. სხვებზე მეტად მათი ძლევის შანსი ჩვენ გვაქვს და აუცილებლად გამოვიყენებთ.

**— უკრაინაში ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი გია ნაცვლიშვილი გესტუმრათ...**

— გაგვამხნევა და დაგვპირდა, რომ ყველა პირობა შეგვექმნება. მომდევნო წრეში, რომელიც 13-15 თებერვალს მარიუპოლში ჩატარდება, ახალი ამუნიციით ვეთამაშებით. შედარებაც არ არის ძველ დროსთან, როცა ვარჯიშსაც ვერ ვახერხებდით.

**— აპრილში ევროპის ჩემპიონატის B დივიზიონში ითამაშებთ, მოახერხებთ ჯგუფიდან გასვლას?**

— ოთხგუნდა ჯგუფიდან ორი საუკეთესო მომდევნო ეტაპზე გადის და სექტემბერში 12 ნაკრებთან ერთად ევროპის B ჩემპიონატს თამაშობს. აქედან ექვსი ნაკრები A დივიზიონში ადის. აპრილში მთავარი ამოცანა ჯგუფიდან გასვლა იქნება. სერიოზულად ვემზადებით, იანვარში უცხოური შეკრების გავლაც იგეგმება. დაგვემატებიან მიხეილ ბალათურია და ზვიად დავითიანი, ვინც საფრანგეთში თამაშობს და ძალიან გამოცდილია. როგორც ვიცი, მოლაპარაკება მიმდინარეობს ორ ჩერნოგორიელ და ერთ ხორვატ წყალბურთელთან და შეიძლება დაგვემატნონ. ასეთი პრაქტიკა ევროპაში მიღებულია და ჩვენც აუცილებლად გვჭირდება რამდენიმე უცხოელის შემატება, თუ გვინდა, რომ ოლიმპიადაზე ვიფიქროთ. მაკედონიას უსუსტესი ნაკრები ჰყავდა, სერბები დაიმატა და ძლიერი გუნდი გააკეთა. ასე რომ, ამ საკითხზე სერიოზულად უნდა ვიფიქროთ.

**— ადრეც გვითხარი, საქართველოში წყალბურთის მიმართ მიდგომა თუ არ შეიცვალა, სათამაშოდ ევროპაში წავალო. ახლა რას აპირებ?**

— ჯერჯერობით საქართველოში ვრჩები, მით უმეტეს, გარკვეული გამოცოცხლება შეინიშნება. ზაფხულში საქართველოს ჩემპიონატი ჩატარდება და ჩემპიონთა ლიგაშიც გამოვალთ. მირჩევნია, აქ ვიყო და ბიჭებთან უკეთ შევთამაშდე. მომავალს იმედით ვუყურებთ და თუ ყველაფერი კარგად იქნება, წარმატებებიც მოვა. ამის წინაპირობას ნიჭიერი წყალბურთელები იძლევიან, რომლებიც ნაკრებში მრავლად გვყავს.

**ლექსო მაისურაძე**

# გაცრეცილი ვარსკვლავები:

## ალენ აივერსონი



„დეტროიტ პისტონზის" პრეზიდენტმა ჯო დუმარსმა მრავალთა კრიტიკა დაიტეხა, როდესაც იდეალურად მომუშავე მექანიზმში „რაღაცის შეცვლა" განიზრახა და სეზონის დაწყებიდან ორიოდ დღეში გუნდის სული და გული ჩონსი ბილაფსი „დენვერს" ალენ აივერსონში გაუცვალა. „დეტროიტმა" ბოლო სამ პლეი ოფში აღმოსავლეთის ფინალი ვერ გაიარა და თუ ნბა-ს გუნდების უმრავლესობისთვის იქამდე მისვლა ოცნების მწვერვალია, დუმარსის აზრით, ეს ჩიხი იყო. მანაც მანქანა მოატრიალა და... ახლა უკვე ბევრი თვლის, რომ ამ მანევრით რაღაცას მაგრად შეასკდა. აივერსონი თავისი ეპოქის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე კია, მაგრამ „დეტროიტში" თავისი ადგილი ვერ იპოვა, აწყობილ გუნდში უცხო სხეულად გრძნობს თავს და თამაშით ჯერ ვერ დაიმსახურა თანაგუნდელების პატივისცემა.

მწვრთნელმა მაიკლ კარიმ იფიქრა, ბიჭებთან შეთამაშება აკლიაო და ამერიკულ საშინელებათა ფილმებში ასე ხშირად ნახსენებ ჰელოვინის დღესასწაულზე გუნდს რიგგარეშე ვარჯიში დაუნიშნა წსორედ აივერსონთან შესათამაშებლად. ამან კი თვითნებურად გააცდინა შეკრება და მეორე დღეს „მილუოკისთან" სათადარიგოთა სკამზე დასვეს.

მაგრამ სანქციებით მოარჯულებ ნბა-ს ერთ-ერთ ყველაზე უკონტროლებელ ვარსკვლავს? 32 წლის აივერსონი ახალ გუნდში ძველი აივერსონის ჩრდილია, 17 თამაშში საშუალოდ მხოლოდ 17,5 ქულა და 6,0 პასი აქვს გაკეთებული და „დეტროიტმა" მისი თანხლებით ნახევრის წაგება მოასწრო.

ამასობაში ბევრის აზრით აივერსონზე ბევრად უფრო „გონჯი" ჩონსი ბილაფსი „დენვერის" ლიდერად ქცეულა და 18 თამაშში 14 მოგებითაც დაიტრაბახებს.

## სტივენ მარბერი

**გაგონილა**, კაცს 22 მილიონს უხდიდნენ და გუნდის შემადგენლობაში ვერ ხვდებოდეს?!

ამერიკაში თურმე გაგონილა. 31 წლის სუპერგამთამაშებელი სტივენ მარბერი „ნიუ იორკ ნიქსში" ირიცხება, 7-წლიანი კონტრაქტის ბოლო სეზონზეა, რომლის განმავლობაშიც ხელფასად 21,9 მილიონს იღებს და შემადგენლობაშიც კი არ აყენებენ, რადგან ის თავისი თავხედური პრეტენზიულობით და ზღვარგადასული ეგოიზმით და „ბურთის უსასრულო თრევით" დამანგრეველად მოქმედებს გუნდზე.

მისი 9-ნიშნა კონტრაქტის სიმძიმეს წლების განმავლობაში მწარედ გრძნობს „ნიუ იორკი", რომელიც ნბა-ს უმდიდრესი გუნდი კია, მაგრამ წყალში გადაყრილი ამდენი მილიონის გამო წელში ვერ გამართულა და პლეი ოფში მოხვედრაც სანატრელი გაუხდა. „ნიქსმა" თავი: დროზე ხელიდან გაუშვა მისი კონტრაქტის, ვთქვათ, ნახევარ ფასად გამოსყიდვის საშუალება. ახლა ველარც ვერავისში გაცვლის, რადგან მთელმა ლიგამ შეიგნო, რა „ხილიცაა" სტივენ მარბერი. კლუბს ისღა დარჩენია, ეს ერთი წელიც მოითმინოს, მიაშავოს 22 მილიონი და მერე ოთხივ კუთხივ გზა დაულოცოს.

რამდენიმე დღის წინ ორმა მხარემ კვანძის გახსნა სცადა. ერთმანეთს შეხვდნენ მარბერი და „ნიქსის" პრეზიდენტი დონი უოლში, მაგრამ აქედანაც არაფერი გამოვიდა და ბოლოს უოლშმა მოთამაშეს უბრალოდ სთხოვა, სანამ ჩვენთან ირიცხები, თავი გუნდისგან შორს დაიჭირეო. ასეთი ქილიკიც გაისმა: უოლში რომ რაიცას ეკითხებოდა, მარბერი კევის ტყლაშუნით პასუხობდაო. სხვათა შორის, ორი თვის წინ ანალოგიური სიტუაცია შეიქმნა „ინდიანასა" და მის „ქუჩის ბიჭ" გამთამაშებელ ჯამაალ ტინსლის შორის.

მან თავი შეაძულა თანაგუნდელებსაც და ყველაზე თამამებმა საქვეყნოდ გაკიცხეს, მაგალითად კვენტინ რიჩარდსონმა, რაზეც მარბერიმ „საწყლად" თქვა — „ერთი თვეა ჩემთვის არაფერი მომითხოვია, ჩუმად ვიყავი და ხმა არავინ შემაწია, რატომ არ ვათამაშებთ მარბერისო. ახლა კი რიჩარდსონისნაირები იძახიან, რომ თანაგუნდელად არც აღმიქვამენ. მათ ტრიალ მინდორში დამტოვეს და სასიკვდილოდ გამიმეტეს. მტრისგან მაინც მომხვედროდა ტყვია და არა ჩემი ყოფილი მეგობრებისგან. მათ ღირსეულად წასვლის შანსიც არ მომცეს."

მარბერი სპორტული აღსასრულის მოახლოვებას გრძნობს, ალბათ სვავებსაც ხედავს — თვითმარქვია „მსოფლიოს საუკეთესო გამთამაშებელს" მადრიდის „რეალი" დასტრიალებს.



„არიკატურა: სეზონის დაწყების წინ სტივენ მარბერი მსოფლიოს საუკეთესო გამთამაშებლობაზე აცხადებს პრეტენზიას, როდესაც „ნიუ იორკის" მწვრთნელი მაიკ დანტონი თანაგუნდელთა პასებით მომარაგებას თხოვს






მორიგ პრესკონფერენციაზე დატანჯული ჯერი სლოუნი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გენიალური უჟმური

კევინ გარნეტის „ბოსტონში" გადასვლის შემდეგ „მინესოტას" უჭირს დარბაზის გავსება. 9 დეკემბერს „იუტასთან" შეხვედრამაც არ ჩაიარა ანშლაგით. „მგლების" ახალმა თავკაცმა კევინ მაკჰეილის სამწვრთნელო დებიუტი ცარიელი ტრიბუნების წინაშე შედგა.

მაგრამ ვინც მივიდა იმ თამაშზე, ტაში არავინ დაიზარა. აპლოდისმენტები არ ეკუთვნოდა არც მაკჰეილს და არც „მინესოტას" მოთამაშეებს — მინეაპოლისელები პატივს მიაგებდნენ მეტოქე გუნდის თავკაც ჯერი სლოუნს.

ამ კაცს ზურგსუკან ბევრი დასცინის, ყველაზე უგემოვნოდ ჩაცმულ მწვრთნელად და მესიმინდე ფერმერად მოიხსენიებენ. ამბობენ უჟმურიაო, გაუთლელიაო, თავის საქმეზე „ჩაციკლულიაო"... არც ის დაუვიწყეს, 2002 წელს ინდიანაპოლისში მსოფლიოს ჩემპიონატი ცარიელი ტრიბუნების წინ რომ ტარდებოდა (აი სწორედ ის, რომელზეც ამერიკის ნაკრებმა სამჯერ წააგო და საერთოდაც მხოლოდ მეექვსე ადგილზე გავიდა), სლოუნი კი ალჟირის და ლიბანის თამაშებსაც, რომ რომ არ აცდენდა...

მაგრამ ეს ყოველივე მეორეხარისხოვანია. ყველამ იცის, რომ სლოუნი თავის საქმეზე უზომოდ შეყვარებული კაცია და მას მთელი სოლტ ლეიკ სიტი უზომოდ ემადლიერება, დანარჩენი ამერიკა კი ქილიკის მიუხედავად პატივს მიაგებს. ის არასოდეს გამხდარა არც ნბა-ს ჩემპიონი და არც სეზონის საუკეთესო მწვრთნელის პრესტიჟული ჯილდო მოუგია, მაგრამ კოლეგათა შორის ულაპარაკოდ ერთ-ერთი საუკეთესოა.

გასულ კვირას, სწორედ „მინესოტასთან" შეხვედრაში 20 წელი დამრგვალდა მას მერე, რაც ჯერი სლოუნი „იუტა ჯაზს" სათავეში ჩაუდგა. ნბა-ში ეს არაბუნებრივად გრძელი ვადაა. ყველაზე რჩეულებიც კი ამის ნახევარსაც ძლივს ძლებენ ერთ ადგილზე. მაგალითად ლარი ბრაუნს ცხრა გუნდი აქვს გამოცვლილი. სლოუნი კი უხსოვარი დროიდან ერთგულებს პროვინციულ „ჯაზბენდს". ზოგი მისი ახლანდელი შეგირდი დედას და მამას ვერ იძახდა, როცა ის დიდი მარილიანი ტბის პირას დამალული პატარა ქალაქის მთავარ სპორტულ სიამაყეს მიუძღოდა.

20 წლისთავზე უამრავი მილოცვა მიიღო, მაინც თავმდაბლობს და წარმატებების გვერდით ხშირად მოაქვს სიტყვა „გამართლება". მაგალითად, „გამიმართლა, გუნდში სტოქტონი და მელოუნი რომ დამხვდნენ" ან „გამიმართლა და მფლობელმა არ გამაგდო, რეორგანიზაციის დროს ზედიზედ სამი წელი პლეი ოფის გარეთ რომ ვრჩებოდით"... ვინ სულელი გააგდებს? ასეთი სპეციალისტი ამხელა ამერიკაშიც კი ერთი-ორია.

მაინც და მაინც პრესაც არ აძაგებს, არადა ჭირის დღესავით სძულს პრესკონფერენციებზე ჯდომა და ინტერვიუების გაცემა. აი იქ იტანჯება მაგრად. თორემ მსაჯს რომ სადავო საჯარიმოზე ეკამათება, ამ დროს ალბათ სულიერადაც კი ისვენებს.

**ირაკლი ფირაშვილი**

## ევროლიგა

ჯგუფური ეტაპი. VII ტური. 11-12 დეკემბერი

### A ჯგუფი

უნიკახა 60:56 ოლიმპიაკოსი
ციბონა 89:70 ლე მანი
აველინო 72:86 მაკაბი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 7 | 5 | 2 | +61 | 12 |
| უნიკახა | 7 | 5 | 2 | +45 | 12 |
| ციბონა | 7 | 5 | 2 | +22 | 12 |
| მაკაბი | 7 | 4 | 3 | 0 | 11 |
| აველინო | 7 | 2 | 5 | -56 | 9 |
| ლე მანი | 7 | 0 | 7 | -72 | 7 |

### B ჯგუფი

მონტეპასკი 100:93 ჟალგირისი
პანათინაიკოსი 76:87 ბარსელონა
ნანსი 78:70 პროკომი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 7 | 6 | 1 | +103 | 13 |
| მონტეპასკი | 7 | 6 | 1 | +82 | 13 |
| პანათინაიკოსი | 7 | 5 | 2 | +25 | 12 |
| პროკომი | 7 | 2 | 5 | -14 | 9 |
| ნანსი | 7 | 2 | 5 | -100 | 9 |
| ჟალგირისი | 7 | 0 | 7 | -96 | 7 |

### C ჯგუფი

ალბა 72:63 ულქერი
ტაუ კერამიკა 101:69 ოლიმპია
ხუვენტუტი 97:93 ლოტომატიკა

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ტაუ კერამიკა | 7 | 5 | 2 | +88 | 12 |
| ლოტომატიკა | 7 | 5 | 2 | +34 | 12 |
| ხუვენტუტი | 7 | 4 | 3 | +28 | 11 |
| ულქერი | 7 | 3 | 4 | -26 | 10 |
| ალბა | 7 | 3 | 4 | -48 | 10 |
| ოლიმპია | 7 | 1 | 6 | -76 | 8 |

### D ჯგუფი

ეფესი 74:67 მილანო
ცსკა 93:61 პანიონიოსი
რეალი 68:67 პარტიზანი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 7 | 6 | 1 | +116 | 13 |
| რეალი | 7 | 4 | 3 | +27 | 11 |
| პარტიზანი | 7 | 3 | 4 | +7 | 10 |
| ეფესი | 7 | 3 | 4 | -33 | 10 |
| პანიონიოსი | 7 | 3 | 4 | -75 | 10 |
| მილანო | 7 | 2 | 5 | -44 | 9 |

# NBA რეგულარული ჩემპიონატი

## კვირიდან კვირამდე

*7 დეკემბერი*
ნიუ იორკი 104:92 დეტროიტი
ინდიანა 117:122 ბოსტონი
ტორონტო .97:98 პორტლენდი
ლეიკერსი 105:92 მილუოკი

*8 დეკემბერი*
მაიამი 100:96:6 შარლოტი
მემფისი 109:97 ჰიუსტონი
ოკლაჰომა 102:112 გოლდენ სტეიტი
კლიპერსი 88:95 ორლანდო

*9 დეკემბერი*
ვაშინგტონი 107:94 დეტროიტი
მინესოტა 96:99 იუტა
დალასი 126:133 სან ანტონიო
ფინიქსი 125:110 მილუოკი
კლივლენდი 114:94 ტორონტო
ჰიუსტონი 92:84 ატლანტა
ჩიკაგო 105:100 ნიუ იორკი
საკრამენტო 113:101 ლეიკერსი
პორტლენდი 108:109 ორლანდო

*10 დეკემბერი*
ტორონტო 101:88 ინდიანა
ოკლაჰომა 102:108 მემფისი
ნიუ ორლეანი 105:89 შარლოტი
დენვერი 116:105 მინესოტა
ნიუ ჯერსი 109:124 ნიუ იორკი
ფილადელფია 93:101 კლივლენდი
სან ანტონიო 95:89 ატლანტა
გოლდენ სტეიტი 119:96 მილუოკი
ლეიკერსი 115:111 ფინიქსი

*11 დეკემბერი*
ვაშინგტონი 88:122 ბოსტონი
იუტა 97:88 პორტლენდი
დალასი 95:90 შარლოტი

*12 დეკემბერი*
კლივლენდი 88:72 ფილადელფია
ნიუ ჯერსი 79:101 ტორონტო
მემფისი 103:96 ჩიკაგო
მინესოტა 86:98 სან ანტონიო
პორტლენდი 112:120 კლიპერსი
ლეიკერსი 112:103 საკრამენტო
მაიამი 73:87 ატლანტა
დეტროიტი 114:110 ინდიანა
ბოსტონი 94:82 ნიუ ორლეანი
ფინიქსი 113:112 ორლანდო
გოლდენ სტეიტი 108:119 კლიპერსი

*13 დეკემბერი*
ატლანტა 97:92 კლივლენდი
ფილადელფია 104:89 ვაშინგტონი
ჩიკაგო 113:104 ნიუ ჯერსი
დენვერი 123:105 გოლდენ სტეიტი
საკრამენტო 90:114 ნიუ იორკი
შარლოტი 86:90 დეტროიტი
დალასი 103:99 ოკლაჰომა
მილუოკი 121:103 ინდიანა
იუტა 94:103 ორლანდო
ჰიუსტონი 95:82 კლიპერსი

### კვირის ლიდერები

#### ქულა

| | | |
|---|---|---|
| დირკ ნოვიცკი (დალასი) | 13.12 | 46 |
| კარმელო ენტონი (დენვერი) | 10.12 | 45 |
| დენი გრეინჯერი (ინდიანა) | 12.12 | 42 |
| კევინ დურანტი (ოკლაჰომა) | 8.12 | 41 |
| დუეინ უეიდი (მაიამი) | 8.12 | 41 |
| ვინს კარტერი (ნიუ ჯერსი) | 13.12 | 39 |
| ალ ჰარინგტონი (ნიუ იორკი) | 10.12 | 39 |
| ბრენდონ როი (პორტლენდი) | 12.12 | 38 |
| ზაკ რენდოლფი (პორტლენდი) | 12.12 | 38 |
| დირკ ნოვიცკი (დალასი) | 9.12 | 35 |
| რეი ალენი (ბოსტონი) | 7.12 | 35 |
| შაკილ ონილი (ფინიქსი) | 9.12 | 35 |
| ლებრონ ჯეიმსი (კლივლენდი) | 13.12 | 33 |
| კერონ ბატლერი (ვაშინგტონი) | 9.12 | 33 |
| ალ ჰარინგტონი (ნიუ იორკი) | 13.12 | 33 |
| ტიმ დანკანი (სან ანტონიო) | 9.12 | 32 |
| დევინ ჰარისი (ნიუ ჯერსი) | 10.12 | 32 |
| კობი ბრაიანტი (ლეიკერსი) | 12.12 | 32 |

#### მოხსნა

| | | |
|---|---|---|
| დუაიტ ჰოვარდი (ორლანდო) | 8.12 | 22 |
| ანდრის ბიედრინში (გ. სტეიტი) | 8.12 | 21 |
| ენდრიუ ბოგუტი (მილუოკი) | 13.12 | 20 |
| კევინ გარნეტი (ბოსტონი) | 7.12 | 20 |
| ტროი მერფი (ინდიანა) | 10.12 | 20 |
| იაო მინი (ჰიუსტონი) | 9.12 | 19 |
| დევიდ ლი (ნიუ იორკი) | 7.12 | 19 |

#### პასი

| | | |
|---|---|---|
| კრის პოლი (ნიუ ორლეანი) | 10.12 | 15 |
| კრის პოლი (ნიუ ორლეანი) | 12.12 | 14 |
| ხოსე კალდერონი (ტორონტო) | 10.12 | 14 |
| კრის დუჰონი (ნიუ იორკი) | 9.12 | 14 |
| ხოსე კალდერონი (ტორონტო) | 7.12 | 13 |

#### ჩაჭრა

| | | |
|---|---|---|
| პოლ მილსაპი (იუტა) | 13.12 | 5 |
| კევინ დურანტი (ოკლაჰომა) | 13.12 | 5 |

#### დაფარება

| | | |
|---|---|---|
| დუაიტ ჰოვარდი (ორლანდო) | 8.12 | 6 |
| ჯერმენ ონილი (ტორონტო) | 7.12 | 6 |



# ბოლოს ბოუენი იცინოდა

### კვირის მატჩი

9 დეკემბერი

**დალასი 126:133 სან ანტონიო**

22:17 23:30 34:34 28:26 9:9 10:17

**დალასი:** კიდი (24 ქულა, 12 პასი, 8 მოხსნა), (ბარეა 21), ჯორჯი (2), ნოვიცკი (35 ქულა, 10 მოხსნა), დამპიე (9); ტერი (19), ბასი (9), რაიტი (7), დიოპი

**სან ანტონიო:** პარკერი (29 ქულა, 10 მოხსნა), ჯინობილი (18), ფინლი (13), დანკანი (32 ქულა, 14 მოხსნა), ბონერი 13); მეისონი 12), ჰილი (17), ობერტო (6), ბოუენი (3), ტომასი, უდოკა

ბრიუს ბოუენმა ერთ სათამაშო ეპიზოდში ჯარიმა აიკიდა. სანამ მეტოქე ბურთს თამაშში შეიყვანდა და წამზომი ჩაირთვებოდა, მსაჯმა ისევ დააჯარიმა. გრეგ პოპოვიჩმა ვეტერანი სკამისკენ იხმო, დალასელმა მაყურებლებმა კი ხელებში თავჩარგული „მტერი" რომ დაინახეს, დამცინავი ფრაზები დააყარეს. მათი მხრიდან ეს წაქცეულის ჩაწიხვლას ჰგავდა, მაგრამ ამაში გასაკვირი არაფერია. დალასში ბოუენი ისევე ეზიზღებათ, როგორც შტატების ნებისმიერ სხვა საკალთბურთო ქალაქში, არავის სიამოვნებს ამ მოუშორებელ ჭირთან პირისპირ დარჩენა.

მაგრამ თამაში რომ დამთავრდა და მოედანი დაცარიელდა, ბოუენი კიდევ კარგა ხანს დარჩა ფიცარნაგზე — იდგა და გულიანად იცინოდა, ალბათ არ ადარდებდა, დალასელებმა უფრო მეტად რომ შეიძულეს. ბოლოს ხომ მან გაიცინა.

ნბა-ს ყველაზე სისხლისმსმელი პერსონალური მცველი ასაკში შევიდა, 37 წლისა მოყრილა და ალბათ მალე გააბედნიერებს მეტოქეებს პენსიაზე წასვლით. მან დაკარგა ადგილი „სან ანტონიოს" სასტარტო ხუთეულში, მაგრამ სამშაბათს მაინც შეძლო და მომაკვდინებლად დაგესლა „დალას მავერიკსი" — თამაშის დამთავრებამდე ერთი წუთით ადრე საყვარელი კუთხიდან სამქულიანი გაისროლა და თავის გუნდს გამარჯვება მოუტანა. არადა, მას იმ ბურთის გარდა იმ უხვქულიან თამაშში არაფერი არ ჩაუგდია.

მერედა, რა თამაში იყო! ძველი მეტოქეები მხურვალე ტეხასურ დერბიში ჭამდნენ ერთმანეთს. „დალასიც" და „სან ანტონიოც" გადასარევ ფორმაში არიან, ბოლო ხანს ბევრს იგებენ. ძირითადმა 48 წუთმა გამარჯვებული ვერ გამოარკვია და ორი დამატებითი დროის გამართვა გახდა საჭირო. მეორეში ტიმ დანკანმა 8 ქულა გააკეთა, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ბოუენისთვის მიცემული მისი პასი. „მან გატეხა მეტოქე — ამბობდა გამარჯვებულთა საუკეთესო მოთამაშე — არავინ თქვას რომ ბრიუსი, დაბერდა. მას ყოველთვის მზად აქვს ხელები."

**ირაკლი ფირაშვილი**

| | მოგ | წაგ | % | შინ | გას | ზედიზედ | ბოლო 10 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი** | | | | | | | |
| **ატლანტიკა** | | | | | | | |
| ბოსტონი | 22 | 2 | 91,7 | 13-1 | 9-1 | 14 მოგ | 10-0 |
| ნიუ ჯერსი | 11 | 11 | 50,0 | 4-7 | 7-4 | 3 წაგ | 5-5 |
| ნიუ იორკი | 11 | 12 | 47,8 | 7-4 | 4-8 | 2 მოგ | 4-6 |
| ტორონტო | 10 | 12 | 45,5 | 5-5 | 5-7 | 2 მოგ | 4-6 |
| ფილადელფია | 10 | 14 | 41,7 | 6-7 | 4-7 | 1 მოგ | 3-7 |
| **ცენტრალური** | | | | | | | |
| კლივლენდი | 20 | 4 | 83,3 | 13-0 | 7-4 | 1 წაგ | 9-1 |
| დეტროიტი | 13 | 9 | 59,1 | 6-4 | 7-5 | 2 მოგ | 5-5 |
| ჩიკაგო | 11 | 12 | 47,8 | 8-3 | 3-9 | 1 მოგ | 5-5 |
| მილუოკი | 11 | 15 | 40,0 | 6-4 | 4-11 | 1 მოგ | 3-7 |
| ინდიანა | 7 | 16 | 30,4 | 5-5 | 2-11 | 6 წაგ | 2-8 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | | | | | |
| ორლანდო | 18 | 6 | 75,0 | 9-3 | 9-3 | 1 მოგ | 8-2 |
| ატლანტა | 14 | 9 | 60,9 | 8-1 | 6-8 | 2 მოგ | 6-4 |
| მაიამი | 12 | 10 | 54,5 | 7-4 | 5-6 | 1 წაგ | 6-4 |
| შარლოტი | 7 | 17 | 29,2 | 6-9 | 1-8 | 6 წაგ | 3-7 |
| ვაშინგტონი | 4 | 17 | 19,0 | 3-9 | 1-8 | 2 მოგ | 3-7 |
| | მოგ | წაგ | % | შინ | გას | ზედიზედ | ბოლო 10 |
| **დასავლეთი** | | | | | | | |
| **სამხრეთ-დასავლეთი** | | | | | | | |
| სან ანტონიო | 14 | 8 | 63,6 | 7-5 | 7-3 | 5 მოგ | 8-2 |
| ნიუ ორლეანი | 12 | 7 | 63,2 | 7-3 | 5-4 | 1 წაგ | 7-3 |
| ჰიუსტონი | 15 | 9 | 62,5 | 7-3 | 8-6 | 1 წაგ | 6-4 |
| დალასი | 13 | 9 | 59,1 | 7-5 | 6-4 | 2 მოგ | 8-2 |
| მემფისი | 8 | 15 | 34,8 | 6-5 | 2-10 | 3 მოგ | 4-6 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | | | | | |
| დენვერი | 16 | 7 | 69,6 | 9-3 | 7-4 | 3 მოგ | 8-2 |
| იუტა | 15 | 10 | 60,0 | 10-4 | 5-6 | 1 წაგ | 6-4 |
| პორტლენდი | 15 | 10 | 60,0 | 7-2 | 8-8 | 3 წაგ | 6-4 |
| მინესოტა | 4 | 18 | 18,2 | 2-9 | 2-9 | 8 წაგ | 1-9 |
| ოკლაჰომა | 2 | 22 | 8,3 | 1-11 | 1-11 | 6 წაგ | 1-9 |
| **წყნარი ოკეანე** | | | | | | | |
| ლეიკერსი | 19 | 3 | 86,4 | 12-1 | 7-2 | 2 მოგ | 8-2 |
| ფინიქსი | 14 | 10 | 58,3 | 7-5 | 7-5 | 1 მოგ | 5-5 |
| გოლდენ სტეიტი | 7 | 17 | 29,2 | 4-6 | 3-11 | 2 წაგ | 2-8 |
| კლიპერსი | 6 | 17 | 26,1 | 3-10 | 3-7 | 2 მოგ | 4-6 |
| საკრამენტო | 6 | 18 | 25,0 | 4-9 | 2-9 | 2 წაგ | 1-9 |
| | მოგ | წაგ | % | შინ | გას | ზედიზედ | ბოლო 10 |

## NBAმბები

### მაკჰეილი მწვრთნელიცაა

„მინესოტა ტიმბერვულვზის" მფლობელმა გლენ ტეილორმა მწვრთნელ რენდი უიტმენს სეზონის 4-15 დაწყება არა აპატია და გუნდიდან დაითხოვა, „მგლები" კი ვიცე-პრეზიდენტ კევინ მაკჰეილს ჩააბარა, რომელიც ბოლო 13 წელი მთავარი ალმასრულებელია. მაკჰეილს ახალ ამპლუაში იღბლიანი სტარტი ვერ გამოუვიდა — ზედიზედ წააგო „იუტასა" და „დენვერთან". ეს უკვე მეოთხე მწვრთნელი ეწირება სეზონის ცუდ დებიუტს. მანმადე სამუშაო დაკარგეს „ვაშინგტონის" მენტორმა ედი ჯორდანმა, „ოკლაჰომას" თავკაცმა ფიჯეი კარლესიმომ და „ტორონტოს" წინამძღოლმა სემ მიტჩელმა.

### რიჩი ფინიქსში

„ფინიქსმა" და „შარლოტმა" ერთმანეთში ივაჭრეს და შედეგად ხუთმა კალათბურთელმა შეიცვალა კლუბი. „ფინიქსმა" მიიღო ვარსკვლავი ჯეისონ რიჩარდსონი და „ხურდაში" ჯარედ დადლი. „შარლოტში" კი აღმოჩნდნენ კარგი დამცველი და სნაიპერი რაჯა ბელი, უნივერსალი ბორის დიაუ და „ხურდად" შონ საინლეთერი.

### კუტინომ დაამთავრა

„ნიუ იორკ ნიქსის" 32 წლის მსროლელმა კუტინო მობლიმ გულთან პრობლემების გამო კარიერა დაასრულა. ნბა-ში მან 11 საკმაოდ ნაყოფიერი სეზონი მოილია, „ჰიუსტონში", „ორლანდოში" „საკრამენტოსა" და „კლიპერსში" 700-ზე მეტი თამაში ჩაატარა (საშუალოდ 16 ქულა). „ნიუ იორკში" ორიოდ დღის წინ აღმოჩნდა, როდესაც „კლიპერსმა" ზაკ რენდოლფში გაცვალა, თუმც ახალ გუნდში ერთი თამაშიც აღარ ჩაუტარებია.



# ნავაშლარი ხელი

„ჩიკაგო ბულზის" გასახდელში ერთი კვირაა ხორხოცი არ წყდება, თანაგუნდელები შეუბრალებლად დასცინიან 19 წლის ახალბედა დერიკ როუზს, რომელსაც წინა ორშაბათს ჭეშმარიტად კურიოზული ამბავი შეემთხვა: ვარჯიშზე მკლავგადახვეული მივიდა და რომ ჰკითხეს — რა მოგივიდაო, გულუბრყვილოდ უპასუხა — დანით გავიჭერიო. თურმე დილით ლოგინში ვაშლს თლიდა და თან ნებიერად უყურებდა ტელევიზორს. მერე დანა ლოგინში ჩარჩენია — ალბათ ვაშლი მთლიანად რომ შემოეჭამა, დაავიწყდა მისი არსებობა — და მკლავი ზედ დააგო. ვარჯიშამდე ექიმთან შეუვლია და ათი ნაკერი დაუდიათ. თანაგუნდელები სიცილით დახოცილან. როგორც პირტიტველა ახალბედას ისეც არ აკლებენ და ახლა მთლად ჰაერში აგდეს. ვარჯიში კი გაუცდა, მაგრამ მეორე დღეს მაინც ითამაშა, „ნიუ იორკთან" 15 ქულა და 7 პასი გააკეთა და „ჩიკაგოს" გამარჯვებაში წაახმარა ის თავისი ნავაშლარი ხელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს მე-19 ჩემპიონატი
## სუპერლიგა. მე-9 ტური




12 დეკემბერი. ბათუმი

**ბათუმი 70:87 ენერჯი**

17:27 7:21 22:24 24:15

ბათუმი: ჩხატარაშვილი (6), გ. დოლიძე (3), კეშელავა (22), გ. ბოლქვაძე (5), მინაძე (21); ელიაშვილი (12), ჩხაიძე (1), თავართქილაძე

ენერჯი: გამყრელიძე (12), ლეჟავა (10), დიდია (7), ბაბიაშვილი (16), უგრეხელიძე (15); ტუჯანი (11), ტულუში (5), მაჭავარიანი (4), არნივიძე (3), ქოჩუა (2), ცაავა (2)

მსაჯები: მაკა კუპატაძე, დავით მიქელაძე

14 დეკემბერი. სპორტის სასახლე

**დინამო 63:55 შსს**

14:14 20:11 8:16 21:14

დინამო: ნანიტაშვილი (1), დოლიძე (1), ხანიაშვილი (2), ლაფანაშვილი (27 ქულა, 11 მოხსნა), ქარდავა (2); სიგუა (8), ბაქრაძე (7), სორდია (7), ხიზანიშვილი (6), გემაშვილი (2), კორკოტაძე

შსს: ბ. ნოზაძე, ნინუა, მიქაბერიძე (2), ბერუაშვილი (9 ქულა, 12 მოხსნა), შენგელია (28 ქულა, 17 მოხსნა); გოლეთიანი (9), ფაიქრიძე (4), ი. ბაქრაძე (2), ბექაური (1), აბულაძე, პატარაია

მსაჯები: დავით არეშიძე, ხათუნა გაბედავა
კომისარი: როლანდ ხომერიკი

**ნტდ 81:88 თსუ**

14:25 20:21 16:17 21:25

ნტდ: ნეფტალიევი (15), სარიევი (13), ბახშიევი (8), ფაშაევი (4), სუხიშვილი (6); ჩიტაშვილი (18), გლოველი (6), როდუმტა (5), ჯიდია (3), მამაცაშვილ (3), კოლუაშვილი

თსუ: გაფრინდაშვილი (14 ქულა, 8 ჩაჭრა, 7 პასი), კოხრეიძე (8), მარკოიშვილი (10), გ. ბარბაქაძე (2), ახალკაცი (19 ქულა, 10 მოხსნა); დ. ბარბაქაძე (13), შანიძე (9), დ. ბერიშვილი (8), ხეცურიანი (3), ყველაშვილი (2)

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერუკაშვილი
კომისარი: თენგიზ ქიქოძე

**სსსსუ 72:74 ავიამშენი**

9:23 24:22 17:15 22:14

სსსსუ: წივწივაძე (18), მარხვაშვილი (16), გულისაბედაშვილი (8), დ. გივმრაძე (10), ათანელიშვილი (4); ტყეშელაშვილი (15), გასიტაშვილი (1), ბოქოლიშვილი

ავიამშენი: ი. ბერიშვილი (13), ბოისა (7), პირველაშვილი (5), ნაცვლიშვილი (18), მათიაშვილი (23 ქულა, 13 მოხსნა); ბერაია (6), ნინიაშვილი (2), მინაშვილი, ს. შერმადინი

მსაჯები: მაკა კუპატაძე, დავით ბერუკაშვილი
კომისარი: თენგიზ ქიქოძე

# ავია სამქულიანების წვიმამ ვერ დაასველა

**ბოლო ხანს** საქართველოს ჩემპიონატს მაყურებლის ყურადღება მოაკლდა. ხშირია მატჩები, რომლებიც 30 და 40-ქულიანი სხვაობითაც კი სრულდება და შესვენებებსა და ტაიმაუტებზე უფრო საინტერესო „რამეები" ხდება. თუმც მე-9 ტური საკმაოდ დაძაბული გამოვიდა.

ცენტრალურ მატჩში, „ავიამშენსა" და „სასოფლოს" შორის ბოლო წუთებზე გვარიანად დაიძაბა სიტუაცია. არადა, თამაში ისე იწყებოდა, გარეთ სიცივე რომ არ ყოფილიყო, კანტიკუნტი მაყურებელი იქაურობასთან გაცლაზე დაფიქრდებოდა.

წინა და უკანა ხაზებში ტოლძალოვნად დაკომპლექტებული „ავიამშენი" იოლად არღვევდა „სასოფლოს" დაცვას და ყოველ შეტევას 2 ქულად აქცევდა, მაშინ, როდესაც ისი მეტოქე შეცდომას შეცდომაზე უშვებდა და პირველი ექვსნახევარი წუთი ქულა არ ჩაუგდია. „ავიას" კი ტაბლოზე 18 ენთო. იფიქრებდით — ეგეც შენი ცენტრალური მატჩი, ინტრიგა პირველივე მეოთხედში მოკვდაო. სსსსუ მოგვიანებით გაცოცხლდა და მინავლებული ინტრიგა მეორე ტაიმში გაალვივა, პირველში კი არაფერი გამოსდიოდა, რადგან მისი მაღლები „ავიამშენის" სამწამიანში ხელების ტყეში იხლართებოდნენ და მათი შეტევების დიდი ნაწილი ბურთის ჩაბარებით სრულდებოდა.

„ავიამ" პირველი მეოთხედი 14 ქულით მოიგო, მეორეში 17-თაც დაწინაურდა და გამარჯვება ჯიბეში დაიგულა. მაგრამ...

სასოფლომ თამაში მეორე ტაიმში იპოვა და მარტივი ხერხით იწყო სხვაობის შემცირება: კობეშავიძის ყველა შეგირდმა — მაღლებმაც და დაბლებმაც შორსმსროლელი კატაპულტები გამართეს და „ავიამშენის" კალათის სამქულიანებით დასეტყვა იწყეს. ზორბა ლევან ტყეშელაშვილს სამწამიანიდან ბურთი არ ჩაუგდია, საჯარიმოც კი არ უსვრია, ფარქვეშეთში ვერც ის და ვერც რეზო ათანელიშვილი ვერ ჯობდნენ ავიამშენის მძიმე მეფარეებს — ახალგაზრდა რიჩო მათიაშვილსა და ვეტერან ვატო ნაცვლიშვილს. მაგრამ მისმა და სხვათა შორეულმა ჭურვებმა თავისი ქნეს. სსსსუ-მ ბოლო მეოთხედში თანდათან დაფარა კრედიტი და მატჩის დამთავრებამდე 20 წამით ადრე წივწივაძემ 72:72 გაათანაბრა. „ავიამ" მთელს 40 წუთში პირველად დაკარგა ლიდერობა, მაგრამ გამარჯვება მაინც მას დარჩა და დამსახურებულადაც: სირენამდე 7 წამი რჩებოდა, შეხვედრის საუკეთესო მოთამაშე რიჩარდ მათიაშვილმა ფარქვეშ ბრძოლაში რომ იყოჩაღა და 74:72 წასწია თავისი გუნდი. „სასოფლოს" საკმარისი დრო კი რჩებოდა, მაგრამ ველარ გამოიყენა.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ენერჯი | 8 | 8 | 0 | +172 | 16 |
| ავიამშენი | 8 | 6 | 2 | +142 | 14 |
| ნტდ | 8 | 6 | 2 | +79 | 14 |
| თსუ | 8 | 5 | 3 | +146 | 13 |
| სსსსუ | 8 | 5 | 3 | +80 | 13 |
| ბათუმი | 8 | 3 | 5 | -89 | 11 |
| დინამო | 8 | 2 | 6 | -132 | 10 |
| შსს | 8 | 1 | 7 | -144 | 9 |
| მაკაბი | 8 | 0 | 8 | -261 | 8 |

**ირაკლი ფირაშვილი**

# ჩვეულებრივად ქცეული ამბავი: გუნდი უფულობით იშლება

**თსუ-ს** ფინანსური პრობლემები მიეძალა და შეიძლება გუნდი დაიშალოს კიდეც, რაც უდავოდ ცუდი ამბავი იქნება. სტუდენტებს ბოლო დრომდე „სახალხო ბანკი" აფინანსებდა, თუმცა განახლებულ სეზონში უნივერსიტეტელები სპონსორის გარეშე თამაშობენ და სექტემბრიდან მოყოლებული, კალათბურთელებს ხელფასი არ აუღიათ.

თსუ-ს მთავარმა მწვრთნელმა ნუგზარ ჭეიშვილმა ამ ამბავთან დაკავშირებით ეს გვითხრა: „გაურკვეველ ვითარებაში ვართ და არ ვიცით, რა იქნება. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა ყველაფერს აკეთებს გუნდის გადასარჩენად და იმედია, სპონსორს მონახავენ. სამწუხაროდ, მათ არა აქვთ იურიდიული უფლება, ბიჭებს ხელფასი რომ დაურიგონ. ვნახოთ, იმედია, რომ თსუ გააგრძელებს სუპერლიგაში თამაშს, თუ არადა, ძალიან ცუდი იქნება."

## ქართველები უცხოეთში




# ზაზამ ლებრონი წააქცია

**ზაზა ფაჩულიას** „ატლანტას" გასულ კვირას ოთხიდან ორი თამაში მოიგო და აღმოსავლეთ დივიზიონში მეოთხე ადგილი შეინარჩუნა, თუმცა ეს პოზიცია ძალიან მყიფეა, რადგან ჯორჯიელებს „მაიამი" და „დეტროიტი" მიყვებიან.

ქართველმა ცენტრმა ოთხივე მატჩი სათადარიგოთა სკამიდან დაიწყო და მთლიანობაში ურიგოდ არ გარჯილა. „ჰიუსტონ როკეტსთან" სტუმრად 84:92 წაგებულ მატჩში ჩვენებურის მონაგარი 21 წუთში 5 ქულა და 8 მოხსნა იყო. ამის მერე ატლანტელები კიდევ ერთ ტეხასელ გიგანტს „სან ანტონიოს" ეწვივნენ და 89:95 დამარცხდნენ. ზაზამ ამჯერად 19 წუთში 6 ქულა და 5 მოხსნა გამოადნო. ორმატჩიანი მარცხით გაგულიანებულმა ჯორჯიელებმა ჯავრი საკუთარ მოედანზე „მაიამი ჰითთან" იყარეს — 87:73. ფაჩულია თანაგუნდელებს 7 ქულით და 7 მოხსნით შეეწია.

უფრო მნიშვნელოვანი კი ვარსკვლავბიჭუნა ლებრონ ჯეიმსის „კლივლენდის" წაქცევა იყო, რომელსაც მანამდე მიჯრით 11 თამაში არ წაეგო. უშეღავათო შეხვედრაში „ატლანტამ" 97:92 იძალა. თავად ზაზამ მოედანზე 22 წუთი დაჰყო და 8 ქულას 6 მოხსნაც მიაყოლა.

ამერიკიდან ევროპაში გადმოვინაცვლოთ და იქაური ლეგიონის ამბები ვთქვათ.

მანუჩარ მარკოიშვილის „ბკ კიევმა" ევროჩელენჯის მესამე ტურში გერმანული „საკილაინერსი" დაჩაგრა 66:58 და მატჩი ორივე გუნდიდან საუკეთესო მონაგარი მანუჩარს ჰქონდა 30 წუთში 17 ქულა. ევროთასების შემდეგ ქართველის გუნდმა შინაურ ჩემპიონატშიც იყოჩაღა და „პოლტავას" 95:75 გადაუხდინა. მარკოიშვილი კიევლებს 7 ქულით და 5 მოხსნით შეეხიდა.

ევროჩელენჯზე ესტონურმა „ტარტუ როკმაც" იჩაუქა. გიორგი ცინცაძის და ვიქტორ სანიკიძის გუნდმა ბელგიური „ოსტენდე" გამოიჭირა და 87:83 მოუგო. ცინცაძემ მოედანზე სრული 40 წუთი გაატარა და 17 ქულას მოუყარავა თავი, რასაც 3 მოხსნა, 2 პასი და 2 ჩაჭრაც მიუმატა.

**ნიკა კოპაძე**



# 1000 ბავშვის ფესტივალი

**სპორტის** დეპარტამენტისა და რაგბის კავშირის ერთობლივი ორგანიზებით ბავშვთა სარაგბო ორკვირიანი ფესტივალი ჩატარდა.

წინა უქმეებზე 13-14-წლამდელმა მორაგბეებმა „მიხეილ მესხზე" ღვაწლმოსილი მორაგბის, ნოდარ ყიფიანის ხსოვნის ტურნირი ითამაშეს, ხოლო გუშინ „შევარდენზე" 11-12-წლამდელებმა რაგბის კავშირის ყოფილი გენერალური მდივნის, ირაკლი ჩხიკვაძის სახელობის შეჯიბრზე ირაგბეს.

მთლიანობაში სარაგბო ფესტივალში 1000-მდე ბავშვმა მიიღო მონაწილეობა. შეჯიბრება, როგორც ვთქვით, ფესტივალის ფორმატით ჩატარდა, ანუ საპრიზო ადგილები არ გათამაშებულა, თასებითა და დიპლომებით კი ყველა გუნდი დაჯილდოვდა. მოტივაციის ასამაღლებლად შეხვედრებს საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრები სჯიდნენ.

14 დეკემბერს ფესტივალზე „შევარდენი", „ქუთაისი", „ხულიგანა", „ჭიათურა", „მერანი", „ქუთაისი 2", „ჯიქები", „ვანი", „უნივერსიტეტი", „ქუთაისი 3", „აკადემია", „ფოთი", „ლელო", „მუტრუკები", „არმაზი", „ზესტაფონი", „ყოჩები", „რუსთავი", „დიღომი" და „მონინო" ერკინებოდნენ.

6-7 დეკემბერს კი „პატარძეული", „ჯიქები", „აკადემია", „ქუთაისი", „ჭიათურა", „დიღომი", „რუსთავი", „ვანი", „ყოჩები", „ლელო", „ფოთი", „იბერია", „ახალციხე", „ხულიგანა", „დედოფლისწყარო", „არმაზი", „უნივერსიტეტი", „ბორჯომი", „შევარდენი" და „აკადემია 2" რაგბობდნენ.

ფესტივალის დასრულების შემდეგ პატარებს თასები და დიპლომები რაგბის კავშირის პრეზიდენტმა გია ნიჟარაძემ, ეროვნული ნაკრების წევრმა ილია მაისურაძემ და ირაკლი ჩხიკვაძის ქალიშვილებმა გადასცეს.

**გიორგი ჭანიშვილი**

# ჩემპიონთა ლიგა 2008-2009. ჯგუფური ეტაპი. VI ტური


რაულს ევროთასებზე 66 გოლი დაუგროვდა


ხოსეპ გვარდიოლას „ბარსელონამ“ ყველაზე მეტი გაიტანა


ფრანკ რიბერი: ადამიანი პასი

# ტანგო ნიონში: ვინ ვისთან ითამაშებს მერვედფინალში?

### A ჯგუფი

**ჩელსი 2:1 კლუჟი**

1:0 კალუ (40), 1:1 ი. კონე (55), 2:1 დროგბა (71)

გაფრთხილება: ბელეტი, მიკელი (ჩელსი), ტრიკა, კულიო (კლუჟი)

**რომა 2:0 ბორდო**

1:0 ბრიგი (61), 2:0 ტოტი (80)

გაფრთხილება: ბრიგი (რომა), ჩალმე, ჟურიეტი, დიავარა (ბორდო)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რომა | 6 | 4 | 0 | 2 | 12:6 | 12 |
| ჩელსი | 6 | 3 | 2 | 1 | 9:5 | 11 |
| ბორდო | 6 | 2 | 1 | 3 | 5:11 | 7 |
| კლუჟი | 6 | 1 | 1 | 4 | 5:9 | 4 |

### B ჯგუფი

**ვერდერი 2:1 ინტერი**

1:0 პიზარო (63), 2:0 როზენბერგი (81), 2:1 იბრაჰიმოვიჩი (88)

გაფრთხილება: ფრინგსი, ფრიცი (ვერდერი), მუნტარი, ბალოტელი (ინტერი)

**პანათინაიკოსი 1:0 ანორთოსისი**

1:0 კარაგუნისი (69)

გაფრთხილება: სპიროპულოსი, სიმაო ჟუნიორი (პანათინაიკოსი), სკოპელიტისი, დობრაშინოვიჩი, ფრუსოსი (ანორთოსისი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პანათინაიკოსი | 6 | 3 | 1 | 2 | 8:7 | 10 |
| ინტერი | 6 | 2 | 2 | 2 | 8:7 | 8 |
| ვერდერი | 6 | 1 | 4 | 1 | 7:9 | 7 |
| ანორთოსისი | 6 | 1 | 3 | 2 | 8:8 | 6 |

### C ჯგუფი

**ბარსელონა 2:3 შახტარი**

0:1, 0:2 გლადკი (31, 58), 1:2 სილვინიო (59), 1:3 ფერნანდინიო (76), 2:3 ბუსკეტსი (83)

გაფრთხილება: კრკიჩი (ბარსელონა), ჰუბშმანი, ბრანდაო, ლუის ადრიანო, გლადკი, კუჩერი, პიატოვი (შახტარი)

**ბაზელი 0:1 სპორტინგი**

0:1 იანიკი (19)

გაფრთხილება: შტრელერი (ბაზელი), კანეირა (სპორტინგი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 6 | 4 | 1 | 1 | 18:8 | 13 |
| სპორტინგი | 6 | 4 | 0 | 2 | 8:8 | 12 |
| შახტარი | 6 | 3 | 0 | 3 | 11:7 | 9 |
| ბაზელი | 6 | 0 | 1 | 5 | 2:16 | 1 |

### D ჯგუფი

**პსვ 1:3 ლივერპული**

1:0 ლაზოვიჩი (37), 1:1 ბაბელი (45), 1:2 რიერა (68), 1:3 ნგოგი (77)

გაფრთხილება: სიმონსი, მენდესი (პსვ), რიერა, დოსენა, არბელოა (ლივერპული)

**მარსელი 0:0 ატლეტიკო**

გაფრთხილება: ზუბარი (მარსელი), ლუის გარსია, რაულ გარსია, პერეა, სინამა პონიოლი (ატლეტიკო)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლივერპული | 6 | 4 | 2 | 0 | 11:5 | 14 |
| ატლეტიკო | 6 | 3 | 3 | 0 | 9:4 | 12 |
| მარსელი | 6 | 1 | 1 | 4 | 5:7 | 4 |
| პსვ | 6 | 1 | 0 | 5 | 5:14 | 3 |

### E ჯგუფი

**მანჩესტერი 2:2 ოლბორგი**

1:0 ტევესი (3), 1:1 იაკობსენი (33), 1:2 კურტი (45), 2:2 რუნი (52)

გაფრთხილება: კურტი (ოლბორგი)

**სელტიკი 2:0 ვილიარეალი**

1:0 მელონი (14), 2:0 მაკგიდი (45)

გაფრთხილება: კოლდუელი, მაკგოვანი (სელტიკი), ედმილსონი, სენა, ანხელი, იბაგასა (ვილიარეალი)

გაძევება: ფრანკო (35, ვილიარეალი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 6 | 2 | 4 | 0 | 9:3 | 10 |
| ვილიარეალი | 6 | 2 | 3 | 1 | 9:7 | 9 |
| ოლბორგი | 6 | 1 | 3 | 2 | 9:14 | 6 |
| სელტიკი | 6 | 1 | 2 | 3 | 4:7 | 5 |

### F ჯგუფი

**ლიონი 2:3 ბაიერნი**

0:1 კლოზე (12), 0:2 რიბერი (32), 0:3 კლოზე (36), 1:3 გოვუ (52), 2:3 ბენზემა (68)

გაფრთხილება: გროსო, გასამა (ლიონი), ვან ბომელი, ლამი, ბოროვსკი, ოტლი (ბაიერნი)

**სტიაუა 0:1 ფიორენტინა**

0:1 ჟილარდინო (66)

გაფრთხილება: ნიკოლიტა, გოლანსკი, მორენო, სემედუ, გოლანსკი, ლოვინი, რადოი (სტიაუა), ძაური, ჟილარდინო (ფიორენტინა)

გაძევება: გოლანსკი (72, სტიაუა)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 6 | 4 | 2 | 0 | 12:4 | 14 |
| ლიონი | 6 | 3 | 2 | 1 | 14:10 | 11 |
| ფიორენტინა | 6 | 1 | 3 | 2 | 5:8 | 6 |
| სტიაუა | 6 | 0 | 1 | 5 | 3:12 | 1 |

### G ჯგუფი

**პორტუ 2:0 არსენალი**

1:0 ბრუნო ალვეში (38), 2:0 ლისანდრო (54)

გაფრთხილება: ლუჩო გონსალესი (პორტუ), ებუ (არსენალი)

**დინამო 1:0 ფენერბაჰჩე**

1:0 ერიომენკო (20)

გაფრთხილება: ასათიანი, მიხალიკი, კრავეცი (დინამო), პარლაკი (ფენერბაჰჩე)

გაძევება: მალდონადო (90, ფენერბაჰჩე)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 6 | 4 | 0 | 2 | 9:8 | 12 |
| არსენალი | 6 | 3 | 2 | 1 | 11:5 | 11 |
| დინამო | 6 | 2 | 2 | 2 | 4:4 | 8 |
| ფენერბაჰჩე | 6 | 0 | 2 | 4 | 4:11 | 2 |

### H ჯგუფი

**იუვენტუსი 0:0 ბატე**

გაფრთხილება: ამაური (იუვენტუსი), სოსნოვსკი, ვერემკო, ხაგუში, იერმაკოვიჩი (ბატე)

**რეალი 3:0 ზენიტი**

1:0 რაული (24), 2:0 რობენი (50), 3:0 რაული (56)

გაფრთხილება: დანი, შირლი (ზენიტი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 6 | 3 | 3 | 0 | 7:3 | 12 |
| რეალი | 6 | 4 | 0 | 2 | 9:5 | 12 |
| ზენიტი | 6 | 1 | 2 | 3 | 4:7 | 5 |
| ბატე | 6 | 0 | 3 | 3 | 3:8 | 3 |

*მერვედფინალის წილისყრა 19 დეკემბერს ნიონში, თბილისის დროით 15 საათზე გაიმართება;*
*ერთი ქვეყნის კლუბები ერთმანეთს არ შეხვდებიან;*
*ერთი ჯგუფიდან გასული კლუბები ერთმანეთს არ შეხვდებიან;*
*მეორე ადგილზე გასულები პირველ მატჩს შინ ითამაშებენ;*
*პირველი მატჩები 24-25 თებერვალს გაიმართება, საპასუხოები 10-11 მარტს*

**ჯგუფური ეტაპი მიილია და 16 გუნდი დასაწყვილებლად გამზადებულია.**

**ბოლო ტურში, ოთხშაბათს, იშვიათი რამ მოხდა. ქარიმ ბენზემამ „ბაიერნს" 68-ე წუთზე რომ გაუტანა, მას შემდეგ არც ერთ შეხვედრაში (რვა წყვილში) გოლი აღარ გასულა.**

**თითოეული გუნდი მოკლედ დავახასიათოთ, ოღონდ ჯერ ისტორიას გადავხედოთ.**

ჩემპიონთა ლიგაში მეორე ჯგუფური ეტაპი 2002-03 წლების სეზონის შემდეგ გაუქმდა და 2003-04-იდან მერვედფინალი შემოიღეს.

ახალი ფორმატით გამართულ მთავარ ევროტურნირში ჟოზე მოურინიუს „პორტუმ" იმარჯვა. ფინალისკენ მიმავალ გზაზე „მანჩესტერი", „ლიონი" და „დეპორტივო" დაამარცხა, ფინალში კი „მონაკოს" გადაურბინა — 3:0.

მომდევნო სეზონი (2004-05) რაფაელ ბენიტესის „ლივერპულის" ტრიუმფით და უდრამატულესი ფინალით დასრულდა.

„ლივერპულმა" მერვედფინალში „ლევერკუზენს" მოუგო, რასაც „იუვენტუსი" და „ჩელსი" მიაყოლა, სტამბოლში კი „მილანს" სამგოლიანი ჩამორჩენა 3:3-ად უქცია და პენალტებში აჯობა.

2005-06-ის სეზონი ისტორიული იყო იმით, რომ ფინალში პირველად გავიდა ლონდონური კლუბი. „არსენალმა" გზიდან „რეალი", „იუვენტუსი" და „ვილიარეალი" ჩამოიცილა, მაგრამ საუცხოოდ მოთამაშე ტიერი ანრიმ ფინალში ვეღარ გაქაჩა.

ანრი, ზოგადად ფინალების კაცი არ არის. ვერც მსოფლიოს (2006) და ვერც ევროპის (2000) ჩემპიონატის გადამწყვეტ მატჩებში ვერ გაიბრწყინა.

მოკლედ, ფრანკ რაიკარდის კარგად აწყობილ „ბარსელონასთან" „არსენალი" დამარცხდა.

2006-07-ის ლიგა ისევ „ლივერპული" — „მილანით" და იტალიელების რევანშით დასრულდა. „მილანმა" მერვედფინალში „სელტიკს" სძლია, მერე კი „ბაიერნი" და „მანჩესტერი" ჩამოიცილა და ათენში „ლივერპულს" 2:1 მოუგო.

შარშან ჩემპიონთა ლიგა ინგლისურმა კლუბებმა პრემიერლიგად აქციეს და ფინალი ინგლისური გამოვიდა. კრიშტიანუ რონალდუს თამადობით „მანჩესტერმა" მერვედფინალში „ლიონი" დაამარცხა, მეოთხედფინალში „რომა", ნახევარფინალში „ბარსელონა" და ფინალში „ჩელსის" პენალტებით სძლია.

„ოქროს ბურთის" ამჟამინდელმა მფლობელმა რონალდუმ იმ მატჩშიც გაიტანა, პენალტების სერიაში კი ვერ შეაგდო.

აქვე ვთქვათ, რომ ბოლო ფეხბურთელი, რომელმაც ჯერ „ოქროს ბურთი" მოიგო და მერე ჩემპიონთა ლიგა — რონალდინიო იყო. ბრაზილიელს „ფრანს ფუტბოლის" ჯილდო 2005-ში ერგო და 2006-ში ჩემპიონთა თასი ასწია. შეძლებს თუ არა ვერა კრიშტიანუ რონალდუ იგივეს გამეორებას? საამისოდ ტრადიცია უნდა დაირღვეს — ზედიზედ ორჯერ ჩემპიონთა ლიგა ჯერ არავის მოუგია.

პრემიერლიგელი ბობოლების ფინანსური მოღონიერების შედეგია ის, რომ 2006 წლიდან მერვედფინალში მუდმივად ოთხი ინგლისური კლუბი ხელიხელგადახვეული გადის. „მანჩესტერი", „ლივერპული", „ჩელსი" და „არსენალი" ახლაც ამ კამპანიაში არიან.

ესპანელებს მერვედფინალში ოთხეული 2003-ის მერე არ ჰყოლიათ და წლეულს მოახერხეს.

რაც შეეხება იტალიელებს, სამნი არიან. კვლავ გამოჩნდა ნაკალჩოპოლარი „იუვენტუსი", რომელსაც სერია B-ში ჩაქვეითების გამო ჩემპიონთა ლიგაში ორი სეზონი გაუცდა.

2003 წლიდან მერვედფინალში მუდმივად გამსვლელი გუნდების ნუსხა ასეთია: „ჩელსი", „არსენალი", „რეალი" და „ლიონი".

მერვედფინალში გასული გუნდები კი მოკლედ ასეთნაირად შეგვიძლია დავახასიათოთ:

**რომა** — ცოტა ხნის წინ სერია A-ს ფსკერისკენ მიექანებოდა, მაგრამ გაცოცხლდა და ლიგაში თვით „ჩელსის" გადაასწრო.

**იუვენტუსი** — „ბებერი ქალბატონის" რქებიც ხნავენ. ალესანდრო დელ პიეროს და პაველ ნედვედს სიბერის ჯერ არაფერი ეტყობათ. შემოდგომაზე „იუვესაც" ჰქონდა დაღმასვლა და უკეთესობისკენ მალევე შემობრუნდა.

**ინტერი** — გადაცმული „ჩელსია" ამ კლუბის ყოფილი მწვრთნელით. ფანტასტიკური გუნდია — ბოლო ორ ტურში „პანათინაიკოსთან" და „ვერდერთან" წაგება მოაზრხა და მერვედფინალში მაინც გავიდა.

**ჩელსი** — მსოფლიოს ჩემპიონი მწვრთნელი ჰყავს.

**მანჩესტერი** — მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი ჰყავს.

**ლივერპული** — რაც პრემიერლიგა შეიქმნა (1992), ასე კარგად სეზონი ჯერ არ დაუწყია და ჩემპიონობას უმიზნებს. ჯერარდზე, კუიტზე და ტორესზეა აწყობილი.

**არსენალი** — შეუძლია „ფულემთან" ან „სტოკთან" წააგოს და „მანჩესტერს" და „ჩელსის" მოუგოს. ემანუელ ადებაიორს გრძელი ფეხები აქვს, მაგრამ მარტო ადებაიორით შორს ვერ წავა.

**რეალი** — ჰოლანდიის ნაკრების ფილიალი, სადაც მთავარი რაულია.

**ბარსელონა** — ხოსეპ გვარდიოლამ დიდებული გუნდი შექმნა. კარგად თუ დააკვირდებით, „ბარსელონას" ფეხბურთელები ამ სეზონში მიწაზე დაუბიჯებლად თამაშობენ — დაფრინავენ.

**ატლეტიკო** — ხშირად დაცვა ურევს, შეტევაში კი აგუერო, ფორლანი და სიმაუ რაგინდარა გუნდს გაამწარებენ.

**ვილიარეალი** — მანუელ პელეგრინის გუნდი ადრე კარგი დაცვით გამოირჩეოდა, ამ სეზონში კი „ყვითლების" კარში გოლები პანტა-პუნტით გადის.

**პორტუ** — ლიგის ბოლო სამი მატჩი მოიგო. მთავარია, ლისანდრო ლოპესი იყოს კარგად. ჯგუფურ ეტაპზე გატანილი ცხრა გოლიდან ოთხი არგენტინელის ანგარიშზეა.

**სპორტინგი** — ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში პირველადაა. „ბარსელონასგან" ორ მატჩში რვა გოლი გაუშვა.

**ლიონი** — საფრანგეთის ზედიზედ ექვსგზის ჩემპიონი მიჯრით მეექვსედაა მერვედფინალში. ამ სეზონშიც ჩემპიონობის მთავარი ფავორიტია, მაგრამ ლიგაში მეოთხედფინალს ერთხელაც ვერ გასცდა.

**პანათინაიკოსი** — სამი ტურის შემდეგ ერთი ქულა ჰქონდა, მაგრამ მომდევნო სამი ისე მოიგო, რომ გოლიც არ გაუშვა.

**ბაიერნი** — მერვედფინალისტი, რომელშიც ფრანკ რიბერი თამაშობს — ჯგუფური ეტაპის საუკეთესო მეპასე.

# ფიფამ კაცები და ქალები გამოფინა



შარშანდელი გამარჯვებული კაკა

**საქმეს** ისეთი პირი უჩანს, კრიშტიანუ რონალდუ „ოქროს ბურთის" გვერდით ფიფას მთავარ ჯილდოსაც მიუდგამს.

ფიფამ წლის საუკეთესო ფეხბურთელის ნომინაციაზე წარდგენილთა ხუთკაციანი ნუსხა გამოამზეურა: კრიშტიანუ რონალდუ, ლიონელ მესი, ფერნანდო ტორესი, ხავი და კაკა. როგორც ხედავთ, „ფრანს ფუტბოლის" ხუთეულს ეს სია მხოლოდ ერთი ფეხბურთელით განასხვავებს — იკერ კასილიასის ნაცვლად კაკაა.

მესიმ ამ ზაფხულს ოლიმპიური ოქრო მოიგო, ტორესი და ხავი ევროპის ჩემპიონები არიან, კაკა კი მსოფლიოს 2007 წლის საუკეთესო ფეხბურთელია.

შეგახსენებთ, რომ ფიფას გამოკითხვაში ეროვნული ნაკრებების მწვრთნელები და კაპიტნები მონაწილეობენ. შარშან რონალდუ მესამე იყო, მესი კი — მეორე.

დაჯილდოების ცერემონია 12 იანვარს ციურიხის ოპერაში შედგება.

ფიფელებს, ცხადია, ქალებიც არ დავიწყებიათ და აქაც ხუთი კანდიდატია: ბრაზილიელები — კრიშტიანე და მარტა, გერმანელები — ნადინე ანგერერი და ბრიგიტ პრინსი და ნორვეგიელი კელი სმიტი.

**ვაჟა ხუციშვილი**

# 169 000 რონალდოლარი



**ზოგმა** დაწვა და ზოგმა დახია რონალდოს სურათი რიო დე ჟანეიროში. მსოფლიოს სამგზის საუკეთესო ფეხბურთელი და სხვა არაერთი ტიტულის მპყრობელი ბრაზილიელი სან პაულუს „კორინთიანსში" გადავიდა, სადაც თვეში 169 ათას დოლარს მიუთვლიან.

თებერვალში დაშავებული რონალდო ოპერაციის მერე ოთხი თვე „ფლამენგოში" ვარჯიშობდა და რიოელ ფანებსაც ეიმედებოდათ, რომ მათთან დარჩებოდა, მაგრამ ფეხბურთელმა თავი „კორინთიანსის" მაისურაში გაჰყო. გუნდში, რომელიც „ფლამენგოს" უპირველესი მტერია.

„კარგად მესმის ფლამენგოელი ფანების, მაგრამ მათთან ოთხი თვე ვიყავი და კონტრაქტზე სიტყვა არ დასცდენიათ — თქვა ფორვარდმა — „კორინთიანსმა" კარგი პირობები შემომთავაზა და კარიერის გაგრძელების შანსი მომეცა".

32 წლის მეგოლემ ერთწლიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი, რომელშიც წერია, რომ ნებისმიერ დროს შეუძლია კონტრაქტის ცალმხრივად გაწყვეტა.

„კორინთიანსის" ვიცე-პრეზიდენტმა მარსიო გობიმ სისულელე უწოდა ცნობას, თითქოს კლუბს რონალდო ბიზნესისთვის სჭირდება და არა ფეხბურთელად.

„ფლამენგოს" პრეზიდენტმა მარსიო ბრაგამ კი გაოცებისგან პირი დააღო: „კორინთიანსში" რონალდოს გადასვლა ჩვენ ყველაზე ბოლოს შევიტყვეთ".

მსოფლიოს ორგზის (1994, 2002) ჩემპიონს სან პაულუში ექვსი ათასამდე გახარებული ფანი ზარზეიმით დახვდა. „ფეხბურთი ძალიან მიყვარს — თქვა „კორინთიანსის" მაისურაში გამოწყობილმა — 15 წლიდან პროფესიონალი ვარ, მაგრამ სამშობლოში მხოლოდ ერთი სეზონი („კრუზეროში", 1993-94) ვითამაშე და ძალიან მენატრებოდა ჩემი ოჯახი და ქვეყანა. ევროპაში 15 წელი გავატარე და იქ დაბრუნებას აღარ ვაპირებ. კარიერას აქ დავასრულებ. მართალია, თანაგუნდელებზე გაცილებით მეტი ხელფასი მექნება, მაგრამ არა მგონია, რომ ამის გამო მათთან პრობლემები შემექნას".

**რომან თურქია**

# არშავინის შავი სიტყვა



**რამდენიმე** დღის წინ ინტერნეტში ანდრეი არშავინის იმ ინტერვიუს აუდიოჩანაწერი გამოქვეყნდა, რომელიც რუსმა ფეხბურთელმა ჯერ კიდევ ზაფხულში ევროპის ჩემპიონატის დამთავრებისთანავე მისცა BBC-ს. ინტერვიუს ორიგინალურმა ვერსიამ, თავად რუსები წერენ, ქვეყანაში შოკი გამოიწვიაო.

არშავინი ინგლისურად ნორმალურად ლაპარაკობს, მაგრამ ინტერვიუს დროს დახმარება მაინც დასჭირდა და თარჯიმნობას აგენტი, დენის ლაჰტერი უწევდა.

ინტერვიუს ორიგინალურ ვერსიაში ერთ-ერთი კითხვა-პასუხი ასე ჟღერს:

— რატომ თვლით, რომ პრემიერლიგა საუკეთესოა მსოფლიოში? — ეკითხება BBC-ის ჟურნალისტი.

— გადაუთარგმნე — მიუბრუნდა არშავინი თარჯიმანს — სწრაფი ტემპი, **áëÿäü**, მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელები, **áëÿäü**, საუკეთესო მწვრთნელები, **áëÿäü**, კარგი მოედნები...

თარჯიმანმა ჟურნალისტს უწესო სიტყვები, ცხადია, არ უთარგმნა. რუსულმა „კომსომოლსკაია პრავდამ" კი ეს დაწერა: ეგებ ინგლისელებმა მაინც გაიგეს, როგორი ლექსიკით ლაპარაკობს არშავინი და იმიტომ ჩაიშალა მისი გადასვლა პრემიერლიგაშიო...

**ოთარ მხეიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# რონალდუ, საყვარელი და საყვარლის ქმარი

**კრიშტიანუ რონალდუმ**, „ფრანს ფუტბოლის" „ოქროს ბურთს" ხომ დაეუფლა და, ერთი უკრაინელი გოგონას გულიც მოიგო.

თუმცა, უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ გოგონამ მოიგო რონალდუს გული.

გოგონას ალიონა ჰაინესი ჰქვია და 25 წლისაა. ჰაინესი მისი ინგლისელი ქმრის გვარია.

კრიშტიანუ და ალიონა რესტორანში შეხვდნენ ერთმანეთს და როგორც ამბობენ, ეს ერთი ნახვით შეყვარება გახლდათ.

რომანი SMS-ებით სიყვარულის ახსნით დაიწყო, ვირტუალურ სიყვარულს, ცხადია, შეხვედრებიც მოჰყვა და ლოგიკურად გაგრძელდა — ალიონამ ქმარი მიატოვა და მეგობართან გადასახლდა.

დამატებითი ცნობები ალიონა ჰაინესზე: ის მანჩესტერის ერთ-ერთი სუპერმარკეტის პარფიუმერიის განყოფილებაში მუშაობს გამყიდველად. ამავე დროს ალიონა იმ ვებგვერდის სახეა, რომელიც ბრიტანელ მამაკაცებს მშვენიერ რუს გოგონებთან სასიყვარულო თავგადასავლებს სთავაზობს.

მეგობრები ალიონას უაღრესად ინტელიგენტურ გოგონად მოიხსენიებენ და ამ მოსაზრებას ქმარიც ეთანხმება.

ჯონ ჰაინესმა კარს მიმდგარ ჟურნალისტებს განუცხადა: „ალიონამ რონალდუსგან მიღებული მესიჯები მაჩვენა. რომ წავიკითხე, ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს 7 წლის ბავშვის დაწერილი ყოფილიყო. საშინელი ინგლისურით ეწერა და რაღაც ბავშვური მოკრძალება იგრძნობოდა..."

# გამარჯობა. ავღანეთო. შენი!

**რუსული** ფეხბურთი წლეულს რაგინდარა ტურნირში ზეობს. „ზენიტმა" უეფას თასი მოიგო, ნაკრებმა ევროჩემპიონატის ნახევარფინალს უწია, ერთი კვირის წინ კი რუსი ბომჟები მსოფლიოს უსახლკაროთა ჩემპიონატის ფინალში გავიდნენ, მაგრამ ავღანეთთან დამარცხდნენ (4:5) — კლასმა თავისი მაინც გაიტანა.

მსოფლიოს მეექვსე ჩემპიონატს, რომელშიც 56 ქვეყნის ნაკრები მონაწილეობდა, მელბურნმა უმასპინძლა.

ოთხკაციანი გუნდები (მათ შორის ერთი მეკარე) ორ, 14-წუთიან ტაიმს თამაშობენ მოედანზე, რომლის სიგრძე-სიგანე 22x16-ზეა.

ავღანელები რუსებს ჯგუფურ ეტაპზეც შეხვდნენ და იქაც დაარტყეს. რუსებმა მეტოქის ტაქტიკა გაშიფრეს და ფინალის წინ ფავორიტებად ითვლებოდნენ, მაგრამ ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელი ტრავმის გამო დააკლდათ და ტაქტიკის იძულებით შეცვლა მოუწიათ — 2-1-დან 1-1-1-ზე გადაეწყვნენ. ამით ფლანგები დაუსუსტდათ, რითაც ავღანელმა ბომჟებმა ისარგებლეს და მალევე დაწინაურდნენ.

უსახლკარო რუსებმა ამის მერე 1-2-ით შეუტიეს და წინ გავიდნენ (4:3), თუმც ავღანელებმა, როგორც ვთქვით, კლასის ხარჯზე, მაინც მოახერხეს ორი გოლის შეგდება და მსოფლიოს ჩემპიონები პირველად გახდნენ.

რუსი ბომჟების მწვრთნელმა ნამატჩევს პირველი გოლის ფაქტორზე ისაუბრა, ავღანელთა თავკაცმა კი მეხუთე გოლის ფაქტორზე.

ქალების ფინალში ზამბიელებმა ლიბერიელები გაწეწეს — 7:1.

მსოფლიოს უსახლკაროთა ჩემპიონატი 2003 წლიდან იმართება. პირველი გამარჯვებული ავსტრია გახდა, 2004-ში და 2005-ში იტალიელმა ბომჟებმა ზედიზედ მოიგეს, 2006 წელს რუსებმა იმარჯვეს, შარშან კი შოტლანდიელებმა.

**რომან თურქია**



# გერმანია

## ბუნდესლიგა. XVII ტური

# ასე ხუმრობა არ შეიძლება!



ორი მეკარე ერთ კართან: მასპინძელმა იენს ლემანმა სტუმარ მიხაელ რენსინგს ჩააგითხა

### ტურის მატჩი

**შტუტგარტი 2:2 ბაიერნი**

1:0 ხედირა (45), 1:1 ბოროვსკი (48), 1:2 ტონი (66), 2:2 ხედირა (90)
შტუტგარტი: ლემანი, ოსორიო, ტასკი, დელპიერი, ტროში, ხედირა, ჰიცლპერგერი, ჰილბერტი (შიბერი 81), შიმაკი (ბაშთურქი 76), კაკაუ, მარიკა (გომესი 33)
მწვრთნელი: მარკუს ბაბელი
ბაიერნი: რენსინგი, ოდო, ლუსიო, დემიკელისი, ლამი, ვან ბომელი, ზე რობერტუ, ბოროვსკი (ოტლი 76), შვაინშტაიგერი (ალთინთოპი 73), ტონი (ვან ბუიტენი 87), კლოზე
მწვრთნელი: იურგენ კლინსმანი
გაფრთხილება: ტაშჩი, მარიკა, დელპიერ.ი (შტუტგარტი), ლუსიო, ვან ბომელი, ტონი, კლოზე (ბაიერნი)
გაძევება: ოდო (88, ბაიერნი)
მსაჯი: კინ ჰოფერი
55 896 მაყურებელი

**ნეკნები** ქაცვებით დაუთვალა, ისეთი მავაში-გერი გაუჭიმა მასიმო ოდომ კრისტიან ტასკის ჰაერში და გააძევეს კიდეც.

„ბაიერნმა" წაგებული პირველი ტაიმი მეორეში სათავისოდ შემოაბრუნა, მაგრამ ბოლო ხუთ წუთში ათი კაცით დარჩენილმა ვეღარ გაუძლო „შტუტგარტის" შეტევებს და ქულალა შერჩა.

იურგენ კლინსმანი მწვრთნელის რანგში პირველად შეხვდა თავის ყოფილ კლუბს, სადაც ხუთი სეზონი გაატარა, გოლებით სახელი გაითქვა და რომელსაც მისი ყოფილი ბაიერნელი თანაკლუბელი მარკუს ბაბელი თავკაცობს.

ბაბელმა გუნდი 23 ნოემბერს არმინ ფეჰსგან ჩაიბარა და ჯერ არ დამარცხებულა.

ლუკა ტონიმ მეოცე წუთზე გაიტანა, მაგრამ თამაშგარედან. ამის მერე უპირატესობა მასპინძლებისა იყო და 39-ზე ჰიცლშპერგერს რენსინგმა აუღო.

სამი ხედირამ ტაიმის მიწურულს თავურით დააწინაურა „შტუტგარტი", შესვენების შემდეგ კი ტიმ ბოროვსკიმ გაათანაბრა — მეკარის მოგერიებულს დაამატა.

ბოროვსკის პასით ტონიმ ახლოდან გაიტანა, ზე რობერტოს კი 85-ე წუთზე შეეძლო სხვაობის გაზრდა, მაგრამ იენს ლემანმა აუღო.

ლემანმა იყოჩაღა ბოლოსაც, როცა მეტოქის კართან თანაგუნდელების დასახმარებლად ჩავიდა. საჯარიმოში ჩაწოდებული ბურთი რენსინგმა შორს ვერ გადააგდო, იქვე ხედირას მიუვიდა, რომელიც კარისკენ თითქმის ზურგით იდგა და ისე შემოულაწუნა ბურთს, რომ ხარიხის ქვეშ შხუილით შეაბრძანა.

აქვე უნდა ვთქვათ, რომ მეტოქის საჯარიმოში ჩასულმა ლემანმა არეულობით ისარგებლა, რენსინგს მუჯლუგუნი ჰკრა და ხედირას დარტყმულის მოგერიება არ დაანება.

იურგენ კლინსმანმა ნამატჩევს ოდოს გაძევება გააპროტესტა: „არასწორი გადაწყვეტილება იყო. გაუგებარია, რატომ გააძევეს. ის ბურთის მისაღებად ახტა და სულაც არ დაუნახავს ტრახსი".

„ბაიერნის" მენეჯერი ული ჰიონესი იმითაც უკმაყოფილო დარჩა, რომ მათი მატჩი შაბათს დანიშნეს, „ჰოფენჰაიმს" კი პატივი სცეს, ერთი დღით მეტი დაასვენეს და „შალკესთან" თამაში კვირას დაუნიშნეს.

„ფეხბურთის ლიგა რაღაცას ურევს — თქვა ჰიონესმა — მე ვერ ვიხსენებ, რომ „შალკეს" ან „ჰოფენჰაიმს" გასული კვირის შუაში ეთამაშოს, ჩვენ კი ოთხშაბათს ლიონში ვიყავით და მაინც შაბათს შეგვახვედრეს „შტუტგარტს". ეს ცუდი ხუმრობაა და მომავალში აღარ უნდა განმეორდეს".

ბუნდესლიგის პირველი წრე დასრულდა და იურგენ კლინსმანი კალიფორნიაში გაემგზავრა. 27 იანვარს გერმანიის თასის მერვედფინალით სეზონი ისევ განახლდება და „შტუტგარტი" „ბაიერნს" უმასპინძლებს.

**ვაჟა ხუციშვილი**

**დორტმუნდი 2:1 გლადბახი**

1:0 ზიდანი (34), 2:0 საჰინი (56), 2:1 ვან დერ ბერგი (80)
გაფრთხილება: კრინგე, ბლაშჩიკოვსკი (დორტმუნდი), მარინი, ბრედლი (გლადბახი)
გაძევება: ჰაინალი (38, დორტმუნდი)

**ვერდერი 2:1 ვოლფსბურგი**

0:1 გენტნერი (3), 1:1 მერტეზაკერი (27), 2:1 ჟოსუე (63ს.კ.)
გაფრთხილება: ბენიში (ვერდერი), დეჟაგა (ვოლფსბურგი)

**ჰერტა 4:0 კარლსრუე**

1:0 ნიკუ (8), 2:0 დომოვჩისკი (74), 3:0 ლუცენბერგერი (86), 4:0 რაფაელი (88)
გაფრთხილება: ნიკუ, პანტელიჩი (ჰერტა)

**ჰამბურგი 1:0 აინტრახტი**

1:0 პეტრიჩი (59)
გაფრთხილება: იაროლიმი (ჰამბურგი), ტოსკი, რუსი (აინტრახტი)

**ჰანოვერი 1:1 არმინია**

1:0 შტაინერი (32), 1:1 ვიშნიარეკი (60)
გაფრთხილება: რაუში (ჰანოვერი), შულერი (არმინია)

**ლევერკუზენი 1:1 კოტბუსი**

1:0 როლფესი (77), 1:1 შაო (90)
გაფრთხილება: კადგასი (კოტბუსი)

**ბოხუმი 1:2 კიოლნი**

0:1 მაკენა (44), 1:1 დაბროვსკი (57), 1:2 იშიაკუ (87)
გაფრთხილება: მალტრიცი (ბოხუმი)
გაძევება: გერომელი (83, კიოლნი), ნოვაკოვიჩი (90, კიოლნი)

**ჰოფენჰაიმი 1:1 შალკე**

0:1 ასამოა (40), 1:1 ტებერი (72)
გაფრთხილება: ტებერი, ლუისი (ჰოფენჰაიმი), ერნსტი, ჯონსი, რაფინია, ასამოა, ჯონსი, ენგელაარი, ენგელაარი (შალკე)
გაძევება: ჯონსი (შალკე, 58), ენგელაარი (შალკე, 80)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰოფენჰაიმი | 17 | 11 | 2 | 4 | 42:23 | 35 |
| ბაიერნი | 17 | 10 | 5 | 2 | 39:24 | 35 |
| ჰერტა | 17 | 10 | 3 | 4 | 27:20 | 33 |
| ჰამბურგი | 17 | 10 | 3 | 4 | 26:24 | 33 |
| ლევერკუზენი | 17 | 10 | 2 | 5 | 36:21 | 32 |
| დორტმუნდი | 17 | 7 | 8 | 2 | 27:19 | 29 |
| შალკე | 17 | 7 | 6 | 4 | 24:16 | 27 |
| ვერდერი | 17 | 7 | 5 | 5 | 39:28 | 26 |
| ვოლფსბურგი | 17 | 7 | 5 | 5 | 35:25 | 26 |
| შტუტგარტი | 17 | 7 | 4 | 6 | 26:23 | 25 |
| კიოლნი | 17 | 7 | 1 | 9 | 19:25 | 22 |
| აინტრახტი | 17 | 5 | 4 | 8 | 23:29 | 19 |
| ჰანოვერი | 17 | 4 | 5 | 8 | 20:32 | 17 |
| არმინია | 17 | 2 | 8 | 7 | 15:27 | 14 |
| კარლსრუე | 17 | 4 | 1 | 12 | 15:32 | 13 |
| კოტბუსი | 17 | 3 | 4 | 10 | 12:29 | 13 |
| ბოხუმი | 17 | 1 | 8 | 8 | 19:30 | 11 |
| გლადბახი | 17 | 3 | 2 | 12 | 18:35 | 11 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| იბიშევიჩი (ჰოფენჰაიმი) | 18 |
| ჰელმესი (ლევერკუზენი) | 12 |
| გრაფიტე (ვოლფსბურგი) | 11 |

**II ბუნდესლიგა. XVII ტური**

ფრანკფურტი — ზანკტ პაული 1:0; კობლენცი — ინგოლშტადტი 0:1; ოსნაბრიუკი — დუისბურგი 1:1; აუგსბურგი — ალემანია 3:1; ფიურტი — ალენი 3:0; მიუნხენი — ნიურნბერგი 1:1; ობერჰაუზენი — მაინცი 2:1; ჰანზა — ვეჰენი 1:0; ლაუტერნი — ფრაიბურგი დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მაინცი | 17 | 9 | 4 | 4 | 33:19 | 31 |
| ფრაიბურგი | 16 | 9 | 3 | 4 | 26:16 | 30 |
| ფიურტი | 17 | 8 | 5 | 4 | 36:25 | 29 |
| ლაუტერნი | 16 | 8 | 4 | 4 | 31:21 | 28 |
| ალემანია | 17 | 8 | 4 | 5 | 26:19 | 28 |
| აუგსბურგი | 17 | 8 | 3 | 6 | 25:22 | 27 |
| ზანკტ პაული | 17 | 8 | 3 | 6 | 28:30 | 27 |
| ნიურნბერგი | 17 | 6 | 7 | 4 | 24:17 | 25 |
| ალენი | 17 | 7 | 3 | 7 | 24:30 | 24 |
| დუისბურგი | 17 | 5 | 7 | 5 | 24:19 | 22 |
| მიუნხენი | 17 | 6 | 4 | 7 | 20:17 | 22 |
| ინგოლშტადტი | 17 | 6 | 3 | 8 | 23:28 | 21 |
| ობერჰაუზენი | 17 | 6 | 2 | 9 | 17:31 | 20 |
| ოსნაბრიუკი | 17 | 4 | 7 | 6 | 24:31 | 19 |
| ჰანზა | 17 | 4 | 5 | 8 | 25:29 | 17 |
| კობლენცი | 17 | 4 | 5 | 8 | 22:29 | 17 |
| ვეჰენი | 17 | 2 | 8 | 7 | 18:31 | 14 |
| ფრანკფურტი | 17 | 2 | 7 | 8 | 15:27 | 13 |

# კვირის ქრონიკა

## ოლბორგი იანვრიდან პერსონისაა

**დანიურ** „ოლბორგს" მომავალი წლიდან შვედი მაგნუს პერსონი გაწვრთნის. კონტრაქტი სამწლიანია და პერსონი მუშაობას იანვრიდან დაიწყებს. 32 წლის შვედი მანამდე „გაისს" თავკაცობდა.

„ოლბორგი" ჩემპიონატში პირველობისთვის ვერ იბრძვის და ლიდერ „ოდენსეს" 18 ქულით ჩამორჩება. ჩემპიონთა ლიგაში კი დანიურმა კლუბმა მესამე ადგილი დაიკავა და უეფას თასზე ითამაშებს.

## ენგელსი ფინკემ შეცვალა

**„ფრაიბურგის"** ყოფილი მწვრთნელი ფოლკერ ფინკე, ვისაც, გეხსომებათ, საქართველოს ნაკრების გაწვრთნასაც უწინასწარმეტყველებდნენ, „ურავას" თავკაცად დანიშნეს. 60 წლის გერმანელმა კონტრაქტის პირობები ნოემბრის ბოლოს შეათანხმა და იაპონურ კლუბთან კონტრაქტს ხელი გასულ კვირაში მოაწერა.

ფინკემდე „ურავაში" გერმანელი გერტ ენგელსი მუშაობდა, რომელიც იმის გამო მოხსნეს, რომ გუნდი აზიის ჩემპიონთა ლიგაში ვერ გაიყვანა.

## ელიას ლონდონში ელიან

**ზამთრის** სატრანსფერო ფანჯრისას „ტვენტეს" ორი ფეხბურთელი, შესაძლოა, ლონდონის „არსენალში" აღმოჩნდეს. არსენ ვენგერს 20 წლის მცველი დუგლასი და 21 წლის ნახევარმცველი ელერო ელია მოეწონა.

ორივე მოთამაშე ფრანგმა მწვრთნელმა „მანჩესტერ სიტისთან" უეფას თასის მატჩისას ერთხელაც ნახა. იქამდე, ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე, „არსენალმა" „ტვენტე" რომ დაამარცხა, ვენგერმა ფეხბურთელები მაშინ ჩაინიშნა.

## უოლკოტის საწვავი: დედის რძე

**თეო უოლკოტის** სისწრაფის საიდუმლო დედის რძეში ყოფილა. „არსენალის" ფეხბურთელის მშობელმა, 46 წლის მისის ლინმა გაამხილა, რომ ჩვილ თეოს საკუთარი რძით კვებავდა და არა მაღაზიაში ნაყიდით.

„ჯანმრთელი ბავშვი ვიყავი და დედაჩემის აზრით, კარგი ფეხბურთელი იმიტომ გავხდი, რომ ბოთლიდან არ მაჭმევდნენ" — თქვა უოლკოტმა.

მისის ლინი: „ვინც კი თეოზე მეკითხება, ყველას ვპასუხობ: სისწრაფე, კოორდინაცია და კარგი მხედველობა მკერდით კვების შედეგია. ჩემს შვილს ეს კარიერაში წაადგა და ძალიან მიხარია".

ახლა ინგლისში სარეკლამო DVD-კამპანიაა გაჩაღებული და დედებს შვილების საკუთარი რძით გამოკვებას ურჩევენ. ფილმში მონაწილეობენ თეო უოლკოტი, მისი და, 24 წლის პოლა და მისის ლინი.

მთელ ინგლისში დედებს 600 ათასამდე დისკი დაურიგეს.

## კაპელოს ინდოეთის ოკეანე დაუჯავშნეს

**მსოფლიოს** ჩემპიონატის შესარჩევის ნახევარიც არ გალეულა და ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ ნაკრებისთვის სამხრეთ აფრიკაში სასტუმრო უკვე დაჯავშნა.

ინგლისელებმა ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო „პეზულა რესორტი" შეარჩიეს, რომელიც საკურორტო გარდენ რუტში, ინდოეთის ოკეანის ნაპირზე მდებარეობს. ეს კურორტი სამხრეთ აფრიკაში ერთ-ერთი უძვირესია.

სასტუმროს 74-ივე ნომერი ლუქს-კლასისაა და 300 გირვანქა ღირს.

„პეზულა რესორტი" ნაკრებისთვის 24 მაისიდან 14 ივლისამდეა დაჯავშნული.

ასოციაციის საგანგებო დელეგაციამ სამხრეთ აფრიკაში დასაბანაკებელი სასტუმრო ორი სიტყვით შეაფასა — „საოცნებო ადგილი". ეს სიამოვნება ინგლისელებს ჯამში 440 ათასი გირვანქა დაუჯდებათ.

## შეიტანა, მაგრამ გამოიტანს?

**ალექს ფერგიუსონის** დანაზოგი ფული, შესაძლოა, თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდეს. საინვესტიციო კომპანია „აიმი", რომელშიც შოტლანდიელი მწვრთნელი თანხებს აბანდებდა, გაკოტრების პირასაა.

„მოხიბლული ვარ ამ კომპანიის ენერგიული და ნიჭიერი მენეჯერების გუნდით, რომელთა წყალობითაც შემოსვლები იზრდება" — ეს ფერგიუსონის სიტყვებია და „აიმის" ოფიციალურ ვებგვერდს ამშვენებს...

ენერგიული მენეჯერები კომპანიიდან დაითხოვეს და სასამართლო წესით „აიმს" ახალი შეფები ეყოლება. ისინი ინვესტორთა ფულის გადარჩენას შეეცდებიან. უცნობია, რამდენი შეიძლება იზარალოს „მანჩესტერის" მწვრთნელმა. ის უმსხვილესი კლიენტია საინვესტიციო კომპანიისა, სადაც 4 მილიარდ 500 მილიონი დოლარი ტრიალებს.

წლის ყველაზე ჯიბესქელ მწვრთნელთა ნუსხა კი ასეთია: ჟოზე მოურინიუ (12 მილიონ 600 ათასი დოლარი), ალექს ფერგიუსონი (7 მილიონ 700 ათასი), ფაბიო კაპელო (7 მილიონ 300 ათასი), გუს ჰიდინკი (6 მილიონ 300 ათასი) და ლუის არაგონესი (4 მილიონ 800 ათასი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 10 მიზეზი, რატომაც არის ეს პრემიერლიგა საუკეთესო






















**პრემიერლიგა რამდენიმე თვის დაწყებულია, ვნებების დუღილი ბილეთების სალაროებთან იწყება, ხოლო მოედნებზე ისეთი ამბები ტრიალებს, ტრიბუნებზე თუ ტელეეკრანების წინ ხალხი სულ აჰ-ს და ოჰ-ს იძახის. „სანი" კი ჩვეული სიმსუბუქით ასახელებს 10 მიზეზს, რის გამოც ეს სეზონი შეიძლება გახდეს 1992 წლიდან ანუ პრემიერლიგის დაარსებიდან საუკეთესო.**

## 10. რობინიო

არაბულმა კონსორციუმმა „მანჩესტერ სიტი" ზედ სატრანსფერო ფანჯრის დახურვის წინ იყიდა. ბერბატოვთან მოკურკურე კლუბს ხელი კი მოეცარა, მაგრამ სამაგიეროდ, ბრიტანეთისთვის სარეკორდოდ ბევრი, 32 მილიონი გირვანქა დაახარჯა რობინიოს და ამაზე გაჩერებას არ აპირებს.

## 9. ბოლო წუთების სანახაობები

არც მეტი, არც ნაკლები, უკვე შვიდ შეხვედრაში დამატებით წუთებზე გაირკვა გამარჯვებული. „ტოტენჰემის" გოლები „არსენალთან" ხომ საერთოდ სიგიჟე იყო. ეს სეზონი აშკარად მოუწოდებს მაყურებელს, საცობების გასწრების მსურველები სულმოკლებით ნუ დატოვებთ სტადიონს მატჩის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრეო.

## 8. ასტონ ვილა

ვინ გაექაჩება დიდ ოთხეულს? ხალხი ასეთად „სიტის", „ტოტენჰემსა" და „პორსმუთსაც" კი ასახელებს, მაგრამ მარტინ ონილის „ასტონ ვილა" ეშლი იანგითა და გაბრიელ აგბონლაჰორით ყველასთვის საშიშ გუნდად ყალიბდება.

## 7. რორი დელაპი

შეიძლება ბევრს არ მოსწონდეს „სტოკის" ტაქტიკა, მაგრამ რორი დელაპის გაკეთებულის ვერდამნახავი კაცი არ დადის ინგლისურ მიწაზე. ირლანდიელმა გუნდის 17 გოლიდან 8 მისი პასებით გავიდა და ერთ-ერთი მსხვერპლი თავად „არსენალია".

## 6. ჯიბეთხელი გმირები

რატომ უნდა იხადო მილიონები ვარსკვლავებში, როცა უამისოდაც შეიძლება საქმის აწყობა? ამრ ზაქი რომ აიყვანა „უიგანმა", ყურადღება არავის მიუქცევია, ახლა კი მას გამადიდებელი შუშით შესქცერიან. და „სიტიში" დაწუნებული ჯოვანის „ჰალში" რეინკარნაცია? ასეთ ბიჭებს რომ უყურებ, ხვდები, რომ ყველაფრის ფულით ყიდვა შეუძლებელია.

## 5. სატრანსფერო სიგიჟეები

ზაფხულის სატრანსფერო ფანჯარაში ისეთი ორპირი ქარი ქროდა, გიჟური სეზონისთვის მოგვამზადა და არანაკლებს ელოდეთ ზამთარში გაღებული ფანჯრიდანაც. „სიტი" ნაღდი ფულის შეკვრებს დააწყობს, რედნაპი „სფურზის" გადაწყობას აპირებს და „ნიუკასლსაც" გაუჩნდა ხარჯვის მოთხოვნილება. ო, რა მძიმედ შეიძლება ამოყირავდეს ცხრილი!

## 4. ჯო კინეარი

„ნიუკასლმა" კევინ კიგანი რომ გაუშვა, 100 კაციც რომ დაგვესახელებინათ, მის შემცვლელს ვერ გამოიცნობდით. ირლანდიელი მენეჯერი შესაძლოა, დროებითი კაცი იყოს ამ გუნდში, მაგრამ მან ქაოსში წესრიგი შეიტანა და ვინ იცის, მომავალში რას იზამენ ისიც და გუნდიც.

## 3. სფურზის საგა

ბებერი კეთილი „ტოტენჰემი"... ყოველ ზაფხულს ათას რამეს აკეთებს ძველი დიდების დასაბრუნებლად, მაგრამ ჰორიზონტს შავი ღრუბლებიც გასდევს. თუმცაღა, ჰარი რედნაპი უსაფრთხოების განცდას ულრმავებს ლონდონელებს.

## 2. ოთხი თიხისფეხება გოლიათი

შეუჩერებელი „მანჩესტერი"? დაივიწყეთ... უძლეველი „ჩელსი"? მოძველებული ამბავია. ბებერი ლომები „არსენალი" და „ლივერპული"? ვინ იცის... დიდი ოთხეული წლეულს უფრო იოლად დასამარცხებელი ჩანს, ვინემ ოდესმე. ეჭვი არაა, ჩემპიონობისთვის ბრძოლა უშელავათო იქნება.

## 1. ყოჩაღი ახალბედები

სეზონის ყველაზე დიდი სენსაცია უდავოდ „ჰალია". პრემიერლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად დაახლოებით 40 ქულაა საჭირო, მაგრამ ეს გუნდი ვერც კი იოცნებებდა, რომ ამის ნახევარს უკვე ოქტომბრის ბოლომდე გამოიმუშავებდა. „სტოკიც" ყოჩაღად გამოიყურება. გამოდის, რომ პრემიერლიგის დატოვება სხვებს მოუწევთ.

**ირაკლი ფირაშვილი**




# კინის წასვლა

სწორედ რომ ერთი კვირის წინათ როი კინმა „სანდერლენდის" მენეჯერის თანამდებობა დატოვა. გაიპარსა თეთრად მოშვებული წვერი და წავიდა სახლში. ხეირინად ეგრეც ვერავინ გაიგო, რატომ წავიდა კინი თანამდებობიდან.

ამბობდნენ, იმიტომ, რომ „სანდერლენდმა" ზედიზედ წააგო ექვსი თამაში და კინი გუნდს ველარაფერს უხერხებდაო.

ასევე ამბობდნენ, კინმა ახალ ფეხბურთელებზე ორმოცი მილიონი დაახარჯვინა კლუბის მმართველ კონსორციუმს და ამათ კი არ გაუმართლესო.

ეს მიზეზები ეგებ სწორიც იყოს, მაგრამ საქმე ისაა, რომ არც სანდერლენდის უფროსობას და არც თავმჯდომარე ნიალ ქუინს კინი'; გადადგომა არ უნდოდათ.

არც გუნდი იყო გასავარდნად გამზადებული, ორიოდე თამაშის მოგება ცხრილის ბოლოდან ამოიყვანდა, რაც სულაც არ იყო შეუძლებელი. და საერთოდ, კინი „სანდერლენდისთვის" გრძელვადიანი ამბავი იყო.

თავად კინი გადადგომის წინა დღეებში ამბობდა, ყოველ დილით და სალამოს ვეკითხები საკუთარ თავს, ამ გუნდისთვის საჭირო ვარ თუ არაო. ეტყობა, ბოლოს თავადვე უპასუხა, საჭირო აღარ ვარო და ცხადია, ველარავინ გადაათქმევინა, იმიტომ რომ როი კინი როი კინია.

ახლა თანდათან გამოირკვა, რომ ის იყო ყველაზე უცნაური მენეჯერი პრემიერლიგაში და სრულიად არ აღიარებდა კლუბის მართვის მიღებულ ფორმებს. „ტაიმსმა" ისიც კი დაწერა, კინი ალბათ მაშინ დაუბრუნდება მენეჯერობას, როცა ფეხბურთი შეიცვლება, ანდა როცა თავად კინი შეიცვლებაო.

თავმჯდომარე ნიალ ქუინი კინისთვის სასურველი კაცი 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ აღარ იყო. მაშინ ქუინმა ნაკრების მწვრთნელ მიკ მაკარტის დაუჭირა მხარი, კაპიტანმა კინმა კი გუნდი ბედის ანაბარა მიატოვა და აღმოსავლეთიდან შინ გამოფრინდა.

ამის მიუხედავად, კინი ქუინთან მუშაობას დათანხმდა, ოღონდ მას ხეირიანად არ დალაპარაკებია მთელი იმ ორი წლის მანძილზე, რაც „სანდერლენდის" მენეჯრი იყო. ქუინი ღია და იოლი კაცია, მან შექმნა დღევანდელი „სანდერლენდი" და მანვე კინის ყველა პირობა მიიღო, რადგან კლუბს ძალიან სჭირდებოდა კინი.

ამ ორი წლის განმავლობაში ქუინი არც ერთხელ არ მისულა გუნდის ვარჯიშზე და არც გასახდელში ჩასულა მოგების მისალოცად. კინს თუ რამე დასჭირდებოდა, მესიჯს უგზავნიდა, ანდა მძღოლის მეშვეობით უბარებდა ამბავს.

ქუინმა ვერ იყიდა ყველა ის ფეხბურთელი, კინს რომ უნდოდა, მაგრამ მაინც ბევრი იყიდა.

კინმა „სანდერლენდი" ჩაიბარა მაშინ, როცა ის დაბლა ლიგის ბოლო ადგილზე იყო და იმავე სეზონში პრემიერლიგის საგზური მოაპოვებინა. შარშან მან დიდი ბრძოლით შეინარჩუნა ადგილი პრემიერლიგაში.

წლეულს, გადადგომის დროისთვის, ამ ზედიზედი წაგებების მიუხედავად, უკეთესი ადგილიც კი ეჭირა ცხრილში, ვიდრე შარშან ამ დროს. მაგრამ როი კინი ადგილების და წაგებების გამო არ გადამდგარა. მას თავისი შეხედულება აქვს ფეხბურთზე და იმის გამო რომ მენეჯერი იყო, ითმენდა ჯიბრილ სისეს ფერად თმას, ვარჯიშზე ქუდით გამოსულ ფეხბურთელს და სხვა ასეთ რამეებს. ამაზე მეტის მომთმენი ის არ იყო. მას აღიზიანებდა ფეხბურთელები, რომლებიც მხოლოდ ხელფასისთვის გადიან მინდორზე და ასეთ ფეხბურთელებს სულ იოლად ცნობდა.

ერთხელ კინს ჰკითხეს, ოდესმე თუ იცნითო და მან მიუგო, როგორ უნდა გავიცნო, მე პრემიერლიგის მენეჯერი ვარო.

ფეხბურთელებთან მას არასდროს ჰქონია სიახლოვე და მეგობრული ურთიერთობა, არასოდეს ყოფილა მათი მამიკო და არც მათი პრობლემების გადაწყვეტაში ჩაბმულა. სამაგიეროდ, სრულიად ირიბი საშუალებებით ახერხებდა, რომ მათ უკეთ ეთამაშათ. იმდენი ქნა, რომ სამჯერ ტრანსფერზე დაყენებული მოთამაშე, ძირითადის ფეხბურთელად აქცია...

ჩანს, ზედიზედმა წაგებებმა კინს რაღაცები გაუღრმავა და რაღაცებს ველარ გასწვდა არა კლუბის მართვის საქმეში, არამედ თავის ხასიათში. „სანდერლენდში" თავიდანვე ასე იყო: ყველაფერი როი კინის ხასიათს და შეხედულებებს უნდა მორგებოდა. სხვანაირად ის არ იმუშავებდა. თვითონაც პატარ-პატარა რაღაცებს თმობდა, რათა გუნდი მთლად ყაზარმად არ გადაქცეულიყო.

ჩანს, უფრო მეტის დათმობა და მოქნილობა იყო საჭირო, რადგან ფეხბურთი ასეთი თამაშია. კინი ამას არ გააკეთებდა.

ჰოდა, წავიდა.

# ინგლისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პრემიერლიგა. XVII ტური

# ჰალი, როგორც ხმალი

### ტურის მატჩები

**ლივერპული 2:2 ჰალი**

0:1 მაკშეინი (12), 0:2 კარაგერი (22ს.კ.), 1:2, 2:2 ჯერარდი (24, 32)
ლივერპული: რეინა, არბელოა, შიიპია, კარაგერი, დოსენა, მასკერანო (ლუკაშ ლეივა 87), ალონსო, ბენაიუნი (ელ ჟარი 74), ჯერარდი, რიერა (ბაბელი 82), კუიტი
მწვრთნელი: რაფა ბენიტესი
ჰალი: მაიპილი, მაკშეინი (მარნი 27), ზაიატი, ტარნერი, რიკეტსი, მენდი, ეშბი, ბუატენგი (ჰალმოსი 66), ჯოვანი, ბარმბი (უინდასი 77), ტინგი
მწვრთნელი: ფილ ბრაუნი
გაფრთხილება: ელ ჟარი, შიიპია, ალონსო, მაკშეინი, ბოატენგი, მარნი
მსაჯი: რაილი
43 835 მაყურებელი

**ტოტენჰემი 0:0 მანჩესტერი**

ტოტენჰემი: გომეში, ჩორლუკა, დოუსონი, ვუდგეიტი (ჰადლსტოუნი 10), ასუ-ეკოტო, ლენონი, ზოკორა, ჯენასი (ოჰარა 62), ბენტლი, მოდრიჩი, პავლიუჩენკო (ბენტი 55)
მწვრთნელი: ჰარი რედნაპი
მანჩესტერი: ვან დერ სარი, რაფაელი, ფერდინანდი, ვიდიჩი, ოში, პარკი, ფლეტჩერი (სქოულზი 69), ქერიკი, რონალდუ, ბერბატოვი, ტევესი (გიგზი 69)
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
გაფრთხილება: ჰადლსტოუნი (ტოტენჰემი), რაფაელი (მანჩესტერი)
მსაჯი: დინი
35 882 მაყურებელი

**აუღელვებლად** გაიტანა ჯეიმი კარაგერმა საკუთარ კარში და „ჰალი" „ლივერპულთან" 22-ე წუთზე ორბურთიანი სხვაობით დაწინაურდა.

...პრემიერლიგის ლიდერმა ორი ქულა დაკარგა გუნდთან, რომელიც თვალში ეპატარავა. „ლივერპულს" ალბათ დაავიწყდა, რომ „ჰალმა" — მეტსახელად „ვეფხვები" — ლონდონში „არსენალს" მოუგო და „მანჩესტერს" სტუმრად სამი გოლი გაუტანა.

„ვეფხვები" ელიტაში დებიუტანტები არიან, მაგრამ ცხრილის ქვედა ნახევარში კი არ ჩაკარგულან, ზედა ხუთეულთან ტრიალებენ და პრემიერლიგაში პირველივე სეზონში უეფას თასის საგზურის მოპოვებას ცდილობენ.

პოლ მაკშეინმა „ჰალი" დააწინაურა და „ლივერპულმა" გასათანაბრებლად შეუტია, მაგრამ კარაგერს არ გაუმართლა — თავის კარის ხაზთან მდგომს ბურთი ფეხში მოხვდა და — 0:2.

სტივენ ჯერარდმა, მისი თანაგუნდელები რომ დაიბნენ, როგორც კაპიტანმა, თამაში საკუთარ თავზე აიღო. რვა წუთი დასჭირდა ჯერარდს დუბლის შესასრულებლად და გასათანაბრებლად, მერე კი ჰალელები დაცვაში მაგრად ჩადგნენ და „ენფილდიდან" ქულა წაიღეს.

„ასეთი მატჩები აუცილებლად მოსაგებია — თქვა რაფა ბენიტესმა — სამწუხაროდ, ჩვენ მეტოქე სათანადოდ ვერ შევაფასეთ და ფრეს დავჯერდით. საშინაო მატჩებში შეტევა გვიჭირს, რადგან მოწინააღმდეგე მთელი გუნდით დაცვაშია".

„ჰალის" მწვრთნელმა ფილ ბრაუნმა განაცხადა: „ჯერარდის ორივე გოლისას მსაჯს ჩვენს სასარგებლოდ ჯარიმა უნდა დაენიშნა. ორივე შემთხვევაში მაიკლ ტერნერი



ჰალელი მარლონ კინგი და ლივერპულელი ხავიერ მასკერანო

წააქციეს, მაგრამ არბიტრმა ეს რატომღაც ვერ დაინახა".

დიმიტარ ბერბატოვს ყოფილ გუნდთან — „ტოტენჰემთან" მატჩში არაფერიც არ გამოუვიდა. „მანჩესტერის" ბულგარელ ფორვარდს ერთი მომენტი ჰქონდა და იქაც ნამეტანი მოინდომა. დარტყმის ნაცვლად მცველის მოტყუება სცადა და შანსი ხელიდან გაუშვა.

უეინ რუნი მოედანზე არ იყო, კარლოს ტევესმაც ვერაფერი შექმნა, კრიშტიანუ რონალდუმ კი გაიტანა, მაგრამ მანამდე ბურთი ხელით გააჩერა და არ ჩაუთვალეს.

მიუხედავად იმისა, რომ „მანჩესტერი" ვერ იგებდა, ალექს ფერგიუსონი მატჩის ბოლოს გართობის ხასიათზე დადგა. მოედნიდან გადავარდნილი ბურთის დაჭერისას ჯეელის რეაქცია გამოავლინა, რითაც სათადარიგოთა სკამზე მოკალათებული მანჩესტერელების ქება დაიმსახურა.

ფერგიუსონმა მადლობის ნიშნად ქუდი მოიხადა, „სკამს" თავი დაუკრა და გაიცინა.

**ვაჟა ხუციშვილი**

**მიდლსბრო 1:1 არსენალი**

0:1 ადებაიორი (17), 1:1 ალიადირი (29)
გაფრთხილება: დიაბი (არსენალი)

**ასტონ ვილა 4:2 ბოლტონი**

0:1 ელმანდერი (17), 1:1 აგბონლაჰორი (25), 2:1 დევისი (40ს.კ.), 3:1 აგბონლაჰორი (67), 4:1 იანგი (78), 4:2 დევისი (86)
გაფრთხილება: ობრაიენი (ბოლტონი)

**სიტი 0:1 ევერტონი**

0:1 კეჰილი (90)
გაფრთხილება: ფელაინი (ევერტონი)

**სტოკი 0:0 ფულემი**

გაფრთხილება: ფულერი (სტოკი), გერა (ფულემი)

**სანდერლენდი 4:0 ვესტ ბრომვიჩი**

1:0, 2:0 ჯონსი (22, 25), 3:0 რიდი (40), 4:0 სისე (78პ)
გაფრთხილება: ა. ფერდინანდი (სანდერლენდი), კარსონი, რობინსონი (ვესტ ბრომვიჩი)

**უიგანი 3:0 ბლექბერნი**

1:0 ჰესკი (10), 2:0 ვალენსია (12), 3:0 კატერმოლი (77)
გაფრთხილება: დ. ბრაუნი (უიგანი), ნილსენი (ბლექბერნი)

**პორტსმუთი 0:3 ნიუკასლი**

0:1 ოუენი (51), 0:2 მარტინსი (77), 0:3 გუტრიე (89)
გაფრთხილება: დისტინი, ჯეიმსი, დევისი, დეფო (პორტსმუთი), ხონასი (ნიუკასლი)

**ჩელსი 1:1 ვესტ ჰემი**

0:1 ბელამი (33), 1:1 ანელკა (51)
გაფრთხილება: მიკელი, ტერი, ე.კოული (ჩელსი), ჯ. კოული, ბელამი (ვესტ ჰემი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლივერპული | 17 | 11 | 5 | 1 | 26:11 | 38 |
| ჩელსი | 17 | 11 | 4 | 2 | 36:7 | 37 |
| მანჩესტერი | 16 | 9 | 5 | 2 | 27:10 | 32 |
| ასტონ ვილა | 17 | 9 | 4 | 4 | 29:20 | 31 |
| არსენალი | 17 | 9 | 3 | 5 | 29:20 | 30 |
| ჰალი | 17 | 7 | 6 | 4 | 26:27 | 27 |
| ევერტონი | 17 | 7 | 4 | 6 | 23:25 | 25 |
| პორტსმუთი | 17 | 6 | 5 | 6 | 19:26 | 23 |
| უიგანი | 17 | 6 | 4 | 7 | 21:20 | 22 |
| ფულემი | 16 | 5 | 6 | 5 | 13:12 | 21 |
| ბოლტონი | 17 | 6 | 2 | 9 | 20:23 | 20 |
| მიდლსბრო | 17 | 5 | 5 | 7 | 17:24 | 20 |
| სტოკი | 17 | 5 | 5 | 7 | 17:27 | 20 |
| ნიუკასლი | 17 | 4 | 7 | 6 | 22:24 | 19 |
| ტოტენჰემი | 17 | 5 | 4 | 8 | 19:21 | 19 |
| ვესტ ჰემი | 17 | 5 | 4 | 8 | 18:25 | 19 |
| სიტი | 17 | 5 | 3 | 9 | 30:25 | 18 |
| სანდერლენდი | 17 | 5 | 3 | 9 | 17:25 | 18 |
| ბლექბერნი | 17 | 3 | 4 | 10 | 17:34 | 13 |
| ვესტ ბრომვიჩი | 17 | 3 | 3 | 11 | 12:32 | 12 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ანელკა (ჩელსი) | 14 |
| აგბონლაჰორი (ასტონ ვილა) | 9 |
| რობინიო (სიტი) | 8 |
| დეფო (პორტსმუთი) | 8 |
| რონალდუ (მანჩესტერი) | 8 |
| ზაქი (უიგანი) | 8 |

### ჩემპიონატი. XXIII ტური

ბარნლი — საუთჰემპტონი 3:2; კრ. პალასი — დონკასტერი 2:1; იფსვიჩი — კარდიფი 1:2; ნოტინგემი — ბლექპული 0:0; პლიმუთი — ქუინზ პარკი 1:1; რედინგი — ნორვიჩი 2:0; უენსდი — ბრისტოლი 0:0; სუონსი — შეფილდი 1:1; უოტფორდი — ქოვენთრი 2:1; ვულვზი — ბარნსლი 2:0; პრესტონი — ბირმინგემი 1:0; ჩარლტონი — დერბი დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვულვზი | 23 | 17 | 2 | 4 | 50:27 | 53 |
| ბირმინგემი | 23 | 14 | 5 | 4 | 32:20 | 47 |
| რედინგი | 23 | 14 | 4 | 5 | 48:21 | 46 |
| ბარნლი | 23 | 11 | 7 | 5 | 36:30 | 40 |
| კარდიფი | 23 | 9 | 10 | 4 | 32:24 | 37 |
| პრესტონი | 23 | 11 | 4 | 8 | 31:28 | 37 |
| შეფილდი | 23 | 10 | 6 | 7 | 31:21 | 36 |
| კრ. პალასი | 22 | 9 | 6 | 7 | 30:24 | 33 |
| ქუინზ პარკი | 23 | 9 | 6 | 8 | 20:22 | 33 |
| უენსდი | 23 | 9 | 6 | 8 | 24:32 | 33 |
| სუონსი | 23 | 7 | 11 | 5 | 32:29 | 32 |
| იფსვიჩი | 23 | 8 | 7 | 8 | 32:25 | 31 |
| პლიმუთი | 23 | 8 | 6 | 9 | 25:26 | 30 |
| ქოვენთრი | 23 | 7 | 7 | 9 | 25:29 | 28 |
| ბრისტოლი | 23 | 6 | 10 | 7 | 24:28 | 28 |
| ბლექპული | 23 | 7 | 7 | 9 | 22:29 | 28 |
| უოტფორდი | 23 | 7 | 5 | 11 | 36:39 | 26 |
| დერბი | 22 | 6 | 7 | 9 | 25:32 | 25 |
| ბარნსლი | 23 | 7 | 4 | 12 | 23:30 | 25 |
| ნორვიჩი | 23 | 6 | 5 | 12 | 28:36 | 23 |
| საუთჰემპტონი | 22 | 5 | 7 | 10 | 21:32 | 22 |
| ნოტინგემი | 23 | 3 | 9 | 11 | 19:32 | 18 |
| დონკასტერი | 23 | 4 | 6 | 13 | 11:27 | 18 |
| ჩარლტონი | 22 | 4 | 5 | 13 | 23:37 | 17 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მიზეზები შიშისა და სიძულვილისა

**ითვლება,** რომ ფეხბურთში მხოლოდ სამ დაპირისპირებას აქვს მსოფლიოს მასშტაბის მნიშვნელობა. მიზეზები, ყოველ შემთხვევაში, თავდაპირველი, „სელტიკისა" და „რეინჯერსის" შემთხვევაში რელიგიურია, ხოლო „ბოკა ხუნიორსისა" და „რივერ პლეიტისთვის" — ტერიტორიული. ბუნებრივია, დროთა განმავლობაში თავდაპირველ მიზეზებს სულ ახალი და ახალი ემატებოდა, მაგრამ თავდაპირველი ის იყო, რაც ვთქვით. თანაც, „სელტიკი" — „რეინჯერსიც" და „ბოკა" — „რივერიც" ტრადიციული დერბებია, რაც საფეხბურთო ტერმინოლოგიით თანაქალაქელთა დაპირისპირებას ნიშნავს.

ამ თვალსაზრისით „ბარსელონასა" და „რეალის" საკულტო დაპირისპირებას დერბის ვერაფრით დავარქმევთ. მით უმეტეს, ორივე მათგანს საკუთარი ნაღდი დერბი აქვს: „ბარსა" — „ესპანიოლი" და „რეალი" — „ატლეტიკო". ამიტომაც, ამ გუნდების შეხვედრებს ესპანეთში თავისი სახელი მოუძებნეს: ელ კლასიკო.

„ბარსელონასა" და „რეალის" ქიშპი ჩამოყალიბდა, როგორც ისტორიული დაპირისპირება ორი ძველი ესპანური ტერიტორიისა — კასტილიისა და არაგონისა, რომელიც ჟამთა მსვლელობისას უფრო მასშტაბური გახდა და ესპანეთისა და კატალონიის დაპირისპირებად იქცა.

კატალონიელები თავს ცალკე ერად მიჩნევენ, თავისებურ სახელმწიფოდ სახელმწიფოში და გამუდმებით უსვამენ ხაზს, რომ კატალონია ესპანეთი სულაც არ არის. საერთოდ, ესპანეთში უამრავი პროვინციაა, რომელთაგან მადრიდს თავის ტკივილს მხოლოდ ორი უჩენს — ბასკთა ქვეყანა და კატალონია.

კატალონიის დედაქალაქი, მოგეხსენებათ, ბარსელონაა, რომელსაც თავისი ანგარიშები აქვს მადრიდთან. ბარსელონა ბოჰემის ქალაქია, მადრიდი — ინდუსტრიული. ბარსელონაში ქმნიდნენ შედევრებს პაბლო პიკასო და პედრო ალმადოვარი. „ქალაქის მამა" ანტონიო გაუდი დიდებულ, ფანტასმაგორიულ არქიტექტურ ძეგლებს აგებდა და ტრამვაის ბორბლებს ქვეშ ჩავარდნილი დაიღუპა. მას მერე ბარსელონაში ტრამვაი გაუქმდა...

ჰოდა, სავსებით გასაგები და ბუნებრივია, რომ უდიდეს შემოქმედ-

**სტატუსი:** „ელ კლასიკოს" ტელეაუდიტორია უმნიშვნელოდ ჩამორჩება ფეხბურთში მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალის მაყურებელთა რაოდენობას. ერთადერთი საკლუბო დაპირისპირებაა მსოფლიოში, რომლის ტრანსლირების უფლებას აბსოლუტურად ყველა სპორტული არხი ყიდულობს.

**დაპირისპირების თავდაპირველი მიზეზი:** ისტორიული ქიშპი ორ ქალაქს შორის, რომლებიც პირინეების მთავარ ქალაქობაზე აცხადებდნენ პრეტენზიას — შედარებით ახალგაზრდა და ინდუსტრიული მადრიდი და განთქმული და ბოჰემური ბარსელონა.

**დაპირისპირების გაღრმავების მიზეზები:** „ბარსელონას" და „მადრიდის" (ასე ერქვა იმხანად „რეალს") პირველივე შეხვედრისას, 1902 წელს, გულშემატკივართა შორის დიდი ჩხუბი ატყდა; 30-იან წლებში, სამოქალაქო ომის დროს, კატალონიამ მხარი არ დაუჭირა დიქტატორ ფრანკოს ფაშისტურ რეჟიმს. ფრანკომ, „რეალის" ქომაგმა, აკრძალა კატალონიური ენა, გააუქმა ავტონომია, „კამპ ნოუზე" საპასუხოდ გამოიფინა ტრანსპარანტი: კატალონია ესპანეთი არ არის! სამოქალაქო ომის დროს ფრანკოს მომხრეებმა „ბარსელონას" პრეზიდენტი ხოსეპ სანიოლი დახვრიტეს...

თა ქალაქს ფეხბურთის გუნდიც ფანტასტიკური უნდა ჰყოლოდა. თუმცა ჟოან გამპერმა, ბარსელონაში 1899 წელს ჩასულმა შვეიცარიელმა, ამის თაობაზე არაფერი იცოდა. მან უბრალოდ განცხადება გამოაქვეყნა გაზეთში, რომლითაც ფეხბურთის თამაშის მსურველებს ახლად დაარსებულ გუნდში იწვევდა. ეს ამბავი იმავე წლის 29 ნოემბერს მოხდა, 8 დეკემბერს კი გუნდი ინგლისურ მეზღვაურებს შეხვდა და 1:0 მოიგო.

სამი წლის მერე დაარსდა „რეალი"...

1929 წლისთვის, როდესაც ესპანეთის პირველი ჩემპიონატი ჩატარდა და რომელიც „ბარსელონამ" მოიგო, ამ კლუბების დაპირისპირებას უკვე გააჩნდა თავისი ისტორია, რაკი, ზემოთ ჩამოთვლილ მიზეზთა გარდა, ესპანეთის უძლიერესი კლუბების სახელიც ჰქონდათ მოხვეჭილი.

მერე ბევრი რამ მოხდა...

...1960 წელი, ჩემპიონთა თასის ნახევარფინალი. მადრიდში „რეალმა" 3:1 მოიგო. საპასუხო შეხვედრამ 130 000 გულშემატკივარი შეკრიბა. ხალხი არათუ კიბეებსა და გასასვლელებში, ერთმანეთის ზურგზეც კი ისხდა. „ბარსას" ლეგენდარულმა მწვრთნელმა ელენიო ერერამ ლადისლაო კუბალა არ ათამაშა, „რეალის" მინდორზე გასვლას კი 130 000 ადამიანის ისეთი გამაყრუებელი სტვენა მოჰყვა, ფეხბურთელებმა ყურებზე ხელები აიფარეს.

„ბარსელონამ" თამაში წააგო და ერერას ერაც დასრულდა. მუშის ფორმაში გადაცმული დიდი მწვრთნელი უკანა გასასვლელიდან გააპარეს, მაგრამ იმ საღამოს სახლში მისვლა მაინც არ ეწერა — დარბეული დახვდა.

...1973 წელი, „ბარსელონაში" ახალგადასული იოჰან კრუიფის პირველი „კლასიკო". კრუიფი დიდხანს ფიქრობდა წასულიყო თუ არა მადრიდში, რადგან მის ცოლს უნდა ემშობიარა. მაინც წავიდა.

თამაშის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე მას გასახდელში შეატყობინეს, რომ ცოლს მშობიარობა დაეწყო.

— ვიცი, რომ ბიჭი იქნება და ხორდი დაარქვით — თქვა კრუიფმა. მაშინ სქესს მშობიარობამდე ვერ განსაზღვრავდნენ, ხორდი კი მთავარი წმინდანია კატალონიელთათვის.

ის მატჩი „ბარსამ" 5:0 მოიგო, კრუიფმა ერთი გაიტანა და ორი საგოლე პასი გააკეთა.

...ესპანეთი კათოლიკური ქვეყანაა. „რეალსაც" და „ბარსელონასაც" ვატიკანის კურთხევა აქვს მიღებული. რომის პაპი ალბათ ერთადერთი ადამიანია მსოფლიოში, რომელსაც ორივე კლუბის საწევრო ბარათი გააჩნია. საწევრო ბარათებს ორივე კლუბი ყოველ ახალ პაპს უგზავნის.

...რაიმონ კუპერი ბრწყინვალე წიგნში „ფეხბურთი მტრის წინააღმდეგ", ასეთ ამბავს აღწერს: ერთ კატალონიელ გოგონას, რომელსაც ფეხბურთი საერთოდ არ აინტერესებდა, ვკითხე: რატომ არის შენთვის ასე მნიშვნელოვანი, რომ „ბარსამ" „რეალი" დაამარცხოს? გოგონამ მიპასუხა: ფრანკო ჩვენს მამებს და ძმებს კლავდა და „რეალი" უყვარდა.

...გენერალისიმუს ფრანკოს სძულდა კატალონია, მხარე, რომელიც ყველაზე დიდხანს უწევდა წინააღმდეგობას ფაშისტურ რეჟიმს. ფრანკოს სძულდა „ბარსელონაც", კატალონიელთა ერთადერთი სიამაყე, რომელსაც ვერაფერი მოუხერხა. დიქტატორმა გააუქმა ავტონომია, აკრძალა კატალონიური ენა, მაგრამ ვერაფერი გააწყო „კამპ ნოუზე" კატალონიის დროშების ფრიალთან. იმ წლებში ვინმეს ფრანკო მკვლელად რომ მოეხსენიებინა, ადგილზე დახვრეტდნენ. ამიტომაც კატალონიელები მკვლელებად „რეალის" ფეხბურთელებს მოიხსენიებდნენ. ყველა ხვდებოდა, რომ ფრანკო იგულისხმებოდა, მაგრამ ვერავის ხვრეტდნენ.

...„ბარსელონას" პრეზიდენტი ხოსეპ სანიოლი, რომელიც ფრანკოს რეჟიმთან ბრძოლას შეეწირა, მოგვიანებით წმინდანად შერაცხეს.

...დღემდე გაურკვეველია, ბარსელონაში, კატალონიური კულტურის მექაში, როგორ გაჩნდა კლუბი, რომელსაც „ესპანიოლი" ჰქვია, რაც ესპანურს ნიშნავს.

**კოტე კეკელია**


ხოსეპ სანიოლი


იოჰან და ხორდი კრუიფები



ელენიო ერერა


ფრანსისკო ფრანკო

# ესპანეთი

## პრიმერადივიზიონი. XV ტური

# ეს ელ კლასიკოა: გაიხადე და გაიქეცი

### ტურის მატჩი

**ბარსელონა 2:1 რეალი**

1:0 ეტოო (83), 2:0 მესი (90)

ეტოომ ვერ გაიტანა პენალტი (70, მეკარე)

**ბარსელონა:** ვალდესი, ალვეში, მარკესი, პუიოლი, აბიდალი, ტურე, ხავი (კეიტა 90), გუდიონსენი (ბუსკეტსი 63), ეტოო (გლები 88), მესი, ანრი

**მწვრთნელი:** ხოსეპ გვარდიოლა

**რეალი:** კასილიასი, სალგადო, მეცელდერი, კანავარო, რამოსი, გაგო, გუტი (გარსია 73), სნეიდერი (პალანსა 36), დრენტე, რაული, იგუაინი (ვან დერ ვაარტი (77)

**მწვრთნელი:** ხუანდე რამოსი

**გაფრთხილება:** მეცელდერი, რამოსი, მარკესი, დრენტე, სალგადო, ეტოო, კასილიასი, მესი

**მსაჯი:** მედინა კანტალეხო

78 000 მაყურებელი

**იარაღი** გუტის, ალბათ, გასახდელში დარჩა, თორემ ისე მონდომებული იყო, რომ ლეო მესის ფეხში დაჭრიდა.

ეს კი არა, გასახდელიდან მოედნისკენ, დერეფანში რომ მოდიოდნენ გუნდები, შეიძლება იქაც კი გამოსდო ფეხი გუტიერესმა მესის, ისე ძალიან უნდოდა „ბარსას" რეაქტიული ფეხბურთელის როგორმე დაშინება და გაჩერება.

გუტიმ მეორე წუთზევე გამეტებით ჩასცხო ბარსელს, მერე ალავერდი სნეიდერთან გადავიდა და ჰოლანდიელმაც ქაცვებით ქუსლი მოუსინჯა მეტოქეს.

სდიეს, ცელეს, წვივ-კოჭში ურტყეს, გეტრი და ხორცი გაუერთიანეს, მაგრამ არგენტინელმა მაინც გაიტანა.

მესიმ ჯავრი ბოლოს ფაბიო კანავაროზე იყარა, როცა კასილიასს ბურთი თავზე გადაუგდო.

კანავარომ ცარიელი კარის ხაზზე ბურთს კი მიუსწრო, მაგრამ ვერც გამოიტანა და ფერდით ისე შეასკდა ძელს, რომ ნაპერწკლები გასცვივდა — კანავაროს კი არა, ძელს.

ნაპერწკლებს ყრიდა მსაჯზე გაბრაზებული იკერ კასილიასიც. ჯერ პენალტის დანიშვნის გამო გააწბილდა — რომელიც მოიგერია, მერე კიდევ რაღაცები არ მოეწონა და სანტვენიან კაცს ყვითელი ბარათი დასტყუა.

ხუანდე რამოსი ჯადოქარი არ არის, რომ ნაშუსტერალი „რეალი" ორ დღეში უკეთესობისკენ შემოაბრუნოს, მაგრამ გუნდმა დაცვაში უკეთ ითამაშა, ვიდრე „ვალენსიამ" და „სევილიამ" ან „ატლეტიკომ" „ბარსას" წინააღმდეგ.

სევილიელებმა გვარდიოლას გუნდთან 0:3 წააგეს, „ღამურებმა" 0:4, „ატლეტიკო" კი 1:6 დამარცხდა და ამ ანგარიშების ფონზე „რეალის" ორბურთიანი სხვაობით წაგება, მაინცდამაინც არ ყვირის.

„რეალს" რუუდ ვან ნისტელროის გოლები აშკარად აკლია. რაული და იგუაინი თითო-თითო მატჩს აქა-იქ ქაჩავენ, მაგრამ სტაბილურად ვერა.

და „ბარსა"? ჯერჯერობით გუნდს არც დაღლილობა ეტყობა, არც ფანტაზია გამოლევია, და არც გამარჯვების ჟინი განელებია.

სამუელ ეტოომ პენალტი ვერ გაიტანა, მაგრამ მერე მაინც შეაგდო, მაისურა გაიხადა და გაიქცა. მესიმაც გაიტანა ლამაზი გოლი და ისიც მაისურაგახდილი გაიქცა სათადარიგოებისკენ. გაშიშვლება ორივეს ყვითელ ბარათად დაუჯდა, მაგრამ ელ კლასიკოში გოლი ამად ღირს.

ხუან ლაპორტა და რამონ კალდერონი ტრიბუნაზე გვერდიგვერდ ისხდნენ. ასე თუ მიუახლოვდება „რეალი" „ბარსას" ამ სეზონში და გაუტოლდება, თორემ ცხრილში სხვაობა უკვე თორმეტი ქულა და რამდენიმე საფეხურია.

„ჩვენ მხოლოდ მორიგი მატჩი მოვიგეთ და შემდეგისთვის უნდა მოვემზადოთ — თქვა გვარდიოლამ — მართალია, ეს ელ კლასიკოა და გამარჯვებაც განსაკუთრებულად სასიხარულოა, მაგრამ პრიმერადივიზიონში მარტო „რეალს" არ ვეთამაშებით".

**ვაჟა ხუციშვილი**

**ვალენსია 2:1 ესპანიოლი**

0:1 რამონ მარტინესი (28), 1:1 ალბიოლი (59), 2:1 ვისენტე (81)

**გაფრთხილება:** ფერნანდესი, მორეტი, ალბელდა, მიგელი (ვალენსია), რუფეტე, რამონ მარტინესი, რუფეტე, ლაკრუსი, მოისესი, ბერანჟე (ესპანიოლი)

**გაძევება:** რუფეტე (38, ესპანიოლი)

**ვალიადოლიდი 3:0 დეპორტივო**

1:0 ხესუს გონსალესი (15), 2:0 პედრო ლოპესი (25), 3:0 ლეონი (57)

**გაფრთხილება:** მარკოსი (ვალიადოლიდი), მისტა, კასტრო (დეპორტივო)

**უელვა 1:0 ოსასუნა**

1:0 ადრიანი (86)

**გაფრთხილება:** არსუ (უელვა), პლასილი, ოიერი (ოსასუნა)

**მალაგა 2:0 ნუმანსია**

1:0 აპონო (85პ), 2:0 ბაჰა (89)

**გაფრთხილება:** კალეხა (მალაგა), ბელვისი, დომინგო (ნუმანსია)

**ხეტაფე 4:1 მალიორკა**

1:0 კონტრა (13პ), 2:0 უჩე (31), 2:1 ადურიცი (33), 3:1 მორალი (71), 4:1 გავილანი (87)

**გაფრთხილება:** პოლანსკი, ალვარესი (ხეტაფე), ხოსემი, ადურიცი, ნავარო, მარინი, სუარესი, არანგო (მალიორკა)

**ბილბაო 3:0 ხიხონი**

1:0 ლორენტე (6პ), 2:0 ირაოლა (22), 3:0 დავიდ ლოპესი (32)

**გაფრთხილება:** ხავი მარტინესი (ბილბაო), ხერარდი, სასტრე (ხიხონი)

**ალმერია 1:1 რასინგი**

0:1 გარაი (33), 1:1 აკასიეტე (62)

**გაფრთხილება:** ალვარესი, კრუსატი, კარლოს გარსია, სორიანო (ალმერია), პერეირა, კ. ნავასი, გონსალვეში, აკასიეტე, ლასენი, ლასენი (რასინგი)

**გაძევება:** ლასენი (73 რასინგი)

**სევილია 1:0 ვილიარეალი**

1:0 რენატო (45)

**გაფრთხილება:** რენატო (სევილია), ლიორენტე, ლიორენტე, იბაგასა, ანხელი (ვილიარეალი)

**გაძევება:** ლიორენტე (53 ვილიარეალი)

**ატლეტიკო 2:0 ბეტისი**

1:0 როდრიგესი (20), 2:0 აგუერო (81)

**გაფრთხილება:** ასუნსაო (ატლეტიკო), ნელსონი, ემანა, აურელიო (ბეტისი)



ელ კლასიკოს გმირი ლიონელ მესი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 15 | 12 | 2 | 1 | 46:9 | 38 |
| ვალენსია | 15 | 9 | 3 | 3 | 30:19 | 30 |
| სევილია | 15 | 9 | 3 | 3 | 23:14 | 30 |
| ვილიარეალი | 15 | 8 | 5 | 2 | 26:19 | 29 |
| ატლეტიკო | 15 | 8 | 3 | 4 | 35:21 | 27 |
| რეალი | 15 | 8 | 2 | 5 | 33:26 | 26 |
| დეპორტივო | 15 | 7 | 3 | 5 | 16:17 | 24 |
| ვალიადოლიდი | 15 | 7 | 2 | 6 | 22:20 | 23 |
| ხეტაფე | 15* | 5 | 6 | 4 | 21:20 | 21 |
| მალაგა | 15 | 6 | 3 | 6 | 23:25 | 21 |
| ბეტისი | 15 | 5 | 3 | 7 | 21:21 | 18 |
| ხიხონი | 15 | 6 | 0 | 9 | 23:35 | 18 |
| რასინგი | 15 | 4 | 5 | 6 | 17:21 | 17 |
| ბილბაო | 15 | 4 | 4 | 7 | 19:24 | 16 |
| ალმერია | 15 | 4 | 4 | 7 | 16:24 | 16 |
| ნუმანსია | 15 | 4 | 2 | 9 | 17:30 | 14 |
| ესპანიოლი | 15 | 3 | 4 | 8 | 12:22 | 13 |
| მალიორკა | 15 | 3 | 4 | 8 | 17:29 | 13 |
| უელვა | 15 | 3 | 4 | 8 | 10:22 | 13 |
| ოსასუნა | 15 | 1 | 6 | 8 | 11:20 | 9 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ეტოო (ბარსელონა) | 15 |
| ვილია (ვალენსია) | 12 |

**სეგუნდადივიზიონი**

**XVI ტური**

ალბასეტე — სოსიედადი 2:1; ალიკანტე — ლას პალმასი 1:2; სელტა — სარაგოსა 2:0; კორდობა — რაიო ვალეკანო 0:1; უესკა — მურსია 1:0; კასტელიონი — ხერესი 2:2; ხიმნასტიკი — სევილია B 3:1; ხირონა — ელჩე 1:1; სალამანკა — ლევანტე 3:0; ეიბარი — ალავესი 1:0; ტენერიფე — ერკულესი 3:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სალამანკა | 16 | 9 | 4 | 3 | 22:14 | 31 |
| ხერესი | 16 | 8 | 5 | 3 | 30:18 | 29 |
| ერკულესი | 16 | 6 | 8 | 2 | 21:11 | 26 |
| სარაგოსა | 16 | 7 | 5 | 4 | 28:19 | 26 |
| კასტელიონი | 16 | 6 | 7 | 3 | 23:16 | 25 |
| რაიო ვალეკანო | 16 | 6 | 7 | 3 | 21:17 | 25 |
| უესკა | 16 | 6 | 6 | 4 | 22:18 | 24 |
| ტენერიფე | 16 | 7 | 3 | 6 | 28:25 | 24 |
| სოსიედადი | 16 | 5 | 8 | 3 | 15:12 | 23 |
| ალბასეტე | 16 | 6 | 5 | 5 | 20:20 | 23 |
| სელტა | 16 | 5 | 7 | 4 | 17:16 | 22 |
| ხირონა | 16 | 5 | 7 | 4 | 15:14 | 22 |
| ლევანტე | 16 | 6 | 4 | 6 | 21:25 | 22 |
| ხიმნასტიკი | 16 | 4 | 9 | 3 | 25:20 | 21 |
| ლას პალმასი | 16 | 5 | 6 | 5 | 20:17 | 21 |
| ალავესი | 16 | 5 | 5 | 6 | 18:26 | 20 |
| ეიბარი | 16 | 5 | 4 | 7 | 13:22 | 19 |
| ელჩე | 16 | 4 | 6 | 6 | 18:19 | 18 |
| კორდობა | 16 | 4 | 4 | 8 | 15:21 | 16 |
| მურსია | 16 | 3 | 4 | 9 | 14:25 | 13 |
| ალიკანტე | 16 | 1 | 6 | 9 | 12:25 | 9 |
| სევილია B | 16 | 1 | 4 | 11 | 9:27 | 7 |

მადრიდის „რეალში" მარადიული მხოლოდ რაულია — დანარჩენები მიდი-მოდიან. რაულსაც კი გაუჭირდება იმის გახსენება თუ მერამდენედ შეუცვალეს მწვრთნელი. გუშინ ბერნდ შუსტერი იყო, დღეს ხუანდე რამოსია, ხვალ კიდევ სხვა იქნება. ეს ხომ მადრიდის „რეალია", სადაც ერთი მატჩის წამგებ მწვრთნელს ბარგი უკვე ჩალაგებული უნდა ჰქონდეს. ზედიზედ ორი მარცხის მერე კი სამუშაო ეძებოს...




მადრიდულმა „მარკამ" ბერნდ შუსტერის მოხსნას და ხუანდე რამოსის დანიშვნას 15 გვერდი მიუძღვნა

# სამეფო კლუბის კალათბურთი: შვიდი მოხსნა ხუთ სეზონში

**წამგები** კი არა, ვისენტე დელ ბოსკემ ორჯერ (2000, 2002) ჩემპიონთა ლიგა მოაგებინა, 2003-ში — პრიმერადივიზიონი და სეზონის ბოლო მატჩიდან ორი დღე არ იყო გასული, რომ მოხსნეს.

საიდანაც ასეთ კაცს გაუშვებენ, აბა, იქ ბერნდ შუსტერს ვინ გააჩერებდა? „ხეტაფესთან" 3:1 და „სევილიასთან" 3:4 საკმარისი გამოდგა იმისთვის, რათა „ქერა ანგელოზი" ეშმაკებთან კავშირში ემხილათ და გუნდიდან მიებრძანებინათ.

ფაბიო კაპელომდე (2006-2007) ბოლო მწვრთნელი, რომელმაც „რეალში" სეზონი დაიწყო და დაასრულა, კარლუშ კეიროში (2003-04) იყო. პორტუგალიელმა ვერაფერი მოიგო, მაგრამ ბოლომდე იმიტომ მიატანა, რომ სამივე ფრონტზე (ლიგა, ჩემპიონატი, თასი) გამარჯვების შანსი ჰქონდა. „რეალი" უჯილდოოდ დარჩა და კეიროშიც მანჩესტერში, სალეჭი რეზინით ყბების მოვარჯიშე ალექს ფერგიუსონთან დაბრუნდა.

2004-ის ზაფხულში პორტუგალიელი მწვრთნელი ესპანელმა, ხოსე ანტონიო კამაჩომ შეცვალა. კამაჩო სამი ტურის მერე მოხსნეს და გუნდი მარიანო გარსია რამონს გადაულოცეს, რომელიც ახალი წლის წინა დღეებში ვანდერლეი ლუშემბურგომ ჩაანაცვლა.

ბრაზილიელმა სეზონიც ჩაამთავრა და ახალიც (2005-06) დაიწყო, მაგრამ 14 ტურის შემდეგ პრეზიდენტმა სამშობლოში გააბრუნა.

ლუშემბურგოს ადგილი ლოპეს კარომ დაიკავა და „სამეფო კლუბმა" ჩემპიონატი ჯახირით დაასრულა.

2006-ის ზაფხულში კაპელომ ითავა „რეალის" გაცოცხლება, ჯილდოებზე დამშეულებს პრიმერა მოაგებინა, მაგრამ მაინც გაუშვეს. კლუბის შეფები მარტო ესპანეთის ჩემპიონატის მოგებამ ვერ დააპურა და ბერნდ შუსტერს უხმეს.

მისუსტებული „ბარსას" ფონზე შუსტერის „რეალმა" 2007-08-ის სეზონი შთამბეჭდავად მოიგო, მაგრამ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში „რომასთან" დამარცხდა.

ამ ზაფხულს შუსტერი უკმაყოფილ დარჩა ტრანსფერებით, რაზეც არაერთხელ დაიწუწუნა. „ქერა ანგელოზის" პრობლემებს რუუდ ვან ნისტერლოის ტრავმაც დაემატა. „რეალის" საქმე უკან-უკან წავიდა.

სამეფო თასზე რომელიღაცლიგელ „ირონ უნიონთან" მარცხის შემდეგ შუსტერს ულტიმატუმი წაუყენეს: ზედიზედ ხუთი მატჩი უნდა მოეგო, თუ არა, ბარგი შეეკრა. ბედმა ბარგი ისურვა და შუსტერი ბოლო ხუთ წელიწადში მეშვიდე მოხსნილი მწვრთნელი გახდა.

და ვინ არის ხუანდე რამოსი? „სევილიამდე" ცხრა კლუბში იმუშავა და მათ შორის, „ბარსელონა B"-ში. „სევილიას" ორჯერ უეფას თასი ჩაახუტა და შარშან ზარ-ზეიმით „ტოტენჰემმა" წაიყვანა. კლუბს ლიგის თასი მოაგებინა და ამ სეზონსაც „ტოტენჰემი" დიდი იმედით შეხვდა, მაგრამ მთელი შემოდგომა პრემიერლიგის ფსკერზე იწვა, სანამ ჰარი რედნაპმა არ დაძრა.

ესპანურმა „მარკამ" ხუანდე რამოსის დანიშვნას კომედია და სირცხვილი უწოდა.

„კლუბის პრეზიდენტი ბევრს ლაპარაკობს და ცოტას აკეთებს — წერს „მარკა" — სპორტული დირექტორი პრედრაგ მიატოვიჩი კი ბევრს ტირის და ცოტა ფეხბურთელს ყიდულობს. ფეხბურთელები მსუყე ჯამაგირს იღებენ, მაგრამ ცუდად თამაშობენ".

„ელ მუნდო დეპორტივოს" ვერსიით, რამოსს „ტოტენჰემის" ინგლისელი ფეხბურთელები აუჯანყდნენ და მათ მოახსნევინეს, კარგი ინგლისურით ვერ გველაპარაკებოდაო.

„ელ მუნდო" წერს, რომ ესპანელს ახლა „რეალში" ჰოლანდიელებთან იგივე პრობლემა შეექმნება.

„ტოპ-მწვრთნელები შუა სეზონში გუნდში არ მიდიან და ექვსთვიან კონტრაქტებს არ აფორმებენ — ეს უკვე გაზეთ „სპორტის" კომენტარია — მაგრამ რამოსი „რეალის" თავკაცობაზე ოცნებობდა და ამ შანსს ხელიდან არ გაუშვებდა. ის გუბეში ისე ჩახტა, რომ არ იცოდა, წყალი ცხელი იყო თუ ცივი".

**რომან თურქია**

## კვირის ქრონიკა

### 884 მშრალი წუთი ჰოფენჰაიმში გადავიდა

**884 წუთი** გოლგაუშვებლად — ეს რეკორდი ბუნდესლიგის 2003-04 წლების სეზონისაა და ტიმო ჰილდებრანდს ეკუთვნის, რომელიც მაშინ „შტუტგარტში" თამაშობდა, იანვრიდან კი „ჰოფენჰაიმის" კარს დაიცავს.

29 წლის ჰილდებრანდმა კონტრაქტი გააფორმა და ესპანეთიდან სამშობლოში დაბრუნდა. გერმანელი „ვალენსიაში" შარშან ზაფხულს გადავიდა „შტუტგარტიდან", სადაც რვა სეზონი გაატარა. „ვალენსიაში" რონალდ კუმანის მწვრთნელობისას კარში იდგა, კუმანის შემცვლელმა უნაი ემერიმ კი მოიძულა და სათადარიგოთა სკამზე დასვა. უკმაყოფილო გერმანელს სკამზე ჯდომა მოსწყინდა და „ჰოფენჰაიმს" ამიტომ მიაშურა.

ჰილდებრანდი მსოფლიოს ჩემპიონატის (2006) ბრინჯაოსანი, ბუნდესლიგის ჩემპიონი (2007) და ესპანეთის თასის (2008) მფლობელია.

### ცოლმა ქმარი გაამხილა

**პაველ ნედვედის** ცოლმა გაამხილა, რომ მისმა მეუღლემ სეზონის ბოლოს კარიერის დასრულება, შესაძლოა, გადაიფიქროს. ჩეხი ნახევარმცველი აგვისტოში 36 წლის ხდება, მაგრამ მარტში თურმე კლუბის შეფებთან შეხვედრას აპირებს და ეგებ გადაიფიქროს კიდეც ბუცების ჩამოკიდება.

„ყოველი ტურის მერე, ორშაბათს, ამბობს, რომ ფეხები დალურჯებული აქვს და სეზონის დამთავრებისთანავე ფეხბურთიდან წავა.

სამშაბათს აზრი ეცვლება და მეუბნება, რომ კარიერის დასრულებაზე მოგვიანებით დაფიქრდება, ხოლო ოთხშაბათს უკვე კონტრაქტის განხილვაზე მელაპარაკება" — თქვა ნედვედის მეუღლემ ივანამ „ტუტოსპორტთან".

ჩეხმა ნახევარმცველმა „იუვენტუსს" უერთგულა და კალჩოპოლის შემდეგ გუნდს სერია B-ში ჩაჰყვა. მას აქეთ, სულ კარიერის დასალიერზე ლაპარაკობს, მაგრამ ერთწლიან კონტრაქტებს აფორმებს და კვლავაც ბურთს დასდევს.

### ტიაგუს მილანში ქაღალდს დაახვედრებენ

**ბრაზილიელი** მცველი ტიაგუ სილვა მილანში ჩავიდა და კარლო ანჩელოტის გუნდთან კონტრაქტს გააფორმებს. ამის თაობაზე ადრიანო გალიანიმ ბრძანა.

24 წლის ფეხბურთელის გადაბირება „ჩელსის" და სხვა ევრობობოლებს სურდათ, მაგრამ „მილანმა" ყველას დაასწრო და ტიაგუ სილვას კონტრაქტს ახლა გაუფორმებს, მიუხედავად იმისა, რომ ბრაზილიელი მომავალ სეზონამდე სერია A-ში ვერ ითამაშებს.

„პირობები თითქმის შეთანხმებულია — თქვა გალიანიმ — ფეხბურთელი უკვე ჩამოვიდა, ახლა სამედიცინო შემოწმებას გაივლის და დარწმუნებული ვარ, რომ ქაღალდებსაც ხელს მოაწერს".

გარიგების ფინანსური დეტალები უცნობია. „მილანს" დაცვაში მოლონიერება სჭირდება, რადგან ალესანდრო ნესტას ტრავმა გრძელვადიანია, ხოლო პაოლო მალდინი ბოლო სეზონს ატარებს.

ტიაგუ ემილიანუ და სილვა 2003 წლიდან „ჟუვენტუდეში" თამაშობდა, მერე „პორტუში" და მოსკოვის „დინამოში" იყო, იქიდან კი სამშობლოში დაბრუნდა და 2006-დან „ფლუმინენსეშია", სადაც 138 მატჩში 14 გოლი შეაგდო.

### მოკეტე, ჟოზე!

**ჟოზე მაურინიუს** დიდი ფეხბურთი არასოდეს უთამაშია და უნდა მოკეტოს — თქვა სინიშა მიხაილოვიჩმა, რომელიც ახლა „ბოლონიას" მწვრთნელია, ადრე კი „ინტერში" რობერტო მანჩინის თანაშემწე იყო.

ამბავი მას მერე ატყდა, რაც მიხაილოვიჩმა რამდენიმე დღის წინ ადრიანოზე ილაპარაკა. სერბის „ინტერში" ყოფნისას, ბრაზილიელმა ფეხბურთელმა აურია და ამის გამო სამშობლოში, „სან პაულუში" დროებით გაანათხოვრეს. ადრიანო ახლაც არ იქცევა კარგად, მაგრამ გუნდიდან მისი მოკვეთისთვის მაურინიუს არავინ აკრიტიკებს, მანჩინის და მიხაილოვიჩს კი მაშინ მედიამ „დასცხო".

„თუ „ინტერმა" მეორე შანსი მისცა სინიშა მიხაილოვიჩს და თანაშემწედ ამუშავა კაცი, რომელმაც ფეხბურთელობისას მეტოქეს შეაფურთხა, რატომ არ უნდა მიეცათ შანსი ადრიანოსთვის?" — იკითხა პორტუგალიელმა მწვრთნელმა.

სინიშა მიხაილოვიჩის პასუხი ასეთია: „ჟოზე მაურინიუ და მისი ამალა მივიდა „ინტერში" და აცხადებს, რომ იციან, როგორ მართონ გუნდი, მაგრამ არაფერიც არ შეცვლილა. მე და მანჩინი ადრიანოს ვაკონტროლებდით და მისი განათხოვრება „სან პაულუში" სწორი გადაწყვეტილება იყო. როცა ბრაზილიელთან პრობლემები გვქონდა, მედია თავს გვესხმოდა, მაურინიუს წინააღმდეგ კი ხმას არავინ იმაღლებს. მე ვერ ვილაპარაკებ „ინტერის" ამჟამინდელ მწვრთნელთან ფეხბურთზე, რადგან მას დიდი ფეხბურთი არ უთამაშია, არ იცის და ვერც ვერასოდეს გაიგებს."

## იტალია

### სერია A. XVI ტური

# ვირის წიხლი იბრამ ჩაწიხლა

#### ტურის მატჩი

**იუვენტუსი 4:2 მილანი**

1:0 დელ პიერო (16), 1:1 პატო (31), 2:1 კიელინი (34), 3:1 ამაური (41), 3:2 ამბროზინი (52), 4:2 ამაური (69)

იუვენტუსი: მანინგერი, კიელინი, მელბერგი, მოლინარო, გრიგერა, მარკიზიო, სისოკო (ძანეტი 88), ნედვედი (დე ჩელიე 30), მარკიონი, დელ პიერო, ამაური (იაკინტა 89)

მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი

მილანი: აბიატი, კალაძე, მალდინი, იანკულოვსკი, ძამბროტა, პირლო, ამბროზინი (ანტონინი 74), ემერსონი (შევჩენკო 46), პატო (ფ. ინძაგი 76), რონალდინიო, ზეედორფი

მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

გაფრთხილება: ემერსონი, ძამბროტა, მელბერგი, ძამბროტა, ამბროზინი, სისოკო

გაძევება: ძამბროტა (66)

მსაჯი: ნიკოლა რიცოლი

24 862 მაყურებელი

**ნაპოლი 3:0 ლეჩე**

1:0 ჰამშიკი (11პ), 2:0 პაზიენცა (42), 3:0 დენისი (66)

გაფრთხილება: პ. კანავარო, ლავეცი (ნაპოლი), ბენუში, გულიატო, კასტილიო, ჯაკომაცი (ლეჩე)

**ბოლონია 5:2 ტორინო**

0:1 ბარონე (7), 1:1 ვოლპი (48), 1:2 აბატე (52), 2:2, 3:2 დი ვაიო (55, 62), 4:2 ბერნაჩი (68პ), 5:2 დი ვაიო (80პ)

გაფრთხილება: ლანა (ბოლონია), ბარონე, პიზანო, ამორუზო, სერენი (ტორინო)

გაძევება: პრატალი (79, ტორინო)

**რომა 3:2 კალიარი**

1:0 ტოტი (39), 1:1 კონტი (58), 1:2 ჟედა (69), 2:2 პეროტა (77), 3:2 ვუჩინიჩი (90)

გაფრთხილება: სისინიო, ვუჩინიჩი (რომა), კონტი, ბიონდინი, მარჩეტი (კალიარი)

**ფიორენტინა 2:0 კატანია**

1:0 მუტუ (56), 2:0 ჯილარდინო (83)

გაფრთხილება: იოვეტიჩი, ალმირონი (ფიორენტინა), ტერლიცი, მარტინესი (კატანია)

**ჯენოა 1:1 ატალანტა**

0:1 ფლოსკარი (17), 1:1 სკული (86)

გაფრთხილება: სკული (ჯენოა), ვალდესი, ბელინი, პინტო, ბელინი (ატალანტა)

გაძევება: ბელინი (57, ატალანტა), მილანეტო (63, ჯენოა), რივალტა (70, ატალანტა)

**ინტერი 4:2 კიევო**

1:0 მაქსველი (3), 2:0 სტანკოვიჩი (47), 2:1 პელისიერი (51), 2:2 ბენტივოლიო (65), 3:2, 4:2 იბრაჰიმოვიჩი (79, 88)

გაფრთხილება: მუნტარი, სტანკოვიჩი, იბრაჰიმოვიჩი (ინტერი), მორერო, მანტოვანი, მორერო, იეპესი (კიევო)

გაძევება: მორერო (83, კიევო)

**პალერმო 2:0 სიენა**

1:0 კასანი (30), 2:0 სიმპლისიო (54)

გაფრთხილება: ბოვო (პალერმო)

**რეჯინა 0:2 სამპდორია**

0:1 ბელუჩი (75პ), 0:2 პადალინო (81)

გაფრთხილება: კოცა, ლანძარო, კორადი (რეჯინა), ლუკინი, სამარკო (სამპდორია)

**უდინეზე 3:3 ლაციო**

1:0 დი ნატალე (9), 2:0 კვალიარელა (15), 3:0 დი ნატალე (55), 3:1 სარატე (61), 3:2 დიაკიტე (73), 3:3 ლედესმა (85)

გაფრთხილება: კვალიარელა, დომიცი (უდინეზე), დაბო, რადუ, კრიბარი, მენი (ლაციო)

#### ზლატან იბრაჰიმოვიჩმა

ცხრა წუთში დუბლი შეასრულა და „ინტერი" სირცხვილისგან იხსნა.

ცხრილის თავი და ბოლო — „ინტერი" და „კიევო" — ერთმანეთს მილანში შეხვდნენ. მაქსველმა მესამე წუთზე გაუტანა სტუმრებს — მახვილი კუთხიდან ბურთი ხარიხის ქვეშ შეაძვრინა. დეიან სტანკოვიჩმა მეორე ტაიმის დასაწყისში სხვაობა ორამდე გაზარდა და „ინტერმაც" დაიარხეინა, რაკი სამი ქულა ჯიბეში ეგულებოდა, მაგრამ „მფრინავმა ვირებმა" წიხლები ყარეს.

პელისიერიმ ჟულიო სეზარს ახლო კუთხეში გაუძვრინა ბურთი, ხოლო ბენტივოლიომ კარის წინ ჩაწოლებულს დაუხვედრა ფეხი და 2:2.

აქ კი შეფუცხუნდა ჟოზე მოურინიუ. ჯერ ერნან კრესპო შეუშვა, მერე კი ლუიშ ფიგუ და, „ინტერის" ჯანმა იძალა. ზლატან იბრაჰიმოვიჩმა მაიკონის პასი შეირგო და თავურით 3:2 გახადა, დასრულებამდე ორი წუთით ადრე კი საჯარიმოში შესულმა თავისებური გლიჯა და „კიევოს" ქულის გადარჩენის შანსი არ დაუტოვა.

უფრო დრამატული გამოდგა „რომა" — „კალიარის" თამაში, სადაც მასპინძლებმა პირველი ტაიმი ფრანჩესკო ტოტის გოლით მოიგეს. სარდინიელებმა შესვენების შემდეგ გულიანად შეუტიეს და დანიელე კონტიმ გაათანაბრა. იშტაზე მოსულმა „კალიარიმ" მალე მეორეც მიაყოლა — დეჟამ სტუმრები დააწინაურა. „რომას" გვარიანი გარჯა მოუწია თამაშის შემოსაბრუნებლად. სიმონე პეროტამ მაკრატელათი გაიტანა და — 2:2, ხოლო მირკო ვუჩინიჩმა მესამე მაშინ შეაგდო, როცა „კალიარი" ქულის შესანარჩუნებლად დაცვაში ჩაიკეტა. ჩერნოგორიელმა ფორვარდმა შვიდი მეტრიდან დაჰკრა, მაისურაც გაიძრო და გახარებულმა ტრიბუნასთან მიირბინა.

მეორე რომაულმა კლუბმა „ლაციომ" უდინეში სასწაული ჩაიდინა. ანტონიო დი ნატალეს კვალიარელამ საგოლე პასი უბოძა და მეცხრე წუთზე დამხვდურები დაწინაურდნენ. ექვსი წუთის მერე „უდინეზემ" მეტოქე კონტრშეტევაზე გამოიჭირა. ცენტრიდან კომბინაცია კვალიარელამ დაიწყო, დი ნატალესთან კედელი გაითამაშა და სხვაობა ორამდე გაზარდა.

მეორე ტაიმში დი ნატალეს გოლმა „ლაციო" თითქოს უიმედო მდგომარეობაში ჩააგდო, მაგრამ რომაელები შეცვლაზე შესულმა გორან პანდევმა დაქოქა. მისი დარტყმული მეკარემ მოიგერია და მაურო სარატემ დაამატა — 3:1.

მერე „ლაციომ" კუთხურით იხეირა, როცა დიაკიტე მცველებზე მაღლა ახტა და თავურით ბურთი კარში ჩასვა. 3:2-ზე „უდინეზე" აიჭრა, სტუმრები კი უფრო გაყოჩაღდნენ და ისე შეუტიეს, რომ კრისტიან ლედესმამ 20 მეტრიდან დაჰკრა და უდინელთა სამბურთიანი სხვაობა გააქრო.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 16 [illegible] | | | | | |
| იუვენტუსი | 16 | 10 | 3 | 3 | 27:12 | 33 |
| ნაპოლი | 16 | 9 | 3 | 4 | 25:15 | 30 |
| მილანი | 16 | 9 | 3 | 4 | 23:17 | 30 |
| ფიორენტინა | 16 | 9 | 2 | 5 | 24:14 | 29 |
| ჯენოა | 16 | 7 | 5 | 4 | 23:17 | 26 |
| ატალანტა | 16 | 7 | 3 | 6 | 20:16 | 24 |
| ლაციო | 16 | 7 | 3 | 6 | 25:22 | 24 |
| პალერმო | 16 | 7 | 2 | 7 | 21:20 | 23 |
| რომა | 15 | 7 | 2 | 6 | 19:20 | 23 |
| უდინეზე | 16 | 6 | 4 | 6 | 24:21 | 22 |
| კატანია | 16 | 6 | 4 | 6 | 15:18 | 22 |
| კალიარი | 16 | 6 | 2 | 8 | 19:20 | 20 |
| სამპდორია | 15 | 5 | 4 | 6 | 15:17 | 19 |
| სიენა | 16 | 5 | 4 | 7 | 12:17 | 19 |
| ბოლონია | 16 | 3 | 5 | 8 | 19:27 | 14 |
| ლეჩე | 16 | 2 | 7 | 7 | 14:24 | 13 |
| ტორინო | 16 | 3 | 3 | 10 | 17:29 | 12 |
| რეჯინა | 16 | 3 | 3 | 10 | 14:32 | 12 |
| კიევო | 16 | 2 | 3 | 11 | 9:26 | 9 |

#### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ჯილარდინო (ფიორენტინა) | 12 |
| დ. მილიტო (ჯენოა) | 12 |
| დი ვაიო (ბოლონია) | 12 |

#### სერია B. XVIII ტური

ალბინოლეფე — ფროზინონე 2:2; ასკოლი — ემპოლი 1:0; აველინო — სალერნიტანა 1:1; ბარი — პიაჩენცა 1:0; ჩიტადელა — ბრეშა 2:0; გროსეტო — რიმინი 1:3; მანტოვა — მოდენა 2:2; პიზა — პარმა 2:1; ტრიესტინა — ლივორნო 1:1; ვიჩენცა — ტრევიზო 1:1; სასუოლო — ანკონა დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ემპოლი | 18 | 9 | 4 | 5 | 24:18 | 31 |
| ბარი | 18 | 8 | 7 | 3 | 18:15 | 31 |
| სასუოლო | 17 | 8 | 5 | 4 | 28:17 | 29 |
| ლივორნო | 18 | 6 | 11 | 1 | 23:12 | 29 |
| პარმა | 18 | 7 | 8 | 3 | 22:15 | 29 |
| გროსეტო | 18 | 8 | 5 | 5 | 30:28 | 29 |
| ბრეშა | 18 | 8 | 5 | 5 | 20:19 | 29 |
| ტრიესტინა | 18 | 7 | 7 | 4 | 24:19 | 28 |
| ვიჩენცა | 18 | 7 | 6 | 5 | 24:12 | 27 |
| პიზა | 18 | 7 | 5 | 6 | 26:24 | 26 |
| მანტოვა | 18 | 6 | 6 | 6 | 18:18 | 24 |
| ალბინოლეფე | 18 | 5 | 8 | 5 | 16:17 | 23 |
| რიმინი | 18 | 6 | 4 | 8 | 21:26 | 22 |
| ფროზინონე | 18 | 5 | 6 | 7 | 22:27 | 21 |
| ანკონა | 17 | 5 | 5 | 7 | 24:22 | 20 |
| ჩიტადელა | 18 | 4 | 8 | 6 | 15:17 | 20 |
| სალერნიტანა | 18 | 5 | 5 | 8 | 17:25 | 20 |
| ტრევიზო | 18 | 3 | 10 | 5 | 17:21 | 19 |
| პიაჩენცა | 18 | 4 | 5 | 9 | 14:21 | 17 |
| აველინო | 18 | 3 | 8 | 7 | 14:24 | 17 |
| მოდენა | 18 | 3 | 6 | 9 | 21:30 | 15 |
| ასკოლი | 18 | 3 | 6 | 9 | 10:21 | 15 |



ალესანდრო დელ პიეროს პენალტი

## GUINNESS WORLD RECORDS



უნგრელმა ედიტ ბერკეშმა სარბენ ტრენაჟორზე 24 საათის განმავლობაში 247,2 კილომეტრი გაირბინა და ეს შედეგი გინესის რეკორდთა წიგნშია შეტანილი. რეკორდი ბუდაპეშტში დამყარდა 2004 წლის 8-9 მარტს.

## ანეკდოტები

ორი პოლიციელი ინგლისური პრემიერლიგის მატჩს უყურებს. ერთი ოთახიდან გავიდა და ამ დროს მეორე ყვირის: გოოოლ! რამდენიმე წამის მერე ისევ: გოოოლ!

— ვინ გაიტანა? — ეკითხება პირველი.

— ჯერ რონალდუმ, მერე Replay-მ.

☺ ☺ ☺

მამამ გაზეთში წაიკითხა, რომ ახალგაზრდა, პერსპექტიულმა ფეხბურთელმა 10-მილიონიანი კონტრაქტი გააფორმა და გაკვეთილებზე მჯდომ შვილს წაუთაქებს: „წადი, ბურთი გააგორე, წიგნებთან რომ მიზიხარ...“

☺ ☺ ☺

ინგლისის ნაკრები გერმანიასთან მატჩისთვის ტაქტიკას გეგმავს.

სტივენ ჯერარდი ამბობს: „ბიჭებო, პაბში წადით, მარტო ვითამაშებ“.

თამაში დამთავრდა. ინგლისელები პაბიდან ბრუნდებიან, ტაბლოზე 1:1 წერია.

ჯერარდი დაღონებული ზის: „მსაჯმა დაგვწვა ბიჭებო, მე-11 წუთზე გამაძევა...“

☺ ☺ ☺

კომენტატორი: ძვირფასო ტელემაყურებლებო, ჩვენს სპორტსმენებს ადვილად იცნობთ ტრუსებით და მაისურებით, დანარჩენ მოთხილამურეებს კომბინიზონები აცვიათ...

☺ ☺ ☺

— გუშინ გარი კასპაროვთან ერთად ვოჯექი რესტორანში და დავიტანჯე.

— რატომ?

— მაგიდას უჯრებიანი სუფრა ეფარა და მარილის გადმოწოდებას 45 წუთი მოანდომა.

☺ ☺ ☺

ბავშვები ფეხბურთს თამაშობენ. ერთს ცოფიანი ძაღლი გაეკიდა. მეორემ ქვა ესროლა და მოკლა.

გლაზგოს „ივნინგ სტანდარდის“ კორესპონდენტი მასალას ამზადებს:

— ბიჭო, სტატიას ვწერ სათაურით: „რეინჯერსის“ გულადმა ფანმა მეგობარი იხსნა.

— მე რომ „სელტიკის“ ფანი ვარ?

სტატია ასეთი სათაურით დაიბეჭდა: „სელტიკის“ ვერაგმა ფანმა საბრალო ძაღლი მოკლა.

## სახალისო ფოტო






## სპორტი და ისტორია



1933 წლის 29 აპრილს ინგლისის თასის ფინალში ფეხბურთელები პირველად გავიდნენ ნომრიანი მაისურებით. და რაც ყველაზე საინტერესოა, „მანჩესტერ სიტის“ ფეხბურთელებს 1-დან 11 ნომრამდე მაისურები ეცვათ, „ევერტონის“ ფეხბურთელებს კი 12-დან 22-მდე. ის მატჩი „ევერტონმა“ 3:0 მოიგო.

## რას არ გაიგებ კომენტატორისგან

გრძელფეხება ჟოსელინ ანგლომა მაინც მისწვდა ბურთს, რომელიც მისგან ოთხ მეტრში იყო.

შვედების მწვრთნელი სიხარულისგან ტირის... თუ... ვიღაცამ თვალში შემთხვევით თითი ჰკრა?!

ძალიან ძლიერი დარტყმა იყო. ბურთი მცველს თავში მოხვდა. ტვინი თუ აქვს, შერყევა დაემართება.

ტიტოვმა ავსტრიელისგან დიდებული პასი მიიღო. ასეთს თანაგუნდელისგან ვერ ელირსებოდა.

## სარბიელის კვირის რეიტინგი

1. თემურ ქეცბაია (ევროპის საუკეთესო მწვრთნელთა ხუთეულში მოხვედრა); 2. მამუკა გორგოძე (საფრანგეთის საუკეთესო მორაგბედ დასახელების ფავორიტი), 3. რევაზ არველაძე (ფეხბურთის ფედერაციის ახალი გენერალური მდივანი); 4. ვიტო კოლელიშვილი (რაგბიში საქართველოს თასის ფინალის გამორჩეული მოთამაშე); 5. ვარლამ კილასონია (წაუგებელი სერია რუსთავის „ოლიმპში“ დაბრუნებიდან დღემდე); 6. გიორგი მეგრელაძე („ოლიმპი“ — „დინამოს“ მატჩის გმირი); 7. მანუჩარ მარკოიშვილი (17 ქულა ევროჩელენჯზე); 8. რიჩარდ მათიაშვილი (23 ქულა და 13 მოხსნა სუპერლიგაში); 9. ნიკოლოზ ბასილაშვილი (ზედიზედ ექვსი მოგება კი ბისკეინის ტურნირზე); 10. ზაზა ფაჩულია (8 ქულა და 6 მოხსნა NBA-ში)



## საფრანგეთი

### I დივიზიონი. XVIII ტური

ნიცა — გრენობლი 0:0; ოსერი — პსჟ 1:2; ლე მანი — ბორდო 1:3; ნანსი — გრენობლი 2:0; სოშო — კაენი 2:2; ტულუზი — სენტ ეტიენი 3:1; ვალანსიენი — მონაკო 3:1; რენი — ნანტი 0:0; ლე ავრი — ლორიანი 1:3; ნიცა — ლილი 0:1; ლიონი — მარსელი 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიონი | 18 | 10 | 5 | 3 | 22:12 | 35 |
| მარსელი | 18 | 8 | 8 | 2 | 33:21 | 32 |
| ბორდო | 18 | 9 | 5 | 4 | 27:16 | 32 |
| პსჟ | 18 | 10 | 2 | 6 | 22:15 | 32 |
| რენი | 18 | 7 | 10 | 1 | 22:12 | 31 |
| ტულუზი | 18 | 8 | 6 | 4 | 17:13 | 30 |
| ლილი | 18 | 7 | 8 | 3 | 25:18 | 29 |
| ნიცა | 18 | 8 | 5 | 5 | 21:17 | 29 |
| ლორიანი | 18 | 7 | 5 | 6 | 24:21 | 26 |
| ლე მანი | 18 | 7 | 3 | 8 | 24:26 | 24 |
| კაენი | 18 | 5 | 8 | 5 | 23:20 | 23 |
| მონაკო | 18 | 6 | 5 | 7 | 19:19 | 23 |
| ნანსი | 18 | 5 | 7 | 6 | 15:17 | 22 |
| გრენობლი | 18 | 5 | 7 | 6 | 11:16 | 22 |
| ოსერი | 18 | 5 | 5 | 8 | 14:17 | 20 |
| ნანტი | 18 | 5 | 4 | 9 | 14:24 | 19 |
| სენტ ეტიენი | 18 | 5 | 1 | 12 | 13:28 | 16 |
| ვალანსიენი | 18 | 3 | 5 | 10 | 14:23 | 14 |
| სოშო | 18 | 1 | 10 | 7 | 17:24 | 13 |
| ლე ავრი | 18 | 3 | 3 | 12 | 13:31 | 12 |

### II დივიზიონი

#### გადადებული მატჩი

ლანსი — მონპელიე 0:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლანსი | 17 | 11 | 1 | 5 | 24:17 | 34 |
| ბულონი | 17 | 9 | 5 | 3 | 23:13 | 32 |
| მონპელიე | 17 | 8 | 5 | 4 | 29:15 | 29 |
| სტრასბური | 16 | 8 | 5 | 3 | 27:17 | 29 |
| მეცი | 17 | 8 | 5 | 4 | 18:12 | 29 |
| ანჟერი | 17 | 7 | 7 | 3 | 24:17 | 28 |
| ტური | 17 | 7 | 3 | 7 | 23:23 | 24 |
| ვანი | 17 | 7 | 3 | 7 | 13:16 | 24 |
| ბასტია | 17 | 6 | 5 | 6 | 19:19 | 23 |
| ტრუა | 17 | 6 | 5 | 6 | 15:16 | 23 |
| ბრესტი | 17 | 7 | 1 | 9 | 18:19 | 22 |
| კლერმონი | 17 | 5 | 7 | 5 | 20:22 | 22 |
| დიჟონი | 17 | 5 | 6 | 6 | 20:22 | 21 |
| აიაჩო | 17 | 5 | 5 | 7 | 25:28 | 20 |
| სედანი | 17 | 5 | 5 | 7 | 17:23 | 20 |
| ამიენი | 16 | 4 | 7 | 5 | 14:15 | 19 |
| გენგამი | 17 | 4 | 7 | 6 | 15:17 | 19 |
| შატორუ | 17 | 4 | 5 | 8 | 15:21 | 17 |
| რეიმსი | 17 | 2 | 6 | 9 | 17:31 | 12 |
| ნიმი | 17 | 1 | 7 | 9 | 13:26 | 10 |

#### თასი

დანკერკი — რეიმსი 2:1; რომორენტინი — ანჟერი 1:1 (10:9პ); ტრუა — ბუვე 3:1; სტრასბური — სედანი 6:0; კლერმონი — ბასტია 1:0; სელონჟი — დიჟონი ჩაიშალა

## იტალია

### სერია C1/A

პრო სესტო — პერგოკრემა 1:0; კრემონეზე — ჩეზენა 1:2; ლუმეცანე — ნოვარა 0:1; პორტოგრუარო — ლენიანო 2:0; რავენა — ვენეცია 0:0; სამბენედეტეზე — პრო პატრია 0:3; სპალ — ლეკო 1:1; ვერონა — მონცა 2:1. პადოვა — რეჯანა დღეს გაიმართება

### სერია C1/B

არეცო — პაგანეზე 3:0; კავეზე — ბენევენტო 1:1; ფოჯა — ტერნანა 2:1; გალიპოლი — ლანჩანო 3:1; სტაბია — ფოლინიო 1:1; პერუჯა — კროტონე 1:1; პისტოიეზე — პესკარა 2:2; პოტენცა — ტარანტო 1:0; სორენტო — მარკიანიზე 1:1

## კვიპროსი

### I დივიზიონი

პაფოსი — პარალიმნი 0:2; დოქსა — აიარომიტოსი 2:1; აპელ — აპოელი 1:1; ეთნიკოსი — აპოლონი 1:1; ომონია — კინირასი 4:1; ანორთოსისი — აეკ 1:0

## ინგლისი

### I ლიგა

ბრაიტონი — მილტონი 2:4; ბრისტოლი — ტრანმერი 2:0; კარლაილი — ლესტერი 1:2; ქრიუ — სუინდონი 1:0; ჰერეფორდი — ჰარტლპული 1:1; ლიდსი — კოლჩესტერი 1:2; ლეიტონი — ჩელტენემი 1:2; პიტერბრო — ოლდემი 2:2; სკანთორპი — ნორთჰემპტონი 4:4; საუთენდი — ჰადერსფილდი 0:1; უოლსოლი — მილუოლი 1:2; იოვილი — სტოკპორტი 2:4

### II ლიგა

ჩესტერფილდი — მაკლსფილდი 2:4; ლინკოლნი — აქრინგტონი 5:1; ბარნეტი — ჯილინგემი 2:2; ბრენტფორდი — ბრედფორდი 2:1; ბარი — პორტ ვეილი 3:0; ჩესტერი — ნოთსი 2:0; დაგენემი — ექსეტერი 1:0; გრიმსბი — შრიუსბერი 1:0; მორეკომბი — დარლინგტონი 1:0; როჩდეილი — ბორნმუთი 1:1; უიკომბი — ლუთონი 0:0. როტერჰემი — ალდერშოტი გადაიდო

### კონფერენსლიგა

ბაროუ — ალტრინჩემი 2:2; ბარტონი — კემბრიჯი 3:1; ისტბურნი — ტორკი 4:2; ებსფილდი — ფორესტ გრინი 0:1; ჰისტონი — იორკი 1:1; კიდერმინსტერი — მენსფილდი 2:0; სალისბერი — ლიუისი 1:2; სტივენეიჯი — გრეისი 0:0; ვეიმუთი — ოქსფორდი 2:2; უოკინგი — რაშდენი 1:1

### სამხრეთ კონფერენსლიგა

დონჩესტერი — ფაროკი 4:3; ვესტონი — ჰემპტონი გადაიდო

### ჩრდ. კონფერენსლიგა

სოლიჰალი — ბლითი და გეინსბრო — ჰინკლი გადაიდო

### ასოციაციის თასი

ჩესტერფილდი — დროილსდენი 2:2; სტოკპორტი — ჯილინგემი 1:2; ტრამერი — პიტერბრო 1:2დ.დ. (1:1); კეტერინგი — ნოტსი 2:1

### FA ტროფი

ალტრინჩემი — საუთპორტი 1:4; ბაროუ — სკელმარსდეილი 2:1; კემბრიჯი — კეტერინგი 1:4; დარჰემი — ჰეროგეიტი 2:0; ფორესტ გრინი — ჰემელი 5:1; ჰისტონი — კემბრიჯი 2:3; ნიუპორტი — რაშდენი 1:1; სტივენეიჯი — სტ ალბანსი 4:1; თიმ ბათი — ლიუისი 1:2; ტორკი — ბათი 2:0; ოქსბრიჯი — უიმბლდონი 2:1; ვორკინგთონი — კინგსი 4:3; რექსამი — მანსფილდი 2:1. ალფრეტონი — რედიჩი, ბეშლი — ტივერტონი, ბესინგსტოკი — ბრანკლი, ბოსტონი — ტელფორდი, ბარტონი — ფარსლი, ჩეშემი — ქრიული, ფარნბორო — ვინგეიტი, ჰავანთი — ბარი, ჰეიესი — გრეისი, ჰედნესფორდი — ნეთვიჩი, ილკესტონი — ოსეტი, კიდერმინსტერი — ბარსქო, ნორთვიჩი — იორკი, სტურბრიჯი — სტალიბრიჯი, სუინდონი — ისტბორნი, უელინგი — ვეიმუთი, უოკინგი — სალისბერი გადაიდო

## იაპონია

### ჯეი ლიგა. პლეი აუტი

სენდაი — იჯატა 1:1; იგატა — სენდაი 2:1

## პორტუგალია

### თასი

სინფაეში — პორტუ 1:4; ნავალი — პორტიმონენსე 3:0; ამადორა — ოლივაიში 1:0დ.დ; ლეიშოეში — ბენფიკა 0:0 (5:4პ); ტროფენსე — ნასიონალი 2:4; ფერეირა — ვიზელა 4:1; სეტუბალი — გიმარაეში 0:1

## მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი

ადელაიდა 2:1 ვაიტაკერი
ალ აჰლი 2:4დ.დ. (2:2) პაჩუკა
ადელაიდა 0:1 ოსაკა

## ჰოლანდია

### ერედივიზიონი. XV ტური

აიაქსი — ბრედა 3:0; დენ ჰააგი — როდა 1:1; ჰერენვენი — გრააფსხაპი 2:0; ტილბურგი — ნაიმეგენი 1:2; ფეიენოორდი — ალკმაარი 0:1; ვიტესი — პსვ 1:1; გრონინგენი — ტვენტე 1:4; ჰერაკლესი — სპარტა 2:1; უტრეხტი — ვოლენდამი 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ალკმაარი | 15 | 10 | 3 | 2 | [illegible]:11 | 33 |
| აიაქსი | 15 | 10 | 2 | 3 | 32:17 | 32 |
| ტვენტე | 15 | 9 | 3 | 3 | 31:16 | 30 |
| პსვ | 15 | 8 | 2 | 5 | 29:17 | 26 |
| ჰერენვენი | 15 | 7 | 5 | 3 | 32:31 | 26 |
| ბრედა | 15 | 8 | 2 | 5 | 23:22 | 26 |
| ნაიმეგენი | 15 | 7 | 4 | 4 | 25:17 | 25 |
| გრონინგენი | 15 | 7 | 2 | 6 | 29:19 | 23 |
| უტრეხტი | 15 | 6 | 4 | 5 | 20:18 | 22 |
| ტილბურგი | 15 | 6 | 3 | 6 | 21:22 | 21 |
| ჰერაკლესი | 15 | 5 | 4 | 6 | 16:23 | 19 |
| ფეიენოორდი | 15 | 4 | 4 | 7 | 27:24 | 16 |
| სპარტა | 15 | 4 | 4 | 7 | 24:31 | 16 |
| დენ ჰააგი | 15 | 4 | 2 | 9 | 19:23 | 14 |
| როდა | 15 | 3 | 5 | 7 | 18:26 | 14 |
| ვიტესი | 15 | 2 | 6 | 7 | 12:27 | 12 |
| გრააფსხაპი | 15 | 3 | 3 | 9 | 12:28 | 12 |
| ვოლენდამი | 15 | 2 | 2 | 11 | 15:41 | 8 |

### ერსტე დივიზიონი

აპელდორნი — ჰელმონდი 1:0; კამბური — ვეენდამი 2:2; ეინდჰოვენი — დორდრეხტი 2:1; ემენი — სიტარდი 1:2; იგლზი — ვენლო 1:0; მაასტრიხტი — ზვოლე 4:1; როზენდალი — ომნივოლდი 1:1; ტელსტარი — ექსელსიორი 1:1; ოსი — ჰაარლემი 1:0; ვალვაიკი — დენ ბოსხი 1:1

## გერმანია

### III ლიგა

ოფენბახი — ბაიერნი (მ) 2:0; ალენი — უნტერჰახინგი 2:3; ბრაუნშვაიგი — რეგენსბურგი 0:3; კარლ ცაისი — ზანდჰაუზენი 2:0; პადერბორნი — კიკერსი 2:0; უნიონი — ემდენი 2:0; ვუპერტალი — ერფურტი 0:2; ვერდერი (მ) — ფორტუნა 2:0. შტუტგარტი (მ) — ბურგჰაუზენი და დინამო — აუე გადაიდო

### ჩრდ. რეგიონალლიგა

ჰამბურგი (მ) — ჰერტა (მ) 1:1; ტურკიემსფორი — ვილჰელმშავენი 2:1; კოტბუსი (მ) — ობერნეულანდი 0:0; ვილჰელმშავენი — ჰანოვერი (მ) 2:0; ალტონა — ტურკიემსფორი 0:3; ჰერტა (მ) — ჰანზა (მ) 2:0; ლაიფციგი — ბაბელსბერგი 0:0; ლიუბეკი — კილი 1:3; მაგდებურგი — ქემნიცი 4:1; პლაუენი — ჰალეშერი 0:1

### სამხრეთ რეგიონალლიგა

ულმი — ფიურტი (მ) 1:1; კარლსრუე (მ) — გროსბარდორფი 2:1; კესელი — ფრაიბურგი (მ) 2:1; ნიურნბერგი (მ)— ჰაიდენჰაიმი 6:1; ვეენი (მ) — აშფენბურგი 2:1

### დასავლეთ რეგიონალლიგა

მიუნსტერი — ლოტე 0:1; ვორმსი — შალკე (მ) 0:2; კლოპენბურგი — ლაუტერნი (მ) 0:1; ესენი — დორტმუნდი (მ) 3:4; მაინცი (მ) — ოგერშაიმი 3:1; გლადბახი (მ) — ლევერკუზენი (მ) 2:1; ტრირი — ბოხუმი (მ) 3:2; კიოლნი (მ) — ფერლი 0:0. კლევე — ელვერსბერგი გადაიდო

## ამხანაგური მატჩი

პოლონეთი 1:0 სერბეთი
1:0 ბოგუშკი (56)

## ჩრდ. ირლანდია

### პრემიერლიგა

ბალიმენა — კრუზეიდერსი 1:0; გლენტორანი — ლისბურნი 0:0; გლენავონი — ლინფილდი 1:0; ბანგური — ბალიმენა 0:3; კოლერეინი — ლინფილდი 1:4; კრუზეიდერსი — ლისბურნი 0:1; კლიფტონვილი — გლენავონი 4:0; გლენტორანი — დანგანონი 1:1; ინსტიტუტი — ნიური 4:2

## არგენტინა

### კლაუსურა. XIX ტური

ესტუდიანტესი — რივერ პლეიტი 1:1; არგ. ხუნიორსი — სან ლორენსო 0:1; ხიმნასია ხ — ხიმნასია ლპ 1:1; ბოკა ხუნიორსი — კოლონი 3:2; ურაკანი — ველესი 3:0; ინდეპენდიენტე — არსენალი 1:2; ლანუსი — სან მარტინი 1:0; ნიუელსი — რასინგი 3:0; ტიგრე — ბანფილდი 1:0. გოდოი — როსარიო წუხელ გვიან დამთავრდა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოკა ხუნიორსი | 19 | 12 | 3 | 4 | 33:21 | 39 |
| ტიგრე | 19 | 12 | 3 | 4 | 31:19 | 39 |
| ლანუსი | 19 | 11 | 4 | 4 | 34:23 | 37 |
| სან ლორენსო | 18 | 11 | 3 | 4 | 30:16 | 36 |
| ნიუელსი | 19 | 8 | 7 | 4 | 26:18 | 31 |
| არსენალი | 19 | 8 | 4 | 7 | 26:27 | 28 |
| ესტუდიანტესი | 19 | 8 | 4 | 7 | 24:25 | 28 |
| ხიმნასია ლპ | 19 | 6 | 9 | 4 | 17:15 | 27 |
| ველესი | 19 | 7 | 5 | 7 | 22:27 | 26 |
| კოლონი | 19 | 5 | 8 | 6 | 29:25 | 23 |
| არგ. ხუნიორსი | 19 | 5 | 8 | 6 | 25:26 | 23 |
| ბანფილდი | 19 | 5 | 8 | 6 | 18:21 | 23 |
| რასინგი | 19 | 5 | 7 | 7 | 19:22 | 22 |
| ხიმნასია ხ | 19 | 6 | 3 | 10 | 19:31 | 21 |
| სან მარტინი | 19 | 5 | 5 | 9 | 15:18 | 20 |
| გოდოი | 18 | 5 | 5 | 8 | 24:28 | 20 |
| ურაკანი | 18 | 5 | 5 | 8 | 17:25 | 20 |
| ინდეპენდიენტე | 19 | 4 | 6 | 9 | 15:23 | 18 |
| როსარიო | 18 | 4 | 3 | 11 | 20:25 | 15 |
| რივერ პლეიტი | 19 | 2 | 8 | 9 | 20:29 | 14 |

## შოტლანდია

### პრემიერლიგა. XVIII ტური

დანდი იუნ. — რეინჯერსი 2:2; აბერდინი — ფოლკირკი 2:1; სელტიკი — ჰართსი 1:1; ჰიბერნიანი — ჰამილტონი 2:0; სენტ მირენი — ინვერნესი 2:0; მოზერუელი — კილმარნოკი დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 18 | 14 | 2 | 2 | 41:18 | 44 |
| რეინჯერსი | 18 | 12 | 4 | 2 | 44:16 | 40 |
| დანდი იუნ. | 18 | 8 | 6 | 4 | 27:20 | 30 |
| ჰართსი | 17 | 9 | 3 | 5 | 20:20 | 30 |
| ჰიბერნიანი | 18 | 7 | 5 | 6 | 24:23 | 26 |
| აბერდინი | 17 | 7 | 3 | 7 | 19:19 | 24 |
| კილმარნოკი | 16 | 6 | 1 | 9 | 14:22 | 19 |
| სენტ მირენი | 18 | 5 | 3 | 10 | 14:22 | 18 |
| ფოლკირკი | 18 | 4 | 5 | 9 | 21:26 | 17 |
| მოზერუელი | 16 | 5 | 2 | 9 | 17:25 | 17 |
| ინვერნესი | 18 | 5 | 2 | 11 | 18:28 | 17 |
| ჰამილტონი | 18 | 4 | 2 | 12 | 15:35 | 14 |

### I დივიზიონი

კლაიდი — დანდი 1:0; პარტიკი — ერდრი 2:1; ქუინი — დანფერმლაინი 1:2; როსი — ლივინგსტონი 1:4; სტ ჯონსტონი — მორტონი 1:0

### II დივიზიონი

არბროთი — პიტერჰედი 4:0; ეირი — ალოა 3:0; ისტ ფაიფი — სტირლინგი 0:1; ქუინზ პარკი — რაითი 1:2. ბრეჩინი — სტარნარი გადაიდო

### III დივიზიონი

ანანი — ბერვიკი 1:2; დამბარტონი — ფორფარი 3:0; ელგინი — ისტ სტირლინგი 0:4; მონტროუზი — ქოუდენბითი 0:1; სტენჰაუზმური — ალბიონი 1:0

### ასოციაციის თასი

ალოა — რაითი 2:1; ინვერური — ვაილი 4:0. დალბიტი — ფორესი გადაიდო

## ავსტრია

### ბუნდესლიგა. XXII ტური

მატერსბურგი — აუსტრია 0:2; რიდი — კაპფენბერგი 3:0; შტურმი — ალტახი 3:1; რაპიდი — ლინცერი 1:1. კერნტენი — ზალცბურგი გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზალცბურგი | 21 | 14 | 4 | 3 | 57:29 | 46 |
| რაპიდი | 22 | 12 | 6 | 4 | 55:26 | 42 |
| შტურმი | 21 | 13 | 3 | 5 | 49:24 | 42 |
| აუსტრია | 22 | 12 | 6 | 4 | 35:25 | 42 |
| კერნტენი | 20 | 9 | 5 | 6 | 32:22 | 32 |
| რიდი | 22 | 9 | 5 | 8 | 30:26 | 32 |
| ლინცერი | 22 | 8 | 1 | 13 | 22:41 | 25 |
| კაპფენბერგი | 22 | 5 | 3 | 14 | 26:49 | 18 |
| მატერსბურგი | 22 | 3 | 4 | 15 | 23:49 | 13 |
| ალტახი | 22 | 4 | 1 | 17 | 28:66 | 13 |

## ბელგია

### I დივიზიონი. XVI ტური

მესელენი — ბეერსხოტი 2:1; დენდერი — ლოკერენი 1:4; გენკი — შარლერუა [illegible]:0; გენტი — კორტრაიკი 1:1; ტუბიცე — მონსი 2:1; ზულტე-ვარეგემი — მუსკრონი 2:1; ვესტერლო — სერკლი 1:2; ბრიუგე — სტანდარდი 1:4; რუზელარე — ანდერლეხტი 0:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ანდერლეხტი | 16 | 11 | 2 | 3 | 41:17 | 35 |
| სტანდარდი | 16 | 9 | 4 | 3 | 28:16 | 31 |
| ბრიუგე | 16 | 9 | 4 | 3 | 28:18 | 31 |
| გენკი | 16 | 9 | 3 | 4 | 26:20 | 30 |
| ვესტერლო | 16 | 8 | 3 | 5 | 22:20 | 27 |
| ლოკერენი | 16 | 6 | 8 | 2 | 20:12 | 26 |
| სერკლი | 16 | 8 | 1 | 7 | 25:25 | 25 |
| მუსკრონი | 16 | 7 | 3 | 6 | 23:21 | 24 |
| გენტი | 16 | 6 | 5 | 5 | 32:22 | 23 |
| ვარეგემი | 15 | 7 | 2 | 6 | 23:20 | 23 |
| შარლერუა | 16 | 5 | 3 | 8 | 20:26 | 18 |
| კორტრაიკი | 15 | 4 | 6 | 5 | 17:24 | 18 |
| მეხელენი | 16 | 4 | 5 | 7 | 17:26 | 17 |
| დენდერი | 16 | 3 | 6 | 7 | 21:31 | 15 |
| მონსი | 16 | 3 | 5 | 8 | 17:22 | 14 |
| ტუბიცე | 16 | 4 | 2 | 10 | 20:34 | 14 |
| ბეერსხოტი | 16 | 2 | 6 | 8 | 16:23 | 12 |
| რუზელარე | 16 | 2 | 4 | 10 | 10:29 | 10 |

## უელსი

### პრემიერდივიზიონი

აირბასი — ტნს 1:0; ნითი — ჰევერფორდვესტი 1:1; რილი — დრუიდსი 3:4; აბერისთვითი — პორთმადოგი 5:2; კარმართენი — კარნარფონი 2:1; კონაჰი — ლამელი 3:1. ველშპული — პორტ ტალბოტი, ბანგური — ნიუთაუნი და კეარსვი — პრესტატინი გადაიდო

## საბერძნეთი

### სუპერლიგა. XIV ტური

ლარისა — ოლიმპიაკოსი 1:1; ტრიპოლისი — ირაკლისი 1:2; პაოკ — ქსანთი 1:0; ლევადიაკოსი — პანთრაკიკოსი 2:0; პანათინაიკოსი — პანსერაიკოსი 3:0; ფილისი — პანიონიოსი 1:3; არისი — აეკ 1:1; ერგოტელისი — ოფი 1:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 14 | 10 | 3 | 1 | 25:5 | 33 |
| პაოკ | 14 | 8 | 5 | 1 | 16:7 | 29 |
| პანათინაიკოსი | 14 | 7 | 5 | 2 | 24:12 | 26 |
| არისი | 14 | 6 | 4 | 4 | 14:12 | 22 |
| აეკ | 14 | 4 | 9 | 1 | 16:14 | 21 |
| ერგოტელისი | 14 | 6 | 3 | 5 | 20:20 | 21 |
| ქსანთი | 14 | 5 | 5 | 4 | 10:9 | 20 |
| ლარისა | 14 | 4 | 6 | 4 | 18:14 | 18 |
| პანიონიოსი | 14 | 5 | 3 | 6 | 18:20 | 18 |
| პანთრაკიკოსი | 14 | 5 | 3 | 6 | 9:13 | 18 |
| ლევადიაკოსი | 14 | 4 | 4 | 6 | 8:12 | 16 |
| ირაკლისი | 14 | 3 | 6 | 5 | 11:15 | 15 |
| ტრიპოლისი | 14 | 2 | 8 | 4 | 13:14 | 14 |
| ოფი | 14 | 2 | 5 | 7 | 15:23 | 11 |
| პანსერაიკოსი | 14 | 2 | 3 | 9 | 8:22 | 9 |
| ფილისი | 14 | 2 | 2 | 10 | 12:25 | 8 |

## შვეიცარია

### სუპერლიგა. XVIII ტური

სიონი — ქსამაქსი 0:0; ლუცერნი — ბაზელი 5:1; იანგ ბოისი — ბელინცონა 3:0; ციურიხი — ვადუცი 1:0. აარაუ — გრასჰოპერი გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ციურიხი | 18 | 13 | 3 | 2 | 42:16 | 42 |
| ბაზელი | 18 | 12 | 2 | 4 | 36:21 | 38 |
| იანგ ბოისი | 18 | 9 | 5 | 4 | 37:21 | 32 |
| გრასჰოპერი | 17 | 7 | 7 | 3 | 27:15 | 28 |
| აარაუ | 17 | 6 | 6 | 5 | 21:22 | 24 |
| ქსამაქსი | 18 | 4 | 6 | 8 | 23:28 | 18 |
| სიონი | 17 | 4 | 5 | 8 | 18:30 | 17 |
| ბელინცონა | 17 | 3 | 5 | 9 | 17:30 | 14 |
| ვადუცი | 17 | 3 | 5 | 9 | 10:32 | 14 |
| ლუცერნი | 17 | 3 | 2 | 12 | 16:32 | 11 |

### თასი

გოსაუ — იანგ ბოისი 0:1; შო დე ფონი — ლუცერნი 0:4


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე

ქართული ფეხბურთი: ილია ნანობაშვილი, მაია ჯიჯავა
უცხოური ფეხბურთი: გიო ახვლედიანი, ვაჟა ხუციშვილი
სპორტი: ლევან მაისურაძე, ირაკლი ფირაშვილი
კომპიუტერული ცენტრი: მაგდა დოგრაშვილი, თამარ ქინქლაძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge